აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება-საარქივო სამმართველო

Sub-department of Ajara Autonomous Republic
Government-Archives Administration

ISSN 2233-3541

# ა რ ხ ე ი ო ნ
# A R C H E I O N

# II

ბათუმი 2011 Batumi

UDC (უაკ) 930.25(479.223)(051.2)
ა – 864

**სარედაქციო საბჭო:**
**თენგიზ ცინცქილაძე** - აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსი (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე);
**თამაზ ფუტკარაძე** - მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (რედაქტორი);
**თეონა იაშვილი** - ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი;
**სანდრო ბერიძე** - აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე;
**მაია რურუა** - აჭარის არ საარქივო სამმართველოს დაცვის, აღრიცხვის და სამეცნიერო – საცნობარო განყოფილების უფროსი;
**ფრიდონ ქარდავა** - აჭარის არ საარქივო სამმართველოს პუბლიკაციის და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
**მარიანა პისკოვა** - ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის პროფესორი (ბულგარეთი);
**ნურიე მურატოვა** - ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის პროფესორი (ბულგარეთი);
**მერაბ კეზევაძე** - ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი.

**Editorial Board:**
**Tengiz Tsintskiladze** – Head of Ajara AR – Archives Administration (chairman of editorial board);
**Tamaz Putkaradze** - (editor), professor of the Departament of the History of the Batumi Shota Rustaveli State University ;
**Teona Iashvili** – General director of National Archives;
**Sandro Beridze** – Deputy chief of Ajara AR - Archives Administration;
**Maia Rurua** – Archives Administration, Head of department of preservation, registration and scinetific-informational;
**Fridon Kardava** – Sub department of Ajara AR government – Archives Administration, senior specialist of Publication and Utilization department;
**Mariana Piskova** – Proffesor of Neofit – Rilski University (Bulgaria);
**Nurie Muratova** – Professor of Neofit – Rilski University (Bulgaria);
**Merab Kezevadze** – Director of Kutaisi Central Archives.

© *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო* 2011 წ
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

*ელგუჯა ჩაგანავა*

### *საზღვარგარეთის ტურიზმის საკავშირო სააქციო საზოგადოება – ბათუმის განყოფილება „ინტურისტი“ 1929-1962 წლებში (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)*

„ინტურისტი“-ს შენობა ისტორიული მნიშვნელობის მატერიალური კულტურის ძეგლია. მისი საქმიანობის კვალდაკვალ ნათლად იკვეთება საბჭოთა იმპერიის მბრძანებლური იდეოლოგია და რეჟიმის ძირითადი მიზნები. ამის ნათელი მაგალითია „ინტურისტი“-ს ასაშენებლად ფართის გამოთავისუფლებისათვის ბათუმში არსებული ალექსანდრე ნეველის ტაძრის ბარბაროსული აფეთქება.

1929 წლის აპრილში საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სსრკ-ში უცხოური ტურიზმის განვითარებისათვის შეექმნა შესაბამისი ორგანიზაცია. ამ მიზნით ჩამოყალიბდა სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „ინტურისტი“, რომლის ძირითადი აქციონერი იყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, საბჭოთა სავაჭრო ფლოტი და სხვა დაწესებულებები (ასსცსა, ფ. რ-134, ა. №1, ს. №117, ფურც. 3,4,35). „ინტურისტი“ მიზანად ისახავდა სსრკ-ში ყველა სახის უცხოური ტურიზმის განვითარებას და გაფართოებას. სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ მმართველობით სხდომაზე (ოქმი №42, 13.09.1930 წელი) დაისვა სასტუმრო „ინტურისტი“-ს მშენებლობის საკითხი. უცხოეთიდან მოწვეული იქნა არქიტექტორი კორნი. „ინტურისტი“-ს საპროექტო სამუშაოები შეასრულა აკადემიკოსმა შჩუსევმა. სასტუმროს მშენებლობა დასრულდა 1939 წელს. სწორედ მის მშენებლობას შეეწირა ალექსანდრე ნეველის სახელობის უნიკალური ტაძარი.






1931 წელს ბათუმში ჩამოყალიბდა საკავშირო სააქციო ორგანიზაცია „ინტურისტი“-ს სააგენტო (ასსცსა, ფ. 134, ა. 1, ს. 117, ფურც. 36,92.), რომელმაც 1931 წლის ნოემბრიდან ავტოსადგომის და სხვადასხვა მომსახურებისათვის დაიწყო საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმება შესაბამის ორგანიზაციებთან. მოგვიანებით დადგინდა საცხოვრებელი ნომრის ფასები და დღიური გადასახადები კვების, მგზავრობის, ავტომანქანით სარგებლობისა და სხვა სახის მომსახურეობისათვის (აშშ დოლარებში).

1932 წლის 3 იანვარს, კომუნალური აბანოების სამმართველოს და ბათუმის სასტუმრო „ინტურისტი“-ს სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით სასტუმრო „ინტერნაციონალი“ იჯარით გადაეცა „ინტურისტს“ და ეწოდა „სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „ინტურისტი“-ს ბათუმის

განყოფილება (მდებარეობდა ქუთაისის ქ. №8-ში). შესაბამისად დაემატა ერთი საშტატო ერთეული (ასსცსა, ფ.134, ს.№1, ა. 1, ფურც.-1,1ᵇ,2,3,14.).

1932 წლამდე სააქციო საზოგადოება „ინტურისტი" ტურისტების მომსახურებას ახორციელდებოდა ბათუმის კანტორის და ძირითადად ადგილობრივი საქალაქო ორგანიზაციების სასტუმროების, რესტორნების იჯარით გაცემით. ამიტომ, იგი მოკლებული აღმოჩნდა ორგანიზაციულ ფუნქციებს. შესაბამისად არც შეეძლო უცხო ქვეყნის ტურისტებისათვის გაეწია მაღალხარისხოვანი მომსახურება. 1932-1933 წლებში მთავრობამ მიიღო ადგილობრივი ორგანიზაციების კუთვნილი ზოგირთი სასტუმროსა და რესტორნის „ინტურისტი"-სათვის გადაცემის გადაწყვეტილება. 1933 წლის თებერვალში საკავშირო სააქციო საზოგადოება „ოტელი" გაერთიანდა „ინტურისტთან". მასვე გადაეცა ამ საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, ს.117, ფურც.36). ამავე დროს, ოდესის კანტორის მიერ წამოყენებული იქნა შავი ზღვის სანაპიროზე არსებული „ინტურისტი"-ს ტიპის ობიექტების ოდესის კანტორაზე დაქვემდებარების წინადადება, რაც სამართლიანად იქნა უარყოფილი საზოგადოება „ინტურისტი"-ს მიერ. 1933 წლის 3 თებერვლის ბრძანებით მოხდა საზოგადოება „ოტელი"-ს სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „ინტურისტთან" გაერთიანება და სს „ოტელი" შევიდა „ინტურისტის' საექსპლოატაციო სისტემაში. აღნიშნული გარდაქმნების მიუხედავად ტურისტთა მომსახურება ვერ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნებს. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად განხორციელდა სტურქტურული რეორგანიზაცია. გაერთიანდა სასტუმროების ადმინისტრაცია და მომსახურების ბიურო (ასსცსა, ფ. რ-134, ა.1, ს.17, ფურც.13). 1934 წლისათვის ბათუმის კანტორა „ინტურისტი"-ს დაქვემდებარებაში იყო: ბარ-რესტორანი პანსიონატით, 8 ოთახითა და ჯიხურით; ავტოპარკი – 4 მსუბუქი ავტომანქანით, 2 სატვირთო და 1 ავტობუსით; მომსახურების ბიურო.

ტურისტული სეზონისათვის არასათანადო მომზადების გამო 1934 წელს უცხოური ვალუტის გეგმა ვერ შესრულდა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ძველმა ხელმძღვანელობამ 1933 წლის სექტემბრიდან უარი განაცხადა სასტუმრო „ინტერნაციონალი"-ს იჯარით გაცემაზე. კანტორის მთელი საქმიანობა ეფუძნებოდა ბარ-რესტორანის (8 ოთახით) მუშაობას. 1934 წლის აპრილიდან, ხელისუფლების შესაბამისი გადაწყვეტილებით კანტორამ დაიქვემდებარა სასტუმრო „ინტერნაციონალი", ჩაუტარა შესაბამისი რემონტი და გაატარა სხვა კეთილმოწყობითი ღონისძიებები (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, ს. 17, ფურც. 21, 35). 1934 წლის ივლისში ბათუმის განყოფილება „ინტურისტის მმართველი იმავდროულად დანიშნეს სასტუმრო „ინტურისტი"-ს მშენებლობის უფროსად. ქალაქის საბჭოს საიჯარო-საექსპლოტაციო სამმართველოს დაევალა ავტოდრომისა და ერთ-ერთი კოლმეურნეობის მიერ დაკავებული ფართობების გამოთავისუფლება სასტუმრო „ინტურისტი"-სათვის (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, ფურც. 8).

კულტურული და სამეურნეო სფეროს შემდგომმა განვითარებამ ხელი შეუწყო აჭარაში სასოფლო - სამეურნეო საწარმოების მშენებლობას. ზოგიერთი საწარმო აღიჭურვა ტექნიკის უახლესი მიღწევებით. დაიწყო საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის რეკონსტრუქცია. ყოველივე ამან ხელი შეუწყო უცხოელი ტურისტების მოზიდვას. ავსტრიელი ტურისტები აღფრთოვანებული დარჩენილან ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მონახულებით და 1934 წლის 7 ოქტომბრის შთაბეჭდილებების წიგნში გაუკეთებიათ შემდეგი ჩანაწერი:

„ჩვენ მოვინახულეთ ჩაქვის ჩაის ფაბრიკა, რომელიც გამოირჩევა სამაგალითო სისუფთავით და შესანიშნავი ადგილმდებარეობით“ (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, ს. 17, ფურც. 40).

როგორც ცნობილია, „ინტურისტი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა უცხოელი ტურისტების მოზიდვა და მომსახურება. ეს სამუშაო მოიცავდა დავალებათა მთელ კომპლექსს. იმ დროისთვის, ვითარდება სატრანზიტო მიმოსვლა საბჭოთა ქვეყნის გავლით. „ინტურისტი“-მა დაიკავა მონოპოლისტური მდგომარეობა უცხოელი მგზავრების მოზიდვის თვალსაზრისით. 1935 წლიდან „ინტურისტი“-ს სფეროში მოექცა სარკინიგზო ტრანსპორტის ბილეთების გაყიდვის ორგანიზაცია და სამოგზაურო (საკრუიზო) ტურიზმი. უცხო ქვეყნების სამგზავრო გემები, რომლებიც „დე-ლუქსის“ და პირველი კლასის ტურისტებით მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობდნენ, უპირველესად შედიოდნენ ლენინგრადის (ეხლანდელი სანკტ-პეტერბურგი) და შავი ზღვის ნავსადგურებში.

მსხვილი ტურიზმის ქვეყნებში „ინტურისტ“-ს ჰქონდა თავისი განყოფილებები შესაბამისი ქვეყნების კანონების გათვალისწინებით. ზოგიერთი განყოფილება 1935 წლისათვის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში იყო. ძირითად დასაყრდენს „ინტურისტისთვის“ წარმოადგენდა საზღვარგარეთ არსებული ტურისტული ფირმები. გაფორმდა ხელშეკრულება უმსხვილეს ფირმებთან: „ვაგონ ლი“-სთან, „კუკ“-თან, „ამეკონე“-სთან და ა.შ.

1935 წლისათვის საკავშირო სააქციო ორგანიზაცია – „ინტურისტ“-ს საბჭოთა კავშირში ჰქონდა 34 სასტუმრო, 28 რესტორანი, 10 საპარიკმახერო, რიგი საწარმოები, მოსკოვსა და ლენინგრადში - ავეჯის ქარხნების ჩათვლით. ასევე ჰქონდა საკმაოდ ფართო ავტოსატრანსპორტო ბაზა. ტურისტებს ემსახურებოდა ასეულობით ექსკურსიამძღოლი, მუშა და სხვასხვა სპეციალობის მოსამსახურე პერსონალი, ასევე სასტუმროები: გორკში, ბაქოში, კისლოვოდსკში. მიმდინარეობდა სასტუმროს რეკონსტრუქცია როსტოვში.

„ინტურისტ“-ს ურთიერთობა უხდებოდა: მეცნიერებთან, ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, მსხვილ ბიზმესმენებთან, მუშებთან და მოსამსახურეებთან, რაც ზრდიდა მომსახურე პერსონალის პასუხისმგებლობას. „ინტურისტი“ წლიდან წლამდე აფართოებდა თავისი საქმიანობის მასშტაბებს. შესაბამისად იზრდებოდა ევროპის ქვეყნების და აშშ-ს მოსახლეობის ინტერესი, რომელიც რა თქმა უნდა აისახებოდა „ინტურისტი“-ს საქმიანობის მოცულობაზე (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, ს. 38, ფურც.163-165).

საკავშირო სააქციო ორგანიზაციის 1935 წლის 15 მაისის №63-„პ“ ბრძანების საფუძველზე თბილისის განყოფილება გარდაიქმნა საქართველოს სსრ რესპუბლიკურ განყოფილებად, რომლის დაქვემდებარებაში შევიდა ბათუმის კანტორა თავისი ფილიალებით. ბათუმის კანტორა ადმინისტრაციულ-ფინანსურად ექვემდებარებოდა საქართველოს განყოფილებას.

1935 წელს საკავშირო სააქციო ორგანიზაცია „ინტურისტი“-ს ბათუმის განყოფილება მოემსახურა 742 უცხოელ ტურისტს. ესენი იყვნენ: ფაბრიკანტები–4, ბანკირები–1, მხატვრები, მსახიობები, მწერლები და ლიტერატორები–42, სამეცნიერო მუშაკები– 176 (მათ შორის 122 ამერიკელი სტუდენტი), დიასახლისი – 12 და სხვა – 127 (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, ს. №94, ფურც.50). განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ ობიექტების ჩვენებას, სადაც ასახული იყო ნაციონალური კულტურისა და სახვითი ხელოვნების მიღწევები

(ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, ს. №38, ფურც.167). 1935 წ. უცხოელ ტურისტთა მომსახურებისათვის საჩვენებელი ობიექტების ნუსხაში შეიტანეს ორი ახალი ობიექტი: ორთა-ბათუმი და კლუბი-„აჭაროკ"-ი (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, საქმ. 94, ფურც. 49). უცხო ქვეყნის ტურისტთა დამატებითი მომსახურებისათვის გათვალისწინებული იყო ასევე სხვა ახალი მარშრუტები: ბორჯომი – აბასთუმანი – ბათუმი; ციხისძირი – ბუკნარი – ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, საქმ. 17, ფურც.1).

ბათუმის განყოფილების შემადგენლობაში იყო ორი სასტუმრო – „ინტერნაციონალი"– 32 ნომრით და ორიენტი" – 8 ნომრით. „ინტერნაციონალი" იჯარით გაცემული იყო ბათუმის ქალაქის საბჭოს მიერ, ხოლო „ორიენტი" განთავსებული იყო კერძო შენობაში, რომლის ყოფილმა მეპატრონემ ვერ შეძლო კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა. უცხოელი ტურისტებისათვის განკუთვნილი იყო აგრეთვე ორი რესტორანი იჯარით გაცემულ ფართსა და კუთვნილ სასტუმრო „ორიენტში". მათ ჰქონდათ ასევე ავტოფარეხი.

უცხოელი ტურისტები აღფრთოვანებული იყვნენ ბათუმით და მისი შემოგარენით, მაგრამ სინანულს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ საზღვარგარეთ ძალიან ცოტა იცოდნენ ბათუმის შესახებ. მართლაც, აჭარა სამართლიანად ითვლებოდა საბჭოთა ფლორიდად, თავისი ღირშესანიშნაობებით, ბუნებრივი პირობებით, კლიმატით, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცეოდა მის რეკლამირებასა და პოპულარიზაციას.

1936 წ. 1935 წელთან შედარებით უცხოელ ტურისტთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. იმ დროს ბათუმის განყოფილების დაქვემდებარებაში იყო შემდეგი ობიექტები: სასტუმრო „ინტერნაციონალი" 32 ნომრით; სასტუმრო ორიენტი" – 10 ნომრით; რესტორანი „ინტერნაციონალი" – 32 მაგიდით; რესტორანი „ორიენტი" – 27 მაგიდით და იმდენივე კაბინეტის რაოდენობით, რამდენიც ინტურისტში"; საპარიკმახეროები – 2 სავარძლით; ავტოპარკი – 8 ავტომობილით; სამრეცხაო – როგორც დამხმარე საწარმო, 3 მოსამსახურე პერსონალით (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, საქმ. №72, ფურც. 23). აღნიშნული მონაცემები 1937 წლისათვის შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: სასტუმროები: „ინტერნაციონალი" და „ორიენტი"; რესტორნები: „ინტურისტი" და „ორიენტი". ავტოპარკი, საპარიკმახერო და ერთი დამხმარე საწარმო - სამრეცხაო. საშტატო ერთეულის რაოდენობა შეადგენდა 8 ერთეულს (განყოფილების მმართველი, სასტუმროს დირექტორი (ორი), მომსახურეობის ბიუროს გამგე, მთავარი ბუღალტერი, უფროსი ეკონომისტი, სამზარეულოს შეფ-მზარეული, ავტოპარკის გამგე).

1937 წლის განმავლობაში განყოფილება მოემსახურა 702 უცხოელ ტურისტს, კრუიზული მოგზაურობა არ ყოფილა. ახალი საჩვენებელი ობიექტების სიაში ჩართული იქნა მენავთობეთა 1902 წლის გაფიცვის მემორიალი, რომლის გახსნისათვის მზადება დასრულდა 1937 წლის 1 მაისისთვის (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, საქმ.№71, ფურც.6).

მეტად საინტერესოა ამერიკელი ტურისტული ჯგუფის მოგზაურობა აფხაზეთში ტირა ედვარსის ხელმძღვანელობით, სადაც ისინი ესტუმრენ შავკანიანთა სოფელს, დაინტერესდნენ მათი ცხოვრების პირობებით (ასსცსა, ფ. რ-134, ა. 1, საქმ. №92, ფურც.17).

მოსახლეობა მათ „შავკანიანი აფხაზების"//„შავკანიანი კავკასიელები"-ს სახელით მოიხსენიებდა. ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ სოფელ აძუბ-

ქაში, ხოლო მცირე რაოდენობით მიმდებარე სოფლებში (ჭლოუ, ფოქვეში, აგდარა, მერკულა და ა. შ.).

აფრიკელების აფხაზეთში დამკვიდრებასთან დაკავშირებით არსებობს რამოდენიმე ჰიპოთეზა. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ისინი მთავარმა შერვაშიძემ იყიდა სტამბოლის მონათა ბაზარზე (XVII ს) - ციტრუსების პლანტაციაში სამუშაოდ. XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის იმპერატორის საგანგებო ბრძანებით აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა. კავკასიის მეფისნაცვლის ემისრებმა შერვაშიძეთა მთელი ქონება აღწერეს. ცნობილი გახდა, რომ მდინარე კოდორის შესართავთან – აძვიბჟესა და მის მიმდებარე რამდენიმე სოფელში ცხოვრობდნენ შავკანიანი აფხაზები, რომელიც მთავრის სხვა ქვეშევრდომებისაგან მხოლოდ კანის ფერით განირჩეოდნენ. აძვიბჟელი შავკანიანების ანუ „არაფების“ („არაფ“ აფხაზურად ზანგს ნიშნავს) მშობლიური ენა აფხაზური იყო, ზოგიერთმა მათგანმა კი მეგრულიც იცოდა. რაც შეეხება ტანსაცმელს – „არაფებიც“ სწორედ ისევე იმოსებოდნენ, როგორც თეთრი აფხაზები. როგორც წესი შავკანიანები შერვაშიძეთა გლეხებად მიიჩნეოდნენ და სხვათა შორის, ისეთივე უფლება-მოვალეობები ჰქონდათ, როგორიც თეთრკანიანებს.

  

შავკანიანებით ვაჭრობა იმ დროს მართლაც ფართოდ იყო გავრცელებული. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ამ საქმეში ჩათრეული აღმოჩნდა იმდროინდელი მსოფლიოს ყველა წამყვანი სახელმწიფო, მათ შორის – ოსმალეთიც. ოსმალეთში ამ საქმეს კურირებდნენ არაბი მონათვაჭრები, რომლებსაც მონები ძირითადად სუდანიდან და ეთიოპიიდან შემოჰყავდათ. შუა საუკუნეების ოსმალურ წყაროებში პირდაპირ წერია, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მონათა ბაზარი თითქმის ყველა დიდ ნავსადგურთან არსებობდა და იქ სავაჭროდ სოვდაგრები შორეული ქვეყნებიდანაც კი ჩამოდიოდნენ. ასევე მეტად ფასეულია ვენეციურ ქრონიკებში დაცული ცნობები იმის შესახებ, რომ მდ. კოდორის შესართავთან მდებარე ნავსადგურში, რომელსაც ვენეციურ დიალექტზე „კაკიდებუზო“ ანუ „ბზის კონცხი“ ეწოდებოდა, მონათვაჭრობა „ორმხრივი“ იყო. იქ ყიდდნენ როგორც ადგილობრივ თეთრკანიანებს, ისე აფრიკიდან ჩამოყვნილ ზანგებსაც.

მეორე ლეგენდის მიხედვით აფხაზეთში შავკანიანები კომპაქტურად სახლობენ სოფ. აძვიბჟაში. მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს თავის ამალაში რამოდენიმე აძვიბჟელი ზანგიც ჰყავდა. სავარაუდოდ აფხაზეთის საზღვაო წყლებში ჩაიძირა ოსმალური გემი, რომლითაც მონები მიჰყავდათ გასაყიდად. შავკანიანი აფხაზები გემის ჩაძირვისას გადარჩენილი აფრიკელე-

ბი არიანო. ამ ლეგენდის შენაარსი გადმოცემულია ნიკიტა ხრუშოვისადმი ადმირალ ისაკოვის მიერ გაგზავნილ წერილში.

აძვიბჟელი შავკანიანებით საბჭოთა სპეცსამსახურები დაინტერესდნენ. მათ „არაფები" ქართველთა შთამომავლებად გამოაცხადეს. „კაგებემ" – „არაფების" შესახებ ყველა ინფორმაცია გაასაიდუმლოა. კრემლში არ სურდათ შავკანიანი მონებით ვაჭრობის ფაქტების აღიარება. XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან შავი – აძვიბჟელების დიდი ნაწილი აფხაზეთიდან უკვალოდ გაქრა, ისინი სრულად გაასახლეს ციმბირში, თუმცა ბოლო დრომდე მკვიდრ მოსახლეობაში შემორჩა ხსოვნა „შავკანიან აფხაზებთან" თანაცხოვრების შესახებ. აფხაზური წარმოშობის ცნობილმა რუსმა მწერალმა ფაზილ კანდერსმა აძვიბჟელი ზანგი თავისი მოთხრობის – („სანდრო ჩეგემიდან") – ერთერთ მთავარ მოქმედ პირად გამოიყვანა.

1937 წლის ნოემბრში საკავშირო სააქციო ორგანიზაცია „ინტურისტი"-ს განკარგულებით რესტორანი „ორიონი" დაიხურა. მოგვიანებით დღის წესრიგში დადგა ბათუმის სასტუმრო „ინტურისტის"-თვის სამედიცინო-სანიტარული სექტორის გახსნის საკითხი, მაგრამ მიზანშეწონილად ჩაითვალა ცალკე ორგანიზაციის შექმნა, რომელიც სასტუმროებს მისცემდა საშუალებას მომსახურებოდა არა მარტო ზაფხულის პერიოდში, არამედ მთელი წლის განმავლობაში (ასსცსა, ფ.რ-134, ა.1, საქმ.№88, ფურც.55). იმავე წლის მაისში საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტი"-ის ბათუმის განყოფილებაში გაიხსნა მეთოდური კაბინეტი, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა საზოგადოების განყოფილება. მას ევალებოდა პოლიტიკური, საგანმანათლებელო და ახსნა-განმარტებითი მუშაობა ექსკურსიამძღოლებსა და მომსახურე პერსონალს შორის. მეთოდურ კაბინეტთან მოეწყო ბიბლიოთეკა, საიდანაც ექსკურსიამძღოლები სარგებლობდნენ საჭირო მასალებით (ასსცსა, ფ.№რ-134, ა.1, საქმ.№73, ფურც.6,7,26). მეთოდურ კაბინეტს უნდა დაეზუსტებინა ქალაქის ტურისტული მარშუტები, გამოევლინა ახალი ობიექტები, ექსკურსიამძღოლები მოემარაგებინა საექსკურსიო მასალებით (მეგზური, ლექსიკონი, კონსპექტები, საძიებელი მასალები და ა. შ.) (ასსცსა, ფ.რ-134, ა.1, საქმ.№73, ფურც.27).

ტურიზმის განვითარებისათვის ჩატარებული კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობა მთლიანად ემყარებოდა სოციალისტურ იდეოლოგიას, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური მშენებლობის უპირატესობის წარმოჩენას კაპიტალიზმთან მიმართებაში. „ინტურისტი" პროპაგანდას უწევდა სსრკ-ში სოციალისტური მშენებლობის მონაპოვარის ჩვენებას. მას დასავლეთ ევროპის, ამერიკის და აზიის ქვეყნების ტურისტულ პუნქტებში ჰქონდა თავისი წარმომადგენლობები.

ინტურისტის საზღვარგარეთის წარმომადგენლობა ეწეოდა მრავალმხრივ პროპაგანდას და რეკლამირებას. იქმნებოდა ჯგუფები. უცხოელი ტურისტები ინტერესდებოდნენ სსრკ-ით. ორგანიზაცია მათ უზრუნველყოფდა ტურისტული და სამგზავრო ბილეთებით. შუამდგომლობას უწევდა საპასპორტო ვიზების გაფორმებაში და ა.შ. (ასსცსა, ფ.რ-134, ა.1, საქმ№117, ფურც.34,35,36).

„ინტურისტი" შესაბამის გადარიცხვებით ორგანიზებას უკეთებდა აგრეთვე საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციების, ყრილობების და კონგრესის მომსახურეობას. ტურისტების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად „ინტურისტ"-ს თავის განკარგულებაში გააჩნდა სასტუმროები, რეს-

ტორნები, ავტოსატრანსპორტო და სხვა მომსახურეობის საწარმოები. 1936-1938 წწ. „ინტურისტი“ - ს ბათუმის განყოფილება მოემსახურა 1941 ტურისტს და კრუიზით მოგზაურთა – 806 კაცს. ამ წლებში ბათუმის განყოფილების ბრუნვამ შეადგინა 4,3 მილიონი მანეთი (ასსცსა, ფ.რ-134, ა.1, საქმ.№117, ფურც.34,35,36,92).

1939 წლის 12 სექტემბერს ექსპლუატაციაში შევიდა ბათუმის „ინტურისტი“-ს ახალი, ფეშენებელური შენობა 124 ნომრით და 134 ოთახით, პირველი კლასის რესტორნით და სხვა დამხმარე ობიექტებით. შენობა მდებარეობდა ქალაქის საუკეთესო ნაწილში ბათუმის ზღვისპირა ბულვართან (ასსცსა, ფ.რ-134, ა.1, საქმ.№120, ფურც.2).

1939 წლისათვის საკავშირო სააქციო ორგანიზაცია „ინტურისტი“-ს ბათუმის განყოფილების განკარგულებაში იყო შემდეგი ობიექტები: სასტუმრო, რესტორანი, ავტოტრანსპორტი, საპარიკმახერო, საბილიარდო, საცეკვაო დარბაზი, დამხმარე – სამეურნეო ნაგებობები: სამრეცხაო, საქვაბე, სატელეფონო სადგური. ახალი სასტუმროს ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ ბათუმის განყოფილებას წინა წლებთან შედარებით მეტი ტურისტის მიღების შესაძლებლობა მიეცა.

1941 წლის ივნისში სსრკ-ზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის გამო „ინტურისტი“-ს განყოფილების საქმიანობა შეჩერედა 1945 წლის თებერვლამდე. შენობა გადაეცა სამხედრო უწყებას, რომელშიც ოთხი წლის განმავლობაში განთავსებული იყო სამხედრო ჰოსპიტალი. ნიშანდობლივია, რომ ინტურისტის შენობა მოიაზრებოდა სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა კონფერენციის ერთ-ერთ სავარაუდო ვარიანტად. ომის დამთავრების შემდეგ განახლდა საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტი”-ს ბათუმის განყოფილების საქმიანობა. მას დაუბრუნდა ომამდე მის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება და ძირითადი საშუალებები, რომლებიც ომის დროს ბათუმის აღმასკომის განკარგულებაში იყო გადასული. „ინტურისტ”-ს 1945 წელს ჩაუტარდა რემონტი და სასტუმრო 121-ნომრით, 555 კაცზე გათვლილი რესტორნით, საპარიკმახეროთი და საბილიარდო მაგიდებით შევიდა ექსპლოატაციაში. მალე „ინტურისტმა“ მიიღო საჭირო რაოდენობის ავტომანქანები. სასტუმროს დაუბრუნდა აგრეთვე ავტოსადგომი ცხაკაიას ქუჩაზე (ასსცსა, ფ.რ-134, ა.1,1[ა] საქმ. №147,144,87,4; ფურც.7, 9, 10, 51, 3, 61, 95, 143, 288).

1946 წლის 25 ივლისიდან საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტი“-ს ბათუმის განყოფილების სასტუმროსთან ფუნქციონირება დაიწყო ორმა დასასვენებელმა სახლმა.

1955 წლის განმავლობაში ბათუმის განყოფილება „ინტურისტი“ მოემსახურა 478 უცხოელ ტურისტს, მათ შორის 323 კაცს თბომავალ „პიოტრ ველიკი“-ს კრუიზული რეისით (ასსცსა, ფ. რ-134, ა.1, საქმ. №163,1,14,10,46,69, ფურც. 3, 7, 13,44,67,70). 1956 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებლები გაიზარდა 3351 კაცამდე. ტურისტული სეზონისთვის ბათუმს პირველად სტუმრობდნენ ოფიციალური დელეგაციები, დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები, რომლებიც მიემგზავრებოდნენ ბათუმის გავლით (უნგრეთის კულტურის შემოქმედთა დელეგაცია, ავსტრიის დელეგაცია, ჩეხოსლოვაკიის თავდაცვის სამინისტროს ოფიცრები, ცენტრსოიუზის კოოპერატივები, ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სემინარების მონაწილეები, ანტიფაშისტური კომიტეტის – ალბანეთის ახალგაზრდული კავშირის დელეგაცია, ჩინეთის

მწერალთა კავშირის დელეგაცია და სხვა). 1957 წლისათვის ბათუმში შემოვიდნენ ტურისტები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, აშშ-დან, ფინეთიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან და ა. შ. კრუიზით მომსახურეობა გაეწია 2 696 კაცს.

1957 წელს ზემოთდასახელებულ ორგანიზაციას ეწოდა სსრკ-ს საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საქვეუწყებო საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტი“-ს აჭარის განყოფილება (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №1). 1957 წლისათვის „ინტურისტი“ მოემსახურა საბჭოთა ორგანიზაციების მიერ მოწვეულ შემდეგ დელეგაციებს: დანიური საბჭოთა საზოგადოება, ალბანეთის სამთავრობო დელეგაცია, ცეილონის საპარლამენტო დელეგაცია, ბულგარეთის თურქ სტუდენტთა დელეგაცია, გდრ-ს ახალგაზრდული დელეგაცია, ბელგიის საბჭოთა მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, ბულგარეთის ქალთა დელეგაცია, ცეილონის კულტურის შემოქმედთა დელეგაცია, უნგრეთის კოოპერატივთა დელეგაცია, ინდოეთის, ურუგვაის, ბირმის, ალბანეთის, სირიის და სხვა ქვეყნების დელეგაციები. მრავალრიცხოვანი დელეგაციები ეწვივნენ ბათუმს მომდევნო - 1958 წლის განმავლობაშიც (ჩინეთის მწერალთა დელეგაცია, ისლანდიელი, ამერიკელი, ფინელი დიპლომატები, ბოლივიისა და შვეციის კულტურის მუშაკები, ჩინეთის უშიშროების მუშაკები, ცეილონის მეჩაიეები, ფინეთის გემთმშენებლები, ინდოეთის სამთავრობო დელეგაცია და ა. შ. (სულ 21 დელეგაცია). აჭარის განყოფილება 1958 წლის განმავლობაში მოემსახურა აგრეთვე 2 262 ტურისტს და კრუიზით მოგზაურებს. 1959 წ. ბათუმში უცხოელ ტურისტთა რაოდენობა გაიზარდა 3649 კაცამდე (ასსცსა, ფ. 134, ა.1, საქმ. 85,94,95,100,105,108,119, ფურც. 10,9,7,8,46,85,12,11,65). 1960 წ. მათი რაოდენობა თითქმის გაორმაგდა (5127 კაცი). ტურისტები შემოვიდნენ ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა: ჰოლანდია, ნორვეგია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ომანი, პაკისტანი, პორტუგალია, ტუნისი, აშშ, შვეცია, იაპონია და ა. შ. კრუიზით იმოგზაურა 13 თბომავალმა (3304 ტურისტი). მარტო „ინტურისტის” ხაზით 1961 წელს დელეგაციებთან ერთად ბათუმში 8000 უცხოელი ტურისტი შემოვიდა მსოფლიოს 58 ქვეყნიდან. გაიზარდა აგრეთვე კრუიზით მოგზაურთა რაოდენობაც. 1962 წ. კრუიზით მოგზაურ ტურისტთა რაოდენობამ შეადგინა 6666 კაცი. მარტო თბომავალმა „აფხაზიამ’ შეასრულა 12 რეისი. ტურისტებს ემსახურებოდა აგრეთვე თბომავლები: „აგამენონი“, „ტრანსილვანია“, „პობედა“, „ვიქტორია“, „რივიერა“, და „პრიმა“. „შთაბეჭდილებათა წიგნში ვკითხულობთ: „ჩვენ ვიმყოფებოდით შესანიშნავ საპორტო ქალაქ ბათუმში, ვფიქრობთ, რომ მოვხვდით დედამიწის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილას, ჭეშმარიტად სამოთხეში. გულითად მადლობას ვუხდით ბათუმის მოსახლეობას გულწრფელი და მეგობრული თანაგრძნობისათვის“.

1961 წელს საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტი“-ს აჭარის განყოფილებამ „ინტურისტის” სისტემაში შემავალ კოლექტივებს შორის დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცათ გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია (ოქმი №92. 05.11.1961წ.).

სააქციო საზოგადოება - „ინტურისტი“-ს აჭარის განყოფილების ძალისხმევით ბათუმი იქცა ტურიზმის უმნიშვნელოვანეს ცენტრად, რაშიც განუზომელია „ინტურისტი”-ს როლი და მნიშვნელობა.

***გამოყენებული წყაროები:***

1. ასსცსა (აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი)

ფ. რ - 134, ა.1, ს.17, ფურც. 1,13, 21, 35, 40
ს. 38, ფურც.163-165, 167
ს.71, ფურც.6
ს. 72, ფურც. 23
ს.73, ფურც.6,7,26,27
ს.85,95, 100,105,108,119, ფურც. 10,9,7,8,46,85,12,11,65
ს.88, ფურც.55
ს.92, ფურც.17
ს. 94, ფურც. 49.
ს. №117, ფურც. 1,1ა,2,3, ,3,4, 14, 34,35, 36, 92
ს.120, ფურც.2
ს.163, 1, 14, 10, 46, 69, ფურც. 3, 7, 13,44,67,70

2. ასსცსა, ფ. რ-134, ა.1,1ა საქმ. №147, ფურც.3,7, 9, 10, 51, 61, 95, 143, 288



***Elguja Chaganava***


***Foreign tourism joint stock company – Batumi department „Intourist" in 1929 – 1962 years***

***(According to the documents protected in archives administration)***


**Summary**

Batumi is one of the most important tourist center in the Black Sea. It has always been the focus of tourists. Based on archival documents in article is discussed main directions of tourism All-Union Joint-Stock Company – Batumi department „Intourist" activity. In work the reader will introduce interesting materials about so-called „Afkhazian Negroes".

*ოთარ გოგოლიშვილი*

## *ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ისტორიიდან აჭარაში (XIX საუკუნის 80-90-იანი წლები)*

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში შემოსულ რუსეთის ჯარს თან შემოჰყვა სამედიცინო-სანიტარული ქვედანაყოფი, რომელმაც კარვები დადგა ახლანდელი წმ. ბარბარეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამედიცინო ქვეგანაყოფების რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა №64 სამხედრო ჰოსპიტალი.

ჰოსპიტალი, გამონაკლისის სახით სამედიცინო დახმარებას უწევდა მხოლოდ მოსახლეობის პრივილიგირებულ ფენას. ეს იყო პირველი სამედიცინო დაწესებულება ბათუმში. მანამდე იგი არ არსებობდა (აცსა, ფ.1, აღწ.1, საქ. 898, ფურც.24).

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ბათუმი პატარა დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. მის ირგვლივ მდებარე ტერიტორია (500 დესეტინა) ჭაობიანი იყო. სამხრეთიდან მას კახაბრის დაბლობი ესაზღვრებოდა, ჩრთილოეთიდან - ქალაქი და ზღვის სანაპირო, აღმოსავლეთიდან მდინარე ბარცხანა, დასავლეთიდან კი მდინარე მეჯინა-სუ.

დაჭაობებული ადგილები ანტისანიტარიის ბუდეს წარმოადგენდა,ამიტომ სისტემატურად მძვინვარებდა მალარია და სხვა სახის დაავადებანი.

გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა ბათუმში ახლადშექმნილმა რუსულმა მთავრობამ, 1880 წელს, ქალაქის მოსაზღვრე მიწებზე აკრძალა ბრინჯის თესვა, რათა თავიდან აეცილებინათ წყლის დაგროვება მიწის ზედაპირზე.

ჭაობების დაშრობით დაინტერესდნენ რუსი და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთა ზეგავლენით მთავრობამ 1879 წლიდან გადაწყვიტა დაეწყო დაჭაობებული ადგილების ამოშრობა. საჭირო იყო თანხები, რომელიც ბათუმის საზოგადოებრივ საკრებულოს არ გააჩნდა. ბოლოს გამოინახა 350 ათასი მანეთი. დაჭაობებული ადგილების ამოშრობით დაინტერესებული იყო სამხედრო უწყებაც, რადგან ჭაობი უშუალოდ ესაზღვრებოდა სამხედრო დასახლებას.

ამოსაშრობი სამუშაოების ჩატარება დაევალა აუცილინსკის. მან შეადგინა ჩასატარებელი სამუშაოების საერთო გეგმა, შესრულება კი დაევალა ინჟინერ იონკინს (აცსა, ფ.1, აღწ.1, საქ. 898. ფურც.29-30).

პირველი მაგისტრალური არხი ჭაობის დასაშრობად გაიყვანა ჟილინსკიმ 1882 წელს. არხი იწყებოდა მდინარე მეჯინა-სუ-დან (მეჯინისწყალი), დასავლეთის მხრიდან კი - მდინარე ანგისიდან ბარცხანამდე.

ყველაზე დიდი დრო და თანხა წაიღო ე. წ. პატარა ტბის ამოშრობამ, რომელიც თითქმის ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. ამ ადგილის ამოშრობის შემდეგ აშენდა ქართული და ბერძნული სკოლები, თავად მაჭუტაძის, ასევე ბათუმელების კაკაბაძისა და საბახტარაშვილის ხე-ტყის საწყობები, კათოლიკური ეკლესიის ნაწილი და სხვა. აღნიშნული პატარა ტბის ამოშრობა დაიწყო 1889 წელს და დამთავრდა 1890 წელს. სამუშაოები დაჯდა ოცი ათას მანეთამდე.

დღევანდელი ჭავჭავაძის ქუჩის იქეთ ტერიტორიებს "ჭაობს" ეძახდნენ. აქ ზამთარ-ზაფხულ სიბინძურე იყო. ალბათ ამიტომ ქუჩებსაც შესაფერისი სახელებით მოიხსენიებდნენ ("გრიაზნაია", "ბალოტნაია"). წვიმიან ამინდში ხალხი ამ ადგილებიდან ნავებით გამოდიოდა. ეს ტერიტორია საცხოვრებლად ვარგისი რომ ყოფილიყო, საჭირო იყო შედარებით პატარა სიგრძის არხების გაყვანა და ჟილინსკის მთავარ არხზე მიერთება. გაყვანილ იქნა ანდრეევის, პავლოვსკისა და ივანოვსკის არხები, შეტანილი იქნა ქვიშა-ქვა. ეს სამუშაოები 150 ათასი მანეთი დაჯდა.

ჭაობის დაშრობასთან ერთად, ბათუმში დაიწყო სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობა. 1880 წელს დაისვა საკითხი ოთხოთახიანი ქსენონის გახსნის შესახებ, მაგრამ უსახსრობის გამო მაშინ ეს არ მოხერხდა (აცსა, საქ.901, ფურც.12).

1887 წელს სასამართლო-სამედიცინო ექიმის ა. შეფერის ინიციატივით ვოზნესენსკის (ახლანდელი პ. მელიქიშვილის ქუჩა) ქუჩაზე გრიგოლ ალიბეკოვის პროექტის მიხედვით გაიხსნა 25 საწოლიანი ქსენონი ა. შეფერის ხელმძღვანელობით. იგი შედგებოდა 5 ოთახისაგან. 1892 წელს ა. შეფერი ქოლერამ იმსხვერპლა და მის ადგილზე მოიწვიეს ექიმი ტიმოლეონ ტრინტაფიდილისი, ქირურგ-კონსულტანტად ექიმი გრ. ელიავა, ხოლო შემდეგ ექიმი კ.მხეიძე.

1890 წლისთვის ქსენონში საწოლთა რაოდენობა გაიზარდა 70-მდე (50 ადგილი მამაკაცებისათვის, 20 ადგილი კი ქალებისათვის) (აცსა, საქ.901, ფურც. 22).

ქსენონი პრიმიტიული სამკურნალო დაწესებულება იყო. იგი ვერ აკმაყოფილებდა მინიმალურ მოთხოვნილებებს, რის გამოც დაისვა საკითხი ახალი, კეთილმოწყობილი საავადმყოფოს გახსნის შესახებ.

საავადმყოფოს მშენებლობის საკითხი დააჩქარა იმანაც, რომ 1896 წლის დასაწყისში დაიწვა ქსენონის მთავარი კორპუსი. იმავე წლის თებერვალში, ქალაქის თვითმართველობის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება ბათუმში საავადმყოფოს აშენების შესახებ. გამოიყო მიწის ნაკვეთი (6 ათასი კვ.საჟენი) ნურიგელის ტბის სამხრეთ სანაპიროსთან. პროექტის შედგენა დაევალა გუბერნიის ინჟინერ აპიშკოვს, ქალაქის არქიტექტორს კანდილოვს და სამხედრო ინჟინერ სედელნიკოვს. ვადა მიეცათ 3 თვე. საავადმყოფოს ფუნდამენტი ჩაიყარა 1899 წლის 14 მარტს,ხოლო ექსპლოატაციაში შევიდა 1902 წლის 3 ოქტომბერს.

საავადმყოფო შედგებოდა ხუთი ერთსართულიანი შენობისაგან,რომლებშიც მოთავსებული იყო შემდეგი განყოფილებები: თერაპიული, ქირურგიული, ინფექციური, ვენერიული, სამშობიარო-გენოკოლოგიური და ფსიქიატრიული. მეექვსე იყო ადმინისტრაციული შენობა. საავადმყოფოს ჰქონდა აგრეთვე სამზარეულოს, სამრეცხაოს, თეთრეულის საწყობისა და მორგისათვის საჭირო შენობები (აცსა, საქ.901,ფურც. 27).

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, ქალაქის საავადმყოფოს შენობაში გაიხსნა სამხედრო ჰოსპიტალი, ხოლო თვით საავადმყოფო გადატანილ იქნა კომაროვის (დღევანდელი დიმიტრი თავდადებულის) ქუჩაზე მდებარე ქართული და ბერძნული სკოლების შენობებში.

1918 წლის აპრილში, აჭარაში თურქების შემოსვლის წინა დღეებში, ქალაქის საავადმყოფო ფოთში გადაიტანეს. საავადმყოფოს შენობაში თურქების ჰოსპიტალი მოეწყო. იმავე წელს ბათუმსა და მის ახლო რაიონებში იფეთქა პარტახტიანი ტიფის ეპიდემიამ. ამ გარემოებამ თურქეთის ხელმძღვანელობა აიძულა დათანხმებოდა ბათუმში დარჩენილ ქართველ და რუს ექიმთა მოთხოვნას საავადმყოფოს გახსნის შესახებ. 1919 წლის დასაწყისში ქუთაისის ქუჩაზე, ყოფილ სასტუმრო "იმპერიალის" შენობაში გაიხსნა საავადმყოფო ქირურგიული, თერაპიული და ძირითადი ინფექციური განყოფილებებით.

1919 წლის დეკემბერში ქალაქის საავადმყოფო დაუბრუნდა თავის შენობას. იგი გაძარცული და გაპარტახებული იყო. აღნიშნული საავადმყოფო ამჟამად ქალაქის ცენტრალური კლინიკური დაწესებულებაა (სცსსა, ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.66).

1897 წელს შეიქმნა ექიმთა საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე იყო მ. ფენსტერი. საზოგადოება ატარებდა კვლევით სამუშაოებს, კონფერენციებს, აქვეყნებდა შრომებს, ანგარიშებს, ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა. იგი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ქალაქის სამედიცინო ცხოვრებაში.

მიუხედავად ჭაობების ამოშრობისა, მალარიის ეპიდემია, მართალია შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც მძვინვარებდა. განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობაში. ამიტომ ბათუმის ექიმთა საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა სამალარიო კომისია ექიმ ს. სოლოვკინის თავმჯდომარეობით, რომელიც წლების მანძილზე თავდაუზოგავად ებრძოდა მალარიის ეპიდემიას.

პროფესორ ე. მარცინოვსკისა და ცნობილი ქართველი მეცნიერ-პარაზიტოლოგის პროფესორ ს. ვირსალაძის დახმარებითა და ს. სოლოვკინის უშუალო ხელმძღვანელობით, 1913 წლის 12 მაისს, ბათუმში გაიხსნა სრულიად რუსეთის იმპერიაში პირველი სამალარიო სადგური. იგი უფასოდ ემსახურებოდა მალარიით დაავადებულ ღარიბ მოსახლეობას. თვეში საშუალოდ 1500-2000 ავადმყოფს უწევდა მომსახურებას (სცსსა, ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.75).

ამავე პერიოდში ბათუმში გაიხსნა ტროპიკული ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ს. ავალიშვილი. ინსტიტუტი ეწეოდა კვლევით მუშაობას მალარიისა და სხვა ეპიდემიური დაავადებების შესწავლის მიზნით. ტროპიკული ინსტიტუტის შენობაში შემდეგ გაიხსნა ქალაქის №1 საავადმყოფო.

გარდა მალარიისა, ბათუმში აღინიშნებოდა ტუბერკულიოზით დაავადების მრავალრიცხოვანი შემთხვევები. ამიტომ შეიქმნა კავკასიის საზოგადოების ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლის ბათუმის განყოფილება. იგი უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას. განყოფილების თავმჯდომარე იყო ე.რომანოვსკაია-რომანკო.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმში იყო 36 ექიმი, 20 აკუშერკა-ფერშალი. ასევე ქიმიურ-ბაქტეროლოგიური ლაბორატორია და აფთიაქები, რომლებიც ეკუთვნოდათ ვიტუშკინს, პეტკევიჩს, ელიაშვილს, კანდელაკსა და ნიკიტინს (სცსსა, ფ. 418, აღწ.1, საქ.135ფურც.83).

ბათუმმა თავიდანვე მიიქცია უცხოელთა ყურადღება თავისი გამორჩეული კლიმატური პირობებით, ხელსაყრელი ზღვისპირა მდებარეობითა და ჯანსაღი

ჰავით. მდიდარი მწვანე სამოსელი ის ფაქტორი იყო, რომელმაც ბათუმი და მისი გარეუბნები კურორტად აქცია.

მართალია, ბათუმი პირველ რიგში სატრანსპორტო-სამრეწველო ქალაქი იყო, მაგრამ ამ ფუნქციასთან ერთად, საყურადღებოა მისი საკურორტო დანიშ-ნულებაც.

პროფესორ ა. კრასნოვის თქმით, ბათუმი ევროპის ერთადერთი რაიონია, რომლის კლიმატიც ახლოსაა არა მარტო ტენიანი სუბტროპიკული ქვეყნების, არამედ ტროპიკების ცხელი ქვეყნების კლიმატთან. ეს ნამდვილი ბუნებრივი ორანჟერიაა სუბტროპიკული მცენარეებისათვის.

1911 წელს, ს. სოლოვკინის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ბათუმის საკუ-რორტო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც თვითონვე იყო. მან შეისწავლა მხარის შესაძლებლობები კურორტების განვითარების საქმეში და ბევრი კარგი თეორიაც წამოაყენა.

მანამდე კი, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისთანავე, ბათუმის მი-დამოებისაკენ ულევ ნაკადად დაიძრნენ ზედმეტი მოგების სურვილით გატაცე-ბული რუსი და უცხოელი მილიონერები, მსხვილი ვაჭრები და მოაგარაკენი. ისინი მუქთად იძენდნენ მიწებს და აშენებდნენ აგარაკებს. პირველად ეს აგარა-კები გამოყენებული იყო დასასვენებლად, შემდეგ კი შემოსავლის წყაროდ იქცა. ხდებოდა მათი გაქირავება, იჯარითა და არენდით გაცემა.

რუსეთის ჩინოვნიკები ხელს უწყობდნენ უცხოელების, განსაკუთრებით რუსების ჩამოსახლებას ბათუმსა და მთელს აჭარაში. მწერალი დავით კლდიაშ-ვილი წერს: ,,ბათუმში კი უფრო ნელი სპეკულაცია იყო მიწების , რადგან პორ-ტო - ფრანკოს არსებობა აშინებდათ ერთგვარად. მაგრამ აქაც ჩნდებოდნენ გა-ბედულები და იძენდნენ ადგილებს, განსაკუთრებით აფხაზებისაგან, რომლე-ბიც სტოვებდნენ თავიანთ ფაცხებს და მიეშურებოდნენ ოსმალეთისაკენ საც-ხოვრებლად" (კლდიაშვილი დ.,1984:21).

ბათუმში მცხოვრებ უცხოელებს თავიანთი აგარაკებიც ჰქონდათ. მაგ. ,,ორთაბათუმის მხარეს იყო სილამაზითა და სიმდიდრით განთქმული ნობელის აგარაკი, რომელიც შემდეგ იჯარით გაიცემოდა. ე.წ. თამარის დასახლებაში იყო ილიჩევსკის, უშაკოვის, პრიაშნიკოვის ლამაზი აგარაკები. აქვე იყო საბახ-ტარიშვილის, სინიცინის, ლოპატის, გაიდამკინის და სხვათა აგარაკები.

სოუქ-სუზე ყურადღებას იქცევდა დიადუშისა და მელიას აგარაკები.დია-დუში პრაქტიკოსი მებაღე იყო, რომლესაც საკუთარი მამული - 7 დესეტინა მი-წა, ბაღნარად ჰქონდა ქცეული.

რუსი დაკნინებული ჩინოვნიკები კი ცხოვრობდნენ ე.წ. "ხოლოდნაია სლო-ბოდას" დასახლებაში, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი სატვირთო რკი-ნიგზის სადგურის იქეთ. მათთან ერთად ცხოვრობდნენ წვრილი მოხელეები და მუშები. ზოგიერთ მათგანს ჰქონდა საკუთარი სახლი, ხოლო დანარჩენები ცხოვრობდნენ მუშათა ბარაკებში.

ბათუმის საკურორტო ქალაქად გადაქცევისათვის, პირველ რიგში უნდა მოწესრიგებულიყო სანიტარული მდგომარეობა, დასუფთავებულიყო ქუჩები,

მოწესრიგებულიყო საკანალიზაციო სისტემა, დაწესებულიყო კონტროლი სასმელ წყალზე, პროდუქტებზე და ა.შ.

ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ნაგვის გატანა ქალაქგარეთ ბათუმში დაიწყო 1888 წლიდან. მისი დასუფთავებისა და გალამაზებისათვის აუცილებელი იყო ქალაქის ცენტრში არსებული სასაფლაოს გატანა, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი რკინიგზის სადგურის ადგილზე და ანტისანიტარიის ბუდეს წარმოადგენდა. ამიტომ ჯერ კიდევ 1879 წლის ოქტომბერში, ქალაქის მიწისმზომელ პესკოვს დაევალა ქალაქგარეთ, შესაფერის ადგილზე დაეპროექტებინა სამი სასაფლაო: ქრისტიანული, მუსლიმანური და ებრაული, მაგრამ ეს არ შესრულებულა. ბოლოს აირჩიეს ადგილი სოუქ-სუზე. გაყვანილი იქნა გზა, რომელიც კეთილმოეწყო 1889 წლისათვის. ახალგაყვანილ გზას დერვიშ ფაშას გზას ეძახდნენ, შემდეგ სასაფლაოს ქუჩას (სცსსა, ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.94)

ასე თანდათანობით აშენდა და გალამაზდა ქალაქი ბათუმი.

### *გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:*


1. ასსცსა (აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი),ფ.1, აღწ.1, საქ. 898, ფურც.24.
2. ასსცსა, ფ. 1, საქ. 898, ფურც.29-30
3. ასსცსა, ფ. 1, საქ.901, ფურც.12.
4. ასსცსა, ფ. 1, საქ.901, ფურც. 22.
5. ასსცსა, ფ. 1, საქ.901, ფურც. 27.
6. სცსსა (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი), ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.66.
7. სცსსა,ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.75.
8. სცსსა, ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.83.
9. სცსსა, ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.94.
10. დ.კლდიაშვილი,ჩემი ცხოვრების გზაზე,ბათ.,1984



***Otar Gogolishvili***


## *From the history of the public-health service in Adjara*

**Summary**


On 25 August, 1878 the Russian troops entered the town of Batumi. The part of the Russian troops was the military medical-sanitary unit. The tents of the military medical-sanitary unit were situated on the place that is is nova occupied by the church of Saint Barbara. Soon it was decided to build a hospital on the same place. Shortly the military medical-sanitary unit was transformed into the military hospital #64. That was the first medical institution in the whole Adjara. In was decided to organize the public-health service in Adjara.The canals were excavated to irrigate swamps, for example, so

called Jilin ski Canal. On 1887 the first civil medical institution in the whole Adjara for the 25 persons was built. On 3 October, 1902 the first hospital in the whole Adjara was established by the decision of the self –governing body of Batumi. On 12 October, 1913 the first medical station against malaria in the whole Russian Empire was established in Batumi. This medical station against malaria served the local population at no cost. In the same 1913 year the tropical institute began functioning with the aim to study scientifically the causes of the epidemic diseases. In 1897 the medical society of the doctors of Batumi was organized. The first president of this society was M. Fencer. This society played a great role in the medical life of the whole Adjure. The medical society of the doctors of Batumi established a library that was one of the richest libraries in the whole Russian Empire.

*Тамаз Путкарадзе*

## *ЭТНОГРАФИЧЕСКАЯ БОЛГАРИЯ*
## *(Некоторые вопросы традиционно-бытовои культуры)*

Болгария – одна из красивейших стран южной Европы на Балканском п-ве - омывается Черным морем с умеренным климатом прекрасными городами и селами, лечебными водами и естественной красотой. Болгария гостеприимная страна с прекрасным трудолюбивым народом. Болгария выдержала нашествия многих завоевателей. Наконец приобрела долгожданную независимость и обретя достойное место в мировом сообществе. Накануне XX - XXI века Болгария вместе с остальным миром встала перед выбором – как жить дальше? что убрать и от чего отказаться из прошлого, что сохранить, чтобы избежать международных, гражданских и религиозных конфликтов и создать государство без насилия, жестокости и ненависти. По нашим наблюдениям Болгария сформировалась как страна, где конфликты цивилизаций сменили гуманные тенденции и культурный диалог. Этого достигли неустанным трудом, любовью родным языком, историй, культури, к традициям и анализом существующих проблем перед современностью, совместимость старого и нового, собственного значения и осознание исторического опыта, новые мировоззренческие ориентиры и ясно представляемые контуры будущего.

В июле 2011 года по поручению руководства архива Сандро Беридзе и автор этих строк были командированы в Болгарию г. София, в Ориенталистическое отделение архива библиотеки для ввоза ксерокопий Османских документаций XVI – XVIII веков о Батуми. Указанный визит не состоялся бы без помощи наших болгарских друзей: Марианны Писковой, Нурие Муратовой, Кристины Поповой, Габриелы Беловой. При содействии Марианны Писковой (профессора Благоевградского университета), руководителя и сотрудников библиотеки (профессора Борианы Христовой, Зорки Ивановой, Севдие Али) для нас стала доступна существующая опис Османских документаций о Батуми, что стало решающим в организации указанного визита.

16 июля мы были в Софии, где нас встретили Марианна Пискова и Сергей Вучков. Марианна Пискова, профессор Благоевградского и Софийского университетов, безгранично влюбленная в Грузию, благодаря ей заложен фундамент дружбы между Благоевградским и Батумским университетами и позднее с другими научными организациями (Аджарское архивное управление и т.д.). В Благоевградском университете в их рабочем кабинете создан уголок, посвященный городу Батуми, где представлены фото, письменные документы, Государственные символы Грузии, данные характеризующие реалии грузинского бытия, макеты и т.д. отражающие научные и культурные взаимоотношения между Благоевградом и Батуми за последний период (с 2006 года).



с профессором Марианной Писковои

В первый же день нашего визита нас пригласили в Петрицонский (Бачково) грузинский монастырь, который расположен близ Пловдива (Филипопола, старая столица Болгарии) один из старейших православных монастыров восточной Европы. Она расположена на берегу р.Чепелара и подчиняется синоду Болгарской православной церкви. Об выше указанном монастыре многое было написано, но целесообразным считаю коротко передать основные вопросы его истории.




Петрицонский монастырь

Монастырь построен в 1083 году благодаря грузинскому принцу - Григолий Бакуриани в соответствии с уникальными комбинациями культур Грузии, Византии и Болгарии.

В комплекс монастыря входило – церкви бога матери, Иоан Крестителя, св. Георгий. Тамже похоронены братья Григолий и Абаз Бакуриани.




церковь Иоанна Крестителя

При монастыре существовала семинария, в которой 20 лет научную деятельность проводил знаменитый грузинский философ – Иоан Петриций. Семинарию основал Ктитор и она стала приютом для многих Грузинов живущих за пределами своей страны. Учеба проводилась на грузинском языке. Читая в Типиконе, мы видим: «Постановлено, что юноши должны быть помещены в монастырь св. Николая,…… где их будут обучать «свято писанию….., пожилой

старец должен иметь не менее 6 учеников, которые получат пищу и одежду от большого монастыря». Этот храм сыграл существенную роль в духовной жизни Болгарии. В XI веке этот край был занят армяне павликянцами а также богомолами. Эти тенденции широко распространен в Болгарии. Петрицонский храм боролся для утверждений православной веры и этим препятствовал развитию всяких сект и сектантов.
1892 году Патриарх Константинополя настоятелем храма назначил Архимандрита Макари, который и продал земли храма. Вероятно, тогда и потерялось греческо – грузинский типикон, который в позднее обнаружен на острове – Хиоси. В Софийской библиотеке хранится грузинский типикон рукописью XVIII века, по содержанию типикона в храме могли работать только грузинские старцы. Представителям других общин там запрещалось обосновываться.

В Петрицонском монастыре было написано и переведено много книг. Одно время здесь работал грузинский философ - Иоанн Петриций (Иоанн Чимчимели). В 1204 году храм разграбили крестоносцы, в дальнейшем он был разворован во время Османского господства, но в XVI веке – храм был восстановлен. Храм стоял перед угрозой во время Русско – Турецкой войны 1877-1878 г. но капитан Джорджадзе спас храм. Сохранена икона Богоматери с грузинской надписью 1311 года, а крест храма украшает грузинская надпись.





Апостолы Трапезная дверца времени Бакуриана

Ознакомление с храмом оставило наилучшие впечатления; мы были очень взволнованы. По возвращению нас пригласили в ресторан «Туннель» на берегу р.Чепелара, познакомились со сладкой болгарской кухней ( кебабче, таратори с молоком, болгарский салат) и вернулись в Софию. Нас поселили в центре города София в гостинице «Алабин». На второй день мы осмотрели достопримечательности города София, а в понедельник вместе с Марианной Писковой были в библиотеке имени Кирилла и Мефодия: Прекрасное здание - уникальный памятник материальной культуры - создает наилучшие впечатления. Это заведение важнейший очаг науки и образования. Уютная обстановка, для работы созданы лучшие условия, этикет и нормы взаимоотнашения сотрудников, для иследователей, особенно к гостья, доброжелательность и желание помочь тут же привлекают внимание людей.




Софииская библиотека имени Кирилла и Мифодя

После знакомства с директором библиотеки – Боряны Христовой нас ввели в ориенталистическое отделение. Не смотря на то, что в июле месяце многие осмалисты были в отпуске, нам очень помогла специалистка Севдие Али - молодая красивая женщина, которая нашла всю документацию о Батуми и только потом ушла в отпуск. С помощью заведующей отделения нежной, заботливой, благородной и професионалом своего дела г-жой Зорки Ивановой во время работы в библиотеке у нас не возникало практически никаких проблем. С нами встретилась и несколько счастливых часов подарила профессор Софийского университета, заведующая ориенталистическим отделением библиотеки Стоянка Кендерова, которая между прочим провела в Тбилиси ночь 9 апреля 1989 года.



С. Беридзе с З. Ивановой



с профессором С. Кендеровой

Мы также встретились и познакомились со знаменитым ориенталистом профессором Аспарухом Велковым. Господин Аспарух внес большой вклад в перевод османистских источников о Грузии в архиве г.София, что в дальнейшем было отражено в двухтомнике профессора Нодара Шенгелия. В семье этого замечательного человека целых шесть месяцев жил грузинский профессор Нодар Шенгеля.




с профессором Аспарухом Велковым

Тепло и радушно встретил нас руководитель Софийского архива – молодой профессор, профессиональный историк Мартин Иванов, благодаря которому мы целиком рассмотрели архив, разные отделения, лабораторию по реставрации документов.




в гостях в Софийском Архиве

На второй день 21-го июля к нам в гостиницу приехал мой старый друг профессор Джени Маджаров, который впоследствии пригласил нас к себе в гости.





с профессором Дженни Маджаровым

В моей памяти навсегда останется замечательная семья Джени, ее гостеприимная и грамотная хозяйка госпожа Нино, отличающаяся добродушием и чистосердечностью (она Ежегодно 14-го января отмечает грузинский православный праздник – «Ниноoба»). Мы не могли скрыть восхищения теплотой, добродушием, любовью и взаимопониманием, которые царили в этом доме. Это настолько покорило нас, что мы решились в Джениной семье дискуссировать на различные темы. Воистину счастлива семья, где хозяйка улыбается.





в гостях в семье Маджаровых

23 июля, в субботу по приглашению профессоров Пьера Воденичарова и Марианны Писковой мы отправились в южную Болгарию, вблизи границы с Грецией, в село Тешево. В Благоевграде на машине нас встретили молодые докторанты – Анастасия Кирилова и Сергей Вучков.



Гоце – Дельчево, с Сергеим Вучковым и Анастасией Кириловой



Гоце – Дельчево Етнографияеский музей

По пути мы проехали маленький красивый город Гоце - Дельчево, который расположен на берегу р.Места в 212 км от Софии и 20 км от границы Греции. Раньше здесь жило Тракииское племя –Бессии. А еще раннее в VI веке славяне во главе с Кубером ассимилировали их. Проболгарцы заняли Макендонскую территорию. До 1951 года город назывался «Неврокопи». Здесь находится

прекрасный музей, построенный в 1877 году. Музей имеет богатый фонд – отдельно представлены: отдел археологии, этнографии, традиционные ремесла, данные национально-освободительных боев, народно-транспортные средства (колесницы), монументы мифологических персонажей: Гермеса, Никея и др. Тракииские винные погреба, одежда, музыкальные инструменты и т.д. Наше внимание привлек – список 51 наименования разнличных образцов вязания, которые по традиции должны связать невеста и ее мать, т.к. это было основным условием замужества.

Неврокоп обосновался вблизи старейшего города Никополиса во время Османского господства. Город славился своими ремесленниками. Здесь проводились торговые выставки. Город также известна лучшими исполнителем музыки. Неврокопский музыкальный ансамбль сегодня самый популярный ансамбль в Болгарии.

После рассмотрения ГоцеДельчево мы поднялись в село Тещево, расположенное В 1100 м. над уровнем моря. Село расположено в 22 км от города, оно привлекает к себе неповторимой красотой, замечательной природой, асфальтированными дорогами и площадями, благоустроенным центром и гостиницами, трудолюбивым народом. Мы здесь провели два замечательных дня, познакомились в деревней, ее бытом, историей, культурой. Эта деревня населена Православными болгарами (300 человек). На юге деревни находится Халкидский полуостров, где святая гора и Атонский иверско – грузинский монастырь.




в гостях у Пиере Воденичарове

Тешево - один из важнейших туристических центров Пиринской Македонии. К сожалению процесс урбанизации коснулся и этой деревни, там очень мало молодежи, из-за чего не работает школа, а здешние дети учатся в ГоцеДельчево, где они в пансионах обеспечены бесплатным жильем, питанием и учебой.

Село богато железом. Еще османский султан в XVI веке пригласил саксонцев для добывания железа. Сегодня оно является интересным примером симбиозного развития земледелия и животноводства. Эти две отрасли в народном хозяйстве Тешева считаются рентабельными отраслями. Наряду с современными сельхозорудиями используются и традиционные архаические элементы, но это не мешает развитию сельской экономики.

Несмотря на беспорядочно расположенное поселение, Тешево производит впечатление городского поселения своими чистыми улицами, благоустроенным

центром, гостиницами, церковью. Очевидно, что изначально была тенденция городского поселения и по сравнению с городом застроено более свободным архитектурным стилем. Эта прекрасная деревня, расположенная на границе с Грецией привлекает внимание организацией управления. Жители села ответственны друг перед другом. Ошибок «община» никому не прощает. К примеру: одного жителя за 24 часа выселила из селения по той простой причине, что тот в отсутствие хозяина убил собаку. В селении исключено воровство и всякие безнравственные действия. Совершившего преступление сразу выселяют, а также имеет место самосуд.



Виды Тешево

В вопросах организации труда заметны остатки времени правления общин. С первого взгляда остается впечатление, что некоторые сельские объекты частная собственность, а производство – общинное. Для иллюстрации можно назвать производителя болгарского сыра »Брынза», не коммерческое производство, которое называют болгарской «Мандрой». Это здание раньше было общинной собственностью, а сегодня предприятия принадлежит бывшему пастуху Ивану Хаджиеву, а производство сыра –общинное.

Как было сказано, село является одним из главных центров скотоводства в Пиринской Македонии. Каждая семья имеет 50-100 голов, как малокопытного, так и крупнокопытного скота. Летом скотом занимаются пастухи, пастушество подчиняется порядковому принципу и зависит от числа скота; также выделяют специально доярок зарплата которых за месяц составляет 300 лева (1 лева – 1,3 лари), которую оплачивает производитель сыра. Молоковозами ежедневно привозят молоко в «Мандре», которая состоит из нескольких отделений. В первом отделении помещена большая овальная емкость т.н. «Тенджера» - Специальная 1000 литровая



Мандра



Тенджера

посуда для молока, которая разогревается до 70°, потом она переливается во - втором отделении в другую посуду, где опускается температура до 30°. Охлажденное молоко заливается в длинную горизонтальную посуду, которую называют «Корит». Туда добавляется специальное вещество «Майя» и окисленное молоко.



Корит

Через 10-12 часов получают твердую массу длиной около 2 метров, шириной 1 м, которую режут по стандартам горизонтально и вертикально. После в «Корите» добавляют соленую воду, через 7-8 часов из «Корите» достают стандартные куски сыра «Брынза» и размещают в 16 килограммовые бидоны.



разделение - расфосовка сыра в жестяных бидонах

Из 100 литров молока получают 10 кг сыра «Бринза», цена одного кг. сыра составляет 10 левов. Из 150 кг. сыра – 30 кг. дается производителю. Из оставшейся смеси после получения сыра, дополнительно получают т.н. «Извара-Урда» (Творог). Заметим, что знаменитый сыр «Бринза» получают без всякой современной технологии, на основе народных технологий, что позволяет сохранить замечательный вкус и аромат. Остальные молочные продукты готовят в домашних условиях (масло, айран).

В близи «Мандра» устроена мойка, – которая построена по принципу современной мойки. Овальная дыра из деревянных пластин соединяется толстой трубой из воды. Сильная струя воды ударяет в боковую стену мойки и тем самым приводит в движение там накопившуюся воду а также все предметы предназначенные для мойки, там стирается не только одежда, а ковры, занавесы и т.д.



мойка

Деревня гордится своей историей, материально - культурными ценностями и трудолюбивыми людьми. В центре деревни находится православная церковь XIX века (1843-45 г.г.) Она представлена уникальными фресками эпохи ренессанса. На одной из стен церкви изображен Османский султан в горизонтальном поверженном положении. Очевидно, в период правления Османов изображение такой фрески было большим риском, поэтому она расположена сзади входной двери, чтобы не бросалась в глаза.

Во время Османского ига строились так называемые подземные храмы, чтобы они не бросались в глаза. В центре Софии мы видели два таких подземных храма.




Церковь Тешево

В центре деревни находится 14 этажный фортификационный замок с водяными и канализационными трубами. Замок построен в XIV веке в случае опасности и нашествий вся деревня пряталась здесь. Приближающуюся опасность сельчанам сообщали пламенем, костер зажигался на крыше замка. Сельчане очень любят и уважают свою историю, чтят прошлое. Другой сельчанин не купит в их селе ни дом, ни земельный участок, т.е. «чужакам» место для постоянного жительства закрыто.

 

Башня Тешево

Особый интерес вызывает жилье в Тешево. Оно, как и поселение относится к горному типу. Расположенная деревня тесно заселена.

 

поселок и жилище Тешево

Население там не основано на родственном принципе. Здесь живут рядом друг с другом Купеновы, Семирджиевы, Янефы, Егнатевы, Малаковы и др. Жилые дома хорошо построены с красивыми дворами, вблизи жилых домов у них маленький огород и двор, а посевные земли вдали от деревни там выращивают картошку, табак, зерно, кукурузу, фасоль, овощи, подсолнух (солнцеглед) и другие. В центре деревни находится церковь, магазин и гостиница.

Дома в основном двухэтажные, кирпичные покрыты керамитом, а в старых домах чувствуется османский след, они со стороны дороги не имеют окон (глухая стена). Наше внимание привлек дом Афанасия Хаджаева, построенный в 1909 году, что подтверждает надпись на камне « Этот дом построил я – Григолий Георгиев в 1909 году после 5-ти летней службы архимандритом». Это типичный болгарский двухэтажный дом – «Кишта». На первом этаже – «Яхарь» (т.н. коровник для скота). В настоящих условиях он называется «Плевнией», строят отдельно от дома. «Яхарь»

в Аджарии измененная форма «Ахори» введенная турецким влиянием, как в грузинском, так и в болгарском животноводстве.

«Яхарь» внутренней лестницей «Скала» связан со вторым этажом, типичный вариант старых аджарских горных домов. На втором этаже расположены 4 комнаты: 1) кухня с камином и три спальных комнаты «Стоя» - с верандой, которую болгары называют «Террасой». Есть между комнатами т.н. внутренний холл - «Потон», с открытой стороны которого пристроена стеклянная веранда – «Кангеле». Между «Кангелем» и стеной рукомойник и мойка для посуды «Удник». Полы и потолок (Таванка и Дешуме) сделаны из древесины. Крыша покрыта керамитом (Керемида). Закрытая крыша «Челици» при помощи карнизов выдвинута на 40-50 см.

Нескольких километрах от деревни, т.н. в «Экозоне» возле «Белой скалы», добывают высококачественный мрамор, в результате добычи мрамора здесь образовалось красивое озеро с мраморным дном, красивейшее озеро в мраморе. Благодаря этому озеру эта зона стала туристической, здесь не прерывается толпа туристов как с Гоце-Дельчева, так и других населенных пунктов. Здесь туристов встречает хорошо обустроенная территория с парками и ресторанами. В ресторанах вас угостят вкуснейшими болгарскими блюдами: «Шопс кий салат», «Кебабче», «Таратор» и особая рыба «Шаран» вскормленная кукурузной мукой. Эта рыба водится в т.н. «Мраморном озере» и она очень вкусная.




Мраморное озеро

Хочу обратить ваше внимание на одно обстоятельство – болгары простой, добродушный и гостеприимный народ. Они не занимаются чванством и не любят выпендриваться. К примеру: после обеда в ресторане официант оставшуюся еду красиво упаковывает и в пакетиках отдает заказчику. Небрежное отношение к продуктам питания в Болгарии считается большим грехом. Неплохо было бы, если мы, грузины позаимствовали бы у наших братьев вышеуказанный пример.

Особо хочу подчеркнуть отношение болгар к умершим, т.е. мертвецам, особо чтят их память, часто встретишь разную информацию в разных деревнях о каком-нибудь погибшем. Болгары особенно любят свой родной язык - все у них – рекламы, информации, надписи исключительно на болгарском, т.е. родном языке. Они все делают для популяризации и расширения сферы влияния своего языка.

25 июля мы покинули эту замечательную деревню и вместе с Анастасией и Сергеем направились в Благоевград, где нас ждали наши друзья: профессора Кристина Попова и Нурие Муратова, счастье иметь таких замечательных друзей,

которые только и думают чем вам угодить, что сделать для вас хорошего, чем и как угостить? Одним словом все делают для того, чтобы вам было хорошо. В этом они во многом похожи на нас грузин.

В Благоевграде вместе с нашими друзьями мы были в центральном архиве города. Познакомились с замечательным коллективом и его блестящим руководителем, которая детально ознакомил нас с архивными документами и спецификой работы архивиста. Нам сообщили, что в Благоевградском университете нас ждала, декан факультета – Габриела Белова. После добродушной беседы госпожа Габриела передала нам ценные подарки и пригласила нас в самый престижный ресторан города, который раньше носил звание города Батуми. По этой причине мы попытались оплатить счет в ресторане, чем обидели наших хозяев. Они коротко сказали: «Такие вопросы у нас даже не обсуждаются!» это многосторонне образованная, владеющая несколькими языками, учавствующая в научных форумах в разных странах, стоявщая на достоточно высокой иерархической лестнице госпожа, отличалась большой скромностью, благородством, особенным шармом, заботливостью и что самое главное – чистосердечностью и даром большой любви. Скромномтью ее можно сравнить с прототипом несколько застенчивой грузинской женщиной.



професcори: Габриела Белова, Кристина Попова и Марианна Пискова

Впечатление произвел осмотр достопримечательностей г. София. Расположенные в центре города этнографический и археологический музеи создали значительное представление об истории, бытие и культуре болгарского народа. Визуально хорошо видна осторожная, взвешенная, неспешная политика в области культуры, которую проводит болгарское правительство для того, чтобы удобно пройти тонкий мост культурного космополитизма и культурного фундаментализма. Этого добивается государство собственными силами, усилением этнической идентичности, усилением любви к языку, культуре, истории, преданностью традициям, путем становления свободного культурного общества, что без всяких поспешных решений становится возможным «генерация будущего» в культуре постепенно и полностью.

Дружба и одна часть любви друга в прошлом. Вторая часть, современная своими природными «экозонами сердца» и там оказавшимися людьми. В эти «экозоны» все не попадают. Болгарские друзья: Марианна Пискова, Нурие

Муратова, Кристина Попова, Габриела Белова, Анастасия Пашова, Милена Ангелова, Пьер Виденичаров, Анастасия Кирилова, Сергей Вучков, Джени Маджаров и его замечательная жена Нино, Стоянка Кендерова, Боряна Кристова, Аспарух Велков, Зорка Иванова, и для Севдие Али в данной «экозоне» выделено особое место. Они еще более обосновали нам, как принято у грузин любовь к другим народам, вера в силу своего народа, веру в друзей, в любовь к ближнему и сердечность. Вот такова гостеприимная Болгария. Таковы наши болгарские друзья и я счастлив, что попал в их добрую, любовную и улыбчивую атмосферу. В мире все гармонично: любовь, счастье, дружба… избранно добрые, сладкоговорящие, добродушные, а также гостеприимные наши болгарские друзья дали возможность нам почувствовать эту гармонию. Они показали и дали нам осознать высокие гражданские ценности, которые присущи Болгарам, коллективный характер, их бытье, традиции, юмор…

Наш визит в Болгарию еще более доказал нашу дружбу. Эти отношения основаны на безграничности, любви к делу, профессионализме и откровенности. В этом и заключается секрет дружбы между университетами, а также архивными учреждениями Батуми и Благоевграда, которая с каждым днем все более возрастает.

*თამაზ ფუტკარაძე*

## *ეთნოგრაფიული ბულგარეთი*
## *(ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ზოგიერთი საკითხი)*

**რეზიუმე**

ბულგარეთი - ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანაა. იგი იმთავითვე იპყრობს მნახველის ყურადღებას უმშვენიერესი ზღვის სანაპირო ზოლით, რბილი კლიმატით, უხვი მცენარეული საფარით, ბაღებითა და პარკებით, მწვანეში ჩაფლული ქალაქებითა და სოფლებით, შესანიშნავი სამკურნალო წყლებით, გამაჯანსაღებელი ჰაერით, ხილეულის უხვმოსავლიანი რაიონებით. ეს ქვეყანა სტუმართმოყვარე, კეთილი და გამრჯე, შრომასა და ბრძოლაში გამორჩეული ხალხის ადგილსამყოფელია.

2011 წლის ივლისში საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობის დავალებით სანდრო ბერიძესა და ამ სტრიქონების ავტორს წილად გვხვდა ბედნიერება გავმგზავრებულიყავით ამ შესანიშნავ ქვეყანაში - სოფიის ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილების არქივში ბათუმის შესახებ არსებული XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტების ქსეროასლების შემოტანის მიზნით. სოფიის კირილესა და მეთოდეს ბიბლიოთეკაში მუშაობის პარალელურად, მოვინახულეთ ბულგარეთის სასოფლო დასახლებები. სტატიაში წარმოდგენილია ბულგარული შთაბეჭდილებები, ბულგარელთა ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ცალკეული საკითხები.

*ფრიდონ ქარდავა*

## *ბრიტანელები ბათუმში (1919-1920 წლები)*

XX საუკუნის 10 – იანი წლები მრავლის მეტყველი და მრავლის დამტევი იყო საქართველოს ისტორიის სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე. მრავალი კატაკლიზმისა და ქარტეხილების პირისპირ აღმოჩნდა საქართველო მსოფლიო მაშტაბის გრიგალებში, ხან მარტოდმარტო, ხანაც ათასგვარი დამპყრობელისა და ოკუპანტის წინაშე. ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი, მაგრამ ავადსახსენებელი მოვლენები იყო ბათუმის ოკუპაცია ჯერ თურქების, ხოლო შემდეგ ბრიტანეთის მიერ. ჩვენი მატიანის მთელი დინებისას თურქი დამპყრობლები, სამწუხაროდ, მოულოდნელობასა და სიახლეს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ ბრიტანეთი უცხო ხილი გახლდათ ამ მხრივ; განსხვავებული წყობისა და მსოფლმხედველობის, მნიშვნელოვანი თავისი ევროპულ-კოლონიალისტური კულტურით, თავისი განსხვავებელი ტიპის დამპყრობლური პოლიტიკით, რომელსაც ძირითადად თავისი ტერიტორიებიდან მოშორებით, თითქმის ყველა კონტინენტზე ჰქონდა გაბნეული კოლონიები ძველი საბერძნეთივით და ყველაზე მეტად ალბათ ამ დამპყრობელს გავდა თავისი არსით, უბედურებასთან ერთად თითქოს ცივილიზაციაც რომ შეჰქონდა დაპყრობილ მიწებზე.

ბრიტანეთის მიერ ბათუმისა და მისი შემოგარენის ოკუპაციას წინ უსწრებდა ბათუმის დაპყრობა თურქეთის მიერ, მცირე ხნით; კადეტი მასლოვი აღწერს თავის მემუარებში ბათუმში ენვერ ფაშას შემოსვლას როცა თურქთა ოკუპაციას იხსენებს:

**“შეგვიანებულ ბერძნებს, ქართველებს ( განსაკუთრებით ამ უკანასკნელთ) იჭერდნენ და აგზავნიდნენ განყოფილებაში სადაც დილამდე აკავებდნენ, взимая еше иногда бакшиш. მაგრამ საკმარისი იყო გეთქვა რომ შენ ხარ “ურუსი” რომ გუშაგის სახე იფარებოდა ფართო ღიმილით “ ა, ურუსი, იახში, ჰაიდე” /ა, რუსი ხარ, კარგი წადი”** (ასსცსა, ფ. ი-67. საქმე 15 ფ. 140).

ასეა. დამპყრობლები ყოველთვის მორიგდებიან ერთმანეთში, დაპყრობილმა იკითხოს თორემ. ენვერ ფაშა, ბათუმში სუფრასთან ეუბნება მასლოვს:

**“სულით მიხარია რომ გხედავთ ჩემს მაგიდასთან; ჩვენ არასოდეს არ გვინდოდა ჩხუბი რუსებთან (წარმოიდგინეთ! ფ.ქ) და არც ახლა გვინდა; იმედი მაქვს არც მომავალში ვიჩხუბებთ. გთხოვთ ნუ მეტყვით უარს ეს გადასცეთ თქვენს თანამემამულეებს”** (ასსცსა, ფ. ი-67. საქმე 14 ფ 153).

საქართველომ გერმანიის აქტიური მხარდაჭერით შეძლო თურქთა განდევნა საქართველოდან, თუმცა ერთი მხრივ წითელი რუსეთსა და მეორე მხრივ გერმანია - თურქეთსა და მათს მოკავშირეებთან გაფორმებული (ბრესტ-ლიტოვსკის) ზავით დაკარგა არდაგანი, ბათუმის ოლქის ნაწილი. თომას დე ვაალი წერს: "**1919 წლის ბოლოს საქართველო, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მრავალ პრობლემას წააწყდა ყველა ფრონტზე: სომხეთთან სასაზღვრო დავა გადასაწყვეტი რჩებოდა; არსებობდა მცირე, მაგრამ მეტად რთული ორაზროვანი საკითხები აზერბაიჯანთან ურთიერთობაში; თბილისის მთავრობა დაჟინებით ასაბუთებდა თავის სადავო მოთხოვ-**

**ნებს ბათუმის რეგიონის მიმართ, რომელიც, ის-ის იყო, უნდა დაეტოვებინათ ბრიტანელებს. ამ ქაოსში საქართველოს მრავალნაცადი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი კვლავ ცდილობდა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფართო ტრანსკავკასიური კონფედერაციის ჩამოყალიბებას. გეგეჭკორი იყო ორგანიზატორი მრავალი კონფერენციისა, რომელიც მიმართული იყო ამ სამ რესპუბლიკას შორის ერთი წლის წინ გაუარესებული კავშირების აღდგენისაკენ." (**ასსცსა, ფ.ი-1, საქმე 67)

გერმანიის ჯარების შემოყვანა საქართველოს ტერიტორიაზე ალბათ არ შეიძლება მივიჩნიოთ ოკუპაციად, როგორც ამას ხშირად აღიქვამდა საბჭოთა ისტორიოგრაფია და რუსი შოვინისტები. მაგალითისთვის მასლოვი წერდა : "**რომ დავასრულოთ ეს პერიოდი, ავღნიშნავ, რომ ივნისის დასაწყისში გერმანელებმა ყირიმიდან ამიერკავკასიაში, ფოთის გავლით გამოაგზავნეს ათიათასობით ჯარისკაცი და დაიპყრეს მთელი საქართველო" (**ასსცსა, ფ. *ი-67. საქმე 15.ფ.166).*

ეს იყო საქართველოს მოკავშირე ჯარი, რომელმაც იმ პერიოდში განსაზღვრა საქართველოს დამოუკიდებლობა, გარკვეულწილად ტერიტორიული ერთიანობა და რაღაც დონეზე წესრიგიც: "**ყველა რკინიგზის სადგურში ფოთი-თბილისის მონაკვეთზე დააყენეს გერმანული გუშაგები 10-15 კაცის შემადგენლობით უნტერ-ოფიცრის მეთაურობით და გზებზე დამყარდა სრული წესრიგი. ყველა უსიტყვოდ ასრულებდა გერმანულ განაწესს, წითელმა არმიამ შეწყვიტა ვაგონებიდან მგზავრების ჩამოყრა, და ყველა იმ კლასის ადგილს იკავებდა რომელი კლასის ბილეთიც ჰქონდა.... გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ გერმანელებმა იხსნეს საქართველო და უზრუნველყვეს მეტნაკლებად მშვიდი არსებობა მისი დამოუკიდებლობის პირველ წლეებში (**ასსცსა, ფ. *ი-67. საქმე 15 ფ 166"*).

გერმანიის მარცხმა პირველ მსოფლიო ომში გამოიწვია ბათუმის ოლქის ირგვლივ სიტუაციის დაძაბვა, განუკითხაობა და ქაოსი. მოკავშირეებმა ბათუმი საკუთარ გამგებლობაში მოაქციეს. ქალაქში ბრიტანული ჯარი შემოვიდა. იგივე მასლოვი ასე იხსენებს ბრიტანელთა შემოსავლას ბათუმში: ***"20* დეკემბერს ბათუმის პორტში შემოვიდა 4 ზოლებიანი, ნაცრისფერ-ფოლადისფერი გიგანტური ტრანსპორტი და გადმოტვირთეს 15000 სამხედრო / ყველანი თეთრებში/ ზემოთხსენებული გენერალ ფორესტ უოკერის მეთაურობით. მან ადიუტანტების საშუალებით გადმოგვცა რომ ითხოვდა არავის არ შეეწუხებინა ოფიციალური ვიზიტებით და იმთავითვე დაიწყო საქმიანობა. უცებ გახდა ცნობილი რომ თურქული და აჭარული კომბინაცია გამორიცხული იყო, და თურქები საბოლოოდ დაეცნენ სულით. გენერალმა უპირველეს ყოვლისა მოისმონა ანგარიში კრეისერის მეთაურისა და უებსტერის"** (ასსცსა, ფ. ი-67. საქმე 15 ფ 225 **)**. აჭარა დროებით მოსწყდა დედასამშობლოს. იმ პერიოდში იდგა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. ბრიტანეთის როლი საქართველოს იმდროინდელ არსებობაში ჯეროვნად არაა ალბათ ჯერაც შეფასებული. ქართული გადასახედიდან ახლაც მიიჩნევა რომ საქართველო-სომხეთის 1918 წლის ომში ბრიტანეთი სომხეთს უჭერდა მხარს, თუმცა აშკარად ამის თქმა ალბათ ძნელია. ისევ თომას დე ვაალს მოჰყავს ბრიტანელი ჟურნალისტის, ს.ი. ბეჩჰოფერის სიტყვები: "**ამ ეპიზოდის შესახებ ქართველ ისტორიკოსებს განსხვავებული შეხედულება აქვთ: ისინი ამტკიცებენ, რომ ბრიტანეთის ჯარმა ხელი შეუშალა ქართველთა შეტევას ყოველ შემთხვევაში, ეს იყო ძალა, რომელმაც გადამწყვე-**

**ტი როლი ითამაშა 1918 წლის შიდაკავკასიური ბრძოლის შეწყვეტაში. ოთხი გარეშე ძალა – რუსეთი, თურქეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი – ამ პერიოდში დიდი პოლიტიკური მოთამაშე იყო სამხრეთ კავკასიაში. ყოველი მათგანი სხვადასხვა დროს იცავდა სამ კავკასიურ სახელმწიფოს: რუსეთი იცავდა სომხეთს, თურქეთი –აზერბაიჯანს და, შესაბამისად, დიდი ბრიტანეთი და გერმანია –საქართველოს. კავკასიის სახელმწიფოებს შორის მუდმივმა შუღლმა ნათელი გახადა ის, რომ მსხვილი სამხედრო ძალების მხრიდან დაცვის დაპირებამ მთლიანად გადაწონა რეგიონული სოლიდარობა და ლოიალობა. მართლაც, სადავო საზღვრების მქონე რეგიონში გავლენიანი ძალის მხარდაჭერა (ეს 1919 წელს მცირე ხნით ბრიტანეთი იყო) შეიძლებოდა გამოყენებულიყო ეფექტურად, რომ უპირატესობა მოეპოვებინათ ისეთ სადავო საკითხებში, როგორიც იყო ბათუმის საკითხი. რაც შეეხება სომხეთს, საქართველოს მიერ მოკავშირეების სიფრთხილით არჩევა ერთმანეთისგან გამიჯნავდა თვითგადარჩენასა და სრულ განადგურებას შორის, საქართველოს მზერა მიპყრობილია შეერთებული შტატებისაკენ, აზერბაიჯანის უახლოესი მოკავშირე კი თურქეთია. ეს პროტექციონისტური შეთანხმებანი მიმართულია სრულიად კავკასიური თანამშრომლობის წინააღმდეგ. კავკასიურ სახელმწიფოთა მიერ უსაფრთხოების მოპოვების აუცილებლობა დიდი გარეშე ძალის მხრიდან კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ამგვარი გარეშე ძალები, ისევე, როგორც სხვა მოთამაშენი – მაგალითად, ნავთობის საერთაშორისო კომპანიები და ირანის ისლამური რესპუბლიკა, არღვევენ სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებას. ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებით გათიშულმა სამხრეთ კავკასიამ და მისმა ახლო მეზობლებმა ვერ შეძლეს, ჩამოეყალიბებინათ ზუსტად გამოკვეთილი “რეგიონი” იმგვარად, როგორც ეს მოხდა ბალტიის ან ბენელუქსის ქვეყნებში. “სამხრეთ კავკასიას” უფრო გზაჯვარედინის ან განსხვავებულ კულტურათა შეხვედრის ადგილის მეტაფორად იყენებენ, ვიდრე რეგიონის სახელწოდებად. 1918 წლიდან 1920 წლამდე გეგეჭკორი იყო ერთ-ერთი იმ მცირე პირთაგან, ვინც ცდილობდა რეგიონული თანამშრომლობის გაადვილებას"** (ს.ი. ბეჩჰოფერი. სამხრეთ კავკასიის საკითხები. http://www.amacad.org/publications).

აღსანიშნავია ისიც, რომ პრობლემათაგან, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ჰქონდა საქართველოს, ჯერ კიდევ პრობლემად რჩება. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ბრიტანეთის მიერ ბათუმის ოკუპაციის სწორი და ძირეული ანალიზი.

მკვლევარები შეთანხმებული არიან და ამას საისტორიო და საარქივი წყაროებიც ადასტურებენ, რომ ბათუმის გუბერნატორი კუკ-კოლისი დენიკინის მომხრე იყო, ბრიტანეთს სურდა ”დობრო არმიას” გაემარჯვა და ბოლშევიზმი დაემხო. ამ შემთხვევაში იგი კავკასიას რუსეთის შემადგენლობაში განიხილავდა. ამით აიხსნება ბრიტანელთა ასეთი გულმხურვალე მხარდაჭერა ბათუმელი რუსების, რუსთა საბჭოს მიმართ, ასევე მმართველთა საბჭოს შექმნა და მის თავმჯდომარედ კადეტი და დენიკინის მხარდამჭერი მასლოვის დანიშვნა, თუმცა ბოლოს მას არც ბოლშევიკებისადმი მხარდაჭერაზე უთქვამს უარი, - ოღონდ რუსეთის იმპერია ძველ საზღვრებში აღდგენილიყო. კუკ-კოლისის მმართველობა აშკარად ანტიქართული იყო, მაგრამ როგორც ევგენი გეგეჭკორი მიიჩნევდა, სწორედაც ბრიტანეთი იყო მაშინ ერთადერთი ძალა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას განსაზღვრავდა და რუსეთის ოკუპაციისაგან იცავდა. სწორედ მისი მოთხოვნითა და

ქართველთა თავგანწირული ბრძოლით მოხერხდა რუსთა შემოჭრის შეჩერება 1920 წელს. რუსეთთან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, როცა ქართველების მოთხოვნით ბრიტანეთმა დატოვა ბათუმი, ჩვენ მარტოდმარტო დავრჩით რუსეთის საბჭოთა იმპერიის პირისპირ. აჭარის დედასამშობლოსთან საბოლოო შემოერთება ქართველ მამულიშვილთა თავგანწირული ბრძოლის ბრწყინვალე დაგვირგვინება იყო:

**” დაბოლოს, 4 ივლისს ოფიციალურად გამოაცხადეს ბათუმის გადაცემა საქართველოსთვის, მიუხედავად მრავალრიცხოვანი გამოსვლებისა და პროტესტებისა..**

**8 ივლისს დაუშვეს ინგლისისა და საფრანგეთის დროშები და აღმართეს ქართული, 10 ივლისს კი მოკავშირეებმა საბოლოოდ დატოვეს ბათუმი. ჩვენ დავრჩით ქართველებთან პირისპირ!” ასსცსა, ფ.** ი-67. საქმე 15 ფ 289).

ეს იყო იმპერიალისტი შოვინისტების განწყობა, რომელთაც საბოლოოდ დაკარგეს აჭარა. საქართველოს მთავრობამ აჭარაში გამოაგზავნა ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე ბენია ჩხიკვიშვილი:“ **ჩხიკვიშვილი ამ თანამდებობაზე დანიშვნას დასთანხმდა მხოლოდ იმ პირობით, რომ არავინ არ ჩაერეოდა მის საქმიანობაში, ყოველ შემთხვევაში ორი თვის მანძილზე მაინც, ხოლო საქართველოს ხელისუფლებამ ის ბათუმში დანიშნა დარწმუნებულმა, რომ ის რკინის მკაცრი ხელით გახვეტავდა ბათუმიდან და ოლქიდან კონტრევოლუციონერებს, რუსოფილებსა და ქართველოფობებს, მთავრობა მისდა საბედნიეროდ არ შემცდარა” (**ასსცსა, ი-67. საქმე 15 ფ. **291).**

ბათუმი და აჭარა ჩაება საერთო ქართულ ფერხულში და განსაკუთრებული და მრავლისმეტყველი წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში.

### *გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:*


1. ასსცსა (აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი), ფონდი ი-1, ს. 67
2. ს. ი. ბეჩჰოფერი. სამხრეთ კავკასიის საკითხები. http://www.amacad.org/publications/
3. გაზეთი სამუსლიმანო საქართველო. ბათუმი 2008 წ.
4. http://www.amacad.org/publications/statehoodansecurity/Georgia_final.pdf



***Fridon Kardava***


***Britishers in Batumi***
***(1919 – 1920 years)***
**Summary**


At the beginning of XX century the South - West Georgia faces serious problems. Batumi was victim of Turkish occupation later of British. Based on scientific and archival materials in article is analysed British occupations main issues.

*მერაბ მეგრელიშვილი*

## ტ. ფარბერი – ბათუმის ოლქის შესახებ

ტ. მ. ფარბერი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XX საუკუნის 50-იან წლებში, ბათუმში. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „ბათუმის ოლქი 1905-1907 წლებში", რომელიც ხელნაწერის სახით ინახება შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. ნაშრომის გაცნობის შემდეგ საჭიროდ ჩავთვალე მისი თარგმნა და გამოქვეყნება.

ბერლინის ტრაქტატით რუსეთმა შემოიერთა არდაგანის, ყარსის და ბათუმის ოლქები. ბათუმის ოლქში შევიდა სამი მხარე: ბათუმის, ართვინის, აჭარის.

ბათუმის ოლქს ჩრდილოეთიდან ესაზღვარებოდა ქუთაისის გუბერნია, აღმოსავლეთით თბილისის გუბერნია და ყარსის ოლქი, დასავლეთით ლაზისტანის სანჯაყი. სულ ბათუმის ოლქს ეკავა 3779 კვ. კმ. ფართობი. 1905-1907 წლებში ბათუმის ოლქის მოსახლეობა შეადგენდა 144322 ადამიანს, რომელთაგანაც 82008 იყო მამაკაცი, ხოლო 62314 ქალი.

ტ. მ. ფარბერის მიერ აღწერილი და შესწავლილია აღნიშნულ პერიოდში ბათუმში არსებული შემდეგი დაწესებულებები: საბაჟო, სანოტარო განყოფილება, ფოსტა, ტელეგრაფი, ხაზინა.

ბათუმის საპორტო ქალაქის ხელმძღვანელად აირჩიეს პოლკოვნიკი ბერსი. 1878 წლის 8 ნოემბერს ბათუმი პორტო ფრანკოდ გამოცხადდა.

1888 წლის 12 ივნისს სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა გაუქმდა და ბათუმის ოლქი დაიყო ბათუმის და ართვინის მხარეებად. აღნიშნული მხარეები შევიდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. 1903 წლის 1 ივლისიდან ისევ აღადგინეს ბათუმის ოლქი სამხედრო გუბერნატორის ხელმძღვანელობით. ადმინისტრაციული თვალსაზრისით ბათუმის ოლქი დაიყო 7 უბნად, მათგან ბათუმის მხარე აერთიანებდა 4 (კინტრიშის, გონიოს, ქვედა და ხედა აჭარის); ხოლო ართვინის მხარე 3 უბანს (ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის).

ეკონომიკური და სასაზღვრო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთი ყოველდღიურად აძლიერებდა სამხედრო – საზღვაო და სავაჭრო – საზღვაო ფლოტს შავ ზღვაზე.

კარლ მარქსის თქმით ბათუმის პორტი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქვეყნების გემებისათვის იყო ერთადერთი თავშესაფარი. რუსეთის მიერ მისმა დაპყრობამ თურქეთს წაართვა ბოლო საზღვაო სადგური პონტოზე და იგი რუსეთის ზღვად გადაიქცა. ტ. მ. ფარბერის აზრით რუსეთი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქვეყნების ისტორიაში პროგრესულ როლს თამაშობდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში, ოსმალთა ბატონობის პერიოდში რუსეთმა ბათუმში დააფუძნა სავაჭრო – სანაოსნო საზოგადოება, რომელიც უზრუნველყოფდა რუსული კაპიტალის მოზიდვას. ინგლისელი კონსულის ჯიფფორდ პალგრევის თქმით ბათუმი იქცა სავაჭრო ქალაქად.

1878 წლის 25 აგვისტოს ბერლინის შეთანხმების საფუძველზე თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა დევრიშ ფაშამ ბათუმის გასაღები (გასაღები ინახება ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) ჩააბარა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს გენერალ სვიატოპოლსკ მირსკის.

მალე, 1879 წელს ბურუნ – ტაბიეს ადგილას რუსებმა ააგეს მიხეილის ციხე-სიმაგრე, რომლის კომენდანტად დაინიშნა გენერალ – მაიორი კოლდეევი. ამ ციხე-სიმაგრეში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი იდგა. ამავე ადგილას რუსეთს საბჭოთა კავშირის დაშლამდე ჰყავდა თავისი სასაზღვრო ჯარი.

ტ. ფ. ფაბერის მონაცემებით ამ დროისათვის ბათუმში იყო 5 ეკლესია, 3 მეჩეთი, 5 დაწყებითი სკოლა, 4 აბანო, 4 ქარხანა და მათ შორის ერთი ნავთობჩამოსასხმელი. ბათუმის წლიური შემოსავალი შეადგენდა 70.000 მანეთს.

1878 წლის ოქტომბრიდან 1870 წლის ჩათვლით უცხოეთის ქვეყნებიდან და რუსეთის პორტებიდან ბათუმში შემოვიდა 226.582 მანეთის საქონელი, ხოლო საზღვარგარეთ და რუსეთის პორტებში ბათუმიდან გავიდა 91.428 მანეთის საქონელი. ბათუმის პორტის ტვირთბრუნვამ შეადგინა: შემოტანილი საქონლის სახით 906.380 მანეთი, ხოლო გატანილი საქონელი 365.712 მანეთი.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ბათუმის პორტს მეტი მნიშვნელობა შესძინა მარგანეცისა და ქვანახშირის წარმოებამ, ასევე ბაქოს ნავთობმა. 1883 წელს რკინიგზამ ბათუმი დააკავშირა სამტრედიას, ფოთს, თბილისს, ბაქოს. 1886 წლის 5 ივლისს პორტო-ფრანკო გააუქმეს. 1888 წელს შეიქმნა ბათუმის თვითმმართველობა.

დიუპრიეს მონაცემით, 1807 წელს ბათუმში იყო 2.000 მცხოვრები, 1873 წელს კი 4.970 (მალმუზის მონაცემით) ადამიანი. 1880 წელს ბათუმის მოსახლეობა გაიზარდა 9.500 კაცამდე, 1897 წლია აღწერის მიხედვით კი 28.1556 კაცი. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის მოსახლეობის რაოდენობამ 35.000 კაცს მიაღწია. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ ქართველები, აფხაზები, ბერძნები, სომხები, თურქები, ირანელები, რუსები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები.

შავი – კასპიის საზოგადოების (შემდგომში როტშილდის) ქარხანამ ინჟინერ პალაშკოვსკის ინიციატივით 1882 წელს დაიწყო ბიდონების წარმოება. ამავე პერიოდში ბათუმში იყო ოთხი ქარხანა: 1) კასპია – შავი – ზღვის ნავთობის სავაჭრო საზოგადოების; 2) ი. ი. მანთაშევის; 3) სიდერიდისის; 4) სატურიანის. 1889 წელს ბათუმში დაფუძნდა ბინიათ ოღლის თამბაქოს ქარხანა, ხოლო 1899 წელს ლევბერგის. ამ ქარხნებში თამბაქო შემოდიოდა ართვინიდან, ბათუმის და სოხუმის ოლქებიდან, გურიიდან, ყუბანის ოლქიდან, სოჭასა და ყირიმიდან. ამ დროისდათვის სხვადასხვა სახის სამრეწველო პროდუქციას ბათუმში აწარმოებდა 366 საწარმო. როტშილდის ქარხანაში მუშაობდა 6.000 კაცი, ხაჩატურიანის ქარხანაში 1.200; მანთაშევში – 4.000; სხვადასხვა საწარმოებში – 2.000 კაცი; სანაპიროს სამუშაოებზე დასაქმე4ბული იყო 3.000 კაცი. ბათუმის ოლქში იყო 45 ბრინჯაოს (აქედან ართვინში 34, ბათუმში 11), 14 ვერცხლის, 10 რკინის საბადო. ბრინჯაოს აწარმოებდა ინგლისური კომპანია. მინერალური საბადოების წარმოება – განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა 1901 წელს შექმნილმა კავკასიის ბრინჯაოს მწარმოებელმა საზოგადოებამ. 1903 წელს ბრინჯაოს მწარმოებელი ორი ქარხანა ეკუთვნოდა დოქტორ ლივინს. მერისის და ქედის საბადოებზე ამუშავებდნენ 200.000 ფუთ მადანს, ერგეს ქარხანა ყოველწლიურად ამუშავებდა 50-60 ათას ფუთ წითელ მადანს. 1889 წლიდან 1902 წლამდე ქარხანამ გამოადნო 100 ათასი ფუთი წითელი მადანი. 1902 წელს მოპოვებულ იქნა 961.266 ფუთი მადანი.

ბათუმის ოლქის მოსახლეობა დაკავებული იყო სოფლის მეურნეობით. რუსული კაპიტალის დაბანდება ძირითადად ხდებოდა სოფლის მეურნეობაში. ამ პერიოდში საგრძნობლად გაძლიერდა ბათუმის ოლქის მიწების კოლონიზაცია. ჩნდებიან მსხვილი მიწათმფლობელები: პოპოვი, სოლოვცევი, სტოიანოვი, რუსეთიდან ბათუმის ოლქში მოედინება მუშა ძალა, რომლებიც ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ ჩაის პლანტაციებში. ჩაქვის მამულში მუშაობდნენ ტამბოვიდან მოსული მუშები, რომლებიც სოფ. გორგაძეებში ცხოვრობდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ჩაის კულტურის წარმოებას და გასაღებას. ქართული ჩაი რუსული ეტიკეტით გადიოდა მსოფლიო ბაზარზე.

1884 წლის ივნისში ზეიდლიცმა ჩინეთიდან ბათუმში ჩამოიტანა ჩაის ნერგები და გადასცა მიწათმფლობელ სოლოვცევს, რომელმაც პირველმა დაიწყო ჩაის ბუჩქების გაშენება. მიწათმფლობელმა პოპოვმა პროფესორ ტიხომიროვთან ერთად იმოგზაურა ჩინეთში და ბათუმში ჩამოიტანა ჩაის საუკეთესო ნერგები. ჩაის კულტურა გაშენდა ჩაქვში, კაპრეშუმში, სალიბაურში. პოპოვმა სალიბაურში ააშენა ჩაის ფაბრიკა. მოგვიანებით, ჩაის კულტურის შესწავლის მიზნით ინდოეთში (ცეილონზე) და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია პროფესორ კრასნოვის მეთაურობით. მიწათმფლობელმა ვუჩინომ, სტოიანოვმა, ბიხოვცევმა გააშენეს ჩაის პლანტაციები.

უკვე XX საუკუნის დასაწყისისათვის ბათუმის ოლქში ჩაის პლანტაცია ჰქონდა 65 რუს კოლონიზატორს. 1903 წელს მოკრეფილ იქნა 257.656 ფუთი მწვანე ჩაის ფოთოლი. ქართული ბაიხოს ჩაი პირველად გატანილ იქნა ბაზარზე პოპოვის მიერ 1895 წელს 20 ფუთის ოდენობით. 1902 წელს გატანილი ჩაის რაოდენობამ შეადგინა 17.027 ფუთი. 1898 წელს ქართული ჩაი გამოფენაზე გაიტანეს პეტერბურგში, პარიზში, გლაზგოში. ბათუმის ოლქში ჩაის კულტურასთან ერთად აწარმოებდნენ აგრეთვე ბამბუკსა და შალეულს. ამ საქმით დაკავებული იყო ფრანგული კომპანია.

ამრიგად ტ. მ. ფარბერის მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტობრივი მასალა ნათლად წარმოაჩენს XIX – XX ს. დასაწყისში ბათუმის ოლქში არსებული სოციალ-ეკონომიკურ ვითარებას.

***Merab Megrelishvili***

### *T. Farber – about Batumi District*

**Summary**

T. Farber lived and worked in Batumi, in 50 years of XX century. He wrote „Batumi District in 1905-1907 years". manuscript is kept in Shota Rustaveli scientific library. In article is discussed main issues of named work, also social – economical situation at the end of XIX century and the beginning of XXcentury in Batumi district.

*ტატიანა კოპალეიშვილი*

# პირველი მსოფლიო ომი და გერმანელთა საკითხი საქართველოში

1914 წლის 1 აგვისტოს ევროპაში გაჩაღდა პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც 38 სახელმწიფო მოიცვა. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის და ბულგარეთისგან შემდგარი ოთხთა კავშირი „მზის ქვეშ ადგილის“ დამკვიდრებისთვის დაუპირისპირდა ყველაზე დიდ კოლონიურ იმპერიებს - ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს.

გერმანიის და მისი მოკავშირეების გეგმებში დიდი ადგილი ეკავა ამიერკავკასიას და რუსეთის აქედან განდევნას. ამ საკითხში მის მოკავშირედ თურქეთიც გამოდიოდა. 12 აგვისტოს კავკასიაში სამხედრო წესები გამოცხადდა.

რუსეთის იმპერიაში შემავალი ამიერკავკასია, როგორც საზღვრისპირა ბუფერული რეგიონი, უკვე საუკუნეზე მეტია აქტიური კოლონიზაციის ობიექტად იყო გადაქცეული. იმპერიის მესვეურები საქართველოში ასახლებდნენ რუსებს, ბერძნებს, სომხებს, გერმანელებს. უზრუნველყოფდნენ მათ მიწითა და კრედიტებით.

კავკასიაში ფრონტისთვის მობილიზებულ მოსახლეობაში ყველაზე გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩა აქ მცხოვრები გერმანული სათვისტომო, რომელიც ამ დროისათვის საკმაოდ დიდი იყო. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან 1914 წლამდე საქართველოში მცხოვრები გერმანელების რაოდენობა გაიზარდა 1925-დან 12 ათასამდე. (აუგსტი; http://www.pmmg.org.ge).

აღსანიშნავია, რომ გერმანელებმა საქართველოში შესამჩნევი კვალი დატოვეს სოფლის მეურნეობის, ქალაქური ცხოვრების თუ მრეწველობის უმეტეს დარგებში. საქართველოში არსებობდა 10-ზე მეტი გერმანული კოლონია. ნოი-ტიფლისის და პეტერსდორფის კოლონიებმა საფუძველი ჩაუყარა თბილისის ისეთი უბნების განვითარებას, როგორიცაა ჩუღურეთი, დიდუბე, მარჯანიშვილის პროსპექტი და მიმდებარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო. ამ პერიოდში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორების აშენებულია: თბილისის მერია (პ. შტერნი), ოპერის თეატრი (ვ. შრეტერი), ქაშუეთის ეკლესია (ლ. ბილფელდი), კათოლიკური ეკლესია (ა. ზალცმანი), მარჯანიშვილის პროსპექტის თითქმის ყველა ძველი შენობა და მრავალი სხვა. დიდია მათი წვლილი საქალაქო მეურნეობაშიც. XX საუკუნისთვის თბილისში 300-ზე მეტი გერმანელი ხელოსანი ცხოვრობდა. საპნის, სანთლის, ლუდის, თამბაქოს, სასტუმრო და კინოთეატრების ბიზნესი გერმანელთა ხელთ იყო. პირველი სამოქალაქო აფთიაქი საქართველოში 1829 წელს გახსნა პროვიზორმა ფლორ შონბერგმა და მის შემდეგ მთელი საუკუნის მანძილზე მონოპოლია გერმანელი ფარმაცევტების ხელთ იყო (Kvirkvelia T. 1995:25).

გერმანელები აქტიურად მოღვაწეობდნენ სამთავრობო სტრუქტურებში. გერმანული ენის სწავლა მოდური იყო, თბილისში მათ მიერ დაარსებულ პეტრე-პავლეს სასწავლებელში მოხვედრა კი - პრესტიჟული.

გერმენელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს XIX საუკუნის ბოლოს დედასამშობლოსთან მიერთებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ინდუსტრიულ განვითრებაში. აქ ფეხს იკიდებენ სამრეწველო ინდუსტრიის მაშინდელი გიგანტები: ნობელი (ნავთობის მოპოვებაში), „სიმენსი და ჰალსკე“

(სპილენძის საბადოებზე), როტშილდი, რიხნერი, ციმერმანი (ნავთობის ჭურჭლის წარმოება) და ბევრი სხვა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:104). 1882 წლის 19 მარტის აღწერით ბათუმის ოლქში ცხოვრობდა 145 გერმანელი, ბათუმში იყო ლუთერანული სამლოცველოც (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:86).

I მსოფლიო ომში რუსეთის და მასთან ერთად საქართველოს მონაწილეობამ არსებითად შეცვალა გერმანლეთა მდგომარეობა.

მთავრობამ თადარიგი ჯერ კიდევ 1911 წელს დაიჭირა და შეაგროვა დეტალური ცნობები კავკასიაში მოსახლე გერმანელების შესახებ (ასსცსა, ფ. ი-1, ან 1, საქ. 516, ფურც. 1, 2). პრესაში დაიწყო კამპანია ე.წ. „გერმანული მოძალეობისაგან" გათავისუფლებისათვის.

ომის დაწყებისთანავე კავკასიის ადმინისტრაციამ დაიწყო ამიერკავკასიის კოლონიების გერმანული სახელწოდებების შეცვლა. 1914 წლის ოქტომბერში გერმანულმა კოლონიებმა შემდეგი სახელწოდებები მიიღეს: თბილისის გუბერნიაში: ალექსანდერსდორფმა - ალექსანდროვსკოე, პეტერსდორფმა - პეტროვსკოე, მარიენფელდმა - მარინო, ფრაინდენტალმა - ვესიოლოე, ელიზავეტალმა - ასურეთი, ეკატერინენფელდმა - ეკატერინოვკა და ა.შ.

1915 წლის ნოემბრიდან კოლონისტებზე თვალყურის სადევნებლად დაინიშნენ სახელმწიფო მამასახლისები, მწერლები და „სტრაჟნიკები" (მანჯგალაძე გ. 1970:304-305)

პარალელურად მთავრობამ დაიწყო გერმანული მიწათმფლობელობის ჯერ შეზღუდვა, შემდეგ კი ლიკვიდაციაც. ომის მანძილზე რამოდენიმეჯერ შეიცვალა და სულ უფრო გამკაცრდა გერმანული მიწათმფლობელობის სისტემა: 1910 წელს დაიწყეს მიწათმფლობელობის შეზღუდვის შესახებ კანონზე მუშაობა, მაგრამ მთავრობაში გერმანელთა სიმრავლის და გერმანოფილური განწყობის გამო კანონპროექტი რამოდენიმეჯერ ჩავარდა. მხოლოდ ომის დაწყების შემდეგ 1915 წლის 2 თებერვალს გამოიცა კანონი გერმანული წარმოშობის პირთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის შესახებ. იგი ეხებოდა დასავლეთ საზღვრებთან განლაგებულ რაიონებს 100-150 კილომეტრიან ზოლში. 1915 წლის დეკემბრიდან კანონი უკვე მთელი რუსეთის იმპერიაზე, მათ შორის კავკასიაზეც გავრცელდა.

აღნიშნული კანონით გერმანელები იყოფოდნენ სამ კატეგორიად: 1. გერმანიის ქვეშევრდომები; 2. რუსეთის ქვეშევრდომები, რომელთაც ეს ქვეშევრდომობა მიიღეს 1880 წლის 1 იანვრის შემდეგ; 3. რუსეთის ქვეშევრდომები, რომელთაც ეს ქვეშევრდომობა მიიღეს 1880 წლის 1 იანვრამდე. პირველ კატეგორიას ეკრძალებოდა უძრავი ქონების და მიწების შეძენა, როგორც ქალაქად, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ უძრავი ქონება ქალაქად, მაგრამ ქალქგარეთ უნდა გაესხვისებინათ 6 თვის განმავლობაში. ისინი ინარჩუნებდნენ ცხოვრების, ვაჭრობის და სხვა საქმიანობის უფლებას.

მეორე კატეგორიას ეკრძალებოდა შეეძინა უძრავი ქონება მომავალში, არსებულის შენარჩუნება შეეძლოთ როგორც ქალაქად, ისე ქალაქ გარეთ, ხოლო მიწები უნდა გაესხვისებინათ 10-16 თვის ვადაში. მესამე კატეგორიას 2 თებერვლის კანონი საერთოდ არ შეხებია. თუმცა 13 დეკემბრის კანონმა ყველა კატეგორია გაათანაბრა და უკვე მათაც უნდა გაესხვისებინათ როგორც საკუთარი, ისე სახელმწიფო ნადელები (მანჯგალაძე გ. 1970:312). თუ

გასხვისება არ მოხდებოდა ნებაყოფილობით, მფლობელებს მიწები ჩამოერთმეოდათ და გაიყიდებოდა საჯარო, აუქციონის წესით. გარდა გერმანელებისა, გასხვისებას ექვემდებარებოდა ავსტრიული, უნგრული და თურქული წარმოშობის პირთა ქონებაც, თუმცა ჩვენს მიერ მოკვლეულ დოკუმენტებში, სიებში მხოლოდ ავსტრიული და გერმანული გვარებია ჩამოთვლილი (ასსცსსა, ფ. 224, ს. 2, ფურც. 14 - 19).

მიწების ჩამორთმევის პროცესი საკმაოდ გაჭიანურდა. მუდმივი მოლოდინის რეჟიმში მყოფი გერმანელები მიწებს არ ამუშავებდნენ, რაც ფრონტზე სურსათის დეფიციტს აძლიერებდა. ამიტომაც მთავრობამ გამოსცა ბრძანება, ვინც ხვნა-თესვას გააგრძელებდა, მას მიწას შეუნარჩუნებდნენ 2 წლით. კავკასიის გერმანელებმა მსგავსი ნებართვა ითხოვეს იმ მიწებზე, სადაც ვენახები ჰქონდათ გაშენებული. ფორმალური უარის მიუხედავად, მათ ეს მიწები მაინც არ ჩამოერთვათ.

გერმანელებთან მიმართებაში ყველაზე რადიკალური ზომა იყო რუსეთის იმპერიის მოსაზღვრე რეგიონებიდან გერმანელების გასახლება ქვეყნის შიდა გუბერნიებში ომის დამთავრებამდე. მთავრობის მხრიდან ასეთი სახის რეპრესიებზე გერმანელებს განსხვავებული რეაქცია ჰქონდათ: ზოგი ცდილობდა ყველანაირად დაემტკიცებინათ თავისი ერთგულება მთავრობისადმი და თავიდან აეცილებინათ ისეთი მოქმედება, რომელიც ეჭვს შეიტანდა სახელმწიფოსადმი მათ ლოიალობაში. ომის დაწყებისთანავე კოლონისტებმა სამხედრო უწყებას გადასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია ცხენების და ფურგონების რაოდენობის შესახებ, სამხედროვალდებულნი დროულად გამოცხადდნენ გასაწვევ პუნქტებში. დაიწყეს ფულის შეგროვება წითელი ჯვრისთვის (მანჯგალაძე გ. 1970:307). ზოგიერთი ფრონტზე მიდიოდა საომრად, ზოგი კი იმისათვის, რომ ტყვედ ჩაბარებულიყო და ასე აეცილებინა თავიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. ზოგიც ერთიანდებოდა ჯაშუშურ ან რევოლუციურ ორგანიზაციებში და იბრძოდა არსებული წყობისა და პოლიტიკის წინააღმდეგ.

საინტერესოა, რომ მთავრობისადმი ერთგულების დამტკიცებისთვის გერმანელები ერთმანეთის დასმენასაც არ თაკილობდნენ. ასე მაგალითად, ერთერთი გერმანელი, მოიხსენიებს რა თავის თავს „ინტელიგენტ ლუთერანად“ 1916 წლის 12 სექტემბრის წერილში ჟანდარმერიას ატყობინებს, რომ რუსეთის იმპერიის მასშტაბით არსებობს საკმაოდ დიდი ფარული გერმანული ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს „გერმანული მოძალეობის“ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას; წევრები საკმაოდ დიდ თანხებს სწირავენ ამ საქმეს; მიზნის მისაღწევად მიმართავენ ისეთ ხერხებს, როგორიცაა პრესის მოსყიდვა, ზემოქმედება რუსეთის დუმაზე, ბროშურების გავრცელება და სხვა. მათ ხელმძღვანელობას უწევს პროფესორი, ვინმე ლინდემანი მოსკოვიდან. ორგანიზაციის მიზანია გერმანული მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის კანონის გაუქმება (ასსცსა, ფ. ი-1, ა.1 , ს. 756, ფურც. 20,21).

1916 წლიდან ბათუმის ოლქიდან და შავი ზღვისპირა ზოლიდან გერმანული და ავსტრიული წარმოშობის მოქალაქეების გასახლებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. საარქივო მასალებიდან იკვეთება ამ პროცესის ზოგიერთი უცნობი დეტალი, მაგალითად: ზღვისპირა ზოლიდან გასახლებას ექვემდებარებოდა გერმანული წარმოშობის როგორც გერმანიის, ასევე რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ყველა პირი (ასსცსა, ფ. ი-1, ან.1, ს. 756, ფურც. 2). მხარის გუბერნატორს საცხოვრებლად დატოვება შეეძლო მხოლოდ ასაკია-

ნი, ავადმყოფი ან ისეთი პირის, ვისი სანდოობა არ იწვევდა არავითარ ეჭვს (ასსცსა, ფ. ი-1, ან.1, ს. 756, ფურც. 4). გარდა ეთნიკური წარმომავლობისა, გასახლების მიზეზი იყო: საომარი მოქმედებების შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება, იმპერატორის უხეშად ან აუგად ხსენება, ჯაშუშობაში ეჭვმიტანილთან ახლო ურთიერთობა, რუსული ენის არცოდნა, რუსის შეურაცხყოფა და სხვა (ასსცსა, ფ. ი-1, ან.1, ს. 756, ფურც. 8,9)

თუმცა, მხოლოდ გერმანული გვარიც საკმარისი მიზეზი იყო ოლქიდან გაძევებისთვის: გასასახლებელთა სიაში ყურადღებას იქცევს ბათუმის ოლქში, სმეკალოვკაში (დღევანდელი ფიჭვნარი) მცხოვრები კარლ გრინუპის ისტორია. ამიერკავკასიის რკინიგზის 78 წლის ყოფილი მემანქანე, რუსეთის ქვეშევრდომი იყო. ის რიგაში იყო დაბადებული და რუსეთის იმპერიის ფარგლები არასოდეს დაუტოვებია. 36 წლის მანძილზე ამიერკავკასიის რკინიგზაზე მსახურობდა. ავადმყოფობის და ასაკის გამო სამსახურიდან დაეთხოვა და სმეკალოვკიდან გაუსვლელად კარმიდამოს უვლიდა. საკარმიდამო მოიცავდა მცირე მიწის ნაკვეთს, რამოდენიმე შენობასა და ერთ ცხენს. სიაში გადასახლების მიზეზად არაფერი იყო მითითებული. კავკასიის მთავარმმართებლისადმი გრინუპის მეუღლისგან მიწერილი თხოვნის წერილიდან ირკვევა, რომ „თავისი სამშობლოს - რუსეთის ერთგულმა ვერ გადაიტანა გადასახლების შესახებ ცნობა და ნერვიულობისგან მესამე დღეს გულის შეტევით გარდაცვლილა.

გარდაცვალების შემდეგ კ. გრინუპს დარჩა ცხრა წლის შვილი და ავადმყოფი და უმუშევარი მეუღლე სოფია გრინუპი, რომელიც ასევე იყო გასასახლებელთა სიაში. ხელისუფლებისადმი წერილში იგი ითხოვდა მის და მისი შვილის დატოვებას სმეკალოვკაში. როგორც ირკვევა, სოფია და მისი ვაჟი ოლქში დატოვეს, მაგრამ გააფრთხილეს, რომ უმნიშვნელო დარღვევაც კი მათთვის საბედისწერო იქნებოდა (ასსცსა, ფ. ი-1, ს.756, ფურც. 56).

მეორე საინტერესო შემთხვევა ეხება ქვარცხანის (ართვინის მხარე) სპილენძის ქარხანას, რომელიც სიმენსის მემკვიდრეებს ეკუთვნოდა. ომის პირობებში სამთო მრეწველობა კავკასიაში დიდ კრიზისს განიცდიდა. ყველა ქარხანა ფრონტის საჭიროებებზე იყო გადაწყობილი, თანაც სპეციალისტების დეფიციტი იგრძნობოდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონში საქარხნო და სამრეწველო საქმე ძირითადად გერმანელების მიერ იყო აწყობილი. მაგალითად, 1916 წლის დეკემბრისთვის ქვარცხანის ქარხნის მმართველობაში და საკვანძო პოზიციებზე რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვისთვის მომუშავე ქარხნის წარმოების მოცულობა თვიდან თვემდე იზრდებოდა, რაც ტექნიკური პერსონალის კეთილსინდისიერებას მოწმობდა, ყველა გერმანული გვარი არასანდო პირთა სიაში აღმოჩნდა. სამთო განყოფილების საქმეთა მწარმოებელი ბათუმის ოლქის სახედრო გუბერნატორს სთხოვდა, რომ ამ პირთა გასახლება შეეცვალა მათზე თვალთვალის დაწესებით, რადგან ამდენი სპეციალისტის ერთდროულად დაკარგვის შემთხვევაში ქარხანა გაჩერდებოდა (ასსცსა, ი-1, ს. 756, ფურც. 31, 32). თუ რა გაგრძელება ჰქონდა ამ ისტორიას, სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცნობია.

1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქვეყნის სათავეში მოსული სოციალ-დემოკრატები დასაყრდენს გერმანიის მხარდაჭერაში ხედავდნენ. 1918 წლის მაისიდან ნოემბრამდე საქართველოში გერმანუ-

ლი ჯარიც კი იდგა. ქვეყანაში მცხოვრებმა გერმანელებმა იგრძნეს შვება. მათ ახალი მთავრობისგან მიიღეს გარანტიები, რომ მათ წინააღმდეგ ომის დროს მიღებული კანონები გაუქმდებოდა. I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების და კავკასიიდან გერმანიის ჯარების გაყვანის მიუხედავად, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ქართველი გერმანელებისადმი მაქსიმალურ ლოიალობას იჩენდა. 1919 წლის ივნისში მათ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს საქართველოში გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლების და ლუთერანული სამრევლოს შექმნის 100 წლისთავი (მანჯგალაძე გ. 1970:343). თუმცა ეს ხანმოკლე შვება იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 30-40-იან წლებში საქართველოში მცხოვრები გერმანელების მიმართ რეპრესიებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. გადასახლებას გადარჩენილები კი იძულებულნი იყვნენ სრულად გაეწყვიტათ კონტაქტი ისტორიულ სამშობლოსთან, დაემალათ საკუთარი ეროვნება და შეეცვალათ გვარები.

### *გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:*


1. ასსცსსა, ფ. 224, საქ. 2.
2. ასსცსსა, ფ. ი-1, საქ. 516, ფ. ი-1, ს. 756;
3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ბათ., 2008.
4. გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, სადისერტ. ნაშრომი, თბ., 1970;
5. T. kvirkvelia, germanleTa dasaxleba TbilisSi, literatura da xelovneba, Tb. 1995;
6. О. Курило, Лютеране в России XVI-XX вв., Минск 2002;
7. Т. Гумбатова, Жизнь Немецких колонистов за Кавказом, Баку 2005.
8. Аугст, Немцы в Грузии, http://www.pmmg.org.ge/home.php?option=communities&lang=ru



*Tatiana Kopaleishvili*


### *The First World War and German's question in Georgia*


In the 19-th century Germans had quit large diaspora and great impact on many areas of the social life in Georgia. Based on the archive documents author tells us, how dramatically has changed the situation when Georgia, as a part of a Tsarist Russia got involved in the First World War.

*რამაზ სურმანიძე*

## აზიზიეს მეჩეთის აგების და ბათუმის ცენტრალური მოედნის სახელდების დათარიღებისათვის

ბოლო წლებში, ბათუმის ტურისტულ-საკურორტო მნიშვნელობის ზრდის კვალობაზე, განსაკუთრებული შინაარსი შეიძინეს ქალაქის ისტორიულმა ძეგლებმა და ადგილებმა. სტუმრების ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ამჟამად შემორჩენილი ძეგლები, არამედ კულტურის ის ძეგლებიც, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პოლიტიკურ ვითარებას შეეწირა და ამჟამად მხოლოდ მათი ფოტოსურათებიღა შემოგვრჩა (აზიზიეს მეჩეთი, ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი, ბათუმის საკრებულო, ბათუმის საბაჟო, სასტუმროები „ბელ-ვიუ" და „იმპერიალი" და სხვა). აღნიშნული არქიტექტურული ნაგებობანი ძველი ბათუმის საერთო არქიტექტურაში იყო წარმოდგენილი და ქალაქის დაუვიწყარ სახეს ქმნიდა.

დაინტერესებული პირებისათვის პირველ რიგში ამ ძეგლების აშენების თარიღი იქცევს ყურადღებას. რიგითი ბათუმელებისათვის ზოგი მათგანის ხნოვანება უცნობია, მეცნიერები კი ეყრდნობიან თავის წინამორბედებს და ამ თარიღებს სიფრთხილით ეკიდებიან.

ასეთ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება ბათუმის აზიზიეს მეჩეთი, რომელსაც ქალაქის ისტორიის არაერთი მკვლევარი ეხება, მაგრამ მისი აგების თარიღს სხვადასხვაგვარად გვაწვდიან.

პირველი, ვინც აზიზიეს მეჩეთის აგებას შეეხო, იყო პროფესიით იურისტი, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის მომსწრე და მისი პერიპეტიების, აგრეთვე ბათუმის ისტორიის საკმაოდ ობიექტური მკვლევარი ა.ს. ფრენკელი. მისი თქმით: „ბათუმის სამი მეჩეთიდან მხოლოდ ერთსა აქვს რიგიანი სახე. ესაა ქვის ფართო შენობა, რომელიც სულთან აბდულ-მეჯიდის დედამ ოსმალეთის არმიისათვის ააგო" (**Френкель А.**. 1879: 62).

როგორც დავინახეთ, ავტორი მეჩეთის აგების მიზეზს გვთავაზობს, მაგრამ თარიღს არ ასახელებს.

ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ეხება ბათუმის მეჩეთის უძრავ ქონებას და წერს, რომ მსხვილ ვაყუფთა რიცხვში აღმოჩნდა თვით ქალაქ ბათუმის მთელი უბანი, სახელდობრ აზიზიე, რომელიც 1861 წელს სულთანმა აბდულ-აზიზმა ვაყუფად გადააქცია იმავე კვარტალში აგებული მისივე სახელობის მეჩეთის სასარგებლოდ. (**ახვლედიანი ხ,** 1944:92). დ. ბაქრაძეც არ მიუთითებს აზიზიეს მეჩეთის აშენების ზუსტ თარიღს, მაგრამ მას 1861 წლამდე აშენებულად თვლის.

რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანი ტ. ტ. სტეპანოვი მეჩეთის აგების თარიღზე უფრო შორს მიდის. „ბათუმში მუსლიმანებს აქვთ მხოლოდ ერთი მეჩეთი აზიზიე, რომელიც თავისი არსებობის არაერთ ასეულ წელს ითვლის, როგორც ამბობენ, აშენდა სულთან აბდულ-მეჯიდის დედის მიერ აქ განლაგებული ჯარისათვის" (**Стефанов Т.**, 1906:106).

აქ აშკარა შეუსაბამობასა და უცოდინარობასთან გვაქვს საქმე; ავტორს რომ სცოდნოდა როდის ცხოვრობდა აბდულ-მეჯიდის დედა, ასეთ უხეშ შეცდომას არ დაუშვებდა. თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ტ. სტეპანოვიც აზიზიეს მეჩეთის აშენებას სულთანის დედას უკავშირებს.

ისტორიკოს ამირან ავალიანს თავის წიგნში ვრცლად მოაქვს ტრაპიზონის ვილაიეთის ვალის ესედ მეჰმედ-ემინ მუხლის-ფაშას 1863 წლის ფირმანი, სადაც ნათქვამია, რომ ბათუმში ახალი ქუჩების გასაშენებლად გამოიყოს 60 000 კვ. არშინი მიწის ნაკვეთი, საიდანაც ყველა მიმართულებით გაიყვანენ ქუჩებს და ამის მიხედვით ქალაქი დაიყოფა უბნებად. შუა ადგილას კი აშენდება სულთნის სახელობის მეჩეთი. ამ ცნობაზე დაყრდნობით ა. ავალიანი თვლის, რომ საუბარია აზიზიეს მეჩეთზე, რომელიც სწორედ მაშინ (ე.ი. 1863 წ.) აშენდა, როცა ეს საბუთი გაფორმდაო (**ავალიანი ა.,** 1960:98, 99). ჩვენი აზრით, ეს სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. ამ დროისათვის აზიზიეს მეჩეთი უკვე მოქმედებდა (იხ. დ. ბაქრაძის ჩანაწერი). ფირმანში კი საუბარია ქალაქის ახალ დაგეგმარებასა და სხვა მეჩეთის აშენებაზე.

აზიზიეს მეჩეთი მოხსენიებულია ნ. მ. დაკიშევიჩის ბროშურაშიც. ავტორი თვლის რომ „ბათუმის ერთ-ერთ უბანს სახელად დაერქვა აზიზიე; აქ მდებარეობს მეჩეთი, რომელიც 1868 წელს ააშენა ვალიდე სულთან ხანუმმა თავისი შვილის სულთან აბდულ-აზიზის სახელზე" (**Дакишевич Н.,**1890:2). აქაც აშკარა შეუსაბამობაა. ეს 1868 წელს ვერ მოხდებოდა, რადგანაც ამ დროს ვალიდე-სულთანი 15 წლის წინ გარდაცვლილი იყო.

პროფ. თ. კომახიძე აზიზიეს მეჩეთის შესახებ წერს: „თურქეთის სულთნის აბდულ-მეჯიდის დედას (წარმოშობით ქართველს) შვილის პატივსაცემად, ახლანდელი თავისუფლების მოედანის მიმდებარე ტერიტორიაზე აუშენებია დიდი ჯამე (1839-1861 წწ), რომლისთვისაც აზიზიეს სახელი უწოდებია. მის გვერდზე განლაგებული მოედანიც აზიზიეს სახელს ატარებდა" (**კომახიძე თ.,** 1998:27).

სამწუხაროდ ავტორი არ მიუთითებს წყაროს, თუმცა მისი ნათქვამი სინამდვილესთან ახლოსაა.

მოტანილი ციტატებიდან დავრწმუნდით, რომ ავტორთა უმრავლესობა ბათუმში აზიზიეს მეჩეთს სულთან აბდულ-მეჯიდის დედის ვალიდე სულთნის სახელს მიაწერს და თვლის, რომ იგი მან შვილის აბდულ-აზიზის სახელზე ააშენაო.

ეს მოსაზრება იმდენად დამკვიდრებულია, რომ მის სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ახლა დასადგენია, როდის და რასთან დაკავშირებით ააშენებდა ვალიდე სულთანი ბათუმში მეჩეთს. ამისათვის საჭიროა გავარკვიოთ მისი ცხოვრების წლები, ბიოგრაფია და ის პოლიტიკური სიტუაცია, რომლის დროსაც ეს ქალბატონი ცხოვრობდა.

6. Воденичаров, 2002: П. Воденичаров, Любов и брак в комунистическото общество. В: К. Попова, П. Воденичаров, Сн. Димитрова, Жените и мъжете в миналото, Благоевград
7. Воденичаров, 2002: П. Воденичаров, Любов и брак в комунистическото общество. В: К. Попова, П. Воденичаров, Сн. Димитрова, Жените и мъжете в миналото, Благоевград
8. Дичев, 2011: Ив. Дичев, Поп социализъм и поп култура, www. librev. com

9. Крайски, 2004: Ева Крайски „Мъжкото управлява света” – Мъже, видове мъжествености, мъжки светове. В: Категориите мъжественост – женственост. Трансформации на един политически концепт, Юта Зомербауер /съст./, Велико Търново
10. Трендафилов, 2011: Вл. Трендафилов, Българският канон през жълтото,www. librev. com



*პიერ ვოდენიჩაროვი*


### *ქალურობა და მამაკაცურობა ბულგარეთის კულტურასა და პრესაში*
### რეზიუმე


სტატიაში საუბარია კულტურასა და პრესაში ქალისა და მამაკაცის როლის შესახებ, გაანალიზებულია არდნერის შეხედულებები ქალის ძალაუფლებასთან დაკავშირებით. განხილულია ძველ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები ქალის ძალაუფლების. ქცევისა და სპეციფიკური თავისებურების შესახებ.

*მალხაზ ჩოხარაძე*

# ახალი ცნობები „ძეგლის" ლოკალიზაციისთვის

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვლევართათვის იმთავითვე იყო ცნობილი ჟამთააღმწერლის ერთი ცნობა, რომელიც XIII საუკუნის II ნახევარში მონღოლთა ლაშქრობის ტრაგიკულ ისტორიას აღწერს. ეს ცნობა უხსენებიათ ან განუხილავთ ჯერ კიდევ დ. ბაქრაძეს და გ. ყაზბეგს (ყაზბეგი სწორედ ბაქრაძის სტატიას („კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში") იმოწმებს ზემოხსენებულ ლაშქრობაზე საუბრისას) (ყაზბეგი, 1995:102); უფრო გვიან – პ. ინგოროყვასა და ლ. მენაბდეს (მენაბდე, 1962:391); უკანასკნელ პერიოდში ჟამთააღმწერლის ცნობას ყურადღება მიაპყრეს დავით ხოშტარიამ (ხოშტარია, 2005:207) და მამია ფაღავამ (ფაღავა, 2007:147).

ილხან აბაღასა და ჩრდილოელ უფლისწულ თეგუდარს შორის ამტყდარმა ომებმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს. თეგუდარის მრავალრიცხოვანი ურდო დედაწულითა და ჯოგით სამხრეთის ილხანმა აბაღამ ისტუმრა. „უჩინა ზაფხულის სადგურად ვიდრემდე მთანი არარატისანი და საზამთროდ რახსის პირი და ნახჭევანი". საიდუმლო გეგმის მიხედვით, შუა აზიის ყაენ ბარახასა და თედუგარის ლაშქარი უნდა შეერთებულიყო და აბაღას თავს დასხმოდნენ. თეგუდარი საქართველოზე გავლით დარუბანდის გზით ფიქრობდა ბარახასთან შეერთებას. ამის გამო ის თავისი „ბარგით, დედაწულით" და ლაშქრით გამოემართა საქართველოსკენ და აქ სამხრეთ-დასავლეთის გზით შემოვიდა: „მომართა მთათა ღადოსათა, კარჩხალთა და კარისათა, რომელ არს შავშეთსა და აჭარას და დადგა მთასა შავშეთისასა ფიჭვთას". (ნარკვევები 1979: 579)

ესც ტიპიური ამბავია ჩვენი ქვეყნისათვის – ახლაც დევების ომში იჭყლიტებოდა საქართველო...

ვიდრე მსჯელობას გავაგრძელებდე, ერთი რამ უნდა შევნიშნო კიდევ: კლარჯეთში არაერთმა ადგილობრივმა გვიამბო, კარჩხალას ხეობაში წინათ ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდაო (კარჩხალას ხეობაშია სწორედ ხანძთა, მიძნაძორო, წყაროსთავი, მერე): ჩამლიქში თხას რომ შესვამდნენ სახლის სახურავზე და ხეობის ბოლომდე ისე ჩამობაკუნდებოდა, მიწაზე ფეხს არ დაადგამდა, სახურავებზე გადმოივლიდაო. **„ჩამ" (çam)** თურქულად ფიჭვია, შესაბამისად, **„ჩამლიკ" (çamlık)** – ფიჭვნარი. მაშასადამე, სულაც არაა გამორიცხული, რომ თეგუდარი სწორედ ზემოხსენებულ ჩამლიქში დაბანაკდა **(ფიჭვთას!)**. ქართული ტოპონიმების თურქულად თარგმნა და საუკუნეთა განმავლობაში ასე დამკვიდრება ჩვეულებრივი მოვლენაა თურქეთის საქართველოში.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს ერთი სასწაულის შესახებ, თეგუდარის ლაშქარს რომ უკავშირდება. მონღოლმა გაიგო, რომ ოპიზა, „უპირველესი ათორმეტ უდაბნოთა შორის" იყო „საღმრთოთა კრებულითა აღსავსე იგი საყოფი ნათლისმცემლისა". ესმა რა „სიდიდე უდაბნოსა ოპიზისა და შემკობა მისი პატიოსანთა ხატითა და კანდელთა მიერ აღსავსეობა", გამოაგზავნა ათასი მხედარი მის მოსაოხრებლად. ლაშქარი კარჩხლის გზით წავიდა. იოანე ნათლისმცემელმა, რომლის სახელობისაც იყო ოპიზა, „დაიცვა მისი სამყოფი" „და მოუვლინა ნისლი და სიბნელე, და ვერღარა ვიდოდეს ფერხითა საძაგელითა, რამეთუ მიახლებულ იყვნეს უდაბნოსა და დადგეს

მთის მის ძირსა, რომელსა ეწოდების ძეგლი, რომელსა ზედა შენ არს ეკ-ლესია წმიდისა გიორგისი, რომელ არს [შორის] ოპიზას და მიძნაძორისა" მაშინ იოანე ნათლისმცემელმა „მოავლინა ქარი სასტიკი მთისა ღადოსა და ხოშკაკალა სეტყუა და წვიმა მძაფრი და იქმნა მდინარეზე დიდი, რომელიც გასწორდა ვითარცა წუერამდე ძეგლისა, რომელი აწცა იხილვების დიდი იგი ნაღუარევი, რომელიც შთავალს მართლ ზედა-ზედა წყალსა შავშურსა" ...ყველა თათარი დაიღუპა გარდა ერთისა, რომელიც თეგუდართან გაიქცა ამბის მისატანად (ქართლის...1959: 257).

დ. ხოშტარია განიხილავს რა ზემოხსენებულ ეპიზოდს, დასაშვებად მიიჩნევს მატიანეში ნახსენები ძეგლის წმიდა გიორგის ეკლესიის იდენტი-ფიკაციას ნუკასაყდართან და შესაბამისად (რაკიღა ჟამთააღმწერელი არ ახსენებს ხანძთას), ხანძთასთან ნუკას გაიგივებასაც მიზანშეუწონლად თვლის: "ადგილის ამგვარი განსაზღვრება – მთაზე, ოპიზასა და მიძნაძორს შორის – მიესადაგება ხანძთის მონასტერსა (ავტორი აქ უთუოდ ქვემო ფორთის სავანეს გულისხმობს – მ.ჩ.) და ნუკა-საყდარს, ამასთან ხანძთა სწორედ წმ. გიორგის სახელობისაა. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ჟამთაღმწერელს სახელგანთქმული სავანე მთის სახელწოდებით მოეხსენიე-ბინა და არა ხანძთად. გარკვეულ მითითებას შეიცავს თვით ტოპონიმიც: სიტყვა „ძეგლის" ერთ-ერთი მნიშვნელობა ძველ ქართულში არის სვეტი (შეადარე ოშკურ ბიბლიაში: „და მიიხილა ცოლმან ლოთისმან მართლუკუნ და იქმნა იგი ძეგლ მარილის" /შესაქმისა, 19;26/). მართლაც, სტალაგმიტი-ვით აღმართული კლდე, რომელზეც დგას ნუკა-საყდარი, კოლოსალურ ბუ-ნებრივ, სვეტს წააგავს და სავსებით ბუნებრივია, რომ მას „ძეგლი" შერქმე-ოდა. ამდენად, მგონია, რომ ძეგლის წმ. გიორგი სწორედ გვიანდელი ნუკა-საყდარი უნდა იყოს." (ხოშტარია 2005: 207)

ვისაც კარჩხალას ხეობა, ფორთისა და ოპიზის მიდამოები დაუვლია, დამეთანხმება, რომ ჟამთააღმწერლის „ძეგლის" ნუკა-საყდართან დაკავში-რების მცდელობა არაა ლოგიკას მოკლებული. ფორთის ზიარეთის ნახვამ-დე ეს ვარაუდი დასაშვებად მიგვაჩნდა, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ მწი-რი ინფორმაცია ეჭვის საფუძველსაც ქმნიდა და იმთავითვე შევნიშნავდით: „ერთმნიშვნელოვანი და უეჭველი დასკვნის გაკეთება დღეს დიახაც ძნელია – თუ შეუძლებელი არა. ვინ იცის, ძეგლის მთაზე იქნებ სხვა ეკლესიაც იყო, რომელიც წყალდიდობამ დაანგრია – წყალი მთის წვერს უსწორდებო-დაო, ასე აღნიშნავს აბობოქრებული სტიქიის მასშტაბს მემატიანე. XIII საუ-კუნეში დანგრეულ შენობათა კვალის ნახვა დღეს გაძნელდება: განა საქარ-თველოში ცოტა რამ წარიხოცა პირისგან მიწისა ჟამთა ავბედობის გამო?" (ჩოხარაძე 2010)

ის, რომ სხვა თემებთან ერთად ძეგლის, როგორც ტოპონიმის შესახებ უნდა მოგვეკითხა ათორმეტ სავანეთა მხარეში, თავიდანვე ჩავინიშნეთ 2010 წლის ექსპედიციის მოსამზადებელ ეტაპზე. წარმატების იმედი მაინცადამა-ინც არ გვქონია და უთუოდ ბედმა გაგვიღიმა, როცა ფორთაში გადავეყა-რეთ ენაწყლიან მოხუცს, ილიას ოქურს, რომელმაც „ძეგლის" არსებობა თანამედროვე ფორთაშიც დაგვიდასტურა. როცა მას ვითომც სხვათა შორის ვკითხეთ, ძეგლი სად არისო, პასუხი ჩვენთვის იყო მოულოდნელი, თორემ ბერიკაცმა ხელი მთისკენ გაიშვირე და მშვიდად მიგვითითა მწვერვალისკენ – აი ძეგლიო.

ილიას ოქურისა თუ სხვა ადგილობრივთა მონათხრობი დიახაც შთამბეჭდავი იყო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წინ გველოდა: ძეგლზე ასვლა მხოლოდ 2011 წლის ზაფხულში მოვახერხეთ ეკლესიის ნაშთებიც მაშინ ვნახეთ (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა: მამია ფაღავამ, ზაზა შაშიკაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა): მატიანის მიერ აღწერილმა ამბავმა ხორცი შეისხა და გაიბა იდუმალი ძაფი წარსულთან...

ძეგლი ფორთის თავზეა. შავშეთის გზატკეცილიდან ფირნალის გზაზე თუ აუხვევ, ასახვევიდან ძეგლამდე 22 კილომეტრია. ზემო ფორთასთან მისვლამდე მარჯვნივ უნდა მიჰყვე გზას და ახვიდე ფორთის იაილამდე. მას „ზიარეთი იაილას" უწოდებენ, რაც მოსალოდნელიცაა, იმიტომ რომ ძეგლი ზიარეთია და იგი იაილიდან ნახევარ კილომეტრზე მდებარეობს.

სამანქანე გზა თითქმის ზედ ძეგლამდე მიდის. ეს არის მცირე მინდორი, საიდანაც ოთხივე მხრით გაშლილია სივრცე. ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივთა მეხსიერებაში შემორჩენილი თქმულებები აქაურობას უკავშირებს წმინდა კაცების, ბრძოლის, მეწყრის... ისტორიებს მეტი სიზუსტისთვის მოვიყვან ფრაგმენტებს ფორთელების ნაამბობიდან: მათი რწმენით უხსოვარ დროში ამ მიდამოებში ხეზრეთი ალი მოსულა. მას ბერთის მხრიდან გადმოუვლია და თან ორი წმიდა კაცი (შეიდი) ხლებია. მხლებლები ძეგლად წოდებულ ადგილას, გამოქვაბულში დაუტოვებია, თავად სადღაც წასულა და როცა დაბრუნებულა, ორივე დახოცილი, დაკლული დახვედრია. იქვე დაუსაფლავებია. მაშასადამე, ძეგლზე ხეზრეთიალის მხლებელი ორივე მუსლიმანის, ორი შეიდის სასაფლაოა. ამიტომაა, აქ ზიარეთი. ხალხი ამ ზიარეთზე არტანუჯიდან, ტრაპიზონიდან, აქჩააბადიდან ჩამოდიოდა.

ფორთელები მოგვითხრობდნენ „თამარა დედოფლის", ქართველთა გამუსლიმანების და გადარჩენის და სხვათა შესახებაც, ამ ისტორიებში ჩანს ჩვენი ქვეყნის წარსულის ტრაგიკული ნაფლეთები. ისიც ფაქტია, რომ ადგილობრივთა ცნობიერებაში დალექილი და ხშირად უთავბოლოდ არეულ-დარეული ინფორმაციის ფრაგმენტები, სხვადასხვა ისტორიული ეპოქის და წინაპართა ზეპირსიტყვიერი თქმულება-გადმოცემების თავისებური გამოძახილია. ისინი თავისი მოულოდნელი, ლოგიკას და ისტორიულ საფუძველს მოკლებული ინტერპრეტაციებით მრავალმხრივი განზოგადების და დასკვნების საშუალებას იძლევა.

შეიდების საფლავები ჩვენც ვნახეთ. ვიჩქარებ, დავაზუსტო, რომ ძეგლის ზიარეთზე წმიდა კაცების ასე თუ ისე მოვლილი და განახლებული საფლავების უკან პატარა ეკლესიის ნაშთებია. კედლები თუმცა ჩამოშლილია, მაგრამ ალაგ-ალაგ 2, 2,5 მეტრამდეა შემორჩენილი ქვების წყობა. ეკლესია დიდი არ უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 35-40 კვადრატული მტრი. სხვა ნაგებობათა კვალი (შეიდების საფლავების გარდა), ახლო-მახლო არ ჩანს, თუმცა, ვინ იცის, რამდენი საიდუმლო დაჰფარა მიწამ. ისიც გაუგებარია, რატომ უნდა დაესაფლავებინათ მუსლიმანი წმინდა კაცები ქრისტიანული ეკლესიის წინ, ან როდის იქცა ეს მიდამოები ზიარეთად. ბევრი კითხვა ჩნდება, მაგრამ ამჯერად თავს ვიკავებთ წმიდა კაცების საფლავთა შესახებ ვარაუდების გამოთქმისგან.

ეკლესიის და საფლავების მახლობლად საგანგებოდ აუგიათ ე.წ. დასაძინებელი, ფარდაგით დაფარული ფიცრული საწოლი, რომელიც შემოღობილია და გადახურული.

ძეგლი ზიარეთია-მეთქი და ზიარეთის თემაც ერთობ პოპულარულია სამუსლიმანო საქართველოში. ზიარეთი წმინდა ადგილია. „ზიარეთში წასვლა" წმინდა ადგილების მოლოცვას ნიშნავს. ამ ტრადიციაში შეიძლება აღმოვაჩინოთ, როგორც მუსლიმანური, ასევე ქრისტიანული და წარმართული შრეები. მიუხედავად იმისა, რომ ტაო-კლარჯეთის რომელიმე ზიარეთი შეიძლება ნაეკლესიარზე ან მის მახლობლად იყოს, ასეთი ადგილები თანამედროვე გურჯების შეგნებაში აღარ უკავშირდება ქრისტიანობას. დამკვირვებლისთვის მოულოდნელი ზოგიერთი ფაქტი უფრო ტრადიციის ძალა თუ გაუცნობიერებელი ინერციაა.

ზიარეთში წასვლა იქ დამისთევასაც გულისხმობს. ბევრი მორწმუნე რამდენიმე დღის განმავლობაში რჩება. ზიარეთზე ასულმა უნდა დაიძინოს უთუოდ. ძილში, სიზმარში ეუწყება მლოცველს მოსალოდნელი სიკეთის თუ მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოქმედების შესახებ. აქაურებს სწამთ, რომ ზიარეთის სიწმინდის ძალით უზნეო ზნეს შეიცვლის, უშვილოს შვილი მიეცემა, უგნურს გონება დაუბრუნდება და ა. შ. ამიტომ ზოგჯერ დიდი მანძილის გავლასაც არ ერიდებიან.

წინათ ზიარეთში გურჯები სანთლებსაც ანთებდნენ. ახლა – ნაკლებად, უფრო ზუსტად, აღარ ანთებენ.

ტაო-კლარჯეთში არაერთი ზიარეთია. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და პოპულარული სწორედ ფორთის ზიარეთია.

ზიარეთის ნაეკლესიარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ჯანჯირის იაილაა და საზგირელი, ანუ ის პუნქტები, საიდანაც შავშეთის ერთ-ერთი გზა ეშვება კარჩხალას ხეობისკენ და, გნებავთ, ოპიზისკენ. სამხრეთით, უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით ფორთაა, სამხრეთ-დასავლეთით – ოპიზა. ძეგლიდან ოპიზისკენ სამანქანე გზაც ეშვება. ამ გზით ოპიზამდე მანძილი 11 კილომეტრია. ამდენად, ძეგლზე ასვლა ოპიზის გზითაც შეიძლება. გზები აქაურობისთვის ჩვეულებრივია, გრუნტის, თავისი აღმართ-დაღმართებით, შეძლებისდაგვარად მოვლილი. თუ უამინდობა არაა, გამართულ ავტომობილს მისი დაძლევა არ გაუჭირდება.

ეკლესიის ადგილმდებარეობა, მისი შემოგარენის ამჟამინდელი ფუნქცია, მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ცხადყოფს, რომ იგი თავის დროზე მნიშვნელოვანი სავანე უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს ეკლესია, ძეგლის ზიარეთზე არსებული ნანგრევები არის ნაშთები ჟამთააღმწერლის მიერ ნახსენები წმიდა გიორგის ეკლესიისა.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი წყაროს მონაცემებს და ამჟამინდელ რეალობას:

1. ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ თეგუდარი „დადგა მთასა შავშეთისასა ფიჭვთას". ფიჭვთა-ჩამლიკის გაიგივების მცდელობა (იხ. ზემოთ) საეჭვოდაც რომ მივიჩნიოთ, ისედაც ცხადია, რომ შავშეთიდან ოპიზისკენ ერთ-ერთი გზა ძეგლზე გადის.
2. ჟამთააღმწერლის მიხედვით „ეკლესია წმიდისა გიორგისი" ძეგლის მთაზეა აგებული, მაგრამ არ ჩანს, კერძოდ, სად, მწვერვალზე თუ ფერდობზე, ამასთან, წყაროს მიხედვით, ძეგლი ჰქვია არა მთის კონკრეტულ ადგილს (მაგალითად, „სტალაგმიტივით აღმართულ კლდეს, რომელზედაც დგას ნუკას საყდარი" – დ. ხოშტარია), არამედ თვით მთას.

3. ნუკადან ძეგლამდე გვარიანი მანძილია და უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ნუკას ფერდობი ძეგლის ნაწილი ვერ იქნება.
4. წყაროში აღნიშნულია, რომ წმიდა გიორგის ეკლსია „არს [შორის] ოპიზას და მიძნაძორისა. რომ ნუკა-საყდარიც ოპიზასა და მიძნაძორს შორისაა, ამ უკანასკნელიდან ერთი-ორი კილომეტრის დაშორებით. ძეგლის ნაეკლესიარიც ოპიზასა და მიძნაძორს შორისაა, თითქმის შუაში.
5. რაც მთავარია, სწორედ ოპიზასა და მიძნაძორს შორის დასტურდება ტოპონიმი ძეგლი და ამ ადგილას შემორჩენილია ძველისძველი ეკლესიის ნანგრევები. ეს გარემოება ჟამთააღმწერლისეული ძეგლის წმიდა გიორგის ზიარეთის ნაეკლესიართან გაიგივების სასარგებლოდ მეტყველებს და ეჭვის საფუძველს ნაკლებად ტოვებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე გასაგებია, რატომ არ ახსენა ჟამთააღმწერელმა ხანძთა: როცა მონღოლთა ისტორიას აღწერდა, იგი ნუკა-ქილისეს (ვთქვათ, ხანძთას) კი არ გულისხმობდა, არამედ ძეგლის წმიდა გიორგის ეკლესიას და სავარაუდოდ, სწორედ მისი ნანგრევები, ტოპონიმთან ერთად, დღემდეა შემორჩენილი ფორთის ზიარეთზე.

**ლიტერატურა:**


1. მენაბდე, 1962 – მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, თბილისი, 1962 წ.;
2. ნარკვევები, 1979 – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III, თბ. 1979
3. ფაღავა, 2007 – ფაღავა მ., ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის, ჟურ. მნათობი, 2007 წ. №1.
4. ქართლის ცხოვრება, 1959 – ქართლის ცხოვრება, ტ II, თბილისი, 1959 წ.
5. ყაზბეგი, 1995 – ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995 წ.
6. ჩოხარაძე 2010 – ხანძთა, ძიებანი და მოსაზრებები. გაზეთი „აჭარა" (№/№ 137, 138, 139. ნოემბერი, 2010 წ.)
7. ხოშტარია, 2005 – ხოშტარია დ., კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბილისი, 2005 წ.



***Malkhaz Chokharadze***


***New Information for the Localization of "Dzegli"***

Summary


The memory of modern inhabitants of Klarjeti has preserved the oldest toponyms, ancestors' legends and traditions that are connected with this or that stage of the history of Georgia.

The paper deals with some information of Georgian historical sources which refers to the cloisters mentioned in Grigol Khandztelis life. Some toponyms mentioned in the sources are confirmed even today. This gives possibility to make interesting generalization and conclusion based on the expedition material carried out in Klarjeti in recent years.

*მაია რურუა*

## ვეტერანი არქივისტები

ჩვენი ერის ისტორიის ამსახველი დოკუმენტების დაცვა–გადარჩენა–გამოყენებისათვის ზრუნვა არაერთი დიდი ქართველის სატკივარი და საწუხარი იყო. „ვინ არ იცის. . . რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა წერილები უადგილო ადგილას ყრია აქა – იქ უპატრონოდ, მოუვლელად" – წერდა ილია და მათ თავმოყრა – შენახვა – გამოყენებაზე ზრუნავდა. მათი გადარჩენის სადარაჯოზე ამაყად იდგნენ საარქივო საქმის მოამაგენი. მათ შორის არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებების ამაგდარი არქივისტებიც.

ამჟამად იმ არქივისტებს გავიხსენებთ, რომელთა შრომითი საქმიანობა და მოღვაწეობა ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში მიმდინარეობდა და რომელთაც აჭარაში საარქივო დარგის განვითარებას თავიანთი ცხოვრების შესანიშნავი წლები აჩუქეს. მათ მიერ განვლილი ცხოვრება ნათელი მაგალითია მომავალი თაობებისა და ახალგაზრდა არქივისტებისათვის.

დღეს ისინი თამამად შეიძლება ვაღიაროთ შრომის ვეტერანებად, რადგან ერთსა და იმავე სამსახურში მათ თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარეს. ეს კი უბრალო მოკვდავთათვის არც თუ ისე ცოტა დროა. აი ისინიც: **თალიკო შეყილაძე, ლიანა ვანიძე, გუგული ანდღულაძე, ლილი ოთიაშვილი, გალინა მოსიძე, ნუნუ სკამკოჩაიშვილი, ვლადიმერ მკერვალიშვილი, გრიშა ჩაგანავა, ლენა ზაქარეიშვილი, შოთა გაბრუშიძე, მაყვალა (დოდო) თავაძე, ნანა კუჭაშვილი.**

მკაცრი და მომთხოვნი, ამასთანავე ენერგიული და უღალატო – ასე იცნობდნენ თალიკო შეყილაძეს საარქივო დარგის მუშაკები.



**თალიკო შეყილაძე** დაიბადა 1929 წლის 16 ივლისს ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბათუმს მიაშურა. 1953 წლიდან იგი ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია. მუშაობდა არქივარიუსად, დოკუმენტების სამცენიერო – ტექნიკური დამუშავების ჯგუფის მუშაკად. 1994 წლიდან კი ცენტრალური სახელმწიფო არქივის არქივსაცავის გამგედ.

თალიკო შეყილაძე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა როგორც დოკუმენტების სამეცნიერო – ტექნიკურ დამუშავებას, ასევე სახელმწიფო შენახვაზე შემოტანილი საარქივო საქმეების დაცვა – გამოყენებას. მან კარგად იცოდა, რომ ნებისყოფა, საქმის სიყვარული და ცოდნაა საჭირო, რომ ხელი მოკიდო წლების განმავლობაში ერთად თავმოყრილ ათასობით ქაღალდს, გაარჩიო მათში მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი, გასანადგურებელად გამოსაყოფი, შემდეგ კი ეს ყველაფერი შესაბამისად დაალაგო, შეკრა, აკინძო, გააფორმო და თაობებს შემოუნახო. არც ის უნდა დაივიწყო, რომ ქაღალდის ერთ პატარა, თითქოს უნიშვნელო ნაგლეჯს შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ამ პრინციპითა და პროფესიული ეთიკით იგი 50 წელზე მეტხანს ემსახურა საყვარელ პროფესიას. მისი პირადი საქმე სავსეა მადლობებით. 2000 წლის 12 მაისს საარქივო სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობი-

სათვის და არქივისტის დღესთან დაკავშირებით თალიკო შეყილაძე დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ერთი შეხედვით სუსტი, პატარა, ფაქიზი ქალი, მაგრამ კარგი სპეციალისტი თავისი საქმის, პროფესიონალი, თავდაჯერებული და ურთიერთობაში ზომიერი – ასე იცნობდნენ **ლიანა ვანიძეს** აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.



**ლიანა ალექსანდრეს ასული ვანიძე** დაიბადა 1934 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში, მოსამსახურის ოჯახში. სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ბათუმში ჩამოვიდა.

1960 წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქივის გამგის ლენა ზაქარეიშვილის რეკომენდაციით ლ. ვანიძემ მუშაობა დაიწყო ბათუმის საქალაქო არქივში, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ 1963 წლიდან აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია. მალე იგი ამაღლდა არქივარიუსის თანამდებობიდან ფონდების უფროსი მცველის, შემდეგ კი არქივსაცავის გამგის თანამდებობამდე. 43 წელი ემსახურა ლიანა ვანიძე საარქივო საქმეს. 43 წელი თავს დაჰფოფინებდა დოკუმენტებს. შესაშური სისუფთავე და სიფაქიზე მეფობდა მის არქივსაცავში და თვალს ახარებდა თაროებზე ლამაზად შეკრული და კოხტად დალაგებული საარქივო საქმეების ხილვა. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება, ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საქმეთა შერჩევა, სოციალურ – უფლებრივი ხასიათის საარქივო ცნობების მომზადება და ამავდროულად მკვლევარებისათვის საქმეთა დროული მიწოდება იყო მისი ყოველდღიური საქმიანობა. ამიტომაც ჩაიწერა მის პროფესიულ დახასიათებაში: „შეადგენს რა მის მოვალეობას საარქივო დოკუმენტების დაცვა – შენახვა, იგი პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას". სხვანაირად არც შეეძლო. არქივი იქცა მის მეორე ოჯახად. საარქივო საქმისადმი სიყვარული მის პატარა ოჯახშიც გაიყოლა და თავის ერთას – ინგა ფაცურეიშვილს ჩაუნერგა, რომელმაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ არქივში დაიწყო მუშაობდა და ამჟამად საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე აგრძელებს მუშაობას.

ლ. ვანიძე გეგმიურ დავალებებს ყოველწლიურად წარმატებით ასრულებდა, რის გამოც არაერთხელ გამოუცხადეს მადლობა. საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ლ. ვანიძეს 1978 წელს გადაეცა აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. 2003 წლის 18 აპრილს ლიანა ვანიძის პირად საქმეში დაცულ მადლობებსა და საპატიო სიგელებს საქართველოს პრეზიდენტის მადლობაც დაემატა.

საარქივო საქმის თავდადებული მუშაკი 2010 წელს გარდაიცვალა.



საარქივო საქმის განვითარებაში დიდია **გუგული ანდღულაძის** როლი. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი – 42 წელი ახალგაზრდა არქივისტების პროფესიულ აღზრდა – დაოსტატებას მოახმარა.

**გუგული ამბროსის ასული ანდღულაძე** დაიბადა 1933 წლის 15 მარტს, ოზურგეთის რაიონის სოფელ მელექედურაში. ოზურგეთის პედსასწავლებლის დასრულების შემდეგ (1958 წ.) იგი საც-

ხოვრებლად ბათუმში გადმოვიდა. 1961 წლიდან გუგული ანდღულაძემ თავისი საქმიანობა აჭარის საარქივო დარგის განვითარებას დაუკავშირა. იგი მუშაობდა არქვისტად, უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ – მუშაკად, უფროს არქივისტად, ხელმძღვანელობდა სამეცნიერო – საცნობარო განყოფილებას. ნიჭიერმა და ენერგიულმა ახალგაზრდამ სწრაფად აითვისა საარქივო საქმიანობის სპეციფიკა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნორმატიულ – მეთოდური დოკუმენტების მომზადებაში, ამუშავებდა რეფერატებს. გ. ანდღულაძის აქტიური მონაწილეობით მომზადდა სახელმწიფო დაწესებულებების ცნობარი, გამოქვეყნდა ათეულობით სტატია და წერილი. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით გამოვლინდა და შედგენილი იქნა განსაკუთრებულ საქმეთა ანაწერები, ინსტრუქციები, სამეცნიერო – საცნობარო თვალსაზრისით გაუმჯობესდა ათობით ფონდი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გ. ანდღულაძეს 1977 წელს მიენიჭა აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოვებულია სსრკ მთავარი საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით (1988 წ.). აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1999 წ.). 2002 წელს მისი შრომა და ღვაწლი დაფასდა რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოთი - „ღირსების ორდენით" (რ-1041; აღწ. 6; საქმე 2).

ღვაწლმოსილი არქივისტი გარდაიცვალა 2008 წელს და გაიყოლა თანამშრომელთა სითბო და სიყვარული.



არქივი ისტორიკოსების, მეცნიერ – მუშაკების ბუდეა, მაგრამ ზოგჯერ სხვა პროფესიის ადამიანებსაც დაუტოვებიათ შესამჩნევი კვალი საარქივო საქმის განვითარებაში. მათ შორისაა **ლილი ოთიაშვილი** – დაუღალავი, კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და ავტორიტეტული არქივისტი. მან თავისი საქმიანობა საარქივო დაწესებულებას 1962 წელს დაუკავშირა.

ლ. ოთიაშვილი დაიბადა 1934 წლის 15 თებერვალს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სკოლაში პედაგოგად იწყებს მუშაობას. 1958 წელს ლ. ოთიაშვილი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში. 1962 წელს იგი დაინიშნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს ინსპექტორად. პედაგოგიურმა ალღომ, საქმისადმი მათემატიკური სიზუსტით მიდგომამ, სიფაქიზემ და კეთილშობილებამ იგი საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის საპატიო თანამდებობამდე აამაღლა. ლ. ოთიაშვილი პროფესიონალიზმით, საქმის სიყვარულით, სუფთა სინდისით უმწიკლოდ ემსახურა საარქივო საქმეს მთელი 45 წლის განმავლობაში. მის სამსახურეობრივ დახასიათებაში ვკითხულობთ: ლ. ოთიაშვილი 45 წლის მანძილზე „კეთილსინდისიერად ემსახურება მხარის ისტორიული წარსულისა და აწმყოს ამსახველი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების დოკუმენტების დაცვა – გამოყენების, რესპუბლიკის სამინისტროებში, გაერთიანებებსა და საწარმოებში საარქივო საქმისა და საქმისწარმოების განვითარების საქმეს" (რ-1041; აღწ. 6; საქმე 3; ფურც. 21).

ლ. ოთიაშვილი გასაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რაიონული არქივების მუშაობას და გარკვეული წვლილიც შექონდა რაიონული სახელმწიფო არქივების მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების დახვეწასა და შემდგომ განვითარებაში. სამსახურეობრივ მოვალეობებს ლ. ოთიაშვილი კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების განმავლობაში იგი იყო აჭარის ასსრ სასამართლოს შტატგარეშე ინსტრუქტორი, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე, საარქივო სამმართველოს (შემდგომში დეპარტამენტის) საექსპერტო – შემმოწმებელი კომისიის მდივანი და კოლეგიის წევრი. იგი წარმატებით უძღვებოდა საარქივო დარგის მუშაკთა პროფესიული დაოსტატების მუდმივმოქმედი სემინარის მუშაობას.

ლილი ოთიაშვილი ჩამოყალიბდა, როგორც საარქივო საქმის კარგი სპეციალისტი, პატიოსანი, შრომისმოყვარე, თავმდაბალი მუშაკი, შესანიშნავი მოქალაქე და ხელმძღვანელი, რაც შესანიშნავად შეაფასა კიდეც საარქივო დარგის ხელმძღვანელობამ და რესპუბლიკის მთავრობამ. ლ. ოთიაშვილი დაჯილდოვებული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1968წ.), სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოსა და სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მთავარი არქივისა და აჭარის ასსრ სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირის საპატიო სიგელებით (1976; 1988წწ). მინიჭებული ჰქონდა „შრომის დამკვრელის" (1975 წ.), აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის (1978 წ.) საპატიო წოდებები.

კეთილი საქმე, შრომა და გარჯა არ იკარგება. საქართველოს რესპუბლიკის საარქივო სისტემის დაჯილდოვებულ მუშაკთა სიაში ქ-ნი ლილი ოთიაშვილიცაა. საარქივო სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის მას 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის მადლობა გამოეცხადა –(რ-1041; აღწ. 4; საქმე 340; ფურც. 34).

საინტერესო ბიოგრაფიითა და შრომითი საქმიანობით გამორჩეულ არქივისტთა შორის განსაკუთრებულია **გალინა მოსიძე-საზგულოვას** ღვაწლი და დამსახურება.

**გალინა ივანეს ასული საზგულოვა** დაიბადა 1924 წლის 8 აპრილს ლიპეცკის ოლქის ქალაქ უსმანში. 1947 წელს დაამთავრა ვორონეჟის სასოფლო – სამეურნეო ინსტიტუტი და თავისი ბედი ქართველ ახალგაზრდას, ბათუმელ გრიგოლ მოსიძეს დაუკავშირა.



ასე გადაიქცა უკრაინელი საზგულოვა ქართველების რძლად. იმავე წლის დეკემბერში გალინა მოსიძე მუშაობას იწყებს აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში უფროსი მეცნიერ – თანამშრომლის თანამდებობაზე.

ფონდების დაკომპელქტება, დაცვა, აღრიცხვა, ფონდებში მომხდარი ყველა ცვლილების ზუსტი და დროული ასახვა – ეს ზოგადი ჩამონათვალია იმ სამუშაოებისა, რომელსაც იგი ყველდღიურად ასრულებდა. სააღრიცხვო დოკუმენტების: ფონდების სიების, მიღების წიგნის, ფურცლებისა და ბარათების წარმოება, კატეგორიებად დალაგება-დახვეწა და ყველა ამ სამუშაოს მოთხოვნილების შესაბამისად შესრულება დიდ შრომასა და გამოცდილებას მოითხოვდა, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. უფრო მეტად კი სახელი გაითქვა, როგორც კომპეტენტურმა და მაღალი რანგის სპე-

ციალისტმა სააღრიცხვო სექტორის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

გალინა მოსიძის კეთილსინდისიერი შრომა შესაბამისად დაფასდა. იგი რამოდენიმეჯერ დაჯილდოვდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1968; 1975 წწ.), ლენინის საიუბილეო მედლით (1970 წ.), „სოცშეჯიბრებში გამარჯვებულის" სამკერდე ნიშნით (1975 წ.). 1975 წელს გ. მოსიძეს მიენიჭა აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (რ-1041; აღწ.4; საქმე 192). ღვაწლმოსილი ქალბატონი 40 წელი (1987 წლამდე) ემსახურა საარქივო საქმეს. მის მიერ შედგენილი იქნა ინფორმაციები, ისტორიული ცნობები და ინსტრუქციები, რომლებიც დღესაც გვეხმარება საარქივო საქმისა და სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოების სრულყოფის თვალსაზრისით.

საოცარია ადამიანთა ხვედრი. ხშირად ბედი მათ იმ საქმეს აკეთებინებს, რაც მათი მოწოდება არ არის. არქივი სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც ფართო სარბიელია მეცნიერული კვლევა – ძიებისათვის, მაგრამ ის ადგილი არ არის, სადაც პოეტური სულისა და რომატიული ბუნების ადამიანი ლაღად გაშლიდა ფრთებს. სწორედ ასეთი ხვედრი ერგო წილად **ნუნუ გრიგოლის ასულ სკამკოჩაიშვილს.**



**ნუნუ სკამკოჩაიშვილი** დაიბადა 1943 წლის 24 აპრილს ოზურგეთის რ-ნის სოფელ მაკვანეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იქვე სოფლის ბიბლიოთეკასა და კულტურის სახლში დაიწყო შრომითი საქმიანობა.

ახალგაზრდა ქალიშვილს სხვა ოცნება ჰქონდა – იურისტობა სურდა, თუმც ოჯახის ხელმოკლეობამ გზა გადაუღობა და ნიჭიერი ახალგაზრდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ბევრი გაჭირვება, ბევრი სიკეთეც უნახავს, ბევრი ცრემლი და ბევრი სიხარული ჰქონია, მაგრამ ყველაზე ბედნიერად წიგნებთან მუშაობის დროს გრძნობდა თავს. მისი სტატიები, გამოკვლევები ხშირად იბეჭდებოდა არამარტო ადგილობრივ პრესაში, არამედ საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის სამეცნიერო – საინფორმაციო ბიულეტენში.

განსაკუთრებით ბედნიერი იყო, როცა აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამკითხველო დარბაზს ხელმძღვანელობდა. კონფერენციები, შეხვედრები ქალაქის მოწინავე და ცნობილ ადმიანებთან, ურთიერთობა მკვლევარებთან, რომელთა შორის მეცნიერები, პედაგოგები, იურისტები, ხშირად კი მოსწავლეებიც იყვნენ, მას ხალისით ავსებდა. გულთბილი ურთიერთობისა და პროფესიული დახმარებისათვის არა ერთი მადლობა მიუღია მათგან. „მე მისგან (ნუნუ სკამკოჩაიშვილი) ბევრი რამ ვისწავლე არა მარტო გამოვლინების, არამედ ადამიანობის დარგშიც" - წერს თალიკო ბოლქვაძე. მადლიერ ადამიანთა შორისაა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კაბინეტის გამგე ნოდარ დარსანია, რომელსაც შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერია: „მადლობა ქ-ნ ნუნუ სკამკოჩაიშვილს გულთბილი, გულისხმიერი მიღებისა და სანიმუშო მომსახურებისათვის". პროფესორი ოთარ თურმანიძე კი აღნიშნავს: „ჩემი შრომები ნუნუს დაუზარელი და გულთბილი მომსახურების შედეგად დაიწერაო".

ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის, აღრიცხვისა და სამეცნიერო – საცნობარო აპარატის განყოფილებაში, რომელსაც ჩვეული მომთხოვნელობითა და პასუხისმგებლობით უძღვებოდა. იგი არ ღალატობდა თავის პროფესიულ ეთიკას აჭარის არ საარქივო დეპარტამენტის საექსპერტო შემმოწმებელი კომისიის (სშკ) მდივნობისა და ექსპერტად მუშაობის დროსაც. პროფესიული საქმიანობისა და კეთილსინდისიერი შრომისათვის ნ. სკამკოჩაიშვილი დაჯილდოვებული იყო საპატიო სიგელებით, მიღებული ჰქონდა მადლობები, ხოლო 1997 წელს „საქართველოში საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის" საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გამოეცხადა მადლობა (რ-1041; აღწ. 4; საქმე 340).

დრო და დრო ნუნუ სკამკოჩაიშვილს, როგორც ნამდვილ პოეტს რომანტიკა მოეძალებოდა, კალამს ხელში აიღებდა და მისი გრძნობები პოეტურ სტრიქონებად ჩამოიღვრებოდა. ლექსი **„ისტორიის კარიბჭესთან"** ერის საგანძურს, არქივს მიუძღვნა:

რძისფერ ნისლებს დაუბერავს ქარი
გადიხსნება სარკოფაგის კარი,
დადუმებულ მუმიების გვერდით
ხავსწაყრილი ძელქვები და ძვლები.

დახუნძლულა ვით ხეხილი ბაღში
დოკუმენტთა საოცარი მთები,
სიბრძნის სიტყვა ასე საძიებო
ისტორიის გარდასული წლები.

გაკრთომია ცის ვარსკვლავებს ფერი
გადაყვითლდა პერგამენტი ბევრი,
მეტყველებენ ძვლები, მუმიები,
დოკუმენტთა უჩინარი ენით.

ქარიშხელბი გადაივლის ქვეყნად
შეიცვლება თაობებიც ბევრი,
შეუცვლელი რჩება საგანძური
ეროვნული ეს სიმდიდრე ძველი.

სადღაც მთებზე ჩამოთოვა ფიფქი
დაითრთვილა საცავებში მტვერიც,
აჩრდილების საუბარი მესმის
გაცოცხლდენო ძვლები, მუმიები.

80-წლის მოიყარე თითქოს
მაგრამ მარად ახალგაზრდა რჩები,
ამოუხსნელ ქარაგმებად გვესმის
წინაპართა შორეული ხმები.

კიდევ ბევრჯერ დაუბერავს ქარი,
ისევ რძისფერ ნისლებს გადაფანტავს,

არქივები – ერის საგანძური
კვლავ დარჩება ისტორიის კართან.

ნუნუ სკმაკოჩაიშვილი 2008 წელს გარდაიცვალა. განათლებით ისტორიკოსი, ბუნებით რომანტიკოსი, სისხლით ხორცამდე ქართველი ქალი – ასეთად დაამახსოვრდათ იგი საარქივო დარგის მუშაკებს.

ყოველ ადამიანს თავისი ბიოგრაფია, თავისი მოქალაქეობრივი გრძნობებით გავლილი გზა ამშვენებს. გრიგოლ ჩაგანავა არქივისტთა იმ თვალსაჩინო წარმომადგენლებს შორისაა, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს საბუთსაცავების განვითარების ისტორიაში.

გ. ჩაგანავამ პატიოსნად განვლო თავისი ცხოვრების გზა და შეინარჩუნა გულმართალი, გულისხმიერი და პატიოსანი კაცის რეპუტაცია, თუმცა არაერთხელ ჰქონია „ცდუნების" შესაძლებლობა, მაგრამ „წუთისოფელს კაცად შერჩა ბოლომდე" და საზოგადოებას ადამიანურობის უმკაცრესი გამოცდა ფრიადზე ჩააბარა.



**გრიგოლ (გრიშა) ანთიმოზის ძე ჩაგანავა** დაიბადა 1924 წლის 6 ოქტომბერს აბაშის რაიონში, სოფელ კეთილარში. იქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. ქ. ბათუმის №1 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, 1942 წლის აგვისტოში გ. ჩაგანავა გაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. იქაც გამოიჩინა თავი და თანამებრძოლებს თავი დაამახსოვრა, როგორც გულადმა, გაუტეხელმა და უშიშარმა მებრძოლმა. დემობილიზაციის შემდეგ, 1949 წლის ივნისიდან 1952 წლის დეკემბრის ჩათვლით მუშაობდა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ერთ-ერთ განყოფილებაში. მოგვიანებით, 1952-1961 წლებში გ. ჩაგანავას მუშაობა უხდება რეგიონის სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებებში. მუშაობის პარალელურად იგი ეუფლება საარქივო ცოდნის საფუძვლებს. 1957 წ. გ. ჩაგანავა ჩაირიცხა მოსკოვის ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი 1963 წელს დაასრულა.

1961 წლის ივლისიდან გ. ჩაგანავამ თავისი საქმიანობა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივს დაუკავშირა. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა მკინძავ-აღმდგენისა და უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობებზე, ხოლო 1962 წლის 5 ოქტომბრიდან 1985 წლის 13 მაისამდე – გ. ჩაგანავა აჭარის არ სახელმწიფო არქივის დირექტორია. ამ თანამდებობაზე მუშაობისას გ. ჩაგანავამ თავი გამოავლინა როგორც შესანიშნავმა ორგანიზატორმა, თანამშრომლების ჭირისა და ვარამის თანამოზიარე ხელმძღვანელმა. იგი კოლეგებში ეძებდა არა ნაკლს, არამედ ხელჩასაჭიდს, რათა გვერდში დადგომოდა და პრობლემები შეემსუბუქებინა, თუმცა დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასაც არავის აპატიებდა, მაგრამ შენიშვნასა და საყვედურშიც აშკარად ჩანდა კრიტიკის ობიექტისადმი სიყვარული. შენობის გარეთ ყველა თანამშრომლის ქომაქგი და უპირველესი დამცველი იყო. სწორედ ამიტომ გახდა გ. ჩაგანავა მისი კოლეგის ნ. სკამკოჩაიშვილის მეგობრული შარჟის ობიექტი, პოეტური შთაგონების წყარო:

„ეს ყველაფერი როდია, ცხოვრება სხვაგვარ ტრიალებს,
სულ რომ დაგვძახის, გვაფრთხილებს, ნუ აცდენთ, ნუ აგვიანებთ,
ბატონი გრიშა ბრძანდება, ეჭვიც არ არის ამაში,
მაგდენი ქულა ყვირილის, მესხსაც არ ჰქონდა თამაშში.

მაგრამ სულ ყველას სჯობია, კაცი კაცურად ქებული,
უყვარს არქივის კრებული, თვით მასზე შეყვარებული".

გ. ჩაგანავას ადამიანური თავისებურების ერთ საინტერესო შტრიხზე გვინდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება. იგი სამსახურში დადიოდა მისი განუყრელი იისფერი ჩანთით, რომელშიც მუდმივად ელაგა საგზალი და ღვინო. სამსახურის შემდეგ ხშირად უყვარდა კოლეგებთან წაქეიფება. საამისო საბაბს ყოველთვის ნახულობდა: მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოვლენა, გეგმის შესრულება და ა. შ.

პენსიაზე გასვლის შემდეგ (1985 წლიდან) იგი, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ინიშნება სახელმწიფო არქივში პირველი კატეგორიის არქივისტად. 1986 წლის იანვრიდან გ. ა. ჩაგანავა გადაყვანილი იქნა უფროსი არქივისტის თანამდებობაზე. მასვე დაეკისრა სახელმწიფო არქივის სამეურნეო-ანგარიშების (დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება) ჯგუფის ხელმძღვანელობა, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე, 1996 წლის ნოემბრამდე.

გრიგოლ (გრიშა) ჩაგანავა იყო საარქივო საქმის შესანიშნავი მცოდნე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მისი დამსახურებაა უამრავი საარქივო დოკუმენტის თავმოყრა, მოზიდვა, სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანა და შენახვა. მან კარგად იცოდა დოკუმენტის ფასი. „არქივი ქაღალდთა „სასაფლაო" კი არა, ერის ისტორიაა, ცოცხალი ორგანიზმია და მას მოფერება სჭირდებაო", ხშირად იტყოდა იგი და ფონდსაცავებში დაცულ თითოეულ ფურცელს ელოლიავებოდა და ეფერებოდა. დოკუმენტებისადმი დიდი სიყვარული და მაღალი პროფესიონალიზმი აშკარად ეტყობა მის მიერ გამოქვეყნებულ არაერთ სამეცნიერო ნაშრომსა და საგაზეთო პუბლიკაციას.

გ. ა. ჩაგანავა საქმის ცოდნითა და დიდი სიყვარულით 34 წელი ემსახურა საყვარელ პროფესიას. იგი იყო აჭარის არ-ის, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის კულტურის დამსახურებული მუშაკი. გ. ჩაგანავა გარდაიცვალა 1996 წ. ნოემბერში.

შესანიშნავი ქალბატონი, მტერ-მოყვარის სიხარულისა და ჭირ-ვარამის თანამოზიარე, არქივის მოამაგე და მოჭირნახულე – ასე ახსოვთ კოლეგებს კულტურის დამსახურებული მუშაკი ლენა ზაქარეიშვილი, გულანთებული პატრიოტი, შესანიშნავი მეოჯახე და ბრწყინვალე არქივისტი.

**ლენა გიორგის ასული ზაქარეიშვილი** დაიბადა 1936 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ საკურთხეველში (ახლანდელი საჭამიასერი). იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის საბუღალტრო სასწავლებელში (1942 წ.), რომლის სრული კურსის დასრულების შემდეგ ლ. ზაქარეიშვილმა მუშაობა დაიწყო ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქივში. პარალელურად ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1945 წ.). იმავდროულად დაინიშნა ქალაქის არქივის უფროსად. 1965-1979 წწ. იგი ხელვაჩაურის რაიონულ არქივს უდგას სათავეში, 1979 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ნოემბრამდე) ლ. ზაქარეიშვილი აჭარის არ სახელმწიფო არქივის თანამშრომელია.



ლენა ზაქარეიშვილი გარდაიცვალა 1983 წელს.



ამაგდარ არქივისტებს შორის განსაკუთრებულია **ვლადიმერ პლატონის ძე მკერვალიშვილის** დამსახურება. იგი დაიბადა ქ. ბათუმში 1925 წლის 1 დეკემბერს. ვ. მკერვალიშვილმა 1967 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო – საარქივო ინსტიტუტი, თუმცა საარქივო სისტემაში სამუშაოდ მოგვიანებით, 1974 წელს მოვიდა. 1974-1979 წწ. იგი მუშაობდა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში უფროს მეცნიერ-მუშაკად, ხოლო 1979-1993 წლებში ხელმძღვანელობდა ხელვაჩაურის რაიონულ სახელმწიფო არქივს. იმ პერიოდში ხელვაჩაურის რაიონული არქივი მოწინავეთა რიგებში ჩადგა და 4-ჯერ გადაეცა გარდამავალი დროშა. რაიონის წარმოება – დაწესებულებების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების დაცვისადმი მკაცრი კონტროლი, ზრუნვა არქივში დოკუმენტების თავმოსაყრელად, მოქალაქეებისადმი კეთილსინდისიერი მომსახურება იყო მისი საქმიანობის ყოველდღიურობა და აუცილებელი საზრუნავი. 1993 წელს იგი გადმოყვანილი იქნა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ჯერ უფროს მეცნიერ – თანამშრომლად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ.

ვლადიმერ მკერვალიშვილმა კალამი მოსინჯა როგორც მეცნიერებაში, ასევე პუბლიცისტიკაში. მის მიერ დაწერილი მონოგრაფებსა და სამეცნიერო ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ვ. მკერვალიშვილი დაჯილდოვებული იყო სსრკ საარქივო საქმის წარჩინებულის „სამკერდე ნიშნით", მიღებული ჰქონდა აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1996 წ.), საქართველოს პრეზიდენტის მადლობა (1999 წ.) და რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო „ღირსების ორდენი" (რ-1041; აღწ. 4; საქმე 256).

პროფესიული საქმიანობის პარალელურად ვ. მკერვალიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი არჩეული იყო ხელვაჩაურის რაისაბჭოს დეპუტატად, საბჭოთა კავშირ – უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად.

საარქივო საქმის დიდმა გულშემატკივარმა, მინდობილი საქმის კეთილსინდისიერმა შემსრულებელმა და პირნციპულმა მუშაკმა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება არქივს დაუკავშირა.

ვლადიმერ მკერვალიშვილი გარდაიცვალა 2007 წელს. არქივში დაცულია მისი, როგორც არქივისტისა და საზოგადო მოღვაწის პირადი ფონდი (რ-402).



საოცარი სიყვარულით, ჯანსაღი და ხალასი იუმორით იხსენებდნენ თანამშრომლები **შოთა გაბრუშიძეს**, პიროვნებას, რომლის ცხოვრების გზა ერთი ჩვეულებრივი პროფესიონალის ბიოგრაფიაა.

შ. გაბრუშიძე დაიბადა 1929 წელს, ბათუმის რაიონის სოფ. ჩიქუნეთში. 7-წლიანი სკოლისა და პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფლის სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. პარალელურად, 1962-1966 წწ. სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. მარტო პედაგოგიური მოღვაწეობა არ იყო შ. გაბრუშიძის მოწოდება. „საერთოდ მასწავლებლობაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ, მაგრამ მაქვს მომავლის გარკვეული პერსპექტივა, მსურს ვიმუშავო ჩვენი მხარის ისტორიის ამსახ-

ველ რომელიმე აქტუალურ თემაზე" – წერდა იგი. აღნიშნული მიზნის განხორციელება შესაძლებელი იყო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დ. დიასამიძის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში შ. გაბრუშიძე აღნიშნავს: „გთხოვთ გაითვალისწინოთ მომავლისადმი ჩემი მისწრაფება და გამიწიოთ დახმარება აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სამუშაოს დასაწყებად" (რ-1041; აღწ.4; საქმე 148). 1967 წლიდან იგი აჭარის ასსრ ცს არქივის უმცროსი მეცნიერ - მუშაკია. მალე იგი დააწინაურეს უფროსი მეცნიერ – მუშაკის (1971 წ.), ხოლო შემდეგ საცნობარო განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ნიშანდობლივია, რომ განყოფილებაში მხოლოდ ქალები იყვნენ დასაქმებული. შესაბამისად ხშირი იყო ხმამაღალი სიცილი, ხმაურიანი საუბრები, მაგრამ ბ-ნ შოთას არ გაჭირვებია მათთან ურთიერთობა და მათდამი პატივისცემით, სიფაქიზით, პასუხისმგებლობითა და სითბოთი აკეთებდა თავის საკეთებელს. ისტორიული განათლება თითქოს მოერგო განყოფილების სტილს. დღესაც ფონდების პ/საქმეებში დაცულია შ. გაბრუშიძის ხელმოწერით შედგენილი არაერთი ფონდის წინასიტყვაობა.

შ. გაბრუშიძის პირად საქმეში უხვადაა საპატიო სიგელები, სამკერდე ნიშნები, როგორც მისი კეთილსინდისიერი საქმიანობის გამოხატულება. ყველაზე დიდ ჯილდოდ მას მიაჩნდა სამკერდე ნიშანი „საარქივო საქმის ფრიადოსანი". ეს იყო შ. გაბრუშიძის შრომის აღიარება. მას უყვარდა არქივი. ჭეშმარიტად, იგი იყო საარქივო საქმის ფრიადოსანი.

აჭარის არ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში არაერთი მომავალი მკვლევარი დაკვალიანდა და დაფრთიანდა. მათ შორისაა საარქივო საქმის შესანიშნავი სპეციალისტი **მაყვალა (დოდო) თავაძე**. სწორედ არქივში მიღებული ცოდნა – გამოცდილება გახდა მისი სამეცნიერო წარმატებების საფუძველი ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო – კვლევით ინსტიტუტში.



**მაყვალა მოსეს ასული თავაძე** დაიბადა 1934 წელს ქ. მახარაძეში (ოზურგეთში). მან ბავშვობიდანვე შეიყვარა ისტორია. გატაცებული იყო საარქივო საქმიანობით და ამიტომაც 1953 წელს ქალთა №4 გიმნაზიის დამთავრების შემდეგ არქივმცოდნეობის მიმართულებით გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება, გამოცდებიც ჩააბარა ქ. მოსკოვის შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში, თუმცა კონკურსში ვერ გავიდა.

ნიჭიერ ახალგაზრდას გული არ გაუტეხია და სამუშაოს დასაწყებად აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივს მიაკითხა. აქ იგი გულთბილად მიიღეს, ხელი შეუწყვეს, შრომა ასწავლეს და მერე მისი ოცნებაც ახდა. იგი მალე მოსკოვის საარქივო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი გახდა. არქივში მას საარქივო დოკუმენტების აღიცხვა ევალებოდა. იგი ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამიტომაც ჩაიწერა მის დახასიათებაში: „მაყვალა თავაძემ საარქივო საქმე იცის კარგად და ცდილობს კიდევ უფრო ღრმად შეისწავლოს იგი". მ. თავაძე დაუღალავად შრომობდა, ცდილობდა რაც შეიძლება ბევრი გაეგო, გაცნობოდა ახალ – ახალ საარქივო დოკუმენტებს. ასე თანდათან გაიზარდა, დაფრთიანდა, დაკვალიანდა მ. თავაძე, როგორც პიროვნება და როგორც მეცნიერი. სწორედ საარქივო მასალების სა-

ფუძველზე მომზადდა მისი საკანდიდატო დისერტაცია: „აჭარის პროფესიული კავშირების ისტორიიდან (1905-1921 წწ.)", რომელიც წარმატებით დაიცვა.

მისი შრომა დაფასდა. იგი დაჯილდოვებული იყო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1968 წ.) და მედლით „მამაცური შრომისათვის" (1970 წ.) (რ-1041; აღწ. 4; საქმე 169).

1996 წელს მაყვალა (დოდო) თავაძე გარდაიცვალა. სწორედ მასზე შეიძლება ითქვას: იშრომა, იცხოვრა და მოკვდა სახელოვანი.

შრომისმოყვარეობით, თავაზიანობით, პროფესიონალიზმით, თავისებური ხიბლით გამორჩეულ არქივისტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ნანა კუჭაშვილს,** უანგარო პიროვნებას, ზნეკეთილობით, კლდემამოსილებით, მეგობრობის უზადო ნიჭით დაჯილდოებულ ქალბატონს, საარქივო საქმის შესანიშნავ სპეციალისტს.



**ნანული (ნანა) შალვას ასული კუჭაშვილი** დაიბადა 1950 წლის 4 სექტემბერს ქ. ფოთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, შრომითი საქმიანობის პარალელურად მან დაამთავრა ამიერკავკასიის კომკავშირული სკოლა.

1978 წლიდან ნანა კუჭაშვილი აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში არქივარიუსის თანამდებობაზეა. 1989 წლიდან ნ. კუჭაშვილი ინიშნება მეორე კატეგორიის არქივისტის თანამდებობაზე, 1993 წლიდან კი არქივსაცავის ფონდების მცველია. მოგვიანებით იგი ასრულებს მთავარი სპეციალისტის მოვალეობას. ამ რანგში მან 2010 წლამდე იმუშავა. ზედმიწევნით კარგად იცოდა არქივში დაცული ფონდების შემადგენლობა, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება, არქივსაცავში დაცული საქმეების დაცვა – აღრიცხვა, მოქალაქეებთან თავაზიანი და პროფესიონალური ურთიერთობა ხელს უწყობდა მისი ავტორიტეტის დამკვიდრებას. გეგმიური დავალების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო საარქივო დეპარტამენტის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. 1999 წელს გამოეცხადა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტის მადლობა. 2000 წელს კი გადაეცა აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (რ-1041; აღწ. 4; საქმე 320).

საარქივო დაწესებულებათა არსებობის თითქმის 90 წლოვან ისტორიაში მრავალმა სახელმა გაიელვა. ყველა მათგანმა თავისი კვალი დატოვა საარქივო დარგის განვითარებაში. საარქივო საქმის კარგი სპეციალისტები, გულისხმიერი და კარგი თანამშრომელები - ასეთი სახელები დაუტოვეს შემდგომ თაობებს: დოდო ჩაჩუამ, მაყვალა არობელიძემ, თინა მაღრაძემ, ნატაშა სელიმიძემ, კუკური ჩხარტიშვილმა და სხვებმა.

თაობები იცვლებოდა. უცვლელი იყო არქივისტების ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. ამ თვალსაზრისით ისინი მისაბაძი არიან ეხლანდელი თაობებისათვის.

ასე იყო დღემდე. ვიმედოვნებთ, რომ წინაპართა ღვაწლის დაფასების ეს ლამაზი ტრადიცია არასოდეს წაიშლება.

ადამიანის სიცოცხლე ორი ასაკისაგან შედგება. პირველი ასაკი ახალგაზრდულია. ამ დროს ცხოვრება ჰგავს ნაირფერ ყვავილთა თაიგულს. ადამიანიც ყველაფერს ვარდისფერი სათვალეებით უცქერს. მეორე ასაკში ის

თაიგულები თანდათან ჭკნება. ჭკნება რომანტიკული სილაღეც. მისი დაჭკნობა ადამიანს აცნობიერებინებს მეორე ასაკის სიმძიმეს. ეს განცდა მუდამ აწუხებს ადამიანს, რაც გვავალდებულებს სიცოცხლეშივე ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემას.

### *გამოყენებული წყაროები:*


1. ასსცსა; რ-1041; აღწ. 6; საქმე 2
2. ასსცსა; რ-1041; აღწ. 6; საქმე 3; ფურც. 21
3. ასსცსა; რ-1041; აღწ. 4; საქმე 340; ფურც. 34
4. ასსცსა; რ-1041; აღწ.4; საქმე 192
5. ასსცსა; რ-1041; აღწ. 4; საქმე 340
6. ასსცსა; რ-1041; აღწ. 4; საქმე 256
7. ასსცსა; რ-1041; აღწ.4; საქმე 148
8. ასსცსა; რ-1041; აღწ. 4; საქმე 169
9. ასსცსა; რ-1041; აღწ. 4; საქმე 320


***Maia Rurua***

### *Veteran Archivists*

### **Summary**

In article is discussed about Ajara AR – Archives Administration's veteran archivists (Taliko Shekiladze, Liana Vanidze, Guguli Andguladze, Lili Otiashvili, Galina Mosidze, Nunu Skamkochaishvili, Vladimer Mkervalishvili, Shota Gabrushidze, Makvala (Dodo) Tavadze, Nana Kuchashvili), who spend almost half a century in Archives Administration and left deep trace in development of document repositories.

## საარქივო დოკუმენტური წყაროების მიმოხილვა

### *ა. საქართველოს შესახებ ბრიტანეთის არქივში დაცული დოკუმენტების ასლების (ფონდი – 83) მიმოხილვა*

*(მიმოხილვა ეკუთვნის ფრ. ქარდავას)*

2006 წლის მიწურულს საარქივო სამმართველოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიკვიდირებული უმაღლესი საბჭოს არქივსაცავიდან შემოზიდულ იქნა საქართველოს შესახებ ბრიტანეთის არქივში დაცული საარქივო მასალების ასლები. როგორც ირკვევა, ბრიტანეთის არქივებში დოკუმენტების მოძიებაზე მუშაობდა რობერტ ჯ. ჯერმანი. შედგენილი იყო ანაწერები. მასალა დაკომპლექტებული იყო ჰუფო გრინჰაგის ხელმძღვანელობით.

2010 წლის პირველ ნახევარში აჭარის არ საარქივო სამმართველოში დამთავრდა ზემოთ ხსენებული დოკუმენტების საარქივო წესით დამუშავება. დოკუმენტებს მიენიჭა გრიფი: ფონდი ი-83. ანაწერი დაიყო ოთხ ტომად:

I ტომში შესულია 1830-1921 წლების მასალები. დოკუმენტები მოიცავს აჭარის ოკუპაციის თურქულ, რუსულ და ბრიტანულ პერიოდს. ამ ტომში შესულია სამი საქმე (ორ-ორ ეგზემპლარად);

II ტომში (**A** კატეგორია) შესულია 1830-1878 წლების 597 საქმე. და მოიცავს აჭარის ოკუპაციის თურქულ პერიოდს;

III ტომში (**B** კატეგორია) შესულია 1878-1918 წლების მუდმივშესანახი დოკუმენტების 982 საქმე და მოიცავს აჭარის (მთელი საქართველოს) ოკუპაციის რუსულ პერიოდს;

IV ტომში (**C** კატეგორია) შესულია 1918-1941 წლების მუდმივშესანახი დოკუმენტების 750 საქმე. საქმეშია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიისა და იმდროინდელი რეალობის ამსახველი ისტორიული მასალები.

აღსანიშნავია, რომ ანაწერების II და III ტომები შემოვიდა გამზადებული სახით და მათ მცირე კორექტირება დასჭირდა საქმეების მოწესრიგებისა და საარქივო დამუშავების შესაბამისობაში მოყვანისას, ხოლო I და III ტომი შედგენილ იქნა ჩვენს მიერ. ამიტომაც ანაწერის ტომებს შორის შესამჩნევი გარეგნული განსხვავებაა.

აღნიშული ფონდიდან (ი-83) თურქული ოკუპაციის პერიოდს მოიცავს ანაწერის პირველი ტომის პირველი და მეორე ტომის (**A** კატეგორიის) 597 საქმე.

**პირველი ტომის პირველი** საქმე წარმოადგენს 356 გვერდიან ტომს, შედგენილს ჰუფო გრინჰაგის რედაქტორობით, საქმეები მოძიებულია ბრიტანეთის არქივში რობერტ ჯ. ჯერმანის მიერ. საქმე მოიცავს აჭარის ოსმალური ოკუპაციის პერიოდს 1830 წლიდან 1878 წლამდე. საქმეში შესულია მოხსენებები და წერილები, რომელიც ეგზავნებოდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ოფისს იმდროინდელი ბრიტანელი ჩინოვნიკების მიერ. საქმე შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: პირველი ნაწილი მოიცავს 1830-1840 წლებს, იქვეა ადრეული მოხსენებები და მიმართვები. ძირითადად ხელნაწერები. სა-

უბარია ბრიტანეთის კონსულის პირველ ვიზიტებზე ბათუმში. იქვეა ბრანდის, ბათუმში პირველი ბრიტანელი კონსულის მოხსენებები.

მეორე ნაწილი მოიცავს 1840-1853 წლებს. მოხსენებებში აღწერილია ბათუმის ცხოვრება, პოლიტიკური და ეკონომიკური (სავაჭრო) მდგომარეობა.

მესამე ნაწილი თანხვდება 1853-1877 წლებს და ეხება ყირიმის ომის შედეგებს. მასში არის მანქანაზე ნაბეჭდი მოხსენებები. აქვეა შესული სამხედრო სტრატეგიული ხასიათის გზავნილები. ბაღდადის კონსულისა და არაბეთში თურქეთის პოლიტიკური აგენტის, ჰ.ქ. რაულინსონის; ა. ქეთგარდის, სიმონსის და პალგრევის მოხსენებები, სადაც მიმოხილულია ბათუმისა და აჭარის იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა..

მეოთხე ნაწილი მოიცავს 1877-1878 წლებს და ეხება რუსეთ-თურქეთის ომს. მოხსენებები ეკუთვნის ჰ. ლეიარდს, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა დიქსონის, კემპბელის, პოლკოვნიკ ლენოქსის, კაპიტან ფაიფის, მეთაურ გრენფელის და ვიცე კონსულ დუფუსის წერილებს. საქმეშია სან-სტეფანოს ხეკლშეკრულებისა და ბერლინის კონგრესის მასალები, მათ შორის ოქმების ნაწილი. საქმე მთავრდება ვიცე კონსულ ბილიოტტის წერილებით სოლსბერისადმი.

**მეორე ტომში (A კატეგორია) 597 საქმეა.** უნდა აღინიშნოს რომ ეს საქმეები წარმოადგენს სამუშაო ვარიანტს და ზემოთხსენებული პირველი საქმის უფრო ვრცელ მასალებს 356 გვერდიანი წიგნად გამზადებული ნაშრომისათვის. თუმცა ამ უზარმაზარი მასალების დიდი ნაწილი არაა ასახული ამ საქმეში (**ი-83, პირველი ტომი, საქმე № 1)** და თავისთავად წარმოადგენს აჭარის და მთლიანად საქარველოს ისრტორიის ამ პერიოდის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარებისათვის ფასდაუდებელ წყაროს. მასალები იწყება 1830 წლის 16 იანვარს ტრაპიზონში ბრიტანეთის ვიცე-კონსულის ჯეიმს ბრანტის მიერ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილით. დოკუმენტების ორიგინალი ინახება ბრიტანეთის სახელმწიფო არქივში. საქმეებშია ტრაპიზონში, ბრიტანეთის ვიცე კონსულის - სუტერის, ასევე ბათუმში, ბრიტანეთის ვიცე კონსულის - ფრედერიკ გუარაჩინოს მიერ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათები. 1846 წლის 13 ივნისიდან ბათუმში ბრიტანეთის ვიცე-კონსულად იხსენიება ჰოლმსი. სწორედ მისი მოხსენებითი ბარათებია ლონდონში გაგზავნილი. გარდა ლონდონისა, ჰოლმსი გზავნილებს უგზავნის პოლკივნიკ ჰიუ როსეს, თბილისში ბრიტანეთის კონსულს რიკეტს, ფოთში ბრიტანეთის კონსულს ლიოლის და სხვებს. საქმეებშია 1830-1878 წლების ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონფიდენციალური გამომცემლობის მიერ გამოცემული მასალები, რომელიც ეხება ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენებს.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს რომ ფონდ ი-83 - ის თურქული ოკუპაციის პერიოდის ამსახველი მასალები ძალიან საინტერესო და საყურადღებოა როგორც პროფესიონალი მკვლევარების ასევე ფართო საზოგადოებისთვისაც.

### ბ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში აჭარის შესახებ დაცული დოკუმენტური წყაროების მოკლე მიმოხილვა (მიმოხილვა ეკუთვნის თეა ქათამაძეს)

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია მრავალმხრივ საინტერესო და მკითხველთათვის საყურადღებო დოკუმენტები აჭარის შესახებ. მკითხველს ვთავაზობთ მოკლე ინფირმაციას აღნიშნული საარქივო დოკუმენტების შესახებ: ფონდი №18 - ქუთაისის გუბერნიის მმართველობა, რომელიც მოიცავს 1840--1918 წლებს, შეიცავს 1213 შესანახ ერთეულს.

ფონდი №187 - ქუთაისის გუბერნიის მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველო, 1817--1919 წლების პერიოდის შესახებ გვაწვდის უამრავ საინტერესო ინფორმაციას. მასში 3305 შესანახი ერთეულია.

ფონდი №12 - ბათუმის ნოტარიუსი. ფონდი 1871--1919 წლებში ბათუმში ყიდვა-გაყიდვის, ნაჩუქრობის, გირავნობის თუ ინდივიდუალური ანდერძების ამსახველი მასალებითაა მდიდარი. ფონდი შედგება 216 შესანახი ერთეულისგან

ფონდი №22 - ქუთაისის მიხეილის საადგილმამულო ბანკი. მოიცავს 1861--1921 წლებს და შედგება 8786 შესანახი ერთეულისაგან. მასში შესაძლებელია ბათუმში მცხოვრები იმ უამრავი ადამიანის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ვინც საკუთარი ქონება ბანკში ჩადო ან ბანკიდან გამოიტანა სესხი.

ფონდი №39 - ქუთაისის გუბერნიის საფაბრიკო, სამთო საქარხნო საქმეები. ფონდი მოიცავს 1902-1919 წლებს, ფონდში 18 შესანახი ერთეულია. მასალებში დაცულია საინტერესო ცნობები ბათუმის ოლქის საფაბრიკო საქმის განვითარებისა და ბათუმის ოლქის საფაბრიკო ინსპენქტორის სახელის შეცვლის შესახებ.

ფონდი №75 - ბათუმისა და სოხუმის ოლქების ფაბრიკების უფროსი ინსპექტორი. მასში წარმოდგენილია 1902--1913 წლების მონაცემები. ფონდი შედგება 4 შესანახი ერთეულისაგან, სადაც მოცემულია ბათუმში არსებული ფაბრიკა-ქარხნების სია, დაშავებულ ადამიანთა ცირკულარები.

ფონდი №76 - სამტრედია-ბათუმის რკინიგზის მშენებლობის მთავარი ინჟინერი. ფონდი მოიცავს 1880-1883 წლების მასალებს და შედგება 19 შესანახი ერთეულისაგან. ფონდში წარმოდგენილია საინტერესო დოკუმენტები სამტრედია-ბათუმის რკინიგზის მშენებლობის გეგმის, შესრულებული სამუშაოების, საბაჟოებისათვის დროებითი შენობის მშენებლობის, პორტის ტერიტორიის გაფართოების, მდინარეებზე ჯებირების მშენებლობის და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

ფონდი №92 - ქუთაისის გუბერნიის სახალხო და სასწავლო დირექციის ფონდი. ფონდში დაცული დოკუმენტები ეხება 1882--1917 წლებს და 55 შესანახი ერთეულისაგან შედგება. მასში წარმოდგენილია უხვი მასალა ბათუმში მასწავლებელთა კურსების დაწესების, მასწავლებლების დანიშვნა—გადაყვანის შესახებ. ფონდში წარმოდგენილია აგრეთვე შესაბამისი სიები.

ფონდი №130 - ქუთაისის გუბერნატორის კანცელარია. ფონდში წარმოდგენილია ქუთაისის დროებითი გენერალ-გუბერნატორის ბრძანებათა ასლები, ქუთაისის, ბათუმის და ფოთის საომარი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები. ფონდი შედგება 280 შესანახი ერთეულისაგან და მოიცავს 1846-1919 წლებს.

ფონდი №135 - ბათუმის, ფოთის და სოხუმის პორტების მშენებლობის უფროსი. 1863--1917 წლების ბათუმის პორტის კეთილმოწყობისა და პორტის მშენებელთა ხელფასების ამსახველი მონაცემები 237 შესანახი ერთეულითაა წარმოდგენილი.

ფონდი №12, საქმე 206, ფურც. 80 - ბათუმის ნოტარიუსის ფონდი. ფონდში წარმოდგენილია უაღრესად საინტერესო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ალი გაიდარ ოღლი, ალი მაილიქ შუქრი 1000 მანეთად უთმობენ მიწის ნაკვეთს ევგენი ნიკოლოზის ძე იონიკს სოფელ ხულოში, რათა აშენდეს მართმადიდებლური ეკლესია, მიწის ნაკვეთი შეადგენს 479 კვადრატულ საჟენს.

ამრიგად, ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, საკუთრივ აჭარის შესახებ, რომლებიც დიდ სამსახურს გაუწევს აღნიშნული რეგიონის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

## *საარქივო დოკუმენტური წყაროები*

### *ა. დოკუმენტები ბრიტანული კოლექციიდან:*

1. „მაიორი ქეჩქარტი ბრიგადის გენერალ მანსფილდს

1856 წლის 24 მარტი

მაქვს პატივი მოგახსენოთ რომ 11 თებერვალს დავბრუნდი კონსტანტინოპოლიდან ტრაპიზონში, თქვენი ინსტრუქციის მიხედვით (11თებერვლის 6N 42). მითითებისამებრ გავემგზავრე ბათუმში, ართვინსა და სხვა წერტილებში, ინფორმაციის შესაგროვებლად, გზებთან და ა. შ. დაკავშირებით. მოგზაურობამ ტრაპიზონში გასტანა 6 დღე. იქ დავყავი 12 დღე, ხესაყრელი ვითარების მოლოდინში, რადგან ჩემს ჩასვლას დაემთხვა დიდთოვლობა, და შიდა მხარეებში გზის გაგრძელება–შესწავლა შეუძლებელი გახდა. ამიტომაც (როგორც გაცნობეთ) ვეწვიე მისი აღმატებულაბა ომარ ფაშას არმიას,

დავბრუნდი ბათუმში 14 მარტს. თოვლი და ნამქერი ჯერაც გრძელდებოდა. იმ წელს უპრეცედენტო ზამთარი იყო; მაგრამ მიმდინარე თვის 15 - სა და 16, როგორც კი ძლიერი წვიმები დაიწყო, გადავწყვიტე გამგზავრებულიყავი 17 მარტს. ნაჩქარევად დავტოვე ბათუმი და ვეწვიე ახლომახლო რაიონებს....

მთები ზღვისპირის გაყოლებაზე არის სახიფათო და ძნელადსავალი ბუნებისა და უერთდება ზღვას. დასერილია ხეობებითა და ღრანტეებით, რომლებზეც გვხვდებიან სოფლები. ისინი პარალელურად მიუყვებიან ზღვის ნაპირს, ნავსადგურის სამხრეთ–აღმოსავლეთ მხარეს, სადაც ისინი იხრებიან უფრო სამხრეთ–აღმოსავლეთისკენ, ტოვებენ ადგილს 9 მილის სიგრძისა და 7 მილის სიგანით რომელიც ქმნის კახაბრიის დაბლობს, ველსა და ჭაობებს, რომლის წინაც პატარა ყურემდე, მდებარეობს სოფელი ბათუმი. ნავსადგური არის ნახევარწრის ფორმის....

...აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრება ჭაობი, რომელიც დასავლეთისკენ ფართოდაა გადაჭიმული. ნავსადგური არის სრულიად უხიფათო, წყალი ღრმაა ნაპირიდან 10 იარდის სიშორეზე...

მთებში არის უამრავი ხე–ტყე; წიფელი, კაკალი, უშველებელი ზომის მშვენიერი აკაციის ხეები; ასეთივე ამერიკული აკაციის ხე, მრავლადაა ბათუმის სიახლოვეს, ჭაობებში. ეს ჭაობები, რომელნიც ფორმირებულია ყოველწლიური წყალდიდობებით, სეზონური გამდნარი თოვლით, მდინარე ჭოროხისა და სხვა პატარა ნაკადულებით, არის მთავარი ნაკლოვანება ბათუმის ნავსადგურისა თუ მდებარეობის...

...ბათუმში ციებ–ცხელება იფეთქებს მეტწილად მაისის დასასრულიდან სექტემბრის დასასრულამდე. ამ პერიოდში ვაჭრობა და ხელოსნობა წყდება, ძირითადად ამ დაავადების წყალობით, თუმცა, ასევე, ხშირად საქმიანობას ასუსტებს ჭოროხის ადიდების პერიოდი, (ძირითადად შიდა მხარეებთან დაკავშირების მხრივ) როდესაც მდინარე სანაოსნოდ არ ვარგა ან მხოლოდ პატარა ადგილობრივი ნავებისათვის ვარგა....

...მოსახლეობა ციებ–ცხელების პერიოდში მიდის მთიან სოფლებში და ხოფაში, რომელიც არის გაცილებით უსაფრთხო ადგილი...

...ქალაქი მოიცავს ბაზარს, 200 მაღაზიამდე , რომლებშიც ცოტა ევროპული საქონელი, ძირითადად კი ადგილობრივი სურსათი მოიპოვება. ქალაქში ოთხ სახლზე მეტი არაა რომელიც შეიძლება ჰოსპტალად გამოიყენებოდეს (?!). დანარჩენი, ალბათ ორიათასამდე, არის საოცრად ღარიბული, ადგილობრივთა ხის შენობები. მომარაგება არის არასაკმარისი...

...ბათუმის მოსახლეობა შეადგენს 2000 ადამიანს, შეიარაღებული ძალების გამოკლებით; მოსახლეობა ზაფხულში კლებულობს რამდენიმე ასეულით, ჯანსაღ რეგიონში ემიგრირებული მცხოვრებლების ხარჯზე...

***ასსცსა, ფონდი ი-83 , პირველი ტომი, საქმე N 1, ფურც 235, 236***

* * *

2. „N532

ვიცე კონსული გარდნერი მარკუს სოლსბერის (მიღებულია 27 სექტემბერს)

ფოთი, 2 სექტემბერი, 1878

ბატონო ჩემო, მაქვს პატივი მოგახსენოთ რომ მდინარე რიონის პირას ჩამოიტვირთა 15 ზარბაზანი, რომელიც გამიზნულია ფოთიდან 5 მილის დაშორებით განლაგებული დიდი ბატარეის შესაიარაღებლად.

გაყვანილ იქნა მოკლე სარკინიგზო ხაზი პორტს, რიონის სამხრეთ სანაპიროსა და ქალაქს შორის.

თურქულმა „სანდლებმა“, რომელნიც მდებარეობდნენ მდინარესათნ, მიიღეს განკარგულება დაძრულიყვნენ ციხისძირისა და ბათუმის მიმართულებით

და დახმარებოდნენ ნავსადგურთან მდგარ ტრანსპორტში სამხედრო მატერია-ლის დატვირთვაში.

ნეიდ ფაშა და ჰასან ბეგი ერთი კვირით დაყოვდნენ ქუთაისში პრინც მირ-სკისთან, გენერალ ოკლობჟიოს სახლში, სადაც განიხილავდნენ ბათუმიდან ევაკუაციის საკითხს, რომელიც, როგორც ითქვა უნდა გადავიდეს რუსების ხელში მიმდინარე თვის შვიდში, მაგრამ მოგვიანებით ბათუმის ჩაბარების რიც-ხვად გადაწყდა მიმდინარე თვის 12/24. ოთხი რუსული კორვეტი ამჟამად დგას ფოთის რეიდზე და მზადაა ნავსადგურში შესასვლელად დანიშნულ დროს. მი-იჩნევენ, რომ გადაადგილებას არ შეხვდება არავითარი წინააღმდეგობა ლაზე-ბის მხრიდან ,ბევრი მათგანი უკვე გადავიდა ჭოროხიდან თურქეთის ტერიტორი-აზე.

ფოთი–თბილისის რკინიგზის დირექტორისაგან მიღებულ იქნა განკარგუ-ლება მომზადდეს ვაგონები 50000 ჯარისკაცის გადასაყვანად თბილისიდან ფოთში. ოთხი ბატალიონი ამჟამად იმყოფება კარვებში სანაპიროსთან, მაგრამ ბათუმის ჩაბარების შემთხვევაში ისინი გადაყვანილი იქნებიან ოდესასა და სე-ვასტოპოლში.

ორმოცდაათი ავადმყოფი და დაჭრილი ჯარისკაცი გაიგზავნა სამგზავრო სავაჭრო გემით ფოთიდან ოდესაში.

***ასსცსა, ფონდი ი-83 , პირველი ტომი, საქმე N 1, ფურც 356***

* * *

3. ვიცე კონსული გარდნერი მარკიზ სოლსბერის
(მიღებულია 27 სექტემბერს N 21)
ფოთი, 1878 წლის 7 სექტემბერი.

ბატონო ჩემო, მაქვს პატივი ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ პრინ-ცმა მირსკიმ, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის დიდი მთავრის მიხეი-ლის ადიუტანტმა, პირადი შემადგენლობის თანხლებით, ფორმალურად ჩაიბა-რა ბათუმი 26 აგვისტოს / 7 სექტემბერს, იმპერატორის ქორწინების წლისთავზე. ჩაბარება მოხდა ყოველგვარი განსაკუთრებული ინციდენტის გარეშე; თურქუ-ლი დროშა დაეშვა ზარბაზნის 20 გასროლის თანხლებით, შემდეგ რუსული დროშა აღიმართა ზარბაზნის 21 სალიუტით. კაზაკები და ჯარისკაცები დაუ-ყოვნებლივ შევიდნენ ციხესიმაგრეში.

რუსებს დახვდათ სრულიად ცარიელი ადგილი, არც ადამიანის საკვები და არც საქონელი არ დარჩენილა. გემები სასწრაფოდ გაგზავნეს ფოთში. უამრავი პატარა გემი გამოიყენეს ფქვილის, მარილისა , საქონლის, მარცვლეულისა და ა შ. გადმოსატანად რათა ჯარი გამოეკვებათ.

ამჟამად რამდენიმე პროექტია შედგენილი ფოთისა და თბილისის რკინიგ-ზის ბათუმთან შესაერთებლად. ბოლო და უფრო მნიშვნელოვანი არის მიხაი-ლოვის მიერ წარმოდგენილი, პროექტი, ბორჯომის გავლით, რომელიც მიუყვება მდინარე მტკვარს, იქიდან მიდის ოზურგეთამდე, გურიაში, და ბათუმში. ეს გზა

არის უფრო ძნელი და დაჯდება უზარმაზარი თანხა, მაგრამ ის მოიწონა დიდმა მთავარმა.

მეორე ვარიანტით სამტრედიიდან ( ქუთაისის მახლობლად) რკინიგზა გადაკვეთს მდინარე რიონს ორპირთან და ოზურგეთის გავლით შეუერთდება ბათუმს. მოფიქრებულია საუკეთესო კომერციული და სტრატეგიული თვალსაზრისით.

მესამეა უბრალო ტრამვაი, ფოთიდან შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ჯდება იაფი და არის სწორი, წარმოადგენს არართულ საინჟინრო პროექტს.

თომას გარდნერი

***ასსცსა, ფონდი ი-83 , პირველი ტომი, საქმე N 1, ფურც. 356***

### *ბ. აჭარისტანის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიშები 1921-1924 წწ.*

#### *1. ჰიდრო – ელექტრო სადგური მდინარე აჭარისწყალზე (ა. წ. ჰ. ე. ს.)*

1924 წ. 15 ივლისიდან დაიწყო მდ. აჭარისწყალზე ჰიდრო – ელექტრო სადგურის აგებისათვის საორგანიზაციო მუშაობა პროექტით, რომელიც ს.ს.რ.კ. სახგეგმამ დაამტკიცა. იმავე წლის 15 აგვისტოდან უკვე შეუდგენ ადგილობრივ მუშაობას. სადგურის აგება დასრულდება 1927 წ.

მდინარე აჭარისწყალი მრავალწყლიანობით და შენაკადების სივრცის სიდიდით მთელს აჭარისტანში მეორე მდინარეა ჭოროხის შემდეგ. რომელსაც ერთვის. მდ. აჭარისწყლის ამორჩევა ჰიდრო – სადგურის ასაგებათ დაამტკიცა ს.ს.რ.კ. სახგეგმამ.

ბათომ – ახალციხის შარა – გზაზე, ბათომიდგან 31 ვერსტის მანძილზე, მდ. აჭარისწყალი მიმდინარეობს კლდოვან ხევში დაახლოვებით ერთი ვერსტის მანძილზე. ადგილ – ადგილ ხევის ნაპირების ვერტიკალური სიმაღლე 40 საჟ. აღწევს. მე – 30 ვერსტზე ხევი ფართოვდება და მთის ფერდობი ნაკლებ დაქანებულია.

მე – 30 ვერსტზე მდინარე, რომელიც მიმდინარეობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, უცბათ უხვევს ჩრდილოეთ – დასავლეთით; მოხვევის კუთხე 120°. გამოკვლევის დროს ეს ადგილი ცნობილ იქნა, საუკეთესოდ წყლის ამწევ პლოტინის გასაკეთებლად. ამ პროექტს დაეთანხმა პროფ. ვ. ა. ვსილიევი და აგრეთვე პროფ. ლიუდინი, რომელმაც თბილისში ზემო ავჭალის სადგურის საექსპერტიზოთ გამგზავრებისას მოისურვა აჭარისწყალზე წასვლა და დაათვალიერა სადგურის ასაგები ადგილი. ზემოთ აღწერილ ტოპოგრაფიულ პირობების გამო შესაძლებელი გახდა სადგურის პროექტის შედგენა შემდეგი სხემით.

ხევის დასაწყისში, მე – 31 ვერსტზე კეთდება პლოტინა 20 მეტრის სიმაღლეზე. პლოტინის უკან კეთდება ტბა, რომლისგან წყალი დერივაციული გვირაბით 200 საჟ. მანძილზე შედის ტურბინებში, რომლებიც მოწყობილია

გენერატორიულ სადგურის შენობაში. ეს უკანასკნელი უნდა მოეწყოს ხევის ბოლოში მე – 30 ვერსტზე.

წყლის გასაყვანათ კეთდება 50 საჟ. მანძილზე გვირაბი, რომელიც ექსპლოატაციის დროს ტბის გასაწმენდათ გამოდგება. ზედმეტ წყლის გადასაყვანათ მოწყობილი იქნება არხი მარცხენა ნაპირზე, რომელიც გადადის 80 საჟენ გვირაბში, საიდანაც ზედმეტი წყალი ჩაეშვება ქვევით ტანწყალში. თვით პლოტინა აშენდება ქვისაგან, რომლის მასალათ გამოდგება გვირაბის გათხრის დროს ამოღებული ქვები. ასე, რომ პოტინის ქვები არაფერი არ დაჯდება, გარდა მცირე თანხისა, რომელიც დასჭირდება გვირაბიდან პლოტინამდე ქვების გადაზიდვას.

რომ ჩაყრილ ქვებიდან გაკეთებულ პლოტინამ წყალი არ გაუშვას, გაკეთებული იქნება სპეციალური დიაფრაგმა, რომელიც ჩაესობა მდინარის ძირზე, ნაპირებზე და პლოტინის თაღამდე აუწევს. დიაფრაგმა ისე იქნება მოწყობილი, რომ წყალს არ გაუშვებს.

როგორც პროექტის ავტორთა, ისე ს.ს.რ.კ. სახგეგმის ექსპერტთა გამოანგარიშებამ და ცდამ დაგვანახა, რომ ასეთი სისტემის პლოტინა 3 - 4 ჯერ უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე მთლიანათ მკვრივი, ამიტომ სახგეგმამ წარდგენილი პროექტი დაამტკიცა. დერივაციულ გვირაბით წამოსული წყალი შედის სპეციალურ „კოშკში", რომელიც ამ შემთხვევაში უბრალო ვერტიკალური საწყლე ყუთია დიამეტრით 3.9 მეტრ. და სიმაღლით 12 მეტრი წყლის ჰორიზონტიდან. ეს ვერტიკალური ყუთი მოსპობს გიდრავლურ დაკვრის ძალას, როცა შემოსულ წყლის დაწოლის ძალა შეიცვლება. უამკოშკოთ წყლის ძალა რამდენიმე ასეულ ტონს ასცილდება და ძლიერ მავნებელი იქნებოდა ყოველგვარ მოწყობილობისათვის, კოშკის ძირიდან ორი ნახვრეტის საშუალებით წყალი გაივლის გენერატორულ სადგურის შენობის კედლებს და მიეცემა პირდაპირ ტურბინებს.

შენობის აგება ისეა ნავარაუდევი, რომ წყლის გამატარებელი ნახვრეტები გადის განმანაწილებელ ფარის ქვეშ, რომელიც ელექტრო – სადგურებში ჩვეულებრივათ კეთდება იატაკიდან 2 – 3 მეტრის სიმაღლეზე, რომ მომუშავეებს შეეძლოთ სამანქანო დარბაზის მექანიზმის დანახვა.

ხარჯების შესამოკლებლათ გენერატორიულ სადგურის შენობა შეჭრილია კლდეში და გაშენებული იქნება მთის ფერდობზე ამფითეატრივით. ამ რიგათ საჭირო აღარ არის საძირკველი და 3 სართულიან კედლის მაგიერ გვაქვს ერთ სართულიანი კედელი, რადგან კლდე სამ ტერასიანია და შენობაც ასე იქნება განაწილებული: სამანქანო დარბაზი, რომლის იატაკი წყლის ჰორიზონტზე 2 მეტრით მაღლა იქნება, კედლები კი ყრუ. გასანათებლათ ჭერში იქნება ფანჯრები. მეორე სართულის სიმაღლეზე მანქანის დარბაზიდან კლდისაკენ შეწეული იქნება გამანაწილებელ მოწყობილობათ დარბაზი, ხოლო მე-3 სართულის სიმაღლეზე, მე-3 ტერასაზე, იქნება ტრანსპორმატორი და უმაღლეს სიძლიერის მექანიზმები. მე-3 სართული შარაგზის სიმაღლეზე მოდის, ასე რომ მომსახურეთათვის საცხოვრებელი ბინაც მესამე სართულზე მოეწყობა. შენობათა ამგვარი განაწილება ერთობ ამოკლებს ხარჯებს და 200.000 მანეთის მაგიერ (ნორმალური ტიპის ასეთი სახლის ფასი) ხარჯთ-აღრიცხვით გენერატორიული სადგური ჯდება 85.000 მან.

გენერატორულ შენობას პირველ ხანებში ექნება 2 ტურბინა, რომლებიც იმავე გვარი იქნება როგორც სამ ფაზიან ნაკადის 2500 გენერატორები. იმავე დროს ნავარაუდევია მესამე ასეთივე, ან ორჯერ მეტი სიძლიერის მან-

ქანის დადგმა იმ დარბაზში, რომელიც პირველ ხანებში სახელოსნოთ იქნე-ბა.

მე-4 და 5 ტურბინის დასადგმელად საჭირო იქნება შენობის გადიდება. ადგილი ამისთვისაც ნავარაუდევია და შენობის შინაგანი განყოფილებაც ისეა გაკეთებული, რომ ასეთ გაფართოების საშუალებას იძლევა.

ორ ერთგვარ აგრეგატის ქონებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ერთგვარ მანქანის მოვლა ადვილია და დიდ დაზიანების დროს შეიძლება ერთი მანქანის ნაწილები მეორეს მოარგო და მით სადგუ-რის მუშაობა არ შეჩერდეს თუ გინდ 50%.

ორი აგრეგატი ეკონომიურადაც სასარგებლოა, რადგან აგრეგატების დიდი რიცხვი ერთობ აძვირებს მანქანების დადგმას, ასე რომ რაც ნაკლე-ბია მანქანათა რიცხვი და დიდი თითო მანქანის სიძლიერე, მით უფრო ია-ფი იქნება HP ღირებულება. იმავე დროს განმანაწილებელი მანქანებიც ნაკ-ლები სჭირდება.

მე-3 სართულში მოთავსებულია დიდი სიძლიერის მანქანები 35.000 ვოლტის ძალისა. იქ შესვლა სიკვდილით ემუქრება ადამიანს. ამიტომ სად-გურის მუშაობისას იქ შესვლა აკრძალულია და ყველა მანქანები ავტომა-ტიურათ იმუშავებენ. მე-3 სართულიდან გამოდის მავთულები, რომელსაც მიჰყვება ჰიდრო-სადგურის მთელი ენერგია. ელექტო-ენერგია პირველად მი-დის ბათომის მთავარ მიმღებ ქვე-სადგურში. შემდეგში მოეწყობა ქედის ასეთივე სადგური.

ელექტრო-ენერგიის გადმოსაცემი ხაზი შესდგება 6 მავთულისაგან თი-თო 25 კვ.მ/მ. ეს კაბელი გაბმული იქნება მაღალ (13 მეტრს სიმაღლე) რკი-ნის სვეტებზე, რომელიც გაყვება ბათომ ახალციხის შარა-გზას 160-270 მეტრის მანძილზე ერთიმეორისგან და შევა ბათომში სასაფლაოს ქუჩიდან, სადაც კვარცხანის ქარხნის ყოფ. საწყობებში მოწყობილი იქნება მიმღები ქვე/სადგური, რომლის დანიშნულება 35.000 v. ენერგიის შემცირება იმ დო-ნემდე, როგორიც საჭირო იქნება ქალაქის გასანათებლად, ქარხნების ელექ-ტრო-მატორებისა და სხვა საჭიროებისათვის. ეს ადგილი არჩეულია ქვე/სადგურისათვის, როგორც ელექტრო-ენერგიის მოხმარების ცენტრი.

ქალაქში ქვე/სადგური ენერგიას მისცემს არსებულ სადგურების ქსელს და ამით დასრულდება მისი როლი. იმავე დროს ენერგია გამოყენე-ბულ იქნება ყველა წარმოებაში, ნავთის საქაჩავ სადგურებზე და ნავთობ-სადგურში.

მთავარი მიმღები ქვე/სადგური მთელი ჰიდრო-სადგურის ცენტრი იქნე-ბა. აქ იქნება თავმოყრილი მთელი მართველობა, აქედან მოხდება ენერგიის განაწილება შავი ზღვის სანაპიროებზე, აქ იქნება საწყობები, სარემონტო სახელოსნოები, მექანიზმების საცდელი ლაბორატორია და სხვა 35.000 v. შე-სამცირებლად 6.000 v. დადგმული იქნება 2 ძლიერი ტრანსფორმატორი, თი-თო 2.500 HP. სტანდარტიზაციის პრინციპის დასაცავად. ტრანსფორმატორი იქნება ისეთივე ტიპის, როგორც გენერატორულ სადგურზე, რაც ტეხნიკუ-რათ მეტად მოსახერხებელია შეკეთების და ნაწილების შეცვლის შემთხვე-ვებისათვის.

ასეთივე მიზნით ენერგიეს გადასაყვანი ხაზი ორმაგი იქნება, რომ შე-კეთების დროს შესაძლებელი გახდეს ერთის გამორიცხვა და მეორეს მუშა-ობა, რომ ჰიდრო – სადგურიდან ენერგიის მიწოდება არ შეჩერდეს.

როდესაც ქვედა აჭარაში განვითარდება ჭაობების ამოშრობა, საჭირო იქნება მექანიკური ძალა წყლის გადასაქაჩავად. ამიტომ მიმღებ ქვე/სადგურმა უნდა გაიყვანოს სპეციალური ხაზი, რომ მიაწოდოს ელექტრო – ენერგია წყლის საქაჩავ მანქანებს. ჰიდრო – სადგურის ამრიგ მოხმარაზე განსაკუთრებით მიუთითებდა ს.ს.რ.კ. სახგეგმა პროექტის დამტკიცების დროს. ჭაობების გასაშრობათ ენერგიის მიწოდების დროს გაყვანილ იქნება ხაზი მახინჯაურ – ჩაქვი – ციხისძირის მიმართულებით და ამრიგად ზღვის მთელი ნაპირი განათდება მახუნცეთის სადგურის ენერგიით.

განმანაწილებელი მოწყობილობა ერთგვარად ეწყობა, როგორც გენერატორულ სადგურზე, ისე ქვე/სადგურზე, რომ შესაძლებელი იქნეს ნაწილების შეცვლა.

მანქანების შეერთების სქემა გენერატორულ და ქვე/სადგურზე ერთგვარი იქნება, რომ მუშა-მოსამსახურენი შეეჩვიონ ორივე ადგილზე მუშაობას.

ჰიდრო-სადგურების აგების მთელი ხარჯთაღრიცხვა უდრის 1.650.000 მანეთს იმ პირობით, თუ მოწყობილ იქნება მუშაობის მექნიზაცია. ს.ს.რ.კ. სახგეგმის ანგარიშით სადგურის აგების ხარჯები არ შეიძლება 2.500.000 მანეთს გადასცილდეს, თუგინდ შრომის მექანიზაციაც არ იქნეს. ამრიგათ, ერთი ცხენის ძალის ღირებულება პირველ შემთხვევაში ჯდება 330 მან. ხოლო მეორე შემთხვევაში 500 მანეთი.

ხარჯები შემდეგნაირად არის განაწილებული:

ელექტო მოწყობილობა – 600.000 მან.

სამოქალაქო შენობები – 200.000 მან.

პლოტინა და გვირაბები – 850.000 მან.

სულ: 1.650.000 მან.

ამ სქემიდან სჩანს, რომ ჰიდრო-სადგურის აგებისას მუშაობის მთელი სიმძიმე ჰიდრო-ტეხნიკურ აღმშენებლობაშია მოქცეული. ჰიდრო-ტეხნიკურ სამუშაოებში ძნელია კლდეების გაპობა და გვირაბების გაყვანა. მდინარის ძირზე მუშაობა, რაც ყველაზე ძნელია, ამ შემთხვევაში შემცირებულია, რადგან მდინარის ძირზე მუშაობა საჭირო იქნება მხოლოდ დიაფრაგმის გასაკეთებლად და არა მთელი პლოტინის, როგორც ეს იქნებოდა საჭირო, რომ მთლიანად მკვრივი პლოტინა შენდებოდეს. არსებულ პროექტით მდინარის ძირზე მუშაობაზე მთელი ხარჯთ – აღრიცხვის 10% დაიხარჯება. გარდა ყველა ზემოხსენებულისა, მუშაობის დამტკიცებულ სქემას ის უპირატესობა აქვს, რომ ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულ ფულების დროზე არმიღებით მუშაობის შეჩერება ზარალს არ მოუტონს ჰიდრო-სადგურს, რადგან არავითარ დანგრევას და მდინარის მიერ ნამუშევარის გაფუჭებას, წალეკას ადგილი არ ექნება. ფულის გაღების ნაწილობრივი დაგვიანება მუშაობას მთლიანათ ვერ შეაჩერებს, რადგან ჩატარებულ იქნება მუშაობის სრული მექნიზაცია, ვინაიდან ეს მეტად სასარგებლოა, როგორც დროის, ისე ხარჯების ეკონომიით. ამასთანავე მექნიზაცია საგრძნობლად შეამცირებს უბედურ შემთხვევებს, რასაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი კლდის ფერდობზე დიდძალ მუშების მუშაობის დროს.

საცხოვრებელ ბინების მოწყობა დასახლებულ ადგილებიდან ასეთი დაშორებით ადვილია მცირე რიცხვ მუშებისათვის და დიდ ხარჯათ არ დააწევბა სადგურს. ხოლო უმექანიზაციო მუშაობით გამოწვეულ დიდძალ მუშების შენახვა ბინით და სურსათით ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევდა.

მექანიზაციის სარგებლიანობის საილუსტრაციოთ კიდევ შემდეგი მაგალითის მოყვანა შეიძლება. 1 კუბ. საჟ. ქვის ღერღის დამზადება ქედაში ტინობის ხიდის აგებისას (8 ვერსტი არის დაშორებული ჰიდრო-სადგურის ადგილიდან) ჯდებოდა ხელით მუშაობისას 50-80 მან. 8 საათის სამუშაო დღის განმავლობაში ქვის სატეხი მანქანა იძლევა 6 კუბ. საჟ. ე.ი. 300 მან. ღერღს; ზედ მუშაობს 6 კაცი, რომლის დღიური ხელფასი 12 მანეთს უდრის, 100 ც. ს. ენერგია – 4 მან. და ამორტიზაცია, ნაწილების შეცვლა და სხვა – 4 მან. სულ 20 მან. ამ რიგათ კუბ. საჟ. ღერღი დაჯდება 15-ჯერ იაფი.

ხევის ბოლოდან 150 საჟ. მანძილზე მდ. მახუნცეთზე, რომელიც აჭარისწყალს ერთვის, არის წყალვარდნილი 60 მეტრის სიმაღლეზე. გამოკვლევის დაწყებისთანავე მიექცა ამ წყალვარდნილს ყურადღება და გადაწყდა, რომ იქ მოწყობილიყო დამხმარე ელექტრო-სადგური შრომის მექნიზაციისათვის. სადგური იქნება 210 HP . გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მცირე მუშაობით შეიძლება მთელ წელში უზრუნველყოფილ იქნას დამხმარე სადგური უფასო ენერგიით.

ამ მიზნით მდინარე მახუნცეთზე დაიწყო პატარა პლოტინის აგება. მუშაობა დაიწყო აგვისტოში და უკვე მუშაობის 95% შესრულებულია. მუშაობის შესრულება შეაჩერა თოვლმა. მოკლე ხანში მთელი მუშაობა დასრულებულ იქნება.

გენერატორული შენობა იქნება რკინა-ტინობის, რომ ელექტრო-ენერგიის წყარო დაცულ იქნას ცეცხლისგან. უკვე დარჭობილი იყო ფორმები და უნდა დაწყებულიყო ტინობის ჩასხმა, მაგრამ თოვლის გამო მუშაობა შეწყდა. მანქანების დასადგმელად საძირკველი უკვე მზად არის, ამიტომ შენობის აგებას არ დაუცდიან და დადგამენ ტურბინას და გენერატორს, ხოლო ამ ადგილს შემოღობავენ ფიცრებით. ამრიგად დამხმარე სადგურის მუშაობის დაწყება არ არის დამოკიდებული შენობის აგებაზე. ტურბინები და გენერატორები მზად არის და როგორც კი მახუნცეთამდე გზა გაიხსნება, მაშინვე გაიგზავნება დასადგმელად.

გარდა ამისა, ხევის ბოლოში მახუნცეთის მინდორზე აშენებულია ორი ყაზარმა მუშების საცხოვრებლად, სამზარეულო და საწყობები ცემენტისათვის, მანქანებისა და მისი ნაწილებისათვის და სამჭედლო; დინამიტის საწყობი და აბანო დახურულია. მაგრამ დასრულებული არ არის; მოწყობილია მომსახურეთათვის საექიმო პუნქტი, ეწყობა სასადილო და კლუბი. აწყობილია 10 HP სადგური საცხოვრებელი ყაზარმებისა და მიდამოების გასანათებლად. ამასთანავე დროებითი სადგური ქვის ღერღის და წყლის ხილის ამოზიდვის მექანიზაციის საშუალებას იძლევა; აგრეთვე 130 მეტრის სიმაღლეზე 20-25 ფ. მილების აზიდვა სწარმოებს ელექტრო-ენერგიის საშუალებით.

დამხმარე სადგურის აშენება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტურბინის ღირებულებას (შეფასებულია 5.000 მან.), რომლისგან ჩონჩხიდა იყო დარჩენილი – უდრის 30.000 მანეთს.

ამავე ძლიერების დიზელის სადგურის აგება დაჯდებოდა ასი ათასი მანეთი (HP – 500 მან.), ხოლო სადგურის ექსპლოატაცია 2 ½ წლის განმავლობაში მოითხოვდა 58.000 მან. ნავთს. ამრიგათ, უკვე მუშაობის დაწყებისთანავე საგრძნობ ეკონომიას აქვს ადგილი.

კლდის სახვრეტად განზრახულია პნევმატური მოწყობილობა. ელმაშტრესტში შეძენილ იქნა 2 კომპრესორი, 10 ხელის ჩაქუჩი არმატურით, რაც

უკვე საწყობში აქვს ჰიდრო-სადგურს. ამას გარდა შეძენილია და ჰიდრო-სადგურის სახელოსნოებში შეკეთებული ატლას-დიზელის კომპრესორი, 3 პერფორატორი ინგერსოლ-სერჟანტ, 1 ტელესკოპიური პერფორატორი, 1 ხელის პერფორატორი და ორი პნევმატიური სახვრეტი, რომელიც ქვების გასათლელადაც გამოდგება. შეძენილია ნავთის ქურა და პნევმატიური პრესი ინგერსოლ. ამრიგათ, კედლების სახვრეტ მუშაობის მექანიზაციისათვის ყოველგვარი საჭირო ინსტრუმენტები დამზადებულია.

პიროკსილინი შეძენილია სევასტოპოლში 1200 ფუთი, ანუ 20 ათასი კილო, ფუთი 4 მან. ჩამოტანილი მახუნცეთში დაჯდება ფუთი 7 მან. წინასწარ ანგარიშით თბილისში ნაყიდი პიროკსილინი ჯდება ფუთი 40 მან. ფრანკო თბილისი და მახუნცეთში ჩატანილი 50 მან. ფუთი, ე.ი. 7 ჯერ ძვირი. 75.000 პეტონატორი აგრეთვე შეძენილ იქნა სევასტოპოლში 5 კაპ. ცალი აბაზის მაგიერ, როგორც თბილისი იძლეოდა. ბიკფორდის შნური არის მხოლოდ 3.500 მეტრი, მაგრამ 500 ვოლტ. ნაკადით შეიძლება მოეწყოს ელექტრონით აფეთქება.

ამრიგათ, კლდოვანი სამუშაოები იარაღით და მასალებით 95% უზრუნველყოფილია. საჭირო იქნება მხოლოდ ფოლადი, რადგან მომარაგებული მთელ სამუშაოს არ ეყოფა. მაგრამ მუშაობის დაწყებისათვის სრულიად საკმარისია.

ქვის პლოტინაზე მიზიდვის მექანიზაციისათვის ნაყიდია ათასი მეტრი ტროსი 1½. ქვის საზიდავები თვით ჰიდრო-სადგურის სახელოსნოებში გაკეთდება. ნაყიდია და 2 ვერსტის მანძილზე უკვე მუშაობს ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა 18 რონოდით.

ტინობის სამუშაოს მექანიზაციისათვის შეძენილია ქვის სამტვრევი მანქანა, რომელიც საათში იძლევა 1 კუბ. საჟ. ღერღს და ასეთივე ძლიერების 2 ტინობისმრევი. ყველა ეს მანქანები შეძენილია ბათომში და შეკეთებულია საკუთარ სახელოსნოებში. ნაყიდია და შეკეთებულია სხვა და სხვა ძალის ელექტრო-მოტორები, ბენზინის მოტორი და დროებით სადგურის დინამო, რომელიც ნაყიდი იყო 200 მან. სრულიად უვარგისი და შეკეთების შემდეგ უკვე 3 თვეა მუშაობს. ხელახლად შეკეთდა დამხმარე სადგურის გენერატორები. პირველ დღეების მუშაობამ გვიჩვენა, რომ მექანიზაცია გატარებულ იქნება სრულიად, რაც უზრუნველყოფს სააღმშენებლო მუშაობის სასურველად დასრულებას.

დიდი ძალის საქაჩავის (6 ვიდრე 10) ქონება საჭირო არმატურით და იაფი ენერგია უზრუნველყოფს წყლის გადასასხმელ მუშაობას სასურველად წაყვანას და მდინარის ძირზე მუშაობის ჩქარა დასრულებას. ადვილათ მოეწყობა აგრეთვე დიაფრაგმის ფუძისთვის ტინობის კბილის გაკეთება, რადგან ამისათვის არის დიდი ძალის ქვის სამტვრევი და ტინობისმრევი. ტოპოგრაფიული პირობები ისეთია, რომ ადვილათ შეიძლება პლოტინაში ჩაწყობის მექანიზაცია.

გენერატორული შენობა, რომელიც ამფითეატრივით იქნება კლდის ფერდობზე აგებული, აშენდება მექნიზაციის საშუალებით, რაც ერთიან შეამცირებს ხარჯებს. გვირაბების და წყლის გადასასხმელ არხის კიდეების ტინობით გაკეთების და გასწორების მექანიზაციისათვის საჭიროა ერთი მანქანის შეძენა, რომელსაც საზღვარგარეთ დიდი ხანია ხმარობენ. ამ მანქანას იმდენი საქმე ექნება, რომ მისი შეძენა ეკონომიურად ხელსაყრელია.

შრომის მექანიზაციის მოწყობილებას ჰიდრო-სადგურის აგებისას ექნება ამორტიზაცია, ხოლო რაც შეეხება პნევმატიურ მოწყობილებას და კანატის გზებს – ეს გამოადგება საგზაო აღმშენებლობას აჭარისტანში. ტინობის სამუშაოების მოწყობილობას გამოიყენებს კომმეურნეობა საბინაო აღმშენებლობისათვის, რაც აუცილებელია ამ მოკლე ხანებში, რადგან ბათომი მალე გაიზრდება, როგორც სავაჭრო და სამრეწველო ცენტრი.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება აჭარის-წყლის ჰიდრო-სადგურს აჭარისტანისა და მთელი საბჭოთა კავშირისათვის შემდეგიდან სჩანს.

ყველამ კარგად უწყის, რომ აჭარისტანი და შავი ზღვის ნაპირები ყველაზე თბილი ადგილებია მთელს კავშირში, სადაც შეიძლება ისეთ მცენარეთა მოშენება, რომელიც ჩვენი კავშირის სხვა კუთხეში არ მოდის. ამ რაიონის ჰავა სუბტროპიკულია. წვიმის სიხშირის გამო (წელიწადში 2547მ/მ. ჩვენი მხარის ჰავა სუბტროპიკულ-ნესტიანია.

წვიმის სიხშირე და სითბო ქმნის ისეთ პირობებს, რომ საუკეთესოთ იხარებს ათასგვარი ადგილობრივი და უცხოეთიდან ჩამოტანილი მცენარეულობა, რომელიც ასე ხიბლავს ჩრდილოეთის მცხოვრებლებს, რომლებიც აჭარისტანს ესტუმრებიან.

იმავე დროს სინესტე ხელს უწყობს დაბალ ადგილების და ჭაობების შექმნას, რაც საუკეთესო პირობებს ქმნის მალიარიის – anophiles – გასავრცელებლათ. ამიტომ აჭარისტანის ის ნაწილი, რომელიც ახლოა ზღვასთან მუდამ დაავადმყოფებულია მალარიით.

ყველაზე მიზან შეწონილი იქნებოდა, როგორც ეს ს.ს.რ.კ. სახგეგმამ სცნო, იმ სისტემის შემოღება, რომელიც ჰოლანდიაშია გავრცელებული.

ჰოლანდიაში ჭაობიან ადგილებში არხები გაყავთ ისეთი დახრით, რომ შესაძლებელია არხის რაიონში არსებული წყლის სრული ჩაწრეტა. არხში წყლის მიმდინარეობის სიჩქარე ისე დიდი უნდა იყოს, რომ ხრეშს და ტალახს არ ტოვებდეს, არამედ თან მიქონდეს. ასეთ პირობებში არხის შესართავი ზღვის დონეზე ქვევით იქნება და წყალი დადგება არხში. ამიტომ ზღვის პირად, ისეთ ადგილებზე, რომ ზღვის ტალღამ დიდ ღელვის დროსაც ვერ მოუწიოს, კეთდება ჭა, რომელშიდაც ჩადის არხიდან წყალი, ხოლო ჭიდან ხდება წყლის ამოქაჩვა და ზღვაში გადაშვება. აშკარაა, რომ ჭიდან იმოდენა წყლის ამოქაჩვა იქნებ საჭირო, რამდენიც არხიდან ჩავა ჭაში. თუმცა წყლის ამოქაჩვის მანძილი მცირე იქნება, მაგრამ მანქანა მაინც დიდი ძალის უნდა იყოს, რომ შეძლოს მთელი წყლის ამოქაჩვა.

გამოანგარიშებულია, რომ დიდი წვიმების დროსაც კი ასეთი სისტემის არხის საქაჩი საჭიროებს დესიატინაზე 2 ცხ. ძალის ენერგიას. ასეთი ენერგია ფული ღირს. იგი რომ ბათომის ქალაქის სადგურიდან იქნეს მოთხოვნილი კილოვატსაათში გადაახდევინებდენ 20 კ. სულ დღე და ღამეში 24×2×¾=36 კილოვატსაათი. ანუ დესიატინაზე 7 მ. 20 კ. რასაკვირველია ეს ძლიერ ძვირია და ამ სისტემით ჭაობების გაშრობა, როცა ელექტრო-ენერგიას იძლევა დიზელ-სადგური, ეკონომიურად ძნელი განსახორციელებელია.

სულ სხვა მდგომარეობა იქნება, თუ ელექტრო-ენერგიას ჰიდრო სადგურიდან მივიღებთ. უპირველეს ყოვლისა, რაც უნდა ძვირათ დავაფასოთ, კილოვატსაათი 5 კაპ, ე. ი. 4 ჯერ იაფი დაჯდება. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ ამგვარ საქმეზე სადგურს შეუძლია ენერგია უფასოთ გასცეს, რადგან ეს მუშაობა იქნება 12 საათიდან დილის 6 საათ., როცა სხვა საქმეზე ეს ენერგია სადგურს არ სჭირდება. ამას გარდა, რაც მეტი იქნება წვი-

მა, იმდენათ მეტი იქნება აჭარისწყლის მდინარეში წყალი, რაც მეტი ენერგიის დამუშავებას ნიშნავს.

რადგანაც წყლის რაოდენობა, რომელიც მდინარეში ჩადის წვიმების შემდეგ არ იცლება 3 – 4 დღის განმავლობაში, ზედმეტი წყალი და მაშასადამე ზედმეტი ენერგია მოხმარდება არხების ჭიდან წყლის ამოქჩვას. რაც სწორეთ წვიმების შემდეგ ქინება საჭირო დაახლოვებით ამდენსავე დღეს. ყველა ეს მოსაზრება მიღებულ იყო მხედველობაში, თუმცა ს.ს.რ.კ. სახგეგმაში წყდებოდა აჭარისწყლის ჰიდრო-ელექტო სადგურის ბედი. ის ამხანაგებიც, კი რომლებიც დიზელ სადგურის მომხამრე იყვნენ, კი იძულებული გახდენ მიეღოთ ზემოთ მოყვანილი მოსაზრება და დიზელ-სადგურის, ე.ი. არა ჰიდრო-სადგურის პროექტი უარეყო და დაემტკიცებიათ ა. წ. ჰ. ე. ს. პროექტი.

უკვე იმ ერთმა გარემოებამ, რომ სადგურს შეიძლება მალიარიასთან ბრძოლა, მისცა სადგურს საკავშირო ხასიათი, რადგან ეპიდემიასთან ბრძოლას აქვს საერთო საკავშირო მნიშვნელობა,

ჭაობების გაშრობა მალიარიასთან ბრძოლის მიზნით არ იძლევა პრდაპირ შემოსავალს, გარდა იმისა, რომ ასწევს მცხოვრებთა ჯანმრთელობას, ხელს შუწყობს კურორტების განვითარებას, რაც გააუმჯობესებს სამეურნეო ცხოვრებას საერთოდ. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის არსებული ფინანსური მდგომარეობა ამის განხორციელების საშუალებას არ გვაძლევს. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის სახელმწიფო ინსტიტუტში წარგენილ იქნა პროექტი გამშრალ ჭაობიან ადგილების გამოსაყენებლად, რომ ჭაობების გამოშრობამ, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოიტანოს პირდაპირი შემოსავალი. ამ მიზნით შეიძლება გაშენდეს საფეიქრო მცენარეების – ჩინური ჯინჭარი „რამის" და ახალზელანდიურ კანაფის პლანტაციები და გაშენდეს ევკალიპტის ხეები.

ამ მოსაზრების გამო ინსტიტუტმა საფეიქრო მცენარეთა პლანტაციების გაშენების საკითხი გადაიტანა ს.ს.რ.კ. ს. მ. უ. საბჭოში, რომლის სამეცნიერო-ტეხნიკურმა განყოფილებამ და თვით ს. მ. უ. ს. გამოიტანეს დადგენილება, რომ აღნიშნულ მცენარეთა პლანტაციების გაშენებას დიდი მნიშვნელობა აქვს და სახელმწიფოს განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია.

რადგანაც ამ მცენარეთა კულტურისათვის საჭიროა ჭაობების გაშრობა, ხოლო ჭაობების გაშრობისათვის საჭიროა ჰიდრო-ელეკტრო სადგურის ენერგია, ამიტომ ჰიდრო-სადგურის აგება აუცილებლად საჭიროა აჭარისტანში ძვირფას საფეიქრო მცენარეების გასავრცელებლად. ამიტომ ს.ს.რ.კ. სახგეგმამ სადგურის კრედიტების გახსნისას აღნიშნა, რომ სადგურმა ენერგია უნდა მისცეს ჭაობების დასაშრობათ და ტექნიკურ ნედლ მასალის დასამუშავებლათ.

ამითაც არ იფარგლება ჰიდრო-სადგურის მნიშვნელობა აჭარისტანის სარეწველო ცხოვრების განვითარებისათვის.

ამ ჟამად ს.ს.რ.კ. ს.მ.უ.ს. აწარმოებს აჭარისტანში ალიუმინის მადნის გამოკვლევას. ალიუმინის დამუშავებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ი.ფ. ელეკტრო-ენერგიას. ამიტომ ა. წ. ჰ. ე. ს. ამ საქმეშიც დიდი მნიშველობა ექნება. ს. მ. უ. ს. სხდომაზე აღნიშნული იყო, რომ სადგური 8 – 9 თვის განმავლობაში მისცემს ენერგიას ალიუმინის დასამუშავებლათ 0.3 კაპ. კილოვათსაათს. ამიტომ ს. მ. უ. საბჭომ კატეგორიულათ მოითხოვა სახგეგმის კომისიაში, რომ დამტკიცებული ყოფილიყო მეორე ვარიანტი, რომელიც სა-

შუალებას გვაძლევს მცირე ხარჯებით გავადიდოთ ჰიდროსადგურის ძლიერება ალიუმინიის მადნების დასამუშავებლათ.

იმ მოსაზრებებმა, რომ შესაძლებელი გახდება აჭარისტანის მალარიისგან განკურნება, საფეიქრო მცენარეთა და სამთამადნო მრეწველობის განვითარება, ა. წ. ჰ. ე. სადგურს საკავშირო ხასიათი მისცა. ამ პერსპექტივების გამო სახგეგმამ დაამტკიცა ჰიდრო-სადგურის ძვირფასანი ვარიანტი და შუამდგომლობა აღძრა შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე 600.000 მან. გაცემის შესახებ სადგურის ასაშენებლად.

აჭარისტანში არის სპილენძის, ცინკის და სხვა მადნები. რაკი იაფი ენერგია იქნება, შესაძლებელია მადნების დამუშავების მექანიზაცია. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტრო-ენერგიას სამთამადნო მრეწველობაში იქიდანაც სჩანს, რომ მურღულის ქარხნებში გაყვანილია ნავთსადენი და კვარცხანის ქარხნებში ნავთი ავტომობილებით გადააქვთ ბათომიდან.

განზრახულ ნავთის დსამუშავებელ ქარხნის მოწყობა ბარცხანაში მოითხოვს ან საკუთარ ელექტრო-სადგურის აგებას, ან ჰიდრო-სადგურიდან ენერგიის მიღებას, რაც უფრო იაფი და რაციონალური იქნება.

ძვირფას ხე – ტყის – სამშიტის და ნიგვზის ექსპორტის გაძლიერება აგრეთვე დამოკიდებულია იაფ ელექტრო-ენერგიის ქონებაზე, რადგან ელექტრო მოტორიან ხე-ტყის სახერხ ქარხნის მოწყობა ადვილია და იაფი. ჰიდრო – სადგური დიდათ შეუწყობს ხელს სატყეო მრეწველობის განვითარებას.

ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ ჰიდრო-სადგურის აგება განსაკუთრებულ გავლენას იქონიებს მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე. შესაძლებელი გახდება ყოველწლიურად ¼ მილიონ ფუთ საფეიქრო მასალის დამზადება. განვითარდება სამთამადნო მრეწველობა და ნავთის გადამუშავება. შესაძლებელი გახდება სატყეო მრეწველობის რაციონალურად დაყენება. იაფი ენერგიის საშუალებით მოსახერხებელია ბათომის ნავთსადგურის განვითარება და გაფართოება. ყველაფერი ეს მოწმობს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება აჭარისტანისა და საერთოდ საბჭოთა კავშირისათვის აჭარისწყლის ჰიდრო-სადგურის აგებას.

* * *

### 2. *განათლების სახალხო კომისარიატი*

მეფის რეჟიმის დროს უმთავრესი სწავლა-აღზრდის საქმის მმართველობა საერთოდ იყო სახალხო განათლების სამინისტროს ხელში. მთელი რუსეთის იმპერია დაყოფილი იყო ოლქებათ, რომელთა სათავეში იდგა ოლქის მზრუნველი; ოლქები იყოფებოდა საგუბერნიო დირექციებათ, რომელთაც ხელმძღვანელობდენ დირექტორები, მხოლოდ გუბერნია კი თავისთავად იყოფებოდა რაიონებად, რომელთაც განაგებდენ, ეგრეთ წოდებული, სახალხო სკოლების რაიონული ინსპექტორები. მთელი ბათომის ოლქი, ოზურგეთის მაზრასთან ერთად, შეადგენდა ქუთაისის გუბერნიის სადირექციოს მესამე რაიონს. მაშინდელი დროის უწყებათა მმართველობა და სტრუქტურა ატარებდა კარჩაკეტილობისა და ჩინოვნიკურ ხასიათს – აღზრდის სქოლასტიურობის სისტემის წყალობით. დაბალ სახალხო სკოლებს განაგებდენ სახახლო სკოლების ინსპექტორები და არავითარი შეთანხმებული ძაფი არ იყო გაბმული საშვალოსა და დაბალი სკოლების მოქმედებაში. ასეთი წესი ხელს უწყობდა იმ გარემოებას, რომ ადგილებზე სრულიად უყურადღებოდ რჩებოდა მცხოვრებთა ზნეჩვეულებანი, ცხოვრების პირობები, ისტორიული

წარმოების და თავისებურობის თვისებები, რაც სრულიად შეუძლებლად ხდიდა ამა თუ იმ ეროვნებათა ბუნებრივ და წესიერ აღზრდა-განვითარებას და ამის ნაცვლად სისტემატიურად და რეგულიარულად ხდებოდა მათი ძალდატანებითი რუსიფიკაცია. სწორედ ასეთ პირობებში მიმდინარეობდა აჭარისტანის სწავლა-აღზრდის მუშაობა.

მეფის დროს სახალხო სკოლის ინსპექტორებს, რასაკვირველია, არავითარი კავშირი არ ჰქონდათ და არც ექნებოდათ მშრომელ მასასთან. სკოლების კარები ღია იყო მხოლოდ წარჩინებულ და ბრწყინვალე წოდებისათვის და პროლეტარული და მშრომელთა ფართო მასები კი უვიცობისა და სიბნელეში იხრჩობოდენ. პირიქით, არსებობდა კიდევ მთელი რიგი კანონმდებლობათა, რომელიც ზღუდავდა საშვალო სკოლების კარებს მშრომელ ხალხთა შვილებისთვის. თვითმპყრობელობა მუდამ სულდგმულობდა თავის ბატონობის შენარჩუნების შიშსა და ძრწოლაში და ხალხთა ფართო მასების სწავლა-განათლება და გონივრულად აღორძინება მისთვის ხელსაყრელი არ იყო.

აჭარისტანს, სამწუხაროდ, მეფის დროს მოუხდა კიდევ გადაეტანა მენშევიკთა ბატონობის ხანაც. უწყებათა სტრუქტურა თავისი შინაგანი ძალით და არსებით ცოტათი იქნა შეცვლილი და ძირითად თვისებებით მეტად წააგვდა მეფის დროისას. სათავეში იდგა იგივე განათლების მინისტრი; მზრუნველთა მაგიერ ამა თუ იმ ოლქში რწმუნებულები არსებობდნენ. ამა თუ იმ ერთა ინტერესები ისევე აბუჩათ იყო აგდებული და მხოლოდ ვიწრო შოვინისტური უსაზღვრო ლტოლვა ახასიათებდა მათ მუშაობას. თუმცა სცადეს ცოტათი მაინც შეეცვალათ სასწავლო გეგმის შინაარსი, მაგრამ მათი ცდა ატარებდა გაუბედავ და მეტათ მკრთალ ხასიათს. მაგრამ ყველაზე უფრო სასირცხვილო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს მათ მოღვაწეობაში მათი დამოკიდებულება მშრომელ ფართო მასების სწავლა-აღზრდის საქმესთან: ოლქში არ გაუხსნიათ არც ერთი ახალი სკოლა. იქაური სასკოლო ბინები ცარიელი იყო და სამწყესურზე მოხეტიალე თხების ფარეხათ იქნა გადაქცეული. აჭარისტანის გლეხობა ყოველგვარ სწავლა-განათლების საქმეს გვერდს უხვევდა და მთავრობა კი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდა მათზე ზრუნვის მიზნით. მიუხედავად იმ მყვირალა და მრავალ დაპირებებით აღსავსე ლოზუნგებისა, რომელიც გადმოისროლა მენშევიკების პარტიამ, საქართველოს ეგრეთწოდებულ „დამოუკიდებლობის" გამოცხადების დროს, განათლების სფეროში, როგორც ზევით არის ნათქვამი, არაფერი არ გაკეთებულა და არსებითაც მშრომელი მასები სრულიად არ იყვნენ საერთო განმანათლებელ მოძრაობაში ჩაბმული.

სრულიად შეიცვალა სურათი აჭარისტანის გასაბჭოების შემდეგ: წინა ეპოქების სულის შემხუთველ გავლენისაგან განთავისუფლებულმა სკოლამ იწყო სისწრაფით ზრდა და განვითარება. უპირველეს ყოვლისა ჯეროვანი ყურადღება მიქცეული იქნა ოლქზე. დაიწყო სკოლების შენობათა შეკეთება და თანდათანობით გაძლიერდა სკოლის მაჯისცემა. მეცადინეობა განახლდა. მოწაფეთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და მცხოვრებთა სკოლისადმი ნდობამ თანდათანობით ფეხი მოიკიდა. პირველ ხანებში ოლქის სკოლებში სჯულის სწავლება იქნება დაშვებული ტაქტიკური მოსაზრებით, მაგრამ ამასთანავე ერთად შეუწყვეტლივ მიმდინარეობდა განმანათლებელი მუშაობა, რის წყალობითაც შესაძლბელი გახდა სრულებით გაქარწყლებულიყო წმინდა რელიგიური ადგილობრივი სკოლების„მედრესე"-ს ზეგავლენა და

მცხოვრებთა კულტურული თვითშეგნება იმ დონემდე იქნა აყვანილი, რომ მოწაფეობამ სისწრაფით დაიწყო სკოლებისაკენ დენა და მათგან გაივსო სახელმწიფო სკოლები. ახალ გახსნილ სკოლების რიცხვი თანდათანობით მრავლდებოდა, აჭარისტანის სრულიად მივარდნილ შორეულ კუთხეებიდანაც კი თხოულობდენ სკოლების გახსნას.

ამ ჟამად აჭარისტანისთვის უზრუნველყოფილია ბუნებრივი ზრდა-განვითარება ფართო მასშტაბით და აჭარისტანში გამოყოფილია განსაკუთრებული კომისარიატი სახალხო განათლების, რომელსაც მთელი თავისი გულისყური იქითკენ აქვს მიქცეული, რომ აქ ადგილობრივი განმანათლებელი მუშაობა სავსებით შეეფერებოდეს მოსახლეობათა ჭეშმარიტ მოთხოვნილებასა და საჭიროებას.

განსახკომისარიატი დაარსებულია აჭარისტანის გასაბჭოების დროს, პირველათ ამ დაწესებულებას ერქვა რევოლიუციონური კომიტეტის განათლების განყოფილება, მაგრამ მას შემდეგ, რაც აჭარისტანი ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადდა, ყოფილმა განათლების განყოფილებამ მოგვცა განათლების სახკომისარიატი; ეს მოხდა 1921 წლის ნოემბერში.

### *1921 და 1922 წლები*

გასაბჭოებულ აჭარისტანს საერთოდ მეტად უნუგეშო მდგომარეობა ეანდერძა ყოფილ მთავრობათა და მრავალგვარ ოკუპანტების წყალობით. თითქმის საერთაშორისო ომის დაწყების დღიდან არც ერთი წელი არ ყოფილა ისეთი, რომ აჭარის გლეხობას მეტად მწვავეთ არ ეგრძნოთ მთელი სიმძიმე იმ არევ-დარევისა, რაც გამოიწვია იმპერიალისტების მიერ დაწყებულმა მტაცებლურმა ომმა და როგორც საერთოდ მთელი ევროპა, ისე პატარა აჭარისტანიც გაეხვია მათგან დანთებულ ცეცხლის ალში და ჩაიხრჩო სისხლის მორევის მღვრიე ტალღებში.

განსაკუთრებით 1918 წლიდან აჭარისტანმა არ იცის რას ნიშნავს დაწყნარებული კულტურული მუშაობა, ჯერ ოსმალეთის ჯარის შემოსევისაგან ვერ მოეთქვა სული ადგილობრივ ფუხარა ხალხს, რომ მასე მოევლინა ახალი ოკუპანტები ინგლისის მხედრობის სახით. მთავრობის მალ-მალე შეცვლამ და უცხო სახელმწიფოების დატოვებულმა აგენტებმა აჭარისტანში კულტურულ საქმის განსავითარებლათ მეტად მძიმე პირობები შექმნეს. მიუხედავად ამისა, აჭარისტანის მშრომელი გლეხობა, რომელიც სწავლისათვის მოწყურებული იყო, მოითხოვდა შკოლების გახსნას. მაგრამ, რასაკვირველია, არა ისეთი შკოლების, როგორც მაშინდელ მთავრობებს სურდათ. ხალხი მოითხოვდა ისეთი ტიპის შკოლებს, რომლებსაც არც გარუსების, არც გათურქების და არც გაქართველების ტენდენცია ექნებოდა. შკოლა უნდა იყოს აჭარისტანის სინამდვილესთან მჭიდრო კავშირში. ჩვენი ქვეყნის ბუნება და მისი სიმდიდრის შესწავლა, აჭარისტანის ზნე-ჩვეულებანი და ადათები – აი რა საფუძველზე უნდა ყოფილიყო აჭარისტანის შკოლები აგებული. მაშინდელი მთავრობები კი ამას არ უწევდა ანგარიშს და ხალხის მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებელი რჩებოდა.

მენშევიკების მთავრობამ სწორეთ აქ წაიტეხა ფეხი. იგი ვერ მიხვდა, ალღო ვერ აუღო აჭარისტანის სინამდვილეს, ხალხის სურვილებს. ამიტომ აჭარელი მშრომელი ხალხი მედრესეში ყოფნას აჯობინებდა, ვიდრე ძველი მთავრობების მიუღებელ შკოლებში ბავშვების გაგზავნას.

სწორედ ამაში გამოიხატება ყოფილი მთავრობის დანაშაული აჭარისტ. ოლქში კულტურული საქმის მოწესრიგების საკითხში. მცხოვრებათა შუამდგომლობანი სკოლების გახსნის შესახებ უყურადღებოთ რჩებოდა. არსებული სკოლები კი სრულიად განადგურებული იყო და მაშასადამე მეცადინეობისთვის გამოუსედეგარი, იმ ჟამად გამოცდილი მასწავლებელთა კადრის შექმნაც შეუძლებელი გახდა, ვინაიდან ასეთები თავს ანებებდენ სამსახურის მატერიალურად დაუკმაყოფილებლობის გამო და მხოლოდ უვარგისი და უადგილოთ დარჩენილი მასწავლებლები ინიშნებოდენ ოლქის სკოლებში. ამ არა ნორმალურ მდგომარეობამ, რასაკვირველია, ცუდი შედეგი მოიტანა გასაბჭოების შემდეგაც, პირველ ხანებში, მრავალმა მოუმზადებელმა ელემენტებმა შეაფარეს თავი სკოლას და მასწავლებლათ მოგვევლინენ.

აჭარისტანში 1921 წელს იყო მთავრობის 38 სასწავლებელი, ამათგან პირველდაწყებითი – 31, გიმნაზია – 2 (ქალთა და ვაჟთა), უმაღლეს დაწყებითი – 3, ტექნიკური სასწავლებელი – 1 და პრაქტიკული სკოლა – 1; საერთოდ ამ რიცხვიდან მაზრებში იყო – 23 პირველ დაწყებითი სკოლა, ერთი უმაღლეს დაწყებითი (ქობულეთში) და ერთი პრაქტიკული აგრონომიული სასწავლებელი (ხუცუბანში) პანსიონით და სამასწავლებლო კურსებით.

ქ. ბათომში არსებობდა ორი გიმნაზია, ტეხნიკური და სახელოსნო სასწავლებელი – 1, უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი – 2 და პრველ დაწყებითი – 8.

ოლქის სკოლების აღნიშნულ სასწავლებლებიდან მხოლოდ 15 სკოლას ჰქონდათ საკუთარი ბინა, დანარჩენი მოთავსებული იყო კერძო ბინებში. სასწავლებლის შენობებს ესაჭიროებოდათ შეკეთება, მხოლოდ რაც შეეხება სკოლების მწყობილობას, მასზედ ხომ ზედმეტია ლაპარაკი: არც ერთ სკოლას არ მოეძებნებოდა ასეთი რამ; პარტების უმრავლესობა იყო დამტვრეული, ისიც რიცხვითი იყო ძლიერ ცოტა, საკლასო დაფები კი ყველა სკოლებს არ ჰქონდათ.

შედარებით ოლქთან თითქმის უკეთეს პირობებში იყო ქალაქის სკოლები, როგორც მასწავლებელთა შემადგენლობის მხრით, აგრეთვე სკოლის მორთულობითაც. მაგრამ ბინის კრიზისი და ქართული ბიბლიოთეკის უქონლობა აქაც მთელი სიმძიმით იყო წამოჭრილი. უმაღლეს დაწყებით სკოლებს საკუთარი ბინა ჰქონდათ, მაგრამ მათ ესაჭიროებოდათ კაპიტალური რემონტი, რადგან ჯარის ნაწილების დგომამ სკოლებში დიდი ზიანი მიაყენა მათ.

ყოველივე ზემოთხსენებულ დეფექტებს ესაჭიროებოდა სასწრაფოდ გამოსწორება, მაგრამ იმ რესურსებით, რაც მაშინ გააჩნდა, ოდნავათაც არ შეიძლებოდა მდგომარეობის გაუმჯობესება. მთავარი გულისყურიც იქითკენ იყო სწორეთ მიქცეული, რომ რაც შეიძლება სასწრაფოთ გამოსწორებულიყო მდგომარეობა. აი, სწორედ ამ სამუშაომ შეიწირა სავსებით განსახკომისარიატის მთელი 1922 წლის მოღვაწეობა, მაგრამ მაინც, პარალელურად ძველი სკოლების რესტავრაციასთან, შესძლო 1922 წელში ოლქში სკოლების რიცხვის მომატება და არსებული სკოლების რიცხვი აყვანილ იქნა ორმოცამდე, ასე რომ 1922 წელში ქალაქში იყო 13 სკოლა, სადაც დაახლოვებით სწავლობდა 3979 მოწაფე და მაზრებში კი 40 სკოლა, სადაც მოწაფეთა რიცხვი აღწევდა 2000.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, არც ერთს მაშინდელ სკოლებში არ მოიძებნებოდა მოწაფე ქალი, დღეს კი მაზრებში იშვიათია სკოლა, სადაც

რამდენიმე ათეული აჭარელი გოგონა არ სწავლობდეს. ერთი ხელის დაკვრით ეს არ მოხდებოდა, საჭირო იყო გაასკეცებული მუშაობა, მუყაითობა რომ გამოსწორებულიყო ყველა დეფექტები და ფართე მასებში განმტკიცებულიყო სწავლა-აღზრდის საქმე, მით უმეტეს აჭარისტანის სინამდვილეში, რომ მას მიეღწია ის შედეგებამდე, რის სურათსაც ჩვენ ვხედავთ 1924 წლის დასასრულის დროს.

### *1923 წელი*
### *საერთო მიმოხილვა*

1923 წლის პირველ თვეებში მუშაობას ხელს უშლიდა მრავალგვარი დამაბრკოლებელი მიზეზები, რომელიც გამომდინარეობდა ორი მთავარ მიზეზიდან: პირველი-მტკიცე ბიუჯეტის უქონლობა. ხსენებული მიზეზით გამოწვეული იყო, რომ სახკომატს არ ჰქონდა საშუალება იმ თავითვე მიექცია სათანადო ყურადღება სკოლების შენობების შეკეთების, სახელმძღვანელოების და ხელსაწყოების მიწოდებისათვის და ცოტათ თუ ბევრათ უკეთ მომზადებულ მასწავლებლების მაზრებში განწესრიგებისათვის.

ის შემთხვევითი მასწავლებლები, რომლებიც იგზავნებოდნენ მაზრებში და რომელთაც არ ჰქონდათ საამისო არც მომზადება და არც სტაჟი, თავისთავად ცხადია ვერ შესძლებდენ იმ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, რასაც ისახავდა თავიდანვე განსახკომი და რაც ამ უკანასკნელს უნდა მოეთხოვა თავის თანამშრომლებისგან სხვა შემთხვევებში. დიადი მიზნები რომელსაც ისახავს განათლების სფეროში საბჭოთა ხელისუფლება, შექმნილ მდგომარეობის გამო, კარგა ხანს ვერ პოულობდა თავის განხორციელებას და დადებითი შედეგების მიღწევას. მეორე მიზეზი პირველზე არანაკლებ მნიშვნელობის იყო. 1921 და 22 წლებში ჩვენ ვერ შევძელით ყველა იმ დეფექტების სრული გამოსწორება, რომელიც ძველ სკოლას ახასიათებდა. საჭირო იყო სახელმძღვანელოების გადაკეთება, მათი აჭარისტანის სინამდვილესთან შეფარდება, ზნე ჩვეულებებისა და ადათების ანგარიშის გაწევა. ეს წლები საორგანიზაციო ხანათ ჩაითვლება. ჩვენი სინამდვილის შესწავლამ და წინასწარ მომზადებამ საშვალება მოგვცა 1923 წელში უკვე შეგვექმნა ნამდვილი საბჭოთა სკოლა, რომელმაც დამსახურებული სიმპატია და პოპულარობა მოიპოვა აჭარისტანის მშრომელ მასაში.

მუშაობას ხელს უშლიდა აგრეთვე ადგილობრივი პირობები, როგორიცაა გზების უვარგისობა, მაზრების სკოლების ცენტრიდან შორს ყოფნა, რაც თავის მხრით შეუძლებლად ხდიდა ზამთარში მეტი მზრუნველობის გამოჩენას და საერთოდ სკოლებისათვის თვალყურის დევნებას. შემდეგში კი დაეტყო მდგომარეობას გაუმჯობესება და კულტურულ-განმანათლებელ აპარატის მუშაობა თანდათან დგება ნორმალურ კალაპოტში. მტკიცე ბიუჯეტში გადასვლამ განსახკომატს საშუალება მისცა მეტის ინტენსიობით გაეწია ხელმძღვანელობა კულტურულ მუშაობისათვის ადრევე გამომუშავებულ გეგმის მიხედვით.

იხსნება სკოლები უფრო მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებსა და გზატკეცილებს დაშორებულ სოფლებში, თანდათანობით მტკიცდება უფრო მომზადებულ მასწავლებელთა კადრი მოწაფეთა რიცხვის ზრდასთან შეფარდებით, შესაძლებელი ხდება სკოლებისათვის შესაფერისი სახელმძღვანელოების მიწოდება, როგორც ქართულ ისე მუსლიმანურ ენებზე, მყარდება უფ-

რო მჭიდრო კავშირი ცენტრსა და პერიფერიებს შორის, რაც ხელს უწყობს სკოლებისათვის ინსტრუქციების და საჭირო ცნობების მიწოდებას და სხვა და სხვა. ასეთი ცვლილება ემჩნევა თვით აჭარისტანის ფუხარა ხალხის განათლების საქმისადმი დამოკიდებულებას. მაშინ, როცა მეფის რეჟიმის, მენშევიკებისა და სხვა და სხვა კონტრ - რევოლუციონერთა ბატონობის დროს, აჭარისტანის გლეხობას ნათლად ემჩნეოდა, რომ ის პირდაპირ გაურბოდა სკოლას და უარყოფითად ეპყრობოდა განათლების საქმეს, ეხლა კი იმჩნევა ამ მხრით დიდი ცვლილება, რაც გამოიხატება იმაში, რომ აჭარისტანის ფუხარა ხალხი ნათლად გრძნობს სწავლა-განათლების აუცილებლობას და ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი თხოულობენ სკოლების გახსნას და ამ საქმეში აქტიურად ჩაბმას, რაც საშუალებას აძლევს განსახკომატს გაძლიერებულის ტემპით აწარმოოს სწავლა-განათლების საქმე და ამით მიაღწიოს თავის მიზნების სრულ განხორციელებას.

### *სკოლების მდგომარეობა*

ხსენებულ მდგომარეობის სასურველათ შეცვლით განსახკომატს საშუალება მიეცა თებერვლის და მარტის თვეების განმავლობაში გაეხსნა ქობულეთის მაზრაში ორი ახალი სკოლა და ოთხი სკოლა სხვა მაზრებში, რითაც სკოლების რიცხვი მაზრებში ავიდა 45-მდე სკოლების რიცხვის ზრდასთან ერთად მაზრებში მატულობდა მოწაფეთა რიცხვი, რაც ავიდა 2.500-მდე და მასწავლებელთა რიცხვი კი 129-მდე.

მაზრების სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმეს უმაღლეს დონეზე დაყენების და მეტი თვალყურის დევნების მიზნით, მაზრების სკოლების ინსტრუქტორების რიცხვი გადიდდა სამამდე.

ამავე შედეგებს იძლეოდა ქალაქის სკოლებიც, სადაც ორივე საფეხურის 15 სკოლაში მოწაფეთა რიცხვი აღწევდა – 5.00-მდე.

თუ რამდენათ ნაყოფიერად მიმდინარეობდა საანგარიშო სამოსწავლო წლის განმავლობაში აჭარისტანის ყველა ტიპის სკოლებში მეცადინეობა, ნათლად გვაჩვენებს შემდეგი ციფრები: პირველ ტეხნიკუმის კურსი დაამთავრა 92 მოწაფემ, მეორე ტეხნიკუმმა მოგვცა 80 კურსდამთავრებული მოწაფე, შრომის სკოლები კი დაამთავრა 398 მოწაფემ. 1923-24 სამოსწავლო წლებში 1-ლ ჰუმანიტარულ ტეხნიკუმიდან გამოვიდნენ 10 კურსდამთავრებული აჭარელი ახალგაზრდა, რომელთაც მიიღეს სრული საშუალო განათლება, რაც პირველი შემთხვევაა საერთოდ ცხოვრებაში.

### *განსახკომატის სტრუქტურა*

1923 წლის განმავლობაში შესამჩნევათ შეიცვალა სწავლა-აღზრდის სტურქტურა; დაარსებულ იქნა განკომთან შემდეგი განყოფილებები და სექციები:

1) საინსტრუქციო აპარატი;
2) სამეცნიერო პედაგოგიური სექცია;
3) სკოლის ასაკამდე აღზრდის და მცირეწლოვან. სოც. უფ. დამც. განყოფილება;
4) სამხატვრო-სალიტერატურო სექცია;
5) ბეჭდვითი და გამომცემლობითი სამმართველო.

1923 წლის მაისის თვიდან კომისარიატთან დაარსდა ბეჭდვითი და გამომცემლობითი მთავარი სამმართველო, რომელმაც იმ თავითვე დაისახა მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვან სამუშაო გეგმებისა. ჩვეულებრივი რეგულიარული მუშაობა ხსენებული განყოფილებისა გამოიხატება იმაში, რომ ყოველგვარი ლიტერატურული ნაწარმოების, როგორც შემოტანა, აგრეთვე გატანა ხდება მხოლოდ მისი სანქციით; მასვე აქვს მინდობილი წინასწარი ცენზურა კინო-სურათებისა, აკადემიურ და „რაბისი"-ს თეატრების რეპერტუარებისა და მისვე კომპეტენციაში შედის აგრეთვე ყველა ადგილობრივ გამოცემათა ცენზურა და სხვა და სხვა.

***არქივი და გამოფენა***

დამტკიცებულ იქნა პერსონალური შტატი ფრიად საყურადღებო ორგანოს – საარქივო სამმართველოს. ზედმიწევნით საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს მაისის დამდეგს გამოფენის მოწყობა. გამოფენა მოწყობილ იყო ყოფილ სამხედრო სობორში და მიიზიდა მრავალი მნახველები. გამოფენამ ნათელჰყო ის უდიდესი მიღწევები, რაც გატარებულა სასკოლო და სკოლის ასაკამდე აღზრდის სფეროში.

***მცირეწლოვანთა უფლებრივი დაცვა***

მეტად ინტენსიურ მუშაობას აწარმოებდა აგრეთვე მცირე წლოვანთა სოციალურ უფლებათა დამცველი განყოფილება, რომლის წყალობითაც მრავალი უსახლკარო ბავშვები მოწყობილ იქნენ თავშესაფარში და ბავშვთა სახლებში. გარჩეულ იქნა მრავალი საქმეები მცირეწლოვანთა ბრალდების გამო და აგრეთვე მიღებულ იქნა ზომები დეფექტიურ ბავშვებზე აღმზრდელობითი ზეგავლენისა. მუშაობა გაფართოვდა მით უფრო, რომ მიღებულ განკარგულების თანახმად, მცირე წლოვანებზე მეურვეობის საქმეები გამოყოფილია იუსტიციის კომისარიატიდან და სავსებით ექვემდებარება მცირე წლოვანთა სოციალურ უფლების დამცველ განყოფილებას.

***პედაგოგიური კურსები***

განსახკომატს ადრევე ჰქონდა დასახული მიზნად მოეწყო ქ. ბათომში პედაგოგიური კურსები, რათა გაძლიერებულიყო პედაგოგიური კადრი, ამაღლებულიყო მისი კვალიფიკაცია და დაახლოვდებოდა მათში მეცადინეობის მეთოდი სკოლების სტრუქტურას და პედაგოგიურ ახალ მსვლელობას. ივნისის თვეში გამოცხადებულ რეგისტრაციაში გატარდა 257 ქალი და კაცი. ამ რიცხვში იყვნენ არა მასწავლებლებიც, რომელთაც მოისურვეს პადაგოგიური კურსების მოსმენა. კურსები გაიხსნა 1-ლ ივნისს. მსმენელებათ ჩარიცხულ იქნა 156 ქალი და კაცი, დანარჩენები კი სხვა და სხვა მოსაზრებებით, როგორიცაა საკმაო პედაგოგიური სტაჟი და განთლებს ცენზი, განთავისუფლებულ იქნენ კურსების მოსმენიდან. საჩქაროთ მოწყობილ იქნა მსმენელთა რიცხვის მიხედვით, საერთო საცხოვრებელი ბინა 58 საწოლით. დაენიშნა თითოეულ კურსანტს სახარჯო დღეში 500.000 მან. პედაგოგიურ კურსებს ჰქონდა სამი სექცია: ქართული, თურქული და რუსული. რუსულ სექციაზე სწავლა დაიწყო 20 ივნისს. პედაგოგიურ კურსებზე მოწვეულ იქნა

ლექტორებად ადგილობრივ ძალებიდან 20 კაცი. კურსებზე იკითხებოდა შემდეგი საგნები: პედაგოგიკა, პედაგოგიური ფსიქოლოგია, ქართული ენა, თურქული ენა, არითმეტიკა; მეთოდიკები: ქართული ენის, თურქული ენის და არითმეტიკის, სამშობლოს აღწერა, გეოგრაფია, ტანთვარჯიშობა, ძერწვა, საბჭოთა აღმშენებლობა და პოლიტიკური ეკონომია. სწარმოებდა აგრეთვე გაკვეთილების მიცემა და პრაქტიკული მეცადინეობა ბუნებისმეტყველებაში. კურსები დამთავრდა 20 აგვისტოს. მსმენელთ დაურიგდა სათანადო მოწმობები კურსების მოსმენის შესახებ.

***სკოლების რეორგანიზაცია***

ამ წლის განმავლობაში იქნა მთელი რიგი საორგანიზაციო ნაბიჯებისა, რომელთაც მიზნად ჰქონდა აემაღლებია აჭარისტანის მშრომელ ხალხის თვალში სკოლის პრესტიჟი და მნიშვნელობა და დაეახლოვებინა ის ფართო მასისათვის. მოხდა ძირითადი ცვლილება ორივე საფეხურის შრომის სკოლებში, როგორც მათი სტრქტურის, ისე პროგრამის მხრით.

მე-2-ე საფეხურის სკოლა იყოფა ორ ეტაპათ: 1-ლი ეტაპი გრძელდება სამ წელს, სადაც მოწაფე განაგრძნობს ბუნებისა და საზოგადოების შესწავლას. ამ სკოლის, ე.ი. მე-2 საფეხურის 1-ლ კონცენტრის (შვიდწლედი) დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ საშუალება განაგრძონ სწავლა სპეციალურ ტეხნიკუმებში, სადაც ისინი მიიღებენ საშუალო-სპეციალურ განათლებას (ქიმიკოსები, მექანიკები და სხვა). შემდეგი ეტაპი ეს მე-2 საფეხურის შრომის სკოლის მე-2 კონცენტრია (ცხრაწლედები), რომლის დანიშნულებას შეადგენს ახალგაზრდობის მომზადება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელათ.

რეორგანიზაციის განხორციელების შემდეგ ქალაქის სკოლების ქსელმა მიიღო შემდეგი სახე: 1–ლი საფეხურის (ათწლედები) სკოლები: ქართული-ორი, რუსული-ორი; მუსლუმანური-ერთი, სომხური-ერთი, ბერძნული-ერთი და ებრაელთა-ერთი; სულ 8 სკოლა.

მე-2 საფეხურის (სამწლედი და ხუთწლედი) სკოლები: ქართული-ერთი, რუსული-ერთი, მუსლიმანური-ერთი, სომხური-ერთი, ბერძნული-ერთი, სულ 5 სკოლა. არის გაერთიანებული (დროებით) ჰუმანიტარული ტეხნიკუმი-ერთი, ინდუსტრიალური ტეხნიკუმი-ერთი და პედაგოგიური ინსტიტუტი-ერთი.

მაზრებში რჩებიან ორ წლიანი 1-ლი საფეხურის სკოლები, ზოგან იქნება ოთხწლედები და შვიდწლედებიც.

ჰუმანიტარული ტეხნიკუმი, როგორც გაჟღენთილი ბურჟუაზიული სულისკვეთებით, ცხადია ვერ დააკაყოფილებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოების მოთხოვნილებას სახალხო განათლების სფეროში, ამიტომ განსახკომატმა მიიღო ზომები, რათა 1923-24 სამოსწავლო წლიდან ჰუმანიტარული ტეხნიკუმის 1-ლ კლასში არავინ მიეღოთ. ეს ასეც მოხდა. მე-2 კლასის საკითხი რჩება ღიათ 1924-25 სამოსწავლო წლამდის. მე-3 და მე-4 კლასები ერთად ათავებენ ტეხნიკუმს მიმდინარე სამოსწავლო წელში, რისთვისაც საჭიროთ შეცვლილია მათი სწავლის გეგმა. ისე, რომ მიღებულ ზომების გამო აჭარისტანის რესპუბლიკაში აღარ იქნება ჰუმანიტარული ტეხნიკუმი.

***პედაგოგიური ინსტიტუტი***

1923 წელში განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე წამოიჭრა ახალი კარდინალური მნიშვნელობის საკითხი: დაარსება სპეცსასწავლებ-

ლების, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ შეფარდებული ადგილობრივ პირობებთან და მოთხოვნილობებთან. ამ მიზნით განათლების კომისარიატმა გახსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელმაც უნდა მოგცეს მომზადებელი აჭარელი მასწავლებელი შრომის სკოლებში სამუშაოდ.

პედაგოგიური ინსტიტუტი გაიხსნა ყოფილ ქალთა გიმნაზიაში. მიღებულ იქნა 50 აჭარელი ახალგაზრდა. ინსტიტუტთან მოწყობილია სრული ინტერნატი. ინსტიტუტში მეცადინეობა უკვე სწარმოებს. რაც შეეხება აჭარისტანის სოფლებს, აქ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ისეთი სკოლის დაარსება, რომელიც შეძლებას მისცემს გლეხკაცობის შვილებს, რომელთაც სიღარიბის გამო არ ძალუძთ მიიღონ უმაღლესი თუ საშუალო სწავლა, შეიძინონ ელემენტარული ცოდნა სასოფლო მეურნეობიდან, რითაც ახლო მომავალში სამუდამოთ ბოლო მოეღება ჩვენი ქვეყნის პირველყოფილ სოფლის მეურნეობას.

მიიღო რა მხედველობაში ზემოაღნიშნული გარემოება, განსახკომატმა გადასწყვიტა სოფელ ხუცუბანსა და ახალშენში სასოფლო-სამეურნეო-სკოლის გახსნა.

***სკოლების პროგრამები***

შრომის სკოლების სტრუქტურასთან ერთად შეიცვალა მათი პროგრამაც და შეუფარდა იგი საბჭოთა სკოლათა სწავლის გეგმას ადგილობრივ პირობების მიხედვით.

ამ მიმართულებით უკვე ათავებს მუშაობას სამეც. პედაგოგიური სექცია, მის მიერ შექმნილ კომისიების საშუალებით. ახალი პროგრამების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ აქ უმთავრესი ყურადღება ექცევა მეცნიერების იმ დარგებს, რომლებიც აძლევენ მოწაფეებს საშუალებას შეისწავლონ და შეიგნონ ბუნების და საზოგადოებრივ ცხოვრების კანონები, დადგენ ახლოს ცხოვრების სინამდვილესთან და თავის ცოდნით ხელი შეუწყონ მშრომელ კაცობრიობის სულიერ და მატერიალურ განვითარებას.

ახალი პროგრამის გასატარებლად საჭირო არის გამოცდილი, მცოდნე პედაგოგები. ამ მხრით ბევრის გაკეთება მოკლე დროში, რასაკვირველია, შეუძლებელია. მაგრამ უნდა გაკეთდეს ის, რის გაკეთებაც შეიძლება. ამა მიზნით განსახკომატმა გამოიმუშავა შრომის სკოლების გამგეების მტკიცე ცენზი, რომლის მიზანიც არის უზრუნველყოს სკოლა შედარებით უკეთეს პედაგოგიურ ძალებით.

***მოსწავლეთა მიღების წესი***

განსახკომატი ისახავს თავის უმაღლეს მიზნათ მუშაობის და გლეხების შვილებისათვის საყოველთაო სწავლის განხორციელებას; ამ მიზნით შეიმუშავა და ცირკულიარულად დაუგზავნა ყველა სკოლების გამგეებს სახელმძღვანელოთ სკოლებში ბავშვების მიღების წესი. თანახმად ცირკულიარისა, პირველ რიგში მიიღებიან სკოლებში: ქალაქში-მუშების შვილები, სოფლებში კი გლეხების, განსაკუთრებით, ღარიბ გლეხკაცობის. ამ სახით ბოლო ეღება ისტორიულ უსამართლობას, როცა ძველი რეჟიმის დროს გაბატონებულ კლასებს ეძლეოდა საშუალება საუკუნოობით დაეხშოთ ხალხის წყურვილი განათლებისადმი.

***სახელმძღვანელოები სკოლებისათვის***

1923/24 სამოსწავლო წლის დასაწყისში შეძენილ იქნა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობისაგან სახელმძღვანელოები, რომლებიც მიღებული არიან პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში. სახელმძღვანელოები (5.000 ცალი) ეძლევათ მოწაფეებს ბაზრის ფასებთან გაცილებით უფრო იაფად.

***სასცენო ხელოვნება***

სასცენო ხელოვნების სფეროში განსახკომატმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები: ზამთრის სეზონისთვის მოწვეულ იქნენ საქართველოს და რუსეთის სხვა და სხვა ქართული და რუსული დრამის და ოპერის ცნობილი მსახიობები, რომელთა წარსული მოღვაწეობა ხელოვნების აღნიშნულ დარგების წინსვლის გარანტიას გვაძლევდა მიმდინარე სეზონში.

***1924 წელი***

***საერთო მიმოხილვა***

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სახალხო განათლების ახალ სისტემას. ეს სისტემა აჭარისტანის ობიექტურ პირობებმა სავსებით გაამართლა და განამტკიცა. ამ სისტემის მიხედვით მშრომელთა მასა მიიღებს ხოლმე როგორც საერთო განათლებას, ისე პროფესიონალურსაც: პირველს მიიღებს სოციალურ აღზრდის დაწესებულებებში, პირველსა და მეორე საფეხურის სკოლებში; მეორეს კი პროფგანათლების დაწესებულებებში, რომელნიც პირველ და მეორე საფეხურის შრომის სკოლებზე არიან აგებული.

სოციალური აღზრდის დაწესებულებიდან აღსანიშნავია ქალაქში 13 შრომის სკოლა პირველი და მეორე საფეხურისა, მხოლოდ მაზრებში კი 60 სკოლა. მაზრებში ჯერ-ჯერობით სჭარბობს ერთწლედები, ორი და სამწლედები, არსებობს აგრეთვე ოთხწლედებიც; ქ. ქობულეთში კი არის შვიდწლედიც, ე.ი. მეორე საფეხურის შრომის სკოლა.

პროფგანათლების მდგომარეობა ასეთ სურათს წარმოადგენდა: ქალაქში არსებობდა ინდუსტრიალური ტეხნიკუმი, პედაგოგიური ინსტიტუტი, საღამოს მუშათა ტეხნიკუმი, საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, შეერთებული ჰუმანიტარული ტეხნიკუმი და სხვა და სხვა კურსები, როგორიცაა მაგალითად, საბუხჰალტერიო, სამხატვრო, მუსიკისა და გალობის. აქ ჩამოთვლილ სკოლების, როგორც სოციალურ აღზრდის, აგრეთვე პროფგანათლების დაწესებულებების მოსწავლეთა საერთო რიცხვი უდრის 8.878. აქედან ქალაქზე მოდის 5.681, მაზრებზე 3.197; ამათგან ქალებია 3.319, ვაჟები კი 5.559, მასწავლებელთა რიცხვი კი უდრის 420. აქედან ქალქში 220, მაზრებში 200. ზემოთ აღნიშნული სკოლებისათვის შემუშავებულია პროგრამები და სასწავლო გეგმები. პროგრამები თავიდანვე დაიბეჭდა და დაეგზავნა ყველა სკოლას.

***ბათომის სკოლების რეორგანიზაცია***

ამრიგად შესრულებულია და ცხოვრებაში გატარებული პრაქტიკული მუშაობის გეგმის უმთავრესი მუხლი. აქვე უნდა აღინიშნოს ის რეორგანი-

ზაცია, რომელიც ჩატარდა 1924/25 სამოსწავლო წლიდან. ეს რეორგანიზაცია გამოიხატა შემდეგში: შეერთებული ჰუმანიტარული ტეხნიკუმი ცხადდება დახურულად, როგორც ძველი სკოლის ტიპი. გაუქმებულ ჰუმანიტარული ტეხნიკუმის მაგივრად დაარსდა მეორე საფეხურის ქართულ-რუსული სკოლა. სკოლა, რომელიც მოთავსებულია ტეხნიკუმის ბინაზე, ოთხკომპლექტიანია: ორი კომპლექტი ქართული განათლებისა და ორი რუსული განყოფილებისა. აქვე მოეწყო ყოფილი ტეხნიკუმის სალიკვიდაციო კლასებიც. დარჩა ქ. ბათომში მეორე საფეხურის სკოლის მეორე კონცენტრი მხოლოდ ერთი, რომლის მიზანია ახალგაზრდობის მომზადება უმაღლეს სასწავლებლებისათვის, ამიტომაც არსებულ მეორე საფეხურის სკოლებიდან მოხსნილია მეორე კონცენტრები. ქართულ მეორე საფეხურის და რუსულ მეორე საფეხურის კონცენტრები არსებობენ როგორც შვიდწლედები. ამათი მიზანია ახალგაზრდობის მომზადება სპეციალურ ტეხნიკუმებისათვის. ამრიგად მეორე საფეხურის სკოლების ქსელი ქ. ბათომისათვის შემდეგ სახეს იღებს:

1. ქართული, რუსული, თურქული, სომხური და ბერძნული შვიდწლედები. ამით მიღწეულია მეორე მიზანიც, ახალგაზრდობის უმრავლესობას სპეც. ტეხნიკუმებში შესვლის შეძლება აქვთ, ვინაიდან, თანახმად სახალხო განათლების ახალი სისტემისა, საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკებში ძირითად საერთო განათლების სკოლად მიჩნეულია შვიდწლედები. ამ შვიდ წლედებზეა აშენებული პროფგანათლების და პოლიტეხნიკუმის შრომის სკოლა.

ამრიგათ, ბათომის სკოლების ქსელი 1924/25 სასწავლო წლიდან ასე გვესახება:

1. ქართული პირველი საფეხურის სკოლა 2. თითო ორ კომპლექტიანი
2. რუსული „ „ „ 2. „ „ „
3. სომხური „ „ „ 1. „ „ „
4. მუსლიმანური „ „ „ 1. „ „ „
5. ბერძნული „ „ „ 1. „ „ „
6. ებრაელთა „ „ „ 1. „ „ „

სულ 8 სკოლა 1 საფეხურის

მეორე საფეხურის სკოლა:

ქართული, რუსული, ბერძნული, სომხური შვიდწლედები და ქართულ-რუსული ცხრაწლედი შემდეგ შემადგენლობით:

ჯგუფები ქართული 1. 2. 3. 4. 4. 5. 5.

სულ 14 ჯგუფი

„ რუსული 1. 2. 3. 4. 4. 5. 5.

ტეხნიკუმის სალიკვიდაციო კლასები – 5.

სულ მეორე საფეხურის სკოლა არის – 6.

***სკოლები მაზრებში***

სერიოზულ და მთავარ ყურადღებას აქცევდა განსახკომი მაზრების სასწავლო ქსელის გადიდებას. ის ხედავდა, რომ არსებული რიცხვი სკოლებისა ვერ აკმაყოფილებდა აჭარისტანის სოფლის მოთხოვნილებას. ფუხარა ხალხი ესწრაფვის საბჭოთა სკოლას. მან ამ სკოლას სრული ნდობა გა-

მოუცხადა. ხალხში მოხდა ერთგვარი სულიერი გარდატეხა, საგრძნობლად იკლო მედრესეების რიცხვმა და ახალგაზრდობა თავს იყრის საბჭოთა შრომის სკოლებში. დიდ მნიშვნელობის ფაქტია ეს და ეჭვს გარეშეა, რომ ის საწინდარია აჭარისტანის ფუხარა ხალხის, მშრომელთა მასის კულტურულ აღორძინებისა. ამ სულიერი განწყობილებით ისარგებლა განსახკომატმა და 1924 წ. გახსნა აჭარისტანის სხვა და სხვა კუთხეებში 20 ახალი სკოლა. ამ სკოლებში მაზრებისათვის იძულებითი განსაზღვრული სასწავლო წლის დალევამდე, ე.ი. 15 მაისამდე სწავლა წესიერათ და ნორმალურად მიმდინარეობდა და როგორც ახალი, ის ძველი სკოლები უზრუნველყოფილი იყვნენ სასწავლო ნივთებით და სახელმძღვანელოებით. აქ საჭიროა ცოტა შევჩერდეთ და ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ადგილას: ზევით ჩვენ ვამბობთ მაზრების სკოლებისათვის იძულებითი განსაზღვრული დროს შესახებ. აქ ის ანომალურობა და არა სასურველი გარემოებაა ნაგულისხმევი, რომელიც სუფევს ჩვენს მაზრების შრომის სკოლებში და რომელსაც დროა ბოლო მოეღოს. ეს არის მაზრების სკოლებში სასწავლო წლის თავის დროზე დაუწყებლობა და საგრძნობლად ადრე დამთავრება. მაზრებში სასწავლო წელი, შედარებით ქალაქთან, ერთი თვით თუ თვე ნახევრით გვიან იწყება და ამდენივე ხნით ადრე თავდება. რასაკვირველია, რომ ამას სასწავლო წლის საერთო წესებში და პრინციპებში ერთგვარი მერყეობა შეაქვს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მოწაფეთა მშობლები თავიანთ ბავშვებს გვიან აგზავნიან სკოლებში და აგრეთვე არ უწევენ ანგარიშს სასწავლო წლის დამთავრებას და მის მნიშვნელობას და აგრეთვე მიყავთ ყანებში სამუშაოთ. რასაკვირველია, საჭიროა სათანადო ზომების გამოძებნა ამ ანომალობის აღმოსაფხვრელად.

აგრეთვე ხალხში მომხდარი სულიერი გარდატეხით ისარგებლა განსახკომატმა და მაზრების სკოლებში მოხსნა სჯულის სავალდებულო სწავლება. ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მიუხედავად სასკოლო ქსელის საგრძნობლად გაფართოებისა, ხალხის სურვილსა და მოთხოვნილებებს ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებს დღეს არსებულ სკოლების რიცხვი.

არ არის სოფელი, არ არის არც ერთი კუთხე აჭარისტანში, რომ მცხოვრებნი არ თხოულობდენ სკოლის დაარსებას. სწორედ ამ მოვლენისგან არის გამოწვეული ის გარემოება, რომ განსახკომატს მიზნათ აქვს დასახული 1924 წ. სამოსწავლო წლიდან დაარსოს კიდევ 40 ახალი სკოლა, ორ ორ წლიანი და სამეურნეო კურსები ხუცუბნსა და ახალშენში. ამრიგათ სამოქმედო გეგმაში დასახული ეს მუხლიც შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელებულია.

1924 წ. თებერვლის და მარტის განმავლობაში მოხდა მაზრების სკოლების რევიზია. რევიზიის შედეგი თითქმის ყველგან დამაკმაყფილებელი იყო, მხოლოდ, რა თქმა უნდა, რომ სკოლებს სუსტი მხარეებიც ახლავს. ზოგი მათგანი არ არის სათანადო ბინით უზრუნველყოფილი, მაგრამ ყველაფერი ეს ადვილად გასასწორებელია, ვინაიდან მთავარი მიზანი მიღწეულია – ხალხის ნდობა და სიყვარული შრომის სკოლებისადმი დამსახურებულია.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ის სასიამოვნო მოვლენა, რომ მაზრების სკოლებში თანდათან მატულობდა ქალების რიცხვი. ასეთია რევიზიის შედეგები, რომელიც მოხდა როგორც ზევით ვამბობთ, 1924 წლის გაზაფხულზე.

***პედაგოგიური ინსტიტუტი***

საყურადღებო და მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს პედაგოგიურ ინსტიტუტის არსებობა. ამ დაწესებულების მნიშვნელობაზე ლაპარაკი თითქმის ზედმეტია. პედაგოგიური ინსტიტუტის პირდაპირი მიზანია – მოამზადოს აჭარელი ახალგაზრდობა მასწავლებლათ აჭარისტანის შრომის სკოლებში მოღვაწეობისათვის. ბევრს ეგონა, რომ აჭარისტანის სინამდვილეში პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსება მეტად ძნელი და თითქმის წარმოუდგენელი იყო. მაგრამ ეხლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე დაბრკოლება გადალახულია, ინსტიტუტს მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი და საუკეთესო სასწავლებლად ითვლება მთელ აჭარისტანში.



აჭარის პედაგოგიური ინსტიტუტი



აჭარელი მოსწავლეები ბუნებისმეტყ. გაკვეთილზე

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ეს სასწავლებელი თვით აჭარისტანის სინამდვილეში წარმოიშვა. ორი წლის შემდეგ ინსტიტუტი მისცემს სოფელს ახალ მეთოდებით აღჭურვილ მასწავლებლებს. ინტიტუტი კარგ სასოფლო ბინაზეა და უზრუნველყოფილია სასწავლო სახელმძღვანელოებით და ლაბორატორიით, კაბინეტებით, ბიბლიოთეკით და სხვა. ინსტიტუტთან არსებობს ინტერნატი სამოც კაცისთვის. მომავალ სამოსწავლო წლიდან ეს ინტერნატი გაფართოებულ იქნება 150 კაცისათვის. აგრეთვე განსაზღვრულია მომავალ სამოსწავლო წლიდან პედაგოგიურ ინსტიტუტთან დაარსდეს საჩვენებელი სანიმუშო პირველი საფეხურის შრომის სკოლა, რომელშიაც პრაქტიკას მიიღებენ ახალგაზრდა ინსტიტუტელები, მომავალი მასწავლებლები.

***ბავშვთა სახლი***

თუ პედაგოგიურ ინსტიტუტს დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტია ბავშვთა სახლის დაარსება. სახლში ბავშვები სრულ კმაყოფაზეა. ამ ჟამათ სახლში 52 ბავშვია. მიღებული ზომები, რომ ეს რიცხვი აყვანილ იქნას 150-მდე, ამრიგათ თამამად შეიძლება ითქვას, რომ შექმნილია ურყევი საფუძველი აჭარელ ფუხარა ხალხის შვილების აღზრდისათვის.

***სამასწავლებლო კურსები***

1924 წლის ივნისში აჭარისტანის პედაგოგიურ ინსტიტუტის შენობაში გახსნილ იქნა აჭარისტანის სახალხო მასწავლებელთა გადამზადების კურსები.

კურსებზე უმთავრესად მოწვეული იქნენ მსმენელებათ სოფლის სკო-

ლების გამგეები და სათანადო კვალიფიკაციის სახალხო მასწავლებლები, რათა ისინი კურსების მოსმენის შემდეგ თვით შექმნილიყვნენ ხელმძღვანელებათ ადგილებზე ახალი მეთოდების ჩატარების საქმეში.

ვალდებულ მსმენელთა რიცხვი აღწევდა 40-ს. გარდა ამისა კურსებზე იყო 22 თავისუფალი მსმენელი.

ვალდებული მსმენელები იყვნენ აყვანილი სახელმწიფო ხარჯზე და სცხოვრობდენ პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ ინტერნატში. მიუხედავათ სიცხეებისა, მასწავლებლები სერიოზულათ ეპყრობოდენ კურსებს და მუშაობდენ კეთილსინდისიერათ. ლექციები იკითხებოდა ქართულ ენაზე. ლექტორებათ მოწვეული იყვნენ ქ. ბათომის საუკეთესო პედაგოგები. კურსების პროგრამა გაყოფილი იყო ორ ციკლად: პოლიტიკური და პედაგოგიური.

პოლიტიკური ციკლი შეიცავდა: პოლიტეკონომიას, საბჭოთა კონსტიტუციას, კომპარტიის ისტორიას, მუშათა მოძრაობის ისტორიას და ანტირელიგიოზურ პროპაგანდას.

პედაგოგიურ ციკლში შედიოდა: ქართული ენის მეთოდიკა, მსოფლ-აღნაგობა, ეკონომიკური გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, ხელვარჯიშობა და ხატვა.

მეცადინეობას კურსებზე ჰქონდა პრაქტიკული ხასიათი. მოეწყო ექსკურსიები: ჩაქვში, ჩაქვის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის, ბოტანიკურ ბაღის, ფლორისა და ჩაის საქმის პრაქტიკულად გაცნობის მიზნით. მეცადინეობა კურსებზე დამთავრდა 1 სექტემბერს.

კურსებმა მისცა მასწავლებელს ისეთი ცოდნა, რომელიც ძველ სკოლაში არც კი იხსენიებოდა, რამაც შეავსო მასწავლებლების განათლების დანაკლისი და გააფართოვა თვალთახედვა. კურსებზე სულ წაკითხულია 298 ლექცია. მათ რიცხვში მსოფლ. აღნაგობაში – 12, ეკონომიურ გეოგრაფიაში – 35, ქართული ენის მეთოდიკაში – 51, ბუნებისმეტყველებაში – 42, ხატვაში – 12 და სხვა.

***აგრონომიული ინსტიტუტი***

აგრონომიული ინსტიტუტის პირველი კლასი დაარსდება მომავალ სამოსწავლო წლიდან ინდუსტრიალურ ტეხნიკუმთან, ვინაიდან ინსტიტუტისათვის სათანადო მომზადებულია მოწაფეობის კადრი, შესაძლებელი გახდება ერთი წლის შემდეგ, ე.ი. 1925 წელში თვით ინსტიტუტის დაარდსება.



აჭარის ინდუსტრიალური ტეხნიკუმი



აჭარელი მოწაფეები საზეინკლო სახელოსნოში პრაქტიკული მეცადინეობის დროს

*სახელმძღვანელოები*

საგრძნობი ნაბიჯია გადადგმული სახელმძღვანელოების დამუშავების მხრივ. მუშაობა უკვე დამთავრებულია. განზრახულია გამოიცეს ქართული და თურქული ანბანი, ქართული ენის მეორე ნაწილი, აჭარისტანის გეოგრაფია და ისტორია მაზრების შრომის სკოლებისათვის. ამ სახელმძღვანელოებიდან ზოგი უკვე დაიბეჭდა. საერთოდ მიღებულია ზომები აჭარისტანის სოფლის სკოლებთან შეგუებული ახალი სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემისათვის.

*პოლიტგანათლება*

აჭარელ ფუხარა ხალხში თუ სათანადო სიმპატია მოიპოვა პირველ დაწყებითი საბჭოთა შრომის სკოლებმა, არა ნაკლები სიმპატიით ეკიდებიან მოზრდილი აჭარლები წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებსაც. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ასეთი სკოლები, შედარებით აჭარისტანის გასაბჭოების პირველ წლებთან, საგრძნობლად გაიზარდა და დღეს თითქმის ყველა მნიშვნელოვან პუნქტებში არსებობს წერა-კითვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები. მაგრამ აქაც იმ მოვლენას ვნახავთ, როგორც საერთოდ პირველ დაწყებითი საბჭოთა შრომის სკოლების დაარსების საქმეში, ე.ი. მრავალ ადგილებში მცხოვრებლები თხოულობენ სკოლების გახსნას. პოლიტგანათლების განყოფილება, შესაძლებლობის ფარგლებში აკმაყოფილებს მცხოვრებთა სურვილებს და მოთხოვნილებებს.

1924 წელში მაზრებში არსებობდა 48 ლიცსკოლა, რომელშიაც საერთო რიცხვი მსმენელებისა უდრიდა – 1393 კაცს. აქედან გაზაფხულის სემესტრში კურსი დაამთავრა – 1004 კაცმა; დანარჩენი რიცხვი კი სხვა და სხვა მიზეზების გამო სემესტრის განმავლობაში გამოაკლდა მეცადინეობას. სულ მაზრებში არსებობს 7 მუშათა და გლეხთა კლუბი და 23 ქოხ-სამკითხველო, რომლებთანაც არსებობენ სხვა და სხვა წრეები, როგორც მაგალითად დრამატული, ლიტერატურული, პოლიტიკური და სხვა. აღნიშნულ კლუბებსა და ქოხ-სამკითხველოებს სისტემატიურად ეგზავნებათ როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ცენტრალური გაზეთები. ასე, რომ ყოველდღიურათ მათ მისდით 112 ცალი ყოველდღიური გაზეთები და 58 ცალი ორკვირეული და თვიური ჟურნალები, რასაკვირველია, ლაპარაკი ზედმეტია იმაზედ, რომ მაზრებს სისტემატიურად ვაწვდით ყოველგვარ რევოლიუციონურ პლაკატებს და სურათებს. ქალაქში პოლიტგანის მიერ გახსნილია წერა-კითხვის უცოდინართა სალიკციდაციო ორი სკოლა გამასწორებელ სახლში.

ამ უკანასკნელად ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს მაზრებში მოძრავი კინო-სურათების ჩვენება. ჯერ-ჯერობით მხოლოდ 20 რეისი იქნა ჩატარებული, მაგრამ რაკი პოლიტგანმა უკვე შეიძინა საკუთარი კინო-მნქანა და აგრეთვე გადასაზიდი საშუალება, მაზრებში სურათების შვენება მიიღებს სისტემატიურ ხასიათს.

პოლიტგანთან არსებობს აგრეთვე სახალხო სამხატვრო სტუდია, რომლის მიერ გასულ გაზაფხულზე გამოფენა იყო მოწყობილი.

არის აგრეთვე მაღაზია „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", რომელიც დიდ სამსახურს უწევს ფართო მასებს გაზეთების, ჟურნალების და საკანცელიარო ნივთების მიწოდებით. აღსანიშნავია აგრეთვე სახელმწიფო ფოტოგრაფია,

რომლითაც ჩვენ მუდამ ვსარგებლობთ სურათების გადაღებით სხვა და სხვა ზეიმების და კამპანიების ჩატარების დროს.

***სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილება***

შრომის ასაკამდე აღზრდა წარმოადგენს ოქტომბრის რევოლუციის ნაშობს. 1917 წ. საბჭოთა ხელისუფლებამ სცნო სკოლის ასაკამდე აღზრდა სახელმწიფოებრივ, საქმედ. სკოლის ასაკამდი აღზრდა არის უმთავრესი ძალა პიროვნების განვითარებისა და აღმშენებელი მომავალ კომუნისტურ საზოგადოებისა. სასკოლო ასაკამდი აღზრდის დაწესებულებას საფუძვლად ედება ისეთი აღმშენებლობითი ფორმები, რომელიც შესაფერისი იქნება ბავშვთა ბუნებისათვის რევოლუციონურ ხანაში მარქსისტულ მსოფლ-მხედველობით. ეს ფორმებია: 1) ორგანიზაციულად მოწყობა ბავშვთა ცხოვრებისა და შრომის პირნციპებზე და კოლექტივზე დამყარება, 2) შესწავლა თვით ბავშისა ფსიქოლოგიურად და ფიზიკურ თვალსაზრისით, 3) შესწავლა ბავშთა სოციალურ მხარეებისა.

აჭარისტანში სკოლის ასაკამდის აღზრდის განყოფილებებში მუშაობის პირობები ისეთივე იყო, როგორც სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებში. ეს საქმე ჯერ კიდევ სასურველათ დაყენებული არ არის ამ დარგში მომზადებულ მუშაკთა დანაკლისისა და შესაფერი ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების უქონლობის გამო. მრავალ პედაგოგიურ გამოცემათ შორის ძლიერ ცოტაა საბავშო ბაღების მუშაკთათვის სახელმძღვანელოთ გამოსადეგი ნაშრომი. ეს ახალი საქმეა და ამ დარგში მომუშავეს უხდება მასალების ძებნა და ამოკრეფა სხვა და სხვა ჟურნალებიდან. მიუხედავათ ამ მდგომარეობისა, მუშაობამ პირველ წელსავე გამოიღო ნაყოფი.

აღმზრდელ მასწავლებლის მუშაობას უმთავრესად აქვს სამი მიმართულება: 1) აღმზრდელობითი მუშაობა ბავშთა შორის, 2) მუშაობა მიმართული ბავშების შესწავლაში, რომლიც გამოიხატება ბავშების დაკვირვებიდან მასალების დაგროვებით და 3) ბავშთა საზოგადოებრივი მუშაობა.

სკოლის ასაკამდე აღზრდის საბჭოთა დაწესებულებებში მიღებულ სისტემებში ყველაზე უფრო მისაღებია ფრებელის და მანტესოროს სისტემები. ამოცანა ფრებელის სისტემისა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშმა სავსებით გამოხატოს თავის აქტივობა და ფანტაზია. ბავშს უნდა მიეცეს შესაფერისი გარემო. ბავშების აღზრდაში ფრებელი დიდ ადგილს უთმობს თამაშობას. ბავშის ცხოვრებაში თამაშობას პირველი ადგილი უჭირავს, არსად არ შეიძლება ბავშის ისე შეწავლა, როგორც თამაშობის დროს: აქ გაიგება ბავშის მისწრაფება, მისი სულიერი და ბუნებრივი სიმდიდრე. ამ თამაშობაში ბავში თანდათანობით ვითარდება, იზრდება და კოლექტიური მუშაობისათვის ემზადება. საბავშო ბარს საფუძვლად უნდა დაედოს კარგ გრძნობების განვითარება; ყველა ამასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ფიზიკურ ვარჯიშობას.

აღმზრდელობითი მუშაობა დაყრდნობილი იყო სავსებით ბავშის შესწავლაზე, რადგანაც საბავშო ასაკი სწორედ ის ასაკია, როცა გრძნობები ვითარდება, რომელიც საფუძველია მთელი შემდეგი განვითარებისა. ამიტომ საბავშო ბაღის მიზანს შეადგენს: ააცილოს ბავშს ყოველივე მისთვის გაუგებარი, ნაადრევი და შექნას სიმშვიდე ბავშებში. ყოველივე მიმართული სიტყვა უნდა იყოს აწონ-დაწონილი, ბავშვს რაც შეიძლება მეტი თავისუფლება უნდა მიეცეს. ბავშვებში უნდა განვითარდეს თვითმოქმედება, ნების-

ყოფა და ბავშთა კოლექტიურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. ამის ერთ საუკეთესო საშუალებათ ითვლება: მორიგეობა, სახლის მილაგება, სამზარეულოში მონაწილეობის მიღება და მოვლა ცხოველებისა და მცენარეებისა.

სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილებაში აჭარისტანში შედიან შემდეგი დაწესებულებები: - ამხ. ხიმშიაშვილის სახელობის სახლი №1, სახლი №2, ებრაელ ობოლთა სახლი, ცენტრალური საბავშვო სახლი, კლუბები და შკოლასთან არსებული საბავშო ბაღები.

***მთავლიტი***

მთავლიტის ძირითადი ფუნქციები:

1) აჭარისტანში გაცემულ ყველა ნაბეჭდ, ლიტერატურულ, ხელნაწერ გამოცემათა ცენზურა;
2) ცეზურა და კონტროლი ყველა წიგნების საწყობებისა, ბიბლიოთეკებისა, მაღაზიებისა, კიოსკებისა და სხვა.
3) საზღვარგარეთ გასატან და შემოსატან ლიტერატურის ცენზურა;
4) ცენზურა და კონტროლი სანახაობებზე, როგორიცაა: თეატრები, კონცერტები, კერძო გამოსვლები, კინო და სხვა;
5) აკრძალულ და ნებადართულ რეპერტუარის სიის შედგენა;
6) კონტროლი სტამბებზე.

მთავლიტთან დაარსებულია შემდეგი ორგანიზაციები:

1) სამეცნიერო – ლიტერატურული, 2) სამხატვრო – სარეპერტუარო. თვითეული კომისია იყოფა სამ განყოფილებათ: ა) ქართული, ბ) რუსული, ე) ეროვნებათა უმცირესობის. კომისიებს მეთაურობს მთავლიტის კოლეგია, მთავლიტის გამგის თავმჯდომარეობით. მუშაობის კონტაქტისათვის მთავლიტის გამგე შედის აგიტპროპის და პოლიტ – განათლების კოლეგიაში.

უმთავრესი ყურადღება მთავლიტმა მიაქცია სასკოლო სამკითხველოების გადასინჯვას, თანახმად განათლების კომისრის განკარგულებისა.

მთავლიტის ლიტერატურულმა კომისიამ მოახდინა შემდეგი მუშაობა: განხილული და გასინჯული წიგნები 14 სკოლაში. წიგნები, რომლებიც უნდა გაუქმებულ იქნას დატოვებულია მთავლიტის მიერ დროებით, არხივის შედგენამდე. გამონაკლის შეადგენს ბერძნული სკოლა, საიდანაც გამოკლებულია და გაუქმებლია შოვინისტურ მონარქიული მიმართულების წიგნები. დამთავრებულია გადასინჯვა წიგნების საწყობებისა, მაღაზიებისა და სამკითხველოებისა. ყველა კატალოგებზე არის მთავლიტის ვიზა.

სულ გადასინჯულია 3.000 წიგნამდე. მასთან დაწესებულია კონტროლი ლიტერატურაზე საბაჟოში გასასვლელ წიგნებზე. გასულ პერიოდში მიღებული იყო ყოველგვარი ზომები, რათა დაკავებულ იქნას რესპუბლიკის ფარგლებში ფასიანი გამოცემები, რის გამო გატანა შემოკლებულია 57%. დაარსებულია კიდევ მთავლიტის მიერ კონტროლი საზღვარგარეთიდან შემოტანილ კინოების ფილმებზე და საფოტოგრაფო მასალებზე. ყოველ შემოსულ ფილმს აქვს პასპორტი და ლიცენზიაზ. თუ ასეთები არ აქვს, ხდება სურათების ადგილობრივ გადასინჯვა და გადახილვა. სულ წლის განმავლობაში გაცემულია 998 ნებართვა. წარმოდგენებზე ნებართვის გადაცემისათვის დაწესებულია კონტაქტი პროფკავშირ „რაბისთან". კონტროლი რეკლამების ბიუროზე ისეთ კარგად არის დაყენებული, რომ არც ერთი რეკლა-

მა აჭარისტანის ფარგლებში მთავლიტის უვიზოთ არ ვრცელდება. დაწესებულია კავშირი თბილისისა და მოსკოვის მთავლიტთან, საიდანაც ვიღებთ ცირკულიარებს, განკარგულებებს და ინფორმაციას საერთო მუშაობის შესახებ.

*დ ა ს კ ვ ნ ა*

ეხლა თვალი გადავავლოთ თუ როგორია შედეგები მთელი იმ მუშაობისა, რაც ჩატარებულია ამ ხნის განმავლობაში. საერთო სწავლა – განათლება აჭარისტანის მშრომელ მასებისა საკმაოთ განმტკიცებულია. კიდევ რამოდენიმე წლის მუშაობაა საჭირო და აჭარისტანში არ დარჩება არც ერთი წერა – კითხვის უცოდინარი მოქალაქე, რომელი ეროვნებისა, ასაკისა და სქესისა არ უნდა იყოს ის. ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობა სწავლობს არა მარო 1-ლი საფეხურის სკოლებში, არამედ სწავლობს მეორე საფეხურის სკოლებში და სპეცტეხნიკუმებში. აჭარელთა ახალგაზრდები სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებშიც და სულ ახლო მომავალში აჭარელ ფუხარას მოევლინება თავისი საკუთარი მასწავლებლები, ექიმები, საზოგადო მოღვაწენი და კვალიფიციური პროფესიონალები – ტეხნიკური მომუშავენი. მეცნიერების სხივი იჭრება აჭარისტანის მივარდნილ კუთხეებიშიაც კი: ნიადაგი ეცლება ძველ ადათ – ჩვეულებებს, მაგრდება და აღორძინების გზას ადგება აჭარელთა ოჯახი და თანდათანობით თავისუფლდება სიბნელის და უვიცობის ბორკილებისაგან.

საერთო მეცნიერულ დისციპლინის სწავლებასთან ერთად პირველ საფეხურის სკოლებში და განსაკუთრებით კი მეორე საფეხურისაში შემოღებულია პოლიტ-ეკონომიის მეცნიერებათა და მარქსიზმის მეცნიერული დასაბუთებათა სწავლებაც.

იმ უამრავი წრეების შექმნით, როგორიცაა, მაგალითად, მეცნიერული, ფიზიკური და მხატვრულ – ესტეტიური აღზრდების წრეები ყოველგან, პაწაწა კოლექტიურ ერთეულებშიაც საშუალება ეძლევა განსახკომს ჭაბუკთა პოლიტიკური აღზრდის საქმე სწორ ნიადაგზე დააყენოს და საკმაოთ უზრუნველყოს. უკვე მოწაფეთა საკმაო რიცხვი ჩაბმულია კომკავშირის ორგანიზაციაში, ბევრ მათგანს საკმაოდ შეთვისებული აქვს მარქსისტული იდეოლოგია და შეკავშირებული არიან პროლეტარულ რევოლუციის იდეალებთან. კიდევ რამდენიმე წელი ასეთი მუშაობისა და მშრომელ ახალგაზრდობის წარმომადგენლები ათასობით ჩადგებიან საერთაშორისო რევოლუციის, კომუნისტური პრინციპებისა და მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში.

**ასსცსა, ფონდი р – 2; ან. 1; საქმე №1. ფურც.220-230.**

* * *

### *3. ქ. ბათომის მოსახლეობის ზრდა (1878 – 1922) წლამდე*

| № № რიგზე | წ ლ ე ბ ი | მოსახლეობის საერთო რიცხვი | აბსოლუტური მატება | შეფარდებითი მატება | საშუალო ყოველწლიური მატების % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1878 | 3.000 | – | – | – |
| 2 | 1882 | 8.671 | 5.671 | 189.0 | 47.3 |
| 3 | 1886 | 14.803 | 6.132 | 70.7 | 17.7 |
| 4 | 1890 | 18.123 | 3.320 | 22.4 | 5.6 |
| 5 | 1897 | 28.508 | 10.385 | 57.3 | 8.2 |
| 6 | 1917 | 35.048 | 6.540 | 22.9 | 1.1 |
| 7 | 1918 | 15.375 | - 19.673 | - 56.1 | - 56.1 |
| 8 | 1920 | 45.446 | 30.071 | 195.6 | 97.8 |
| 9 | 1922 | 60.810 | 15.364 | 33.8 | 16.9 |

ასსცსა, ფონდი p – 2; ან. 1; საქმე №1. ფურც. 382

* * *

### *4. ქ. ბათომის მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით 1897, 1917, 1918, 1920, 1922 წ.*

| № № რიგზე | ეროვნება წ ლ ე ბ ი | მოსახლე-ობის სა-ერთო რიცხვი | ქართველი | სომეხი | რუსი | ებრაელი | ბერძენი | დანარჩენი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1897 | 28.508 | 6.087 | 6.839 | 7.144 | 1.064 | 2.764 | 4.610 |
| 2 | 1917 | 35.048 | 9.530 | 7.220 | 10.185 | 1.148 | 4.008 | 2.957 |
| 3 | 1918 | 15.375 | 2.238 | 288 | 3.699 | 750 | 4.878 | 3.552 |
| 4 | 1920 | 45.446 | 10.142 | 12.815 | 7.250 | 1.761 | 8.598 | 4.880 |
| 5 | 1922 | 60.810 | 18.252 | 14.969 | 10.720 | 3.699 | 7.629 | 5.514 |

**შენიშვნა**

1) 1897 წლის რუსეთის იმპერიის პირველი საყოველთაო აღწერა.
2) 1917 წლის ივნისის სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო და საქალაქო აღწერა.
3) 1918 წლის აპრილის ქ. ბათომის მოსახლეობის აღწერა (ოსმალების ოკუპაც. დროს)

**4)** 1920 წლის აპრილის ქ. ბათომის მოსახლეობის აღწერა (ინგლისელ. ოკუპაც. დროს)

**5)** 1922 წლის ნოემბრის სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა.

**ასსცსა, ფონდი p – 2; ან.1; საქმე №1**

* * *

***გ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული საარქივო დოკუმენტები***

***1. ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობას თხოვნა***

"როგორც თავად ქ. ბათუმში, ასევე მთელს ბათუმის ოლქში აქამდე ჯერ კიდევ არ არის ქართული მართმადიდებლური ეკლესია, თუმცა რიცხობრივად ქართველები მეტნი ცხოვრობენ, ვიდრე სხვა ეროვნებისა და რწმენის ადამიანები. გარდა რუსული მართმადიდებლური ეკლესიისა, არის ბათუმში შესანიშნავი სობორო რომის კათოლოკურ-პოლონური, სომხურ-კათოლიკური, სომხურ-გრიგორიანული, ბერძნულ-მართმადიდებლური თავისივე ნაციონალური სკოლებით. სექტანტებსაც კი აქვთ თავიანთი სამლოცველო სახლი და ებრაელებსაც სინაგოგა ნაციონალური სკოლით, ქართველებმა კი უსახსრობის გამო აქამდე ვერ დაამთავრეს 20 წლის წინათ სუფთა ქართული სტილით დაწყებული ეკლესიის მშენებლობა, რომელიც შენდება ქუთაისის წითელი ქვით და ფართო ქვის გალავნით. ბათუმის ქართველმა მოსახლეობამ უკვე დახარჯა 50000 მანეთი და მიიყვანა ტაძარი სამრეკლომდე, მაგრამ ადგილობრივები გაღარიბდნენ, თუმცა მათ იმედი აქვთ მთელი საქართველოს მოსახლეობის გულისხმიერების, მათ სურთ 1913 წლისათვის დაასრულონ და აკურთხონ ერთადერთი ქართული ეკლესია მთელს ბათუმის ოლქსა და შავიზღვისპირეთში. ბათუმელ ქართველთა სახელით მოგმართავს საამშენებლო კომიტეტი უმდაბლესი მოწიწებით და თხოვნით ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭოს გამოგვიწოდოს დახმარების ხელი და მატერიალური დახმარებით გაგვიწიოს თანადგომა".

**ბათუმის მართმადიდებლური ეკლესიის**
**საამშენებლო კომიტეტის წევრი მღვდელი მიხეილ ჩხიკვაძე**
**1913 წლის 21 ივნისი**
**ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი**
**ფონდი №139, საქმე 179, ფურც. 37**

* * *

2. ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭომ 1913 წლის 2-3 ივლისით დათარიღებული გადაწყვეტილებით, მოისმინა რა თხოვნა ბათუმის ეკლესიის საამშენებლო კომიტეტის, დაადგინა, რომ დაეხმაროს და მისცეს 200 მანეთი გაუთვალისწინებელი ხარჯებიდან.

მოწოდება შემოწირულობის შეგროვების შესახებ ციხისძირის მშენებარე ეკლესიისა, რომელიც შენდება 1828, 1856 და 1878 წლების ომში დაღუ-

პული რუსი სამხედროების ხსოვნის უკვდავსაყოფად. დოკუმენტში ვკითხლობთ "თურქეთის მფლობელობაში მყოფი ბათუმის ოლქი წარმოადგენდა დანგრეულ და მიტოვებულ ადგილს, თავად ბათუმი იყო პატარა ზღვისპირა დასახლება ჭაობებსა და ტყეს შორის. აქაურ ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენენ აჭარლები, რომლებიც ადრიდანვე იყვნენ მართლმადიდებლები. თურქებმა მათ იძულებით მიაღებინეს მუსლიმანობა, დაუნგრიეს ქართული ქრისტიანული ეკლესიები და ჩაახშვეს ყოველგვარი კულტურული განვითარება. როცა საუკუნო ბრძოლა რუსეთსა და თურქეთს შორის გადაიკვეთა მცირე აზიაში, თურქებს გამაგრებული ჰქონდათ ბათუმის ახლოს, შავი ზღვის პირას მდებარე ციხისძირის აუცილებელი პოზიციები და გახადეს საყრდენ პუნქტად შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში. მრავალი რამ გადაიტანა ციხისძირის მაღლობმა. 1828, 1856 და 1878 წლების ომების დროს მრავალი ადამიანი დაიღუპა. ეს გრძელდება 1878 წლამდე, როცა რუსებმა დაამარცხეს თურქები და დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად მათ დათმეს მთელი ბათუმი და ბათუმის ოლქი. ამ დროისათვის ციხისძირის მაღლობი და მისი მიმდებარე ტერიტორიები, კავკასიის სარკინიგზო გზა, რომელიც გადის 3 ვერსტზე სადგურ ჩაქვთან წარმოადგენს საკურორტო რაიონს. ეს რაიონი ულამაზესია ადგილმდებარეობით, ჯანმრთელი და მაღალი ჰაერით. ამ ადგილას ახლა უმრავლესობით ცხოვრობენ რუსი მართლმადიდებლები, საკურორტო სეზონი ექვსი თვე გრძელდება და ამ პერიოდში მხარე გამოცოცხლებულია. სწორედ ამიტომ ჩნდება მოთხოვნილება მართმადიდებლური ეკლესიის არსებობისა, რომელიც არ არის ბათუმის შემოგარენში. არსებობს კომიტეტი, რომელიც აგროვებს შემოწირულებებს. ციხისძირის ეკლესიის მოწყობას, რომელიც რუსი სამხედროების ხსოვნის უკვდავსაყოფად შენდება დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. შემოწირულობა აუცილებელია იმიტომ, რომ 1. ღვთის წყალობით და რუსების გამარჯვებით ეს მართმადიდებლური მხარე კვლავ დაუბრუნდა რუსეთს და მის კულტურულ ცხოვრებას, რათა უკვდავყოფილი იქნეს რუსი სამხედროების სახელი, რომლებიც თურქებთან ომში დაიღუპნენ ციხის ძირის მაღლობზე. სწორედ ეკლესიის მშენებლობას აქვს დიდი ისტორიული მნიშვნელობა. 2. ეკლესიაში დაიდგმება დაფა, რომელზედაც დაიწერება ომისა და შრომის გმირთა სახელები. 3. საეკლესიო მსახურებაში მოხსენიებული იქნება გარდაცვალებულთა სახელები 4. ეკლესიასთან იარსებებს უპატრონო და მიუსაფარ ადამიანთა თავშესაფარი, სამხედროებისათვის, რომლებიც ომში მონაწილეობდნენ. უკვე გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისა და საქართველოს იმერეთის წმ. სინოდის კანტორის კურთხევით დაიწყო შეგროვება ნებაყოფლობითი შემოწირულებისა და მოვუწოდებთ ადამიანებს კეთილ-ქრისტიანულ, რელიგიურპატრიოტული სულისკვეთებისაკენ"., რათა თავიანთი მონაწილეობით ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების განვითარებას. ამ ეკლესიაში მუდამ მიმდინარეობს წირვა-ლოცვა, თავშესაფარში კი დაშავებული სამხედროები მკურნალობენ მთის ჰაერით. ევედრებოდნენ ღმერთს შემომწირველთა ჯანმრთელობასა და ღვთისწყალობაზე. შემოწირულობის შედეგად ღვთის ჯვარი, რომელიც გაიბრწყინებს ციხის ძირის მაღლობზე დაიცავს ამ მხარეს.

კომიტეტის მოწოდებას გამოეხმაურნენ ბათუმის ოლქის ბევრი მუსლიმანი აჭარლები, სწორედ ამიტომ კომიტეტი ითხოვს შემომწირველებმა შეავსონ ხელმოწერილი ფურცლები და გამოგვიგზავნონ ფოსტით მისამართზე:

ბათუმი, ციხისძირის ეკლესიის მოწყობის კომიტეტის წარმომადგენელი, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი. შეგროვილი შემოწირულობანი კი შეტანილი იქნას ბათუმის ხაზინაში ბათუმის ოლქის გუბერნატორის დეპოზიტზე.

შემოწირულობის რაოდენობა და შემომწირველთა ვინაობა პერიოდულად გამოქვეყნდება ადგილობრივ გაზეთში".

**ბათუმის ოლქის**
**სამხედრო გუბერნატორი პოლკოვნიკი რომანოვსკი–რომანკო,**
**კომიტეტის მდივანი მარტინოვი**
**ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი**
**ფონდი №139, საქმე 179**

* * *

3. სვანეთის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბიძინა პირველის მოხსენება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სვანეთის საქმეების მთავარ კომისიისადმი სვანების უმძიმესი ცხოვრებისა და სვანეთის აჯანყების მიზეზების შესახებ

17. 04. 1922 წელი

საქართველოს საბჭ. რესპ. მთავარ კომისიას სვანეთის საქმეებზე
სვანეთის მოქ. ბიძინა პირველისაგან

**მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა**

დიდი სიტყვის პაჟი და არგონავტი უნდა იყოს ადამიანი, რომ შესძლოს მთლიანად ერთის მხრივ სვანეთის ღარიბ ცხოვრების აღწერა და მეორეს მხრივ მთავრობისაგან დიდი ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი რომ მთავრობა დაარწმუნოს, სვანეთის ამ გამოსვლების სრულიად უდანაშაულობაში. საუბედუროდ მე ორივეს მოკლებული ვარ, მაგრამ მაინც შევეცდები მოკლედ ორივ მხრივ შეძლებისდაგვარად გავაშუქოთ. თუ კი ამ ჩემ მოკლე სიტყვას მთავრობა დღეს აუცილებლად შეხედავს,–იმედს ის მაძლევს, რომ მოვა დრო და საქმის გამორკვევის შემდეგ მთავრობა დარწმუნდება ჩემი მოხსენების სრულ სიმართლეში.

ვინ უნდა იცოდეს იმ კუთხის სახელი, ვის უნდა აინტერესებდეს იმ კუთხის ავი და კარგი, რომლის ცხოვრებას ისტორიულ საშინელი ძალმომრეობის კვალი ატყვია და სადღაც ორ ხელშუა კავკასიონის გამოქვაბულ კლდეებშია ჩაკეტილი. ვინ უნდა გამოელოდეს რაიმე დახმარებას იმ ხალხიდან, რომელსაც საერთო სიღარიბის ტანჯვა ასამარებს, ანადგურებს და ყოველივე ამას კი პირველყოფილი შეგნება ხალხისა შავ მანტიად ჰმოსავს და ძნელი ასატანია დანახვა სვანეთის დევ-შავ კლდეებისა, რომელიც მარტოა დამტირებელი სვანეთის ბედისა; აუტანელი, აღმაშფოთებელი არის აგონია სასიკვდილო ზარის, ცხოვრების უკუღმართობით დატანჯულ სვანისა, რომელსაც სურს მისი უშუალო ღაღადი, ტანჯვითი ამოკვნესა მთელს მსოფლიოს მოსდევას, მაგრამ შეუბრალებელია თეთრი ღრუბლების ის იყოს, მანანა, რომელიც ერთის მხრივ სასიკვდილო უსიყვარულობას აძლევს სვანეთს და მეორეს მხრივ დაუშრეტელად სვამს, როგორც სვავი სვანეთის უკუღმართი ბედის ტრიალის აგონიას და არ აძლევს ნებას, რომ ეს მის ფარგლებს გასცილდეს. და ეს ყოველივე არის მიზეზი იმისა, რომ სვანეთი ყოველთვის დაცინვით იხსენიება და მისი სიტყვა თუ თხოვნა უპასუხოდ

რჩება, ეს არის მიზეზი, რომ სვანებს ყველა ეჭვით შეგვცქერის და ადამიანებად არავინ გვთვლის, თითქოს ჩვენ ისეთივე აზრებით, ცხოვრებით, შეგნებით არ ვიკვებებოდეთ, როგორც სხვა ხალხი, თითქოს ჩვენი გული სხვანაირად ჰფეთქავდეს და ჩვენი გრძნობა არ მუშაობდეს.

და ეს საერთო ჩვენდამი აპატია, ანტი ადამიანური შეხედულება თვითონ ჩვენშივე აღძრავდა ეჭვებს ჩვენი უადამიანობისა, რომ ისტორია არ გვანუგეშებდეს: ჩვენი ისტორიით ჩვენ არასდროს ჩამოვრჩენილვართ ქართველ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რასაც მოწმობს ის, რომ ჩვენი სოფლის ნახევარ თავისუფალ სვანებმა ადრევე მოვსპეთ ჩვენში წოდებრივი უთანასწორობა და ისტორიულად ჩვენ კიდევ უფრო მემარცხენე აზრებით, შეგნებით ვიკვებებოდით, როგორც სხვა ძმები საქართველოისა და აგრეთვე მიზეზად ითქვა, რომ ჩვენ ამ შავ-კლდეებს შორის იყო არა სილაჩრე, არამედ ჩვენ არ შეგვეძლო ატანა კაცობრიობის პირველყოფილ საშინელ მონობისა, გამძღარ ქვედაბუნ ამოსუნთქვას, კუჭურ დაკმაყოფილებას ჩვენ ვარჩიეთ შიმშილით, სიღარიბით ცხოვრება, მხოლოდ თავისუფალ აზრით, თავისუფალ ცხოვრებით ამოსუნთქვა.

ეს მოკლე ისტორიული საგანი სვანის ცხოვრების და ჩამორჩენილობა უმეცრობისა. ახლა გადავიდეთ თვით იმ საგანზე, რომელმაც მე იძულებული გამხადა მთავრობაში ეს მოხსენება გამეკეთებინა:

სვანეთის დღევანდელმა გამოსვლამ თავდაცვითმა, ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ბევრი სხვადასხვა აზრი წარმოშვა როგორც მთავრობის, ისე სხვადასხვა საზოგადო წრეებში. რამოდენიმე ნაწილი ამას პოლიტიკურ აჯანყებად მიიღებდა და რამოდენიმეს ყაჩაღურ გამოსვლას დაუძახებდა, ორივე კი ეს შემცდარი აზრია. გამოსვლის მიზეზი სულ სხვა იყო, მიზანი სულ სხვა.

უმთავრესი მიზეზი ამ გამოსვლების იყო ადგილობრივ მაზრევკომის მესვეურთა და მოსამსახურეთა ბოროტმოქმედება და მათი ბავშური პოლიტიკა. ეს ბოროტმოქმედება მაზრევკომის მესვეურებმა დაიწყეს სახელმწიფო ქონების მითვისებით და ქურდობით, კერძოდ ინტერესით ხალხის სავსებით დაშტრაფვით, მხოლოდ ერთი ან ორი თემის ბატონობით რევკომში ქალიანბავშიანად (როდესაც ხალხს ვერ გაეგო ეს მაზრევკომი სვანეთის იყო თუ ნავერიან-გუჯეჯიანების), და სხვა უსაზღვრო ექსპლოატაციით, რომლითაც ადგილობრივი მაზრევკომი უმანსპინძლდებოდა ხალხს. დასამტკიცებლად მოვიყვანთ რამოდენიმე ფაქტს, რომელიც იქმნება დამახასიათებელი ამ პიროვნებების: გიორგი ნავერიანმა ჩამონართმევი რევოლვერი გაყიდა ჯვარისწერის დროს ოქროს ბეჭედში, რომელიც მიყიდა არტემ პირველს, გრიგოლ გუჯეჯიანმა სამ. კომს პეტროვს მოჰპარა თოფი რევკომში და მიყიდა ალექსანდრე შერვაშიძეს; სერგო ვარნაზოვმა ჩამონართმევი რევოლვერი გაყიდა ძროხაში. ყველა ეგენი უკანასკნელი გამოძიებით თვით პარტკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ს. გულბანმა ს. ნავერიანს მიცა მოტანილი საქონლიდან, ნახევარი მაინც ოსეთში ნაქურდალ ცხენებში და საქონელში გაყიდა, რომელიც მთავრობამ გადმოუგზავნა და ნახევარი მოგებისა თვით მან დაიტოვა და მისმა სიმამრმა. ყოველივე ამას დაურთეთ მაზრევკომის მეთაურთა მიმართ ხალხის უნდობლობა, რომელიც გამოწვეული იყო მათი ბნელი წარსული ისტორიით, ხალხი უნდობლად უყურებდა იმ პიროვნებებს, სახელდობრ ს. ნევერიანს, დ. დადუანს, რომელთაც გააღვივეს და გააღვიძეს სვანეთში შურისძიება, შემოიღეს ძალმომრეობა და ხელი შეუწყეს, რომ

მთელი მასსა უფრო გაემსჭვალათ ცრუ სარწმუნეობით. მაგალითად ს. ნავერიანი და დ. დადუანი ს. ლატალში იყვნენ მაწავლებლებად, რომ ხალხი შეეშინებიათ, თვითონ "წახალისებულიყვნენ" და ბნელ მასას მათთვის ხაჭაპურებით მსხვერპლი შეეწირა – სოფელში და ეკლესიებში, ცოცხებით დადიოდნენ საშინელი ყვირილით და ხალხს აშინებდნენ საშინელი ყვირილით და პროვოკაციით, რომ ამ სოფელში დევები დადიანო. უკანასკნელად დ. დადვანის სისაძაგლე იმ ზომამდე მივიდა, რომ ტყუილ უბრალოდ მოჰკლა თავისი ძმა. ამას კიდო აღვივებდა ის ფაქტი, რომ მთელი რევკომის მილიციონერები ქურდები და ყაჩაღები იყვნენ, რომელნიც თვითვე არღვევდნენ წესრიგს. მაგ. ესტატე შერვაშიძემ და მისმა ძმამ რევკომის ფანჯრები ტყვიით ჩაანტერიეს, ერთი დღე ამისი მოსამსახურენი ჩამწყვდეული ჰყავდათ და ბოლოს, როდესაც ხალხი მათ დაჭერას მოელოდა, რევკომი მათ ხარით და ჯიხვის ხორცით შეურიგდა ამ მართლაც ყაჩაღებს. ყოველივე აქედან, ვინაიდან მთელი შემადგენლობა რევკომის მესვეური მოსამსახურეთა ყაჩაღები იყვნენ – ხალხის ლოღიკური დასკვნა ეგეთი იყო: საბჭოთა მთავრობა ყაჩაღური მთავრობა ყოფილაო. ამნაირად საბჭოთა მთავრობის პრესტიჟი სვანეთში, ადგილობრივ ადმინისტრაციის მოსამსახურეთა შემადგენლობამ დასცა.

და წარმოიდგინეთ თქვენ ის მდგომარეობა, როდესაც სვანეთში ხმა გავარდა ს. ნავერიანს ჯარი მოჰყავსო. შეუგნებელ ხალხს გაუკვირდა და ვერ მოძებნა მიზეზი და ისეთი დანაშაულობა, რომ ღირსი ყოფილიყოს მისი მიზეზი. მთავრობაც შეწუხებულიყო და ხალხიც. ამასთანავე ხალხში საშინელ თავდაცვით პანიკას ქმნიდა ის ფაქტი, რომ ამ ხალხს მიუძღვებოდა შენიშნული პირი ხალხის თვალში ს. ნავერიანი. მართალია ს. ნავერიანი მთავრობას ეგრე დაუმტკიცებდა ს. ფარში არ უზის იარაღსო, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუე იყო. საქმე შემდეგში მდგომარეობდა: როდესაც ს. ნავერიანი მივიდა ს. ფარში დილას კრებაზე რამდენიმე ახალგაზრდამ იარაღის აყრის უარი განაცხადა არა სხვა მიზეზით ან მიზნით, არამედ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სვანები იარაღის მოყვარული ხალხი ვართ და ეგრეთვე მიზეზათ მათ ის ჰქონდათ, რომ ს. ნავერიანი ამ მათ ნავთში ნაყიდ იარაღს რავარც აიტანს მულახში, თავის ნათესავებს ჩამოჰკიდებსო. მართალია დილის კრებაზე მათ უარი განაცხადეს, მაგრამ შემდეგ ს. ნავერიანს კაცი უკან მიაწიეს, თვით ადგილობრივი რევკომის თავმჯდომარე, იარაღი აკრიფეს და სთხოვდნენ ს. ნავერიანს ეს მობოჭილი იარაღი ჩაებარა. ს. ნავერიანმა ეს უარყო, უკან არ დაბრუნებულა, შეურაცხყოფად მიიღო, არ ჩაიბარა და ფარს დაპირდა, მოკლე ხანში რუსის ჯარს მოვიყვან და ფარში ნამოსახლარში წითელი ქვის მეტს არრას დავტოვებო. და მართლაც რამოდენიმე ხნის შემდეგ სვანეთში მოვიდა ჯარი და თქვენ თვითონ განსაჯეთ რა უნდა ეფიქრა იმ ხალხს, რომელსაც განადგურებას დაპირდა რამდენიმე დღეს ს. ნავერიანი – თუ არ თავის დაცვა და შურისძიება. და მართლაც ამ ჯარს წინ დახვდა ეს სოფელი, რომელიც იძულებული იყო მთელი სვანეთი, საერთო ფიცის ძალით ისიც ჩარეულიყო და დახმარებოდა თავის ძმებს. ამგვარად, მაშინ, როდესაც საქმის მშვიდობიანად მოგვარება შესაძლებელი იყო, ხალხში აგიტაციით, ხალხის ფსიქოლოგიასთან შეთვისებული პოლიტიკით, მაზრევკომის თავმჯდომარემ ეს არ მოინდომა და მიზეზად ამ განზრახვების შედეგისა ეს პირი უნდა ჩაითვალოს. მთელი სვანეთის ამ საქმეში ჩარევას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ დაშინებამ და პროვოკაციამ, რომელ-

საც ავრცელებდნენ ადგილობრივი თავ. რევკომის პასუხისმგებელი მოსამსახურენი, რომ დღეს კი დაგვიდგა დრო ყველა ჩვენ კერძო მოინტერესეებზე ჯავრი ვიყაროთ, ამით ვინაიდან მთელი შემადგენლობა ამ რევკომისა იყო მულახელების და ნავერიან-გუჯეჯიანების, ხალხს შეეშინდა და თავის სიცოცხლის დაცვას შეუდგა. ყოველივე ამას დაურთეთ სვანეთის სიღარიბე და ის ზამთრის პირი, რომელიც ჯარს იძულებულს ჰყოფდა საზამთროდ აქ დარჩენილიყო და რომლის რჩენა არც ყიდვით და არც სხვა საშუალებით სვანეთს არ შეეძლო.

თვით თქვენც კარგად იცით, რომ საწყალი სვანი, დადგება თუ არა შემოდგომა, მიდის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ტალახის საჩიჩქნად, რომ ლუკმა პური იშოვოს და ოჯახი შიმშილით არ ამოუწყდეს. სვანეთში, ათასში ერთს თუ ნახავთ, რომ მოსავალი, სარჩო მთელი წელი ჰყოფნიდეს. ვის არ უნახავს საწყალი სვანი, რომელიც საქართველოს სხვადასხა კუთხეებში დაძრწის ძონძებში გახვეული, მშიერ-მწყურვალი, ტალახში ამოსვრილი, რომელსაც გარშემო მხოლოდ დაცინვა ესმის. დაცინვა საშინელი, ეკლიანი, სარკაზმული, თავმოყვარე სვანისათვის, დიახ, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სვანეთის გარე, სვანის თავისუფლების, ინტერესების დამცველი არის მხოლოდ დაჟანგული ხანჯალი, რომელსაც ის მუდამ ატარებს და რომლის იმედი მარტო აქვს მას. ეგრე იყო ძველად დაჟანგული სვანის ხანჯალსავით, შავი, ძველი მთავრობის დროს, უარესი კახპა მენშევიკების დროს და ასე მეორდება დღეს თქვენ დროსაც, რომელნიც თქვენს მიზანს მხნედ, უცვალებლად დადგომიხართ და და მენშევიკების “მეძავობას” გასცილებიხართ. საშინელი არის ის დიდი ბოღმა, რომელიც მისწოლია სვანეთის ხალხს გულზე და დიდი საშიშია, რომ არ გადმოინთხეს და ამდენად დაგროვებულმა ტანჯვამ და მათი თავმოყვარეობის შელახვამ სვანეთის მოსახლეობაში ნაციონალური შურისძიების ხასიათი არ მიიღოს. ჩვენ ვინც მათთან ვმუშაობდით, ამას ვერიდებოდით. ეს საერთო მიზეზები ამ გამოსვლების. თქვენისავე გადმოცემით როგორც გავიგეთ, თქვენ დარწმუნებული ყოფილხართ, რომ ეს გამოსვლა სვანეთის – წინ და წინ გაზომილი იყოვო და ამას თითქოს ჩვენ ვმეთაურობდით თავიდანვე. ჩვენ არ გვაინტერესებს რამდენიმე პირის ყოფნა თუ არყოფნა, თუ ეს მთავრობას სვანეთში ზიანს არ მოუტანს, არც ლაშქრობას ვიკადრებთ, რომ თავი მოვიკატუნოთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩვენგნით ყველაფერს სიმართლეს ვაღვიარებთ, რომელსაც ვერავინ ვერსად გაექცევა. არ ვიცი, რომ ზნეობით მაინც ისე დაცემულიყვნენ მაზრევკომის ყოფილი მოსამსახურენი, რომ სთქვან: ამ საქმის დამწყებნი ესა და ეს პირები იყვნენო. ეს სიცრუეა და სიცრუედ წავა. თვით მე მაშინ პირადად საპ. სახ. განყ. კოლეგიაში ვმსახურობდი როდესაც გავიგეთ, რომ სვანები ჯარს დახვდნენ და კომანდირი მოკლესო. ჩვენ, როგორც თვითოეულმა სვანმა, ავიღეთ იარაღი ხელში და ვინაიდან ერთის მხრივ გვეშინოდა ამ გამოსვლას ანარქიული ხასიათი არ მისცემოდა, და შემდეგში ანარქია ქულტისა შიგნით არ დატრიალებულიყო, რევკომს დავეცით, წავართვით 7–8 თოფი – ქონებას სრულიად არ შევხებივართ, რასაც დაამოწმებს ივანე გუჯეჯიანი, რომელიც ამას მთლიანად დავასწარით და გავეშურეთ ქვეით და რუსის ჯარს დაბრუნებულს მიუსწარით. ამის შემდეგ ხელი მივყავით ხალხის მოწესრიგებას დღემდე ამ საქმეში შეძლებისდაგვარად ვმუშაობთ. ამის შემდეგ ჩვენ ვგებულობთ, თუ როგორ გლახად იქცეოდნენ ქვემო სვანეთში ადგილობრივი მოსამსახურენი

და როგორ ტყუილუბრალოდ დაჰკლეს საძაგლად ორი ლაშხელი გზაზე და ამის შემდეგ ამის ძალით და აგრეთვე იმ მიზნით, რომ გაზაფხულზე ქვემო სვანეთს და ზემო სვანეთს შუა არ დაწყებულიყო შურისძიება, ტაციობა და ძარცვა-გლეჯა და აგრეთვე თანახმად 1918 წ. ფუცისა – საბჭოს გამოაქვს დადგენილება ქვემო სვანეთის შემოფუცვისა, რომლის შესრულებაც დაგვავალა ჩვენ შესასრულებლად. ამის ძალით ჩვენ ვიკავებთ ქვემო სვანეთს და იქ მყოფ ჯარის ნაწილებს ვანიარაღებთ. დაბრუნებისას მართალია რამდენიმე ბნელი პირები დაბრუნებულან, ტყვეები გაუცარცვიათ, მთავრობა ამაში უნდა დაგვერწმუნოს, რომ ეს ჩვენ თვით არა მთავრობაზე ნაკლებად გვეწყინა, მაგრამ წარსულს ვერ დავაბრუნებთ, რომ ტყუილად შეწუხება შეგვრჩა. ამნაირად, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ ამ საქმეში დანაშაულობა და მონაწილეობა მიგვიძღვის ისე, როგორც მიუძღვის თავისუფალ მოლაშქრეს – წინააღმდეგ ჩვენ ხალხმა იარაღად მოგვიხმარა და ხალხის სურვილით და ნებით ვშუამდგომლობთ. ამასთანავე დარწმუნებით ვამბობთ, რომ ჩვენ არავითარ პარტიასთან კავშირი არ გვქონია რომ ამისათვის პოლიტიკური სახე მიგვეცა და რომ ამ საქმეში ჩარევა უცაბედი იყო, რომელი არ იყო თვით ჩვენსავე მიერ მოფიქრებული და წინ და წინ გაზომილი. აშკარად ვაღვიარებთ, რომ ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ სვანეთის უფლებებისათვის ბრძოლა, ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ამ გამოსვლაში ჩვენი ჩარევა იყო იმ მიზნით, რომ ერთის მხრივ თავი გაგვეთავისუფლებია ადგილობრივი მაზრევკომის ექსპლოატაციიდან და ხალხი, და მეორეს მხრივ, დაგვენახვებია ხალხისათვის და აგრეთვე მთავრობისათვის, რომ მაინც ხალხი ვართ, ძალას წარმოვადგენთ – და თუკი მთავრობა ამ ძალას ყურადღებას მიაქცევს, არ წააგებს. ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს, რომ მთავრობამ და ხალხმა სთქვას: იქ, სადღაც კავკასიის კლდეებზე მოსახლე ხალხი სვანები ყოფილა, რომ ქართველმა ხალხმა აღიაროს თავისი შეცდომები და მომავალში ეგრე ეჭვებით არ გვიყურებდეს, რომ ქართველმა ხალხმა და მთავრობამ შეიგნოს, რომ სვანებიც ადამიანები ვართ, არავისზე ნაკლები და თუკი ვინმემ მოგვიხმარა, ამისათვის ნუ იქნება მომავალში სვანების დაცინვა, მიგვიღეთ ჩვენც თანასწორუფლებიან ძმებად, რომ "სვანი მაზიდ გეტაკ" მაგიერ "გამარჯობა ამხანაგო სვანოვ" გვესმოდეს და მაშინ ჩვენ დაგვიმტკიცებთ, რომ ჩვენ შეგვიძლია გაწევა როგორც მტრობის, ისე ძმობის. ეს იყო და არის დღესაც ჩვენი უპირველესი მიზანი, რომლისათვის ყოველთვის მზად ვართ ვიბრძოლოთ და ვიცით, რომ ეს ვიწრო ნაციონალური აზრია

ჩვენ უკანასკნელად გიცხადებთ, რომ ვინაიდან ჩვენ ამ მიზანს ცოტათი მაინც მივაღწიეთ, დღეს თანახმა ვართ მორიგებაზე. ხელს ვაწერთ მთავრობის კომისიის და სვანეთის დელეგატებს შორის დადებულ პირობაზე. მთავრობის წინაშე პირობას ვდებთ, რომ თუკი ის დადებული პირობა შესრულებული იქნება, ჩვენ არავითარ მთავრობის საწინააღმდეგოდ არ ვაწარმოებთ არალეგალური მუშაობას და ჩვენის მხრივ მთხოვნელნი ვართ, თუკი მაინცა და მაინც სვანეთში ჩვენს ყოფნას საფრთხედ უყურებთ და შეუძლებლათ სცნობთ, ნება მოგვეცეს საქართველოს სხვა ქალაქებში ცხოვრებისა მაინც, რომ ჩვენი სიცოცხლე უზრუნველყოფილი იყოს და ეს მანამ, სანამ ჩვენის მოქმედებით დარწმუნდეთ, რომ ჩვენ მომავალში მთავრობის ხელშემშლელი პირები და მავნე პირები არ ვიქნებით.

განმეორებით ვამბობთ, რომ თუკი სვანეთს მომავალში მთავრობა მეტ ყურადღებას მიაქცევს, ჩვენ მზად ვართ და მთავრობასთან ხელგადაკიდებული ვიმუშავებთ მთავრობის და ხალხის სასარგებლოდ.

სვანეთის მოქალაქე: ბიძინა პირველი

17/IV

დედანი, ხელნაწერი, ქართულ ენაზე

**ქცსა, ფ. 284 ან. 1 საქ. №8 .**

* * *

4. მოქალაქე ილია გიორგის ძე ფალიანის მოხსენება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა მთავრობის ზემო სვანეთის საქმეთა მოსაწესრიგებელი საგანგებო კომისიის მიმართ სვანების მძიმე მდგომარეობის, აჯანყების საბაბისა და მიზეზების შესახებ

7 ოქტომბერი 1922 წელი

საქართველოს სოც. საბჭოთა მთავრობის საგანგებო კომისიას ზემო სვანეთის საქმეთა მოსაწესრიგებლათ

მოქ. ილია გიორგის ძე ფალიანისგან

**მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა**

ყველა შეგნებული და ოდნავ მაინც დაინტერესებული პირისათვის ახლანდელი სვანეთის მდგომარეობაზე.

ფრიად და ფრიად სასიამოვნოა, რომ დღეს იმ ჯარს, რომელიც მოსდგომია სვანეთს „კონტრ-რევოლიუციის“ ჩასაქრობათ, ხელმძღვანელობენ არა კერძო პირები, არა ისინი, ვინც მხოლოთ კარიერა აინტერესებს და არა ხალხი, არა ისინი, ვინც პირადი წინწაწევისათვის შეუძლიათ ბუზისაგან ლომი შექმნან, არამედ, ნამდვილი მთავრობის წარმომადგენლები, არა გუშინდელი, მდგომარეობით სოციალისტურ ქურქში გახვეული პირები, არამედ დიდი ხნის ხალხისათვის ბრძოლაში ნაწრთობი ამხანაგები.

ამის ნებას მაძლევს მე არა მლიქვნელობა არამედ პირადი ცნობა ორი ამხანაგისა ლადოსი და პეტრესი.

მე იმედი მაქვს, რომ სვანეთში მომხდარ ამბებს დაერქმევა თავისი ნამდვილი სახელი და არა „კონტრ-რევოლიუცია“, დაერქმევა იმიტომ რომ ჰერეთის ადგილი სვანეთში არაა. არა იმიტომ რომ კონტრრევოლიუციონერობა ბურჟუაზიის, შეძლებული გლეხობის და არისტოკრატიის საქმეა და სვანეთში მხოლოთ თუ გნებავთ მთელი რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხთა შორის უღარიბესი გლეხობაა. სვანეთში ყველა კუთხის გლეხებზე უფრო თავისუფლების მოყვარული გლეხობაა და განა წარმოსადგენია, რომ ეს გლეხობა ებრძოდეს თავისუფლებას? მე მგონია არ დამჭირდება საბუთებით მტკიცება იმისი, რომ ეს ასეა, მიტომ თქვენ თვით კარგათ იცით რომ ეს ასეა.

მაშასადამე ეს სოციალური მდგომარეობა სვანეთის მუშა, მშრომელი მშიერი გლეხისა, უნდა ვიქონიოთ ქვაკუთხედათ მას ან „კონტრ-რევოლიუციის“ ძებნის დროს და ამ რიგათ მის სულსა და გულს, მის სოციალურ-

ეკონომიურ მდგომარეობაში ჩვენ კონტრრევოლუციურ ელემენტებს და მიდრეკილების მიზეზებს ჩვენ ვერ ვნახავთ.

მაშ რაშია საქმე? რამ გამოიწვია სვანის მშრომელი გლეხის იარაღის ხელში აღება და წითელ ჯარის ტყვიით შეხვედრა? რამ გამოიწვია სვანეთიდან ერთი მცირე ჯგუფის ქვემო სვანეთში გადასვლა და იქ წითელი ჯარების ნაწილების განიარაღება და უნამუსო ხელის შეხება?

აი ის მთავარი და უბედური საკითხები, რომელთაც მისცეს მთავრობას საბუთი სვანეთის ამბებისათვის დაერქმია „კონტრ-რევოლიუცია", აი ის უბედური საკითხები რომელთა წყალობითაც დღეს წითელი ჯარი მოსდგომია კარზე დამშეულ სვანეთს და ეს პატარა კუთხე ართმევს მთავრობას ყურადღებისა და მოქმედების ნაწილს, მაშინ როდესაც დიდმნიშვნელოვანი სარევულიუციო საკითხებია სამუშაო და ამ დროს საჭიროა შინაგანი მწყობრი შრომა და სიმშვიდე მშრომელთა.

შეუდგეთ მიზეზთა პუნქტუალურად გარჩევას და ჩვენ დავინახავთ, რომ მომხდარი ამბების ლიკვიდაცია არც ისე ძნელია, როგორც ის უთუოთ დაუსურათეს მთავრობას იმათ, ვისი მიზეზითაც მოხდა ყოველივე ეს. მე ღრმათ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ბრალმდებლები სვანეთისა „კონტრ-რევოლიუციაში„ /სვანეთის მმართველები/ სვანეთის საქმეების გამორკვევის შემდეგ თვით იქნებიან დაბმულნი ბრალდებულთა სავარძლებში.

1) ჰკითხეთ სვანს თუ რა არის წითელი ჯარი?
2) რა მთავრობაა ან ვისი მთავრობაა საბჭოთა მთავრობა?
3) რა მოაქვს ამ მთავრობას ღარიბი გლეხობისათვის?
4) რათ მიემხრო მთელი რუსეთის და საქართველოს მშრომელ გლეხობამ მთავრობას და არა მენშევიკებს ან სხვა ვისმეს?
5) რამ გამოიწვია ის სიძვირე, რომელიც სვანს ასე აწუხებს რადგან თვითონ ყიდულობს ყველაფერს მარა გასაყიდელი არა აქვს არაფერი?

სვანი ვერცერთ ამ კითხვებზე ვერ გიპასუხებთ, რადგან მისთვის ეს საკითხი ჯერაც ახალი ხილია, მისთვის არავის არაფერი არ აუხსნია. არ აუხსნიათ.

1) იმიტომ რომ არ ეცალათ, ადგილობრივ ვისაც ევალებოდა ეს იმათ. უნდებოდენ კერძო ინტერესებით ამა თუ იმ პირთა დევნა ძარცვას სახელმწიფო ქონების ურთიერთ შორის განაწილებას, ქუთაისსა და თბილის შუა გამუდმებულ სიარულს ახალ ახალი სიმდიდრის მისაღებათ ხალხის სახელით საკუთარი ჯიბისათვის.

2) იმიტომაც, რომ ახსნას და მართვას ცოდნა და გამოცდილება უნდა, ხალხის ფსიქოლოგიის ალღოს აღება უნდა, მის ზნეჩვეულებების და ადათების მიმართ ანგარიშის გაწევა უნდა და არც ერთი ეს სვანეთის რევკომსა და პარტკომში არ მოინახა.

მმართველობამ მიიღო კუთხური სახე, შემადგენლობა მმართველობისა თავი-დანვე იყო ცუდი რეპუტაციის პირებისაგან. უწინარეს ყოვლისა ამ პირებმა დაიწყეს ბრძოლა მათ წინანდელ პირად მტრებთან, ხალხს არაფერი აუხსნეს, არაფერი გააგებიეს, სამსახურში შეიყვანეს ყველა ისინი, ვინც ხალხს სძულდა წინა მთავრობების ხელში და აი ამან დაუკარგა ნდობა ხალხში მმართველებს და შეამცირა პრესტიჟი მთავრობისა.

განვიხილოთ ყველა ის პირები ცალ-ცალკე და მათი მოქმედება.

1) რევკომის თავმჯდომარე სილიბისტრო ნავერიანი. ეს პირი ერთი დადებითი მხარის მქონეა, ეს არის რომ მექრთამე არაა. დანარჩენი: ხასიათით უხეში, მუშტი-კრივით განთქმული, ამპარტავანი, მართალი სტუდენტია მარა სრულიათ განუვითარებელი, ხეირიანათ არც სვანურის არც ქართულის და არც რუსულის მცოდნე. ხალხში ცრუმორწმუნეობის გამავრცელებელი. წინათ, პირადი მტრების მრავლათ მექონე სვანეთში, თუ მკვლელობით, თუ გალახვით, თუ მოტყუილებით შეურაცხყოფილთაგან. სრულიად უცოდინარი არამც თუ მარქსიზმისა, თვით უბრალო ზერელე მოკლე კომუნისტური პროგრამისა, სინამდვილეში არა კომუნისტი.

1 მისი თანაშემწე მისივე ძმა გიორგი ნავერიანი, მოწაფე, ჯერ სრულიათ ცხოვრებაში გამოუცდელი ახალგაზრდა.

2 მწერალი მდივანი? და ყველა ეს რასაკვირველია, მათი ოჯახობები და ნათესავები.

3 გრიგოლ გუჯეჯიანი, უსწავლელი კაცი, მკვლელობის ჩამდენი. სვანეთში მოსისხლე მტრების შიშით მულახის საზღვრებს ვერ სცილდება, მისი თანაშემწე მისი ცოლი.

4 აბესალომ იოსელიანი / მილიციის უფროსი / ყოფილი სტრაჟნიკი. სრულიათ უსწავლელი, აზნაური, ბოროტმოქმედთა ხელის დამფარებელი, ამპარტავანი, სინამდვილეში მონარქისტი.

5 მისი თანაშემწე ალი მარგიანი. სრულიათ გამოუდექარი პირი ცრუ, მლიქვნელი, არავითარი გავლენის არა მქონე თვით მისი მილიციონერების ცემა-ტყეპის საგანი, აბუჩად ასაგდები მათგანვე.

6 განათლების გამგე ეფთი იოსელიანი, მოწაფე სრულიათ გამოუცდელი, საშკოლოთ გამოსულ სიმდიდრის გამფლანგველი სხვაეებში.

7 უფროსი მილიციონერი ესტატე შარვაშიძე, ცნობილი ყაჩაღი, მკვლელი ორი კაცისა კერძო ინტერესებით. ამ პირმა იარაღი არ ჩააბარა რევკომს, ამის შემდეგ აუტეხა სროლა თვით რევკომის შენობას, როცა მთელი მოსამსახურეები შიგ იყვნენ ას ორმოცდაათამდე ტყვია მიაყარა, ჩაულეწა კარ -ფანჯარა.

ამის შემდეგ მეორე თუ მესამე დღეს ურიგდებიან მას, უტოვებენ იარაღს, შემდეგ ღებულობენ სამსახურში და ამ დიდ ბოროტ მოქმედს აყენებენ მილიციონერების სათავეში. ქრთამათ ღებულობენ ხარს.

ყველა ჩამოთვლილი პირები ერთმანეთის ნათესავებია. სხვა საზოგადოებებიდან მიწვეულია მილიციონერები, განსაკუთრებით ქურდები, ყაჩაღები, მძარცველები. ისეთი პირები რომლებიც სისხლს სწოვდენ ხალხს წინანდელი მთავრობების ხელში, თუ ყაჩაღობით.

აი მოკლე ერთი მეათასედი იმ სურათისა, რომელიც სუფევდა ადგილობრივ მთავრობაში.

გადავიდეთ ახლა იმ მიზეზზე, რომლითაც დაიწყო წითელი ჯარისა და სვანეთის ორ საზოგადოებას შორის შეტაკება. სოფ. ფარში მცხოვრები კაბუ ჯაჭვლიანი

/მილიციონერი/ იყო ცნობილი ქურდი. ჩუბეხევიდან სილიბისტრო ნავერიანის მეთაურობით განსაიარაღებლათ წასულ კომანდაში ჩარეულმა თოფით დასჭრა მეორე მილიციონერი, ცნობილი ყაჩაღი ყანსავ ჯაფარიძე. კაბუ ჯაჭვლიანს ხმა ვერ გასცეს და ხელი არ ახლეს. როცა ამოვიდნენ ფარში, ჯაჭვლიანის ოჯახიდან გამოიყვანეს მის მაგივრათ ხარები. ეს უსამარ-

თლობა ეწყინათ ოთხ-ხუთ კაცს რომელთაც განუცხადეს: თუ თქვენ ბოროტ-მოქმედებს ხელს არ ახლებთ, მართალ პირებს იარაღს ართმევთ, კაცის მაგივრათ ხარებს კლავთ ეს უკანონობა არისო და ასეთ პირს ჩვენ იარაღს არ მივსცემთო. ამით გულმოსულმა ნავერიანმა ხუთი პირის პასუხის მიცემის ნაცვლათ მთელ საზოგადოებას მისცა ასეთი პასუხი: „მაცალეთ ცოტა! მე სილიბისტრო არ ვიქნები თუ თქვენ ჯარი არ შამოგისიოთ და ქვა ქვაზე დავტოვოთ ფარის საზოგადოებაშიო“. გამგუნებულ პატარძალივით მოახტა ცხენს და არც ხალხს მოუსმინა, არც არავის და ამოვიდა ეცერის საზოგადოებაში.

ფარიდან გამოეკიდნენ საზოგადოებისაგან არჩეული პირები, მოეწიენ ეცერში და სთხოვეს რომ ხუთი კაცისათვის მთელი საზოგადოება ნუ ჩაითვლება წინააღმდეგათ. ხალხი იარაღს გაბარებთ და გთხოვთ დაბრუნდეთ ფარში და ჩაიბაროთ იარაღიო“. პასუხი მისცა ასეთი: „სანამ ფარში ჯარს არ შემოვიყვან და მხოლოთ წითელი მიწა არ დარჩება გადამწვარი სახლებიდან, მანამდი მე ფარს არც ვნახავ და არც ვიცნობო“. ამ დროს ეცერში იარაღი შეგროვილი ეწყო სკოლის შენობაში. ეცერის რევკომმა სთხოვა ჩაებერებია იარაღი. პასუხი ასეთი მისცა: ეცერის რევკომი შამომეხვეწოს ძალიან და თავისი ზურგით ამომიტანოს იარაღი მულახში თორემ თქვენც ფარის ბედს გწევთო“.

დიდძალი იარაღის გადაზიდვა ეცერის რევკომმა ვერ იკისრა თავის ხარჯით და ამით განრისხებული სილიბისტრო ნავერიანი ეცრის საზოგადოებასაც ჰპირდება განადგურებას და დემონსტრაციულათ სტოვებს საზოგადოებას, იმავე შეპირებებით რაც აღუთქვა ფარს.

აი ის დიდი აგიტაციის ღვაწლი, ის დიდი პოლიტიკური მუშაობის დიდი შეგნების შეტანა ხალხში ,რომელიც პირველად და უკანასკნელი იყო ამ ხალხში. ამის შემდეგ გადის ერთი თვე, ხალხი არ ხედავს არავის მის გზაზე დამყენებელს და უცფათ ჯარი ჩნდება ამ საზოგადოებებში მომავალი. იქონიეთ მხედველობაში, რომ წელს არც ერთ ოჯახს აღდგომამდი საყოფი საკვები არ მოსვლია, ხალხი დაბნეულია. ამ მდგომარეობით ისარგებლა ვიღაც პროვოკატორმა და უთუოთ იმან მოსწერა ამ საზოგადოებებს წერილი ჯარის სახელით შემდეგის შინაარსისა: „დაუყოვნებლივ შამოგვაგებეთ იარაღი და თქვენ ქალებს გახადეთ ქვედა საცვლები და მზათ დაგვახვედრეთო“. ყოველ ეჭვს გარეშეა რომ ეს ვინმე ბოროტი პროვოკატრობის ხელის საქმეა, მარა მიიღეთ მხედველობაში მთიულის შეუგნებლობა, მისი ტრადიცია, დამუქრების-შესრულების თვალწინ დოგმა, ისიც სილიბისტრო ნავერიანის მეთაურობით მომავალი ჯარი და თქვენ წინ გადიშლება სურათი არა კონტრრევოლიუციის, არამედ მთიულის სისხლით და ოფლით შექმნილ ღარიბ ქოხთა დაცვის მისი ტრადიციის, მისი სულისა და გულის ძვალსა და რბილში გამჯდარ ოჯახის თავმოყვარეობის დაცვის „აუცილებლობა “.

აქაც უნდა ითქვას ისიც, რომ სილიბისტროს თბილისში მთავრობამ არ მისცა ჯარი და მეგრელიაში მოაგროვა თავისი ნებითო, თორემ მთავრობა რავა მისცემდა ჯარსო. ამ რიგათ ეს ჯარი სვანების თვალში იყო სილიბისტროს ჯარი და არა მთავრობის, ეს ჯარი იყო მეგრელების და სილიბისტროს ნაშოვნი ჯარი - სვანების შეგნებით.

ამხ. ჯიქია მოკლეს ორმა ეცერელმა, რომელთაც ცხენის წართმევის მიზნით ჯიქიამ და მისმა ამხანაგებმა აუტეხეს სროლა. უპასუხეს სვანებმა

და ამხ. ჯიქია აღმოჩნდა მოკლული. მკვლელები შეიპყრო ისევ სვანებმა და გადასცეს სოხუმში. ჯიქიას სიკვდილით ისარგებლეს მისმა ამხანაგებმა, გაფლანგეს სახელმწიფო ქონება და მიაწერეს სვანებს 500 ფუთი ზირტი. რომ ეს სიყალბეა ამაში დარწმუნდება საგამომძიებლო კომისია.

მომხდარ ამბებს გაუგებრობას და მრავალ სხვა საპატიო მიზეზებს მოჰყვა უბედურება და ძმამ დაღვარა ძმის სისხლი.

თუ მართლა სვანმა დაღვარა სისხლი, მისი თანამოძმის მუშებისა და გლეხების წითელ არმიელთა სისხლი, იმ შეგნებით, რომ ის ებრძვის მუშების და გლეხების მთავრობას და მის ჯარს, ის განადგურების ღირსია, მარა თუ ეს ჩაადენინა შეუგნებლათ სხვამ, მაშვინ როგორც ამ საბრალო ხალხის, აგრეთვე მისი ინტერესების გამომხატველ მთავრობის რისხვა უნდა დაატყდეს თავს მათ, ვისი მიზეზითაც მოხდა ყოველივე ეს.

რაღაი, რომ ეს უბედურება მოუხდათ და ერთხელვე შევიდნენ შეცდომაში. სვანს ვერ შეაგნებიებთ იარაღით იმას, რომ მთავრობა შურის საძიებლათ არ მოდის ჯარით სვანეთში. ის ღრმათ დარწმუნებულია იმაში, რომ ჯარი იმიტომ მოდის სვანეთში, რომ მას გაანადგურებს და გასწყვეტს, რადგან მთავრობის ჯარის სისხლი დააღვრევინეს მათ. ეს წარმოდგენა მათში ღრმათ ფესვებ გადგომილია, რადგან სვანის უზენაესია წმინდათა სისხლის აღება, ეს ნაშთი ძველი ბარბაროსობისა, რომლის ამოსაფხვრელათ საჭირო შეგნების შეტანა და სისტემატიური კულტურული მუშაობაა ამ ხალხში.

მართლაც, ზემოდან მოადგა ისევ ჯარი, ამ დროისთვის სვანეთი გაერთიანდა. ყველა მამაკაცი მოლაშქრეთ შევიდა და სვანეთში ერთი უბედური სიტყვა გაისმოდა: „გაგვწყვეტენ და თავი მაინც ვისისხლოთო“. დიდი შრომა და ახსნა დაგვჭირდა ხალხში იმისა, რომ მთავრობა შურს არ იძიებს, ოღონდ ჩვენ ვიყოთ აწი მაინც ჭკუით, გაუგზავნოთ დელეგაციები და შეგვირიგებს მთავრობათქო. მართლაც გაიგზავნა დელეგაციები, მთავრობამ როგორც მოსალოდნელი იყო, ლმობიერათ მიიღო სვანთა მოციქულები. დანიშნა სვანეთში წარმომავალი კომისია. ეს გამოეცხადა ხალხს და ხალხიც აღტაცებით შეხვდა ამ ამბავს. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მარა საუბედუროთ კომისიის ნაცვლათ ისევ ჯარი გამოჩნდა ქვემო სვანეთში, იქ მომხდარა რეპრესიები, გაუსამართლებლათ პირთა დახვრეტა საშინელ პირობებში. ამით ისარგებლეს უთუოთ ორმა სამმა პირმა რომელნიც არავითარ შემთხვევაში ხსნას და პატიებას არ მოელოდნენ და ერთი ნაწილი, უმნიშვნელო ნაწილი სვანეთისა შეცდომაში შეიყვანეს და თავს დაესხნენ ქვემო სვანეთს. დიდ ნაწილს სვანეთისას, სადაც კი მოვასწარი მოწოდებები თუ პირად წასვლით ახსნა, რომ ეს ჯარი არაა სვანეთში მომავალი, რომ მთავრობა ჩვენ არ გვეომება, რომ ჩვენი გადასვლით ჩვენ ვზღუდავთ ჩვენსავე თავს, მადლობელი დარჩა, სიამოვნებით ხვდებოდა ამ ჩემს განცხადებას და პროტესტს უცხადებდა გადასულთა მიმართ. ამ რიგათ მესტიის, ლენჯერის, ლუბლის, ბეჩოს, ეცერის, ცხუმარის, ფარის, ჩუბე ხევის და ლახამულის საზოგადოებებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ და პირიქით საშინლათ აღელვებული იყვნენ გადამსვლელებზე.

ახლა შეიქმნა ასეთი მდგომარეობა, რომ კვლავ თქვენის მეთაურობით მოადგა სვანეთს ჯარი. სვანები ამბობენ: „ახლა კი აღარ გვაპატიებენ არაფერსო“. აი ეს ინსტრუქცია თავის დაცვისა სვანში გამჯდარია. დღეს ჯერ იარაღს ჩამოგვართმევენ და მერე გაგწყვეტენო და ბარელამ თავი ვისისხლოთო. ამ რიგათ, სვანის დღეს იარაღით ხელში დოგმა არაფერი შეგნე-

ბული ადამიანის თვალში არ უნდა იყოს "კონტრ-რევოლიუცია". ეს არის მხოლოთ შურისძიების შიში„ ეს არის თავის დაცვის შეუგნებელი ინსტიქტი მისს ზნე-ჩვეულებაზე დამყარებული და მეტი არაფერი.

ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ როგორც თქვენ მთავრობის კომისია, აგრეთვე თვით მთავრობა დაინტერესებულია მოხდეს ლიკვიდაცია ამ შეუგნებლობით გამოწვეულ უბედურებისა. მე მგონია მთავრობისათვისაც სასურველია რომ ეს მოხდეს სისხლის დაუღვრელათ და რაც შეიძლება უფრო ადრე.

ამისათვის ნებას ვაძლევ ჩემ თავს გთხოვოთ როგორც ადგილობრივი ხალხის სულის კვეთების ახლო მცოდნე პირი, რომ იქონიოთ ოდნავ მაინც მხედველობაში ის გზები, რომლითაც უფრო ადვილათ და უფრო მალე მივაღწევთ თქვენ მიერ დასახულ მიზანს.

ჯარით შემოსვლას სვანეთში, ხალხს ათასი რომ უმტკიცოთ, ისე შეხედავს, როგორც შურის საძიებლათ შემოსვლას. მას უეჭველათ მოჰყვება კვლავ დიდი უმანკო სისხლის ღვრა, ამას მოჰყვება სვანეთის სრულიათ განადგურება, იმ სვანეთის, რომლისაგანაც სულ მოკლე ხანში შეგვიძლია თავდადებული, ჩვენთვის მებრძოლი ხალხი შევქმნათ. იმ ხალხის, რომელიც წარმოადგენს მხოლოთ ღატაკ მშრომელ გლეხებს. ამას მოჰყვება შიგნითაც ურთიერთ შორის დაუსრულებელი სისხლისღვრა. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისითაც უნდა მოგახსენოთ, რომ სრულიათ ზემო სვანეთის იარაღით მონათვლა ძვირი დაჯდება და დიდი ხანიც დასჭირდება. მაშვინ როდესაც სიცოცხლეს ვსდებ თავდებათ, რომ ორი, სამი შეგნებული ამხანაგი მაიდან გამოგზავნილი, ისეთები როგორიცაა თეოფანე გორგასლიძე ან სხვა ვინმე მისი შეგნებით მყოფი პირებით, იარაღსაც მოუყრით თავს, და ყველა დასახულ მიზნებს მივაღწევთ უახლოეს დროში.

ხალხს უნდა ეს მთავრობა, ხალხი სტირის და ბრაზმორეულია იმ მმართველებზე რომელთაც მას ეს ჩაადენინეს. მარა მას წესის განუკითხავად ხალდეშის ისტორიის გამეორებისა, რომელიც მოხდა ჟანდარმების დროს 65 წლებში და თვალცრემლიანი ემზადება სასიკვდილოთ და თავის საცოცხლებლად.

ამხანაგებო! ნუ ვიზამთ ამ საბრალო ხალხის განადგურებას, ნუღარ დაიღვრება სისხლი უმანკო ძმათა შორის, ნუ მოვიძულებთ ამ კედლებში მომწყვდეულ, მშიერს და უბედურს გლეხობას და ცეცხლისა და მახვილის ნაცვლათ მისს ჭრილობებს მოვუაროთ მალამო ლმობიერებისა, სიყვარულისა? სათნოებისა. გარწმუნებთ, რომ ამ ბედშავ ხალხში ყველაფრის გაკეთება შეიძლება ოღონდ ვაჩვენოთ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა არა გაჟღენთილი სვანივით სისხლის აღების ბოროტი ინსტიქტით.

ეს ჩემი ამოძახილი არის ხალხის ამოძახილი ისმინეთ ხმა მუშებისა და გლეხებისა.

მე შეიძლება აღარ გახსოვდეთ, მარა მე კარგათ მახსოვხართ ორივე და მით მეტადრე ამხ. ლადო 905 დანვე.

მიიღეთ ჩემგან, „მეამბოხისაგან", როგორც მნათლავენ თურმე მანდ. გულითადი სალამი.

ილია ფალიანი
7 მარტი, 1922
სოფ. მესტია.

**ქცსა, ფ. 284, ან.1, საქ. 8.**

ხელნაწერი, ქართულ ენაზე, დედანი.

* * *

5. ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსის შ. ამილახვარის პატაკი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო განყოფილების გამგისადმი 1924 წლის 28, 29 აგვისტოს ღამით, დაბა ბეჩოში ადგილობრივ ხელისუფლებაზე მომხდარი თავდასხმის შესახებ.

10 ენკენისთვე, 1924 წელი

შ.ს.ს.კ. სამილიციო განყოფილების გამგეს.

ღამით 28/29 აგვისტოს ა/წ. ზემო სვანეთის მაზრის მცხოვრებთაგანი ერთი ნაწილის ხელმძღვანელობით პოლიტიკურ ბანდიტების: 1) ბიძინა პირველის 2) ბესარიონ ხერგიანის 3) ეგნატე გაბლიანის და 4) მოსესტრ, გელა, თენგიზ, ოთარ დადეშქელიანების და სხვ. დაეცა ღამის 2 საათზედ მაზრის ცენტრს დ. ბეჩოს და მოითხოვა, რათა ადგილობრივ ხელისუფლებას გადაებარა მათთვის მთელი სახაზინო ქონება და იარაღი იმ საფუძვლით, რომ ვითომ ანტისაბჭოთა გადატრიალება მოხდა მთელ საქართველოს ტერიტორიაზედ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უარყო აღნიშნული წინადადება, რის შედეგად მაზრის ცენტრს ბანდამ, რომლის რიცხვი ბნელი ღამის, ამ ჟამად ძნელი გამოსარკვევი იყო, აუტეხა სროლა. ხანგრძლივი ურთიერთ შორის სროლის შემდეგ საომრო ვაზნების დახარჯვისთანავე ადგილობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ძალა დაახლოებით 35 კაცამდე იძულებული გახდა დაეყარა იარაღი და სადარაჯოზე გაფანტულნი ჩავარდნენ ტყვეთ დილის მე-8 საათზედ, იმავე დროს ბანდის მიერ დაარსებული იქმნა დროებითი თავიანთი ხელისუფლება, რომელიც შეუდგა დატყვევებულ მუშა-მოსამსახურეთა გასამართლებას. სასტიკი სასჯელი მოელოდა მაზრ. მილიც. უფროს ანდრო ამაშუკელს – მის თანაშემწე შალიკო ამილახვარს, ბეჩოს მარქაფის უფროსს გრიშა ამაშუკელს, პასუხისმგებელ მდივანს ახკომკავშირისა გრიშა კარანაძეს და მესტიის რაიმილიციის უფროს შალიკო ნიკურაძეს და აგრეთვე სახალხო მოსამართლეს პარმენ ნოდიას. როცა ეს ზემოხსენებული შეიტყვეს მარქაფის მილიციონერებმა აბრამ ნიკოლოზის ძე და ისმაილ გრიგორის ძე კვიციანებმა, თავისი ნათესავების დახმარებით სახელდობრ: კონსტანტინე, სამსონ, ჯულაბ და სხვა კვიციანებით სათითავოთ გამოიტაცეს არბოს ხელიდან ყველა მუშა მოსამსახურეები და შეაფარეს თავის სახლში, ს. მაზერში. სახელმწიფოს დაწესებულები და მთელი ქონება წაღებული, და ამის გარდა ერთი ახლად აშენებული აღმასკომის მიერ შენობა – დასტოვეს. 29 აგვისტოს გამოირკვა დაახლოვებით ბანდის რიცხვი, რომელიც აღემატებოდა 300 კაცს, ხოლო გაძარცვაში მონაწილეობას იღებდა ათას კაცამდე. საბჭოთა აპარატის მუშა მოსამსახურენი გაფანტულნი სხვა და სხვა ადგილებზედ გროვდებოდნენ კვიციანის დახმარებით -კვიციანების სახლში. ამ გვარად ერთი ჯგუფი ჩემი და სახალხო მოსამართლე ნოდიას მეთაურობით და დახმარებით კვიციანისა გავემგზავრეთ მიმართულებით ზემო ბახსანისკენ ბალყარო-კაბარდინის ოლქისა. 21 აგვისტოს აღნიშნული ჯგუფი შემდგარი სულ 18 სულიდან გადავიდა უღელტეხელ "უხინგი" და მიაღწია ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ქ. ნალჩიკს. არავითარი ცნობა დანარჩენ მუშა მოსამსახურეებზედ არ მიმიღია, გარდა იმისი, რომ აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გულბანი და მაზრის მილ. უფროსი ამაშუკელი 10-12 თანამშრომლებით, დახმარებით გელა კვიციანისა გაემგზავრა 29 აგვისტოს, დილის 8 საათზედ ლეჩხუმის მაზრისაკენ მიმართულებით სოფ. იფარზედ. როდესაც

ჩვენ მოვატანეთ უღელტეხილ უხინგის, აქ ბანდას ქონია პატარა ჯგუფი ბანდისა ჩასაფრებული ზევით, 8-12 კაცი, რომელმაც ხელმეორეთ აგვიტეხა სროლა, მაგრამ კვიციანებმა სროლაზედ უპასუხეს სროლით და ჩვენ გადმოვედით მშვიდობით უღელტეხილს, მთელი მუშა მოსამსახურენი ბანდის მიერ იყო სრულიად გაძარცვული.

ზემო-სვანეთის მაზრის მილიციის უფროსი – შ.ამილახვარი
სახალხო მოსამართლე – პ. ნოდია
სამართველოს მდივანი – ამაშუკელი

***ქცსა, ფ. 285, აწ. 1 საქ. 54. ხელნაწერი, ქართულ ენაზე, დედანი.***

* * *

6. ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსის პ. სოხაძის მოხსენება საქართველოს სსრ შინაგან სახალხო კომისრის მიმართ მაზრის ყოფილი მილიციის უფროსის მიხეილ ძიძიგურის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ

4 მარტი, 1924 წელი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს

მოგახსენებთ, რომ ჩემდამი რწმუნებულ ზ/სვანეთის მაზრის მილიციის საჭიროებისათვის, 1923 წ. აგვისტოს თვეში იყო ჩამოტანილი ოთხი ათასი /4000ც./ ვაზნა, რომელ რიცხვიდან ორი ათასი /2000/ ცალი ვაზნა იქნა დახარჯული სხვა და სხვა ოპერაციებზე და აგრეთავე იქნა გაცემული რაიონებში მილუფროსებზე, რაზედაც გასამართლებელი საბუთები გვაქს ხელში. და 18 ოქტომბრიდან, იმ დღიდან, ყოფილ მილიციის უფროსის, მიხაილ ძიძიგურის, შვებულებიდან დაბრუნებისა, დანარჩენი ორი ათასი /2000/ ცალი ვაზნა, არის უგზო უკვლოთ გაფლანგული, რომელზედაც არავითარი გასამართლებელი საბუთი არ სჩანს.

როგორც ირკვევა: ამხ. მიხაილ ძიძიგურის მიერ, ის დანაკლისი ორი ათასი /2000/ ცალი ვაზნა ყოფილა დარიგებული და გასაჩუქრებული სხვა და სხვა კერძო პიროვნებებზე.

სწორეთ, ამისთანა ძიძიგურის მიერ დაშვებულმა შეცდომამ მიიყვანა მილიციის შემადგენლობა იმ ზომამდის, რომ: იმ გამწვავებულ წუთებში, როდესაც შეიარაღებული ბრბო ბანდიტებისა გვითვლიან და გვითვლიდენ მუქარას და არ გავიდოდა არც ერთი ღამე, რომ არ ეეტახათ სროლა თუმც ეს მდგომარეობა დღესაც დარჩენილია უცვლელად; მილიციელები იძულებულნი იყვნენ ჩუმათ შეესყიდათ კერძო პირებისაგან ვაზნები თავიანთ თავდასაცვავათ; და ვინ იცის, რომ ამ მილიციელების მიერ შესყიდულ ვაზნებში არ ურევია ამხ. ძიძიგურის გასაჩუქრებული ვაზნები.

დიახ, სწორეთ ამ გამწვავებულ მდგომარეობის "სიძნელეს" ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით განიცდიდა მთელი მილიციის შემადგენლობა, განსაკუთრებით კი ქართველები, ვინაიდან არც ერთი თანამშრომელი ქართველთაგანი არ არი, რომელის სიკვდილზედაც არ ჰქონდეთ მიღებული ფი-

ცი იმ პირებს, ვის ხელშიაც ადვილი შესაძლებელია იყოს რამოდენიმე % იმ 2000 უგზო უკვლოთ ამხ. ძიძიგურის მიერ გაფლანგულ ვაზნებისა.

ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსი : პ. სოხაძე

***ქცსა, ფ.285, აწ. 1, საქმე 200.***
ხელნაწერი, ქართულ ენაზე, დედანი.

***

7. 1925 წლის 15 მარტს ს. ეცერში ჩატარებული სოფლის თემის ყრილობის ოქმი, წითელი არმიის მიერ მთა უსგვირის მაცხოვრებლების დაზარალებული დიმიტრი, ნავა და რაჟდენ გურჩიანების ჩამორთმეული ქონების აღწერის შესახებ

15 მარტი, 1924 წელი

ო ქ მ ი

15 მარტს, 1925 წ. შესდგა ეცერში ს. თემის ყრილობა ამავე თემის სკოლის შენობაში, კრებას გამოეცხადა სრული ხმის მქონე 68 კაცი. ყრილობა მოიწვია თემის აღმასკომმა, ამხ. სანდრო გაზდელანმა.

დღის წესრიგში I საკითხი იყო: წარსულ წლის სექტემბრის თვეში 1924 წ. სვანეთში ყოფილი და კიდევაც ლეჩხუმიდან მოსულ წითელ ჯარმა წაართვა ყოველივე მათი სარჩო, რომელიც არიან გადასახლებული ეცერის თემიდგან - მიწის უქონლობის გამო, სახელდობრ მთა უსგვირში, რომელიც მოშორებულია თემთან 46 ვერსზე. თემმა ერთხმად დაადგინა, რომ აღნიშნულ უსგვირის მცხ. დიმიტრი, ნავა და რაჟდენ გურჩიანებს არ ჰქონდათ არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი, ისე იყვნენ დაზარალებული ქვემოთ ჩამოთვლილი საქონლით და ქონებით, რომელიც ჩვენი საკუთარი ხელის მოწერით უმოწმებთ.

| | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ფასი თვითონ | საერთოდ |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1. | ხარები | 7 ც. | 75 მან | 525 მან. |
| 2 | ძროხები სულ | 20-(10დიდი) | 80 მან. | სულ 20მ. |
| | ძროხა საშვალო | 5 | თვითოს ფ.45 | ხარის და |
| | ძროხა უშობელი | 5 | ფასი 3ც მან. | 900 მან. |
| 3 | ვირები | 3 | თვითო 40 | 120 მან. |
| 4 | თხები | 27 | 5 მანეთად | სულ ვაცები |
| 5 | ვაცები | 8 | 12 მანეთის | და თხები 231 |
| 6 | ცხვარი | 43 | 5 მანეთის | სულ ვერძიდ. |
| 7 | ვერძები | 9 | 10 მანეთის | ცხვარი 300 მ. |
| 8 | ყველი | 6 ფუთი | 12 მანეთი | სულ 72 მან. |
| 9 | უნაგირები | 3 ცალი | 20მან. თვითო | 60 მანეთი |
| 10 | ნაბადები | 5 ცალი | ———— | 25 მანეთი |
| 11 | საბნები | 2 ცალი | 5 მანეთის | 10 მანეთი |
| 12 | 25 არშინი ფართალი | 25 არშინი | 10 მან. სულ | - - - - - - - |
| 13 | საბანჯო ვერცხლის | 1 ც. | ———— | ———— |
| 14 | ბეჭდები ლებარ ქალის სარტყე- | | ———— | ფასი 40 მან. |
| 15 | ლი | 4 ც. | ———— | მანეთი |
| 16 | კაცის სარტყელი | | ———— | 20 მანეთი |
| 17 | დათვის ტყავი, სპილენძის თუნგი | | 10 ფუთი | 18 მანეთი |
| | მაშინკა და წიგნები წიბარები | | | 30 მანეთი |

ბ. ტალან, ნ. უმფრიანი, ჩარგიზ კჩან, ნიკო საბა, ზურაბ გურჩიანი, არჩილ პაკირიანი, კოწია პაკირიანი, არსენა კორძაია, გრიგოლ პაკირიანი, ნესტორ ჩარქვიანი, კოსტა არგვალიანი, ნესტორ ჩარქვიანი, კოწი გაზდელიანი, შამსონ გჯეჯიანი, არტ გჯჯიანი, ნიკოლოზ გჯეჯიანი, მუზა გჯჯიანი, დიმიტრი გჯჯიანი, გიორგი გჯჯიანი, ვლადიმერ პაკირიანი, აკაკი აფსარიძე, კოსტა აფსარიძე, ბათრ აფსარიძე, დიმიტრი აფსარიძე, დეტრო ხორგვანი, მუზა ხორგვანი, აზარეთ ხორგვანი, კოსტა ხორგვანი, ნიკოლოზ ხორგვანი, ბესარიონ ხორგვანი, ალექსანდრე ხორგვანი, გრიგოლ გურჩიანი, ღაღუ გურჩიანი, ბულათ გურჩიანი, მურზაბეგ გურჩიანი, მეხუზა გურჩიანი, ახმათ გურჩიანი, თავადე გურჩიანი, დავით გურჩიანი, კონსტანტინ გურჩიანი, შამსონ გურჩიანი, გიორგი გურჩიანი, თემგა გურჩიანი, ბექო გურჩიანი, ამნაცგი გურჩიანი, ალექსანდრე გურჩიანი, ბესო გურჩიანი, შოლომონ გურჩიანი, გეგან პაკირიანი, ქერებ პაკირიანი, ვლადიმერ პაკირიანი, მახარბე გელიანი, მერმანე გელიანი, ქეზა გერლიანი, დევეთ გერლიანი, ბექსოლან გერლიანი, სოლევან გერლიანი

ეცერის თემის საბჭოს წევრნი: ბ. აფსარიძე, მუზა პაკელიანი.

ვამოწმებ: ეცერის თემის საბჭოს თავმჯდომარე ს. გაზდელიანი

მდივანი დომენტი პაკელიანი

ნაბეჭდი, ქართულ ენაზე, დედანი

**ქცსა ფ. 600, ან. 1 საქ. 395.**

# მილოცვები

***წელიწადის ოთხი დრო, წლები მათი სადარი,***
***გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი,***
***ხუთით გამოვიარეთ, ხუთკუთხივ ვეზიარეთ,***
***5-ჯერ ათი გავვოცდით, საუკუნეს გამოვცდით,***
***5-ით ნოლს გუგებთ დროს, ისევ ამ დროისა ვართ,***
***50-ის კი არა, 5-ჯერ ათი წლისა ვართ.***

## გუგული პატარიძე - 50



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს მეხუთე სართულისკენ მიმავალ კიბეებს ყოველდღიურად მიუყვება სიკეთითა და გულისხმიერებით, ღირსებითა და პატიოსნებით. პუნქტუალობით, შინაგანი წესრიგით გამორჩეული ქალბატონი, ერთი შეხედვით ამაყი და უკარება, სინამდვილეში კი თავაზიანი. მოსიყვარულე და თავმდაბალი პიროვნება, დამსახურებული არქივისტი, შესანიშნავი კოლეგა და მეგობარი – ქალბატონი გუგული პატარიძე. მას დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.

შრომისმოყვარე და ცოდნისმოყვარე ქალბატონმა გაიარა საარქივო სამმართველოს იერარქიული კიბის ყველა საფეხური (დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი, ლაბორატორიის მხატვარ – რესტავრატორი, ლაბორატორიის უფროსი, რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე, კინო-ფოტო დოკუმენტების არქივის დირექტორი, განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი) და ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით აკეთებდა თავის საკეთებელს. სწორედ ამიტომ მიანიჭეს საუკეთესო არქივისტის საპატიო წოდება (2000 წ.).

გუგული პატარიძე საარქივო საქმიანობას შესანიშნავად უხამებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ბათუმის ერთ-ერთ კოლეჯში („ბლექსი") საარქივო საქმეს ასწავლის. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციების კურსს „საარქივო საქმეში", „დოკუმენტების უნიფიცირება"-სა და „დოკუმენტების რედაქტირება"-ში. აქაც ბრწყინვალედ გაართვა თავი გ. პატარიძემ დაკისრებულ მოვალეობას და დაიმსახურა მოსწავლეებისა და კოლეგების დიდი სიყვარული. ცხადია, სიყვარული და ავტორიტეტი თავისით არ მოდის. იგი უანგარო, დაძაბული შრომის შედეგია. ასეთია გუგული პატარიძე, საყვარელი კოლეგა და მეგობარი, შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელი.

სწრაფად გაირბინა დაუცხრომელი შრომის, ბრძოლის, ძიების, მარცხისა და წარმატებების ხუთმა ათეულმა წელმა, მაგრამ ჟამთა სვლა ვერ შეეხო მის გულმოდგინებას, სიკეთისმოყვარეობას, შრომისმოყვარეობასა და გულისხმიერებას. იგი კვლავინდებურად მუყაითად ემსახურება საყვარელ საქმეს.

საარქივო სამმართველოს თანამშრომლები შემდგომი წარმატებებისა და გამარჯვებების სურვილით ულოცავენ ღირსეულ ადამიანს დაბადებიდან 50 წლის იუბილეს. კვლავაც დიდხანს გვკეთებინოთ თქვენი საყვარელი საქმე. გაგვებედნიერებინოთ თქვენს გვერდში მდგომნი ჩვეული გულისხმიერებით, მეგობრობითა და სიყვარულით.

* * *

## ნინო გოგიტიძე - 50



არქივისტის ცხოვრება ათასი კაცის ცხოვრებას ჰგავს. ეს ათასი კაცი ერთ ადამიანში იბადება, ერთმანეთს არ ჰგვანან და მაინც ერთი დიდი სიყვარული, სულის წვა, გრძნობათა სამყარო აერთიანებთ. რაც უფრო ძლიერია მათი ხასიათები, მით უფრო შორს არიან ისინი ერთამნეთთან და უფრო დიდია არქივისტის პროფესიონალიზმიც. ასეთი გამორჩეული არქივისტია ნინო გოგიტიძე, რომელმაც თავისი ახალგაზრდული ცხოვრება არქივს დაუკავშირა.

არქივია მისი იმედი, გამარჯვება, ხვალინდელი დღე. 2011 წელი ნინო გოგიტიძისთვის საიუბილეო წელია. მას დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.

თითქმის ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნ. გოგიტიძემ თავისი საქმიანობა საარქივო სამმართველოს დაუკავშირა. მან დამსახურებულად დაიმკვიდრა საუკეთესო არქივისტისა და უღალატო მეგობრის სახელი. იგი გამორჩეულია მიმტევებლობის, შენდობისა და პატიების დიდი უნარით. არაერთხელ ატკინეს გული, დაალევინეს „მწარე შარბათი", მაგრამ წყენა გულს არ გაკარებია, აფთიაქის სასწორზე არ დაუდუა ასაწონად ცოდვა-მადლი. იგი ჩვეული გულისხმიერებით ხვდება ყველას – მტერსაც და მოყვარესაც.

უკანმოუხედავად გარბიან წლები. ბევრი რამ, რაც ასე ნათელია დღეს, ძნელად საცნობი ხდება დროთა ვითარებაში. ხშირად ვერ ვაფასებთ ადამიანებს. ნინო კი ყოველთვის გვახსენებს თავს თავისი კეთილშობილებით, მიმტევებლობითა და სიყვარულის დიდი უნარით.

ვულოცავთ შესანიშნავ ქალბატონს, დამსახურებულ არქივისტს, იშვიათ კოლეგასა და მეგობარს ცხოვრების შუაგულს, ვუსურვებთ ბედნიერებას, სიყვარულს, წარმატებებს. ის ჯერ კიდევ ბევრს გააკეთებს საარქივო საქმის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში. რწმენით, იმედით და წარმატებებით გევლოს წინ შენი ქვეყნის, ოჯახის, მეგობრების საკეთილდღეოდ.

**11 ივნისი, 2011 წელი**

ცნობილი ქართველი მსახიობის სესილია თაყაიშვილის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს აღსანიშნავად, მის მშობლიურ ქალაქში, ბათუმში, იუსტიციის სახლში მოეწყო გამოფენა სახელწოდებით "სესილია". გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როგორც ეროვნული არქივში დაცული კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტები, ისე სესილია თაყაიშვილის საოჯახო ალბომებში არსებული ფოტოები, მსახიობის კინო და თეატრალური როლების ამსახველი კადრები, ბიოგრაფიული შინაარსის სურათები.

ღონისძიება იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ და ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გახსნეს. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველომ.





* * *

**08 ივლისი, 2011 წელი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო და მისი ტერიტორიული ორგანოები 2011 წლის 6 თვის განმავლობაში 2402 მოქალაქეს მოემსახურნენ. მოქალაქეები ძირითადად ითხოვდნენ საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერების, საკომლო ჩანაწერების, სამუშაო სტაჟის, ქონების უფლების დამადასტურებელი, რეპრესიებისა და რეაბილიტაციის შესახებ დოკუმენტებს.

* * *

**15 ივლისი, 2011 წელი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიული ორგანოებისათვის შეძენილი იქნა ახალი საოფისე და სპეცინვენტარი. სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით მალე დაიწყება საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

 

* * *

**14 – 28 ივლისი, 2011 წელი**

აჭარის არ მთავრობის ხელშეწყობით, 2011 წლის 14 ივლისიდან 28 ივლისამდე ბულგარეთში, სოფიის კირილესა და მეთოდეს ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილებაში იმყოფებოდნენ საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე სანდრო ბერიძე და საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი თამაზ ფუტკარაძე. მათ მოიძიეს სოფიის არქივში დაცული ოსმალური პერიოდის (XVI-XVIII სს.) 350-მდე დოკუმენტი, რომელთა ქსეროასლებმა ბინა დაიდო აჭარის არ. საარქივო სამმართველოში. აღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილია მოსახლეობის ეთნიკური სურათი, გადასახადები, საბრძოლო და სამხედრო შინაარსის დოკუმენტები, სხვადასხვა სახის ინფორმაციები კაზების შესახებ, არზები, არზუჰალები, დავთრები, ფირმანები, მაზბატები. დოკუმენტების ერთი ნაწილი ეხება ბათუმში, გონიოსა და ციხისძირში დისლოცირებული ოსმალთა შეიარაღებული ძალების რაოდენობას, მათ პოზიციას, შეიარაღების მდგომარეობას, ციხის მცველებად ჩაყენებული იანიჩრების, ბეშლუიანების, ჯებექიების და სხვა მეთაურების მიერ ოსმალეთის ხელისუფლებისადმი წარდგენილ არზებს ამა თუ იმ ციხეში ჩაყენებული სახელმწიფო ლაშქრის რაოდენობის, მათ შესანახად საჭირო თანხასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. დოკუმენტებში საუბარია ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებების შესახებაც. აღნიშნულ წერილობით დოკუმენტებს აქვს უაღრესად დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ოსმალური პერიოდის ამსახველი ისტორიული დოკუმენტები საქართველოს საარქივო დაწესებულებებში ძალზე მწირია, აჭარის არ საარქივო სამმართველოში კი პრაქტიკულად არ არსებობს.

  

საარქივო სამმართველოში ბინა დაიდო აგრეთვე პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის XVIII საუკუნის ქართული (ასომთავრული) ხელნაწერის ქსეროასლმა, რომელიც უსასყიდლოდ იქნა გადმოცემული ბულგარელი კოლეგების მიერ.
ვიზიტის პერიოდში საარქივო სამმართველოს წარმომადგენლები შეხვდნენ სოფიისა და ბლაგოევგრადის საარქივო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, დაათვალიერეს ფონდსაცავები, რესტავრაციის ლაბორატორია, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილებები და ისაუბრეს სამომავლო სამეცნიერო კონტაქტების აუცილებლობის შესახებ .

* * *

**28 აგვისტო - 2 სექტემბერი, 2011 წელი**

2011 წლის 28 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე სტოკჰოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრის მიწვევით შვედეთის სამეფოში იმყოფებოდა დელეგაცია, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსი თენგიზ ცინცქილაძე და ბათუმის ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმის ხელმძღვანელი თემურ ტუნაძე. შვედეთის სამეფოში ვიზიტის დროს დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა სტოკჰოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრის ხელმძღვანელთან ალექსანდრე ჰიუსბაისთან, შვედეთის ეროვნული არქივის დირექტორთან ბიორნ ჯორდელთან და მის მოადგილესთან ანა-კარენ ჰერმადოსთან.
შეხვედრები გაიმართა აგრეთვე ძმები ნობელების მუზეუმში, შვედეთის სამეფოს მეცნიერებათა აკადემიაში და სამხედრო არქივში.
საქართველოს ეროვნულმა არქივმა, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველომ და ბათუმის ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურმა მუზეუმმა შვედეთის კულტურის სამინისტროში სტოკჰოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრთან გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმები.

  

* * *

**24 სექტემბერი, 2011 წელი**

2011 წლის 24 სექტემბერს, ბათუმში იუსტიციის სახლში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ეროვნული არქივისა და აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ერთობლივი პროექტის საფუძველზე მოეწყო გამოფენა - „ძველი და თანამედროვე ბათუმი”. გამოფენა გახსნა ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა ქალბატონმა თეონა იაშვილმა,

დამსწრეთ ასევე მიესალმა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსი თენგიზ ცინცქილაძე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო XIX – XX –XXI საუკუნეებში გადაღებული ხედები ბათუმის შესახებ, ასევე ფრაგმენტები დოკუმენტური კინო-ფილმებიდან: ,,დღე ბათუმში" (1936წ.) და ,,მზიური აჭარა" (1958წ.),

ისტორიული ფოტოები ცნობილ ფოტოგრაფს დიმიტრი ერმაკოვს და სხვა უცნობ ავტორებს ეკუთვნით. თანამედროვე ბათუმი კი ფოტოკადრებზე გურამ წიბახაშვილმა ასახა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ის ფოტოებიც, რომელიც შავიზღვისპირა ქალაქის თანამედროვე არქიტექტურას ასახავს.





## ჩვენი ავტორები:

1. **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს აპარატის უფროსი;
2. **ოთარ გოგოლიშვილი** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე;
3. **თამაზ ფუტკარაძე,** რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი;
4. **ფრიდონ ქარდავა** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
5. **მერაბ მეგრელიშვილი** - ისტორიის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე;
6. **ტატიანა კოპალეიშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის დოქტორანტი;
7. **რამაზ სურმანიძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აჭარის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი;
8. **ანასტასია პაშოვა** - ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის პროფესორი (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი);
9. **მადონა ცხადაძე** - საარქივო სამმართველოს პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი;
10. **პიერ ვოდენიჩაროვი** - ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის პროფესორი (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი);
11. **მალხაზ ჩოხარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **მაია რურუა** - საარქივო სამმართველოს დაცვის, აღრიცხვის და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების უფროსი;
13. **თეა ქათამაძე** – ქუთაისის ცენტრალური არქივის მთავარი სპეციალისტი.

**Our authors:**

1. **Elguja Chaganava** – Ajara Archives Administration, head of office;
2. **Otar Gogolishvili** – Doctor of historical sciences, professor of Shota Rustaveli State university, deputy chief of Khariton Akhvlediani Museum of Local Lore;
3. **Tamaz Putkaradze** - Doctor of historical sciences, professor of Shota Rustaveli State university, head of deraprtment of foreign, public relations and informatonal-technologies;
4. **Fridon Kardava** – Sub department of Ajara AR government – Archives Administration, senior specialist of Publication and Utilization department;
5. **Merab Megrelishvili** – Doctor of history, deputy chief of library of Shota Rustaveli State University;
6. **Tatiana Kopaleishvili** – Shota Rustaveli State University history PhD;
7. **Ramaz Surmanidze** – MD, professor, deputy of Ajara AR Supreme Council;
8. **Anastasia Pashova** – Professor of Neofit-Rilski University, (Blagoevgrad, Bulgaria);
9. **Madona Tskhadadze** – Archives Administration, Head of department of Publication and utilization;
10. **Petar Vodenicharov** – Professor of Neofit-Rilski University (Blagoevgrad, Bulgaria);
11. **Malkhaz Chokharadze** - Professor of Shota Rustaveli State university;
12. **Maia Rurua** – Archives Administration, Head of department of preservation, registration and scinetific-informational;
13. **Tea Katamadze** – Senior specialist of Kutaisi Central Archives.

## *ს ა რ ჩ ე ვ ი*


1. **ელგუჯა ჩაგანავა -** საზღვარგარეთის ტურიზმის საკავშირო სააქციო საზოგადოება – ბათუმის განყოფილება „ინტურისტი" 1929-1962 წლებში ....... 3
2. **ოთარ გოგოლიშვლი** – ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ისტორია აჭარაში (XIX საუკუნის 80 – 90 წწ.) ....... **12**
3. **Тамаз Путкарадзе - Этнографическая Болгария....... 18**
4. **ფრიდონ ქარდავა** – ბრიტანელები აჭარაში (1919 – 1920) ....... 32
5. **მერაბ მეგრელიშვილი** - ტ. ფარბერი – ბათუმის ოლქის შესახებ ....... 36
6. **ტატიანა კოპალეიშვილი -** პირველი მსოფლიო ომი და გერმანელთა საკითხი საქართველოში....... 39
7. **რამაზ სურმანიძე** - აზიზიეს მეჩეთის აგების და ბათუმის ცენტრალური მოედნის სახელდების დათარიღებისათვის ....... 44
8. **Анастасия Пашова -** "Товарищеский суд" – социальная практика коллективного порицания в период государственного социализма (1960 – 1991) ....... 49
9. **მადონა ცხადაძე** – მასალები გიორგი ხეჩინაშვილის ბიოგრაფიისათვის....... 56
10. **Petar Vodenicharov** - Feminity and masculinity in the Bulgarian popular culture and press *(The Patriarchy of language)* **....... 59**
11. **მალხაზ ჩოხარაძე** - ახალი ცნობები „ძეგლის" ლოკალიზაციისთვის ....... 65
12. **მაია რურუა** - ვეტერანი არქივისტები ....... 70

**საარქივო დოკუმენტური წყაროების მიმოხილვა:**

ა. საქართველოს შესახებ ბრიტანულ არქივში დაცული დოკუმენტების ასლების მიმოხილვა **(ფრიდონ ქარდავა)....... 82**

ბ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში აჭარის შესახებ დაცული დოკუმენტური წყაროების მოკლე მიმოხილვა **(თეა ქათამაძე)....... 84**

**საარქივო დოკუმენტური წყაროები:**

ა) დოკუმენტები ბრიტანული კოლექციიდან ....... 85

ბ) აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიშები 1921 -1924 წწ....... 88
   1. ჰიდრო – ელექტრო სადგური მდინარე აჭარისწყალზე....... 88
   2. განათლების სახალხო კომისარიატი ....... 96
   3. ბათომის მოსახლეობის ზრდა (1878 – 1922) წლამდე....... 114
   4. ქ. ბათომის მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით 1897, 1917, 1918, 1920, 1922 წწ. ....... 114

გ) ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული საარქივო დოკუმენტები:
   1. ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობას ....... 115
   2. მრეწველთა ყრილობის გადაწყვეტილება ....... 115
   3. ბიძინა პირველის მოხსენება სვანების უმძიმესი ცხოვრებისა და სვანეთის აჯანყების მიზეზების შესახებ....... 117
   4. ილია ფალიანის მოხსენება სვანების მძიმე მდგომარეობის, აჯანყების და მიზეზების შესახებ ....... 122
   5. შ. ამილახვარის პატაკი....... 128

6. სოხაძის მოხსენება ...129
7. ეცერში ჩატარებული სოფლის თემის ყრილობის ოქმი
(1925 წლის 15 მარტი) ...130

**მილოცვები:**

ა. გუგული პატარიძე - 50 ...132
ბ. ნინო გოგიტიძე - 50 ...133
ქრონიკა ...**134**
ჩვენი ავტორები ...138

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge